სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თანამედროვე ქართული ლიტერატურა და

ლიტერატურის თეორია

მელანია კაციტაძე

პიროვნული არჩევანი ჯემალ ქარჩხაძის „ზებულონის“ მიხედვით

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები - მარინა ტურავა, ფილოლოგიის დოქტორი,სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ივანე ამირხანაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი.

თბილისი

2023

სარჩევი

შესავალი ----------4

თავი I. პიროვნული არჩევანი - ზოგადი, ფილოსოფიური, რელიგიურ-ფსიქოლოგიური კონტექსტები ----------13

1.1.პიროვნული არჩევნის ზოგადი დეფინიცია, პიროვნული არჩევანი ფილოსოფიაში---------- 13

1.2. პიროვნული არჩევნის რელიგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები----------23

თავი II. პიროვნული არჩევანი ქართულ ლიტერატურაში -------28

2.1 პიროვნული არჩევნის საკითხი ძველ ქართულ მწერლობაში -28

2.2 პიროვნულობის პრობლემა ახალ ქართულ მწერლობაში -----35

თავი III. პიროვნული არჩევნის იდეა ჯემალ ქარჩხაძის რომანებში-56

3. 1. ,,მდგმური“----------56

3. 2. ,,ქარავანი“ ----------62

3.3. ,,ანტონიო და დავითი“ ----------66

3. 4. ,,იუპიტერის სინანული“ ----------69

3. 5. ,,განზომილება“----------72

თავი IV. პიროვნული არჩევანი „ზებულონის“ მიხედვით -------78

4.1. ზებულონის სიყმაწვილე ----------78

4.2 შურისძიება----------101

4. 3 ორი ზებულონი----------125

4. 4 ზებულონის სიყვარული----------137

4.5 სულიერი ზეაღსვლის მცდელობა----------149

დასკვნა ----------161

ბიბლიოგრაფია ----------175

შესავალი

„პიროვნული არჩევანი“ ეს არის პირადი გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების ხასიათს, შინაარსსა და რაობას. თანამედროვე სამყაროში აქტუალური ცნებებია პიროვნება და პიროვნულობა. სხვადასხვა კონტექსტში მუდმივად გვესმის ტერმინები: პიროვნული არჩევანი, თვითმყოფადობა, თავისუფლება, რომელთა დეფინიციები, ბუნებრივია, არ არის ერთგვაროვანი, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანები ამ თემაზე აქტიურად ფიქრობენ, მსჯელობენ, კამათობენ. ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას ყოველთვის განაპირობებდა ეპოქები, რეჟიმები, ისტორიული მოვლენები, ეკონომიკური მდგომარეობანი, სოციალური პირობები, გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობები, განათლების ხარისხი და შინაგანი იმპულსები.

ცნობილი დანიელი ფილოსოფოსი სიორენ კირკეგორი (1813-1855) ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა, რომ სიტყვა ,,არჩევანი“ ეთიკური ცნებაა. *,,პრინციპულად რომ ვიმსჯელოთ, - წერდა იგი, - იქ, სადაც არჩევანზე საუბრობენ, აუცილებლად წამოიჭრება ეთიკური საკითხები და ამ დროს ერთადერთი, აბსოლუტური არჩევანი - ეს არის არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის... არჩევანი აღაფრთოვანებს, აღამაღლებს ადამიანის სულს, ანიჭებს მას ფარულ, შინაგან კმაყოფილებას, საკუთარი ღირსების შეგრძნებას, რომელიც მასში არასდროს გაფერმკრთალდება“* [კირკეგორი, 1994:238-239].

იყო დრო, პიროვნული არჩევნის თემას არავინ ახსენებდა ან არც კი მოიაზრებდნენ მის არსებობას. თუნდაც შუა საუკუნეებში, როდესაც ადამიანები ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრობდნენ, არავის ახსოვდა პიროვნების ცნება. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. თეოცენტრისტულ საზოგადოებაში, რასაკვირველია, აქტუალური ვერ იქნებოდა პიროვნების თავისუფლებისა და ეთიკური არჩევნის საკითხები. ადამიანის ეთიკური ყოფიერების მეცნიერული კვლევა და სიღრმისეული ანალიზი ინტენსიურად მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის (1886-1950) ნააზრევში გაცილებით ადრე იჩენს თავს. განწყობის ფსიქოლოგიის ფუძემდებლის მტკიცებით, ცხოვრების აზრი არის ის, რომ ადამიანმა გაიცნობიეროს არსებობის მიზანი; გაიაზროს, რომ *,,ჩვენი სიცოცხლე ჩვენი არსებობის მიზანი კი არ ყოფილა, არამედ საშუალებაა"* [უზნაძე, 2017: 220].

დიმიტრი უზნაძე იმასაც წერდა, რომ აქტივობა ადამიანის ბუნებრივი არჩევანია, შინაგანი მოწოდებაა, რადგან შემოქმედებითი საფანელი მის არსებაში თავიდანვეა ჩადებული. მეცნიერი ადამიანის პიროვნულ არჩევანს, რა თქმა უნდა, განწყობის თეორიის შუქზე განიხილავდა, მაგრამ, ამავე დროს, ადამიანის ცხოვრების საზრისში რელიგიურ ღირებულებას ხედავდა: *,,ამგვარად, ჩვენი დანიშნულება ღვთისგან დაწყებული საქმის დასრულებაა, - წერდა იგი, - ღვთისგან დაწყებული მსოფლიო შემოქმედების გრძნობაა. და თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, ჩვენს გამუდმებულ ფუსფუსს, დაუღალავ შრომას მნიშვნელობა ჰქონდა, ჩვენს დროულ ცხოვრებას - ღრმა აზრი და ამ უკანასკნელს კიდევ რელიგიური ღირებულება"* [უზნაძე, 2017:226].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი უზნაძის ამ მოსაზრებას წინ უსწრებს ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი, გამოთქმული მოთხრობაში ,,კაცია-ადამიანი?!" - რომ ადამიანი უნდა ცხოვრობდეს იმისათვის, რათა ეცადოს, ,,ვითა მამა ზეცისა", იყოს ისიც სრული [ჭავჭავაძე , 1988:75].

პიროვნების ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმაღლესი განათლების სისტემის სწრაფი განვითარების კონტექსტში გახდა აქტუალური. *„პიროვნების ფსიქოლოგია მთლიანი პიროვნების მეცნიერული შესწავლაა, მისი მიზანია ადამიანის ინდივიდუალობის მეცნიერულად სანდო ახსნა - როგორ ხდება, რომ ადამიანები ჰგვანან ყველა სხვა ადამიანს, ჰგვანან ზოგიერთ სხვა ადამიანს და არ ჰგვანან არავის"* [ხეჩუაშვილი, 2013:33]. დრო შეიცვალა, განვითარდა ადამიანის შესაძლებლობები - ინტელექტუალურიც და ტექნოლოგიურიც. გართულდა გარკვევა და გზის გაგნება ლაბირინთებში, განსაზღვრა სწორისა და არასწორისა. ღირებულებათა

დევალვაციის პერიოდში კიდევ უფრო გართულდა ფასეულობების გარკვევა, პიროვნული ორიენტირების ჩამოყალიბება.

თანამედროვე საზოგადოებაში ანთროპოლოგიისა და ეთიკის ფუნდამენტური საკითხების გაგება ამორფულია. ზოგისთვის პიროვნული თავისუფლება ყველაფრის უფლებაა, პიროვნული არჩევანი - სურვილების დაკმაყოფილება. ხშირად უგულებელყოფილია ის, რომ ნამდვილი თავისუფლება ნიშნავს გააზრებულ და გონიერ ქმედებას, პასუხისმგებლობის გააზრება-გაზიარებას, რაც თითქმის ყველა ეპოქაში პრობლემურია, განსაკუთრებით კი დღევანდელ საზოგადოებაში.

ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება მთლიანად პიროვნების იდენტობის თემას უტრიალებს. იმ დროს, როდესაც ადამიანს კომუნიზმის გავლენით დაკარგული აქვს ღვთაებრივი ნიშანი და ფსევდოლიტერატურა იდეოლოგიურ გმირებს ქმნის, ჯემალ ქარჩხაძე, სხვა ქართველ მწერლებთან ერთად (ოთარ ჭილძე, ნოდარ დუმბაძე, გურამ რჩეულიშვილი, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჩხეიძე, გურამ გეგეშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, რეზო ჭეიშვილი, ნოდარ წულეისკირი, თამაზ ბიბილური, გივი მაღულარია, ვაჟა გიგაშვილი და სხვ.), ახალ მხატვრულ ასპარეზს ქმნის და წინა პლანზე გამოაქვს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეგზისტენციები. *,,დღეს ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში ცნება ,,თავისუფლება“ გაიგივებულია ეროვნულ თავისუფლებასთან, პიროვნული თავისუფლება განიხილება მისი, როგორც მთელის, ნაწილი. ეს უაღრესად საშიში შეცდომაა. სინამდვილეში სწორედ პიროვნული თავისუფლებაა მთელი, ხოლო ეროვნული თავისუფლება - ნაწილი, და ამის არგუმენტად საკმარისია ითქვას,* რომ თავისუფალი ადამიანი ღვთის ნებაა, თავისუფალი ერი - ადამიანთა ნება“ [ქარჩხაძე, 2014:89]. 1991 წელს ჟურნალ ,,კრიტიკაში“ გამოქვეყნებული ჯემალ ქარჩხაძის ეს სიტყვები სამი ათეული წლის შემდეგაც ისევ აქტუალური და თანადროულია, რადგან ჯერ კიდევ ვერ გაგვიაზრებია, რომ პიროვნული თავისუფლება ქმნის ეროვნულს და თუ ადამიანი

არ განთავისუფლდა, სწორ პიროვნულ არჩევანსაც ვერ გააკეთებს, ვერ იპოვის ადგილს სამყაროში და ვერ შექმნის სახელმწიფოებრივ ერთიანობას.

რატომ „ზებულონი“? რასაკვირვლია, ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია, ალბათ, იმიტომ, რომ „ზებულონიც“ ისევე, როგორც ქარჩხაძის ყველა ნაწარმოები სწორედ პიროვნულობის კუთხით არის ღირებული და განსაკუთრებული შენაძენი ქართული ლიტერატურისთვის. თუმცა იმდენად მწირია ქარჩხაძის შემოქმედების მეცნიერული კვლევები, ვფიქრობთ, ნებისმიერი თხზულება სიღრმისეულ ანალიზს იმსახურებს. „ზებულონის“ პერსონოლოგიური განხილვა დაგვანახვებს იმ მიზეზებს, თუ რა უშლის ხელს ადამიანს პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მეტ-ნაკლებად ყველას აქვს პოტენციალი ღირსეული გზა აირჩიოს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, რაც, ვფიქრობთ, იმსახურებს ყურადღებას. ზებულონზე დაკვირვება, მისი თითოეული ნაბიჯის შეფასება გარკვეულწილად ადასტურებს ინდივიდუალური არჩევნის კრიტიკულ მნიშვნელობას პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. თემა მიზნად ისახავს ადამიანის პიროვნული ფორმირების ევოლუციურ პროცესში ხელშემწყობი ფაქტორების აღმოჩენასა და მათ პრაქტიკაში დანერგვას, სწორედ ეს განსაზღვრავს **საკვლევი თემის აქტუალურობას** ნებისმიერ დროსა და სივრცეში. რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა მოვლენა სამყაროში, ისიც არ ექვემდებარება ზედაპირულ დასკვნებს და ერთგვაროვან შეფასებებს. საკამათო საკითხია, თუ რაზეა დამყარებული ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. ის მოითხოვს მოვლენების სიღრმისეულ შესწავლას, კრიტიკულ გაანალიზებასა და გარემოებების გათვალისწინებას. რადიკალურობა ხშირად ამ საკითხში ეთიკურ პრობლემას ეჯახება. საჭიროდ მივიჩნიეთ საკითხზე მსჯელობისთვის შეგვესწავლა ზოგადად პიროვნული რესტრუქტურირების ფსიქოლოგიური საფუძვლები, არჩევნის მეცნიერული თუ თეოსოფიური მიზეზები, ფილოსოფიური დასკვნები, მოცემულ საკითხზე ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში არსებული მაგალითები. ეს ყველაფერი იმისკენ არის მიმართული, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ ზებულონის პიროვნული არჩევნის ზეგავლენა მის ადამიანურ არსზე და გარკვევით ვისაუბროთ თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემაზე. ვფიქრობთ,

საინტერესოა კონკრეტულად ერთი პერსონაჟის ცხოვრების მიმოხილვა ამ რაკურსით და იმ პრობლემების გამოკვეთა, რომელთა დაძლევაც თითოეულ ადამიანს დაეხმარება პიროვნული თავისუფლების მოპოვებაში.

პრობლემის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა არსებობს, მაგრამ მწერლის შემოქმედების შესახებ მხოლოდ რამდენიმე მეცნიერული კვლევა გვაქვს: თამარ ჩოკორაიას ,,ისტორიული დისკურსი ჯემალ ქარჩხაძის ნარატივში", ბელა დურგლიშვილის ,,იგავის მხატვრული ტრანსფორმაცია ჯემალ ქარჩხაძის პროზაში", პერიოდულ პრესასა და წიგნებში გამოქვეყნებული წერილები, სტატიები, რომელთა ავტორები არიან: გია არგანაშვილი, მაია ჯალიაშვილი, თამარ ჩოკორაია, ნუგზარ მუზაშვილი, დავით წერედიანი, თამაზ ვასაძე და სხვ.

რაც შეეხება სადისერტაციო **ნაშრომის საგანს, მიზანსა და ამოცანებს;** საკვალიფიკაციო ნაშრომის საგანს წარმოადგენს ქართული ლიტერატურულ დისკურსში ჯემალ ქარჩხაძის რომან „ზებულონის" კვლევასთან დაკავშირებული მასალის შესწავლა, რომანის პრობლემატიკის გააზრება პიროვნული არჩევნის თვალსაზრისით, რაც მთელი მხატვრული ტექსტის ღრმა და საფუძვლიან გააზრებას მოითხოვს. გამოკვლევის **მიზნად** გვესახება ზებულონის პიროვნული განვითარების, პერსონაჟის ხატვის მწერლისეული მიდგომების, ზებულონის, როგორც მწერლის იდეების გამომხატველის რეფლექსია/ანალიზი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროდ გვესახება შემდეგი **კონკრეტული ამოცანების** გადაჭრა:

- პიროვნული არჩევნის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და რელიგიური კონტექსტის გარკვევა;
- პიროვნული არჩევნის მხატვრული რეცეფცია მრავალსაუკუნოვან ქართული ლიტერატურაში;
- პიროვნული არჩევნის წარმოჩენა ჯემალ ქარჩხაძის რომანისტიკაში („ქარავანი", ,,მდგმური", ,,ანტონიო და დავითი", ,,იუპიტერის სინანული" და ,,განზომილება");

- პიროვნული არჩევნის პრობლემა ჯემალ ქარჩხაძის რომან „ზებულონის“ მიხედვით.

შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში **კვლევის ობიექტად** მივიჩნიეთ, ერთი მხრივ, ის რელიგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური კონტექსტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის პიროვნულ არჩევანს, მეორე მხრივ, ჯემალ ქარჩხაძის რომანი „ზებულონი“, რომლის პერსონაჟის პიროვნული არჩევნის სწორად გააზრების გარეშე შეუძლებელია, ჩაწვდე ნაწარმოების მთავარ სათქმელს, ამ სტრუქტურულად და იდეურად არაერთგვაროვანი ტექსტის კონცეპტებს, მხატვრულ და მსოფლმხედველობრივ მიდგომებს.

კვლევის თეორიულ საფუძვლებად და წყაროებად ვიყენებთ:

* ცნობილი ფილოსოფოსების: არისტოტელეს, სოკრატეს, სიორენ კირკეგორის, იმანუელ კანტის, ალბერ კამიუს, ჯონ ლოკის, მერაბ მამარდაშვილის, შოთა ნადირაშვილის, ოთარ ტაბიძის, ნოდარ ნათაძის, ზურაბ კაკაბაძის, თამაზ ბუაჩიძის ნააზრევს პიროვნულ არჩევანთან დაკავშირებით.

* პიროვნული არჩევნის თემას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნების ფსიქოლოგიაში. ამ მხრივ საინტერესო გამოდგა მე-20 საუკუნის ფსიქოლოგების - დიმიტრი უზნაძის, გორდონ უილიარდ ოლპორტის, ზიგმუნდ ფროიდის, ჰანს იურგენ აიზენკისა და რაიმონდ კეტელის იდეები. პიროვნების მთლიანობის საკითხი, ანუ ჰოლისტიკური პრინციპი მიმოხილულია იოგას - სულიერი ფა ფიზიკური ჰარმონიის - კონცეფციის კონტექსტშიც.

* ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებულ სამეცნიერო წყაროებსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ დისკურსებს (მონოგრაფიებს, წიგნებს, სტატიებს, პერიოდულ გამოცემებს, ელექტრონულ რესურსს), რომლებშიც ცნობილი ქართველი მკვლევრები (აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, დავით წერედიანი, ნუგზარ მუზაშვილი თამარ ჩოკორაია, ბელა დურგლიშვილი, გია არგანაშვილი, მაია ჯალიაშვილი, მარინა ტურავა და სხვები) საკვალიფიკაციო ნაშრომში განხილული პრობლემების ცალკეულ ასპექტებს აანალიზებენ. ამ ავტორთა მოსაზრებებს, ერთი მხრივ, წინააღმდეგობრივი მოსაზრებების ანალიზისას, მეორე მხრივ კი,

საინტერესო პრობლემის გასაღრმავებლად, ახალი რაკურსით წარმოსაჩენად ვიყენებთ.

სადისერტაციო შრომის შესრულების პროცესში გამოვიყენეთ **კვლევის თანამედროვე მეთოდები:** ტექსტის ანალიზისას გამოვიყენეთ ჰერმენევტიკული მეთოდი, რადგან მწერალი ხშირად მიმართავს სახე-სიმბოლოებს, „შეფარვით თქმას"; დიალექტიკური მეთოდი (ლოგიკური მსჯელობა, არგუმენტაცია, ანალიზი, შედეგი), ტექსტის გარკვეული მონაკვეთების ნარატოლოგიური ანალიზი. ექსპერიმენტული მეთოდი: კერძოდ, თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ჩავატარეთ მცირე კვლევა. გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი - ფოკუსჯგუფი, შერჩევის სტრატეგიად - სრული შერჩევა. სამიზნე ჯგუფად შევარჩიეთ მე-12 კლასის 24 მოსწავლე. ამ ინსტრუმენტის გამოყენების მიზანი იყო, გაგვეგო, რას ფიქრობენ მოსწავლეები პიროვნულ თავისუფლებასა და არჩევანზე. ფოკუსჯგუფის საშუალებით გაირკვა: მოსწავლეთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ პიროვნული თავისუფლება ეს არის იმის კეთება ნებისმიერ დროს, რაც ადამიანს სურს. რამდენიმე მოსწავლემ ისიც აღნიშნა, რომ თუ მისი პიროვნული არჩევანია, მოწიოს მარიხუანა ან სიგარეტი, ამით რა დაუშავდება სხვას. რასაკვირველია, გამოიკვეთა განსხვავებული აზრიც იმის შესახებ, რომ ადამიანი მარტო თავის თავზე არ უნდა ფიქრობდეს. თვისებრივი მონაცემების ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვერკვია თანამედროვე ახალგაზრდების დამოკიდებულება, გამოგვეკვეთა ტენდენციები და მოგვემზადებინა ეფექტიანი კითხვარი რაოდენობრივი კვლევისთვის. ამის საფუძველზე კი შევიმუშავეთ კითხვები ანკეტირებისთვის.

ანკეტირებისას გამოყენებული კითხვების საშუალებით გაირკვა მოსწავლეთა დამოკიდებულება პიროვნული თავისუფლების მიმართ. ეს ინსტრუმენტი შემუშავდა თვისებრივ მონაცემთა ანალიზის შედეგად. ფოკუსჯგუფის ჩატარებისას ნაწილობრივ გამოიკვეთა მოსაზრებები. თუმცა ანკეტირება ჩატარდა იმისთვის, რომ კონკრეტულად გაგვეგო ყველა მოსწავლის აზრი. რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზისთვის გამოვიყენეთ 7 დახურული კითხვა სამი სავარაუდო პასუხით. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა (14 მოსწავლე, 56 %) თვლის,

რომ მისთვის თავისუფლება ის არის, აკეთოს, რაც უნდა ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში, 8 მოსწავლემ (32 %) ჩათვალა, რომ ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც უნდა, მთავარია, სხვას არაფერი დაუშავოს. მხოლოდ სამმა მეთორმეტეკლასელმა შემოხაზა პასუხი: პიროვნული თავისუფლება ნიშნავს საკუთარი თავის ფლობას, უნარს, ხანდახან აკეთო ის, რაც არ გინდა, მაგრამ საჭიროა. მოცემული მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგაზრდების უმეტესობას პიროვნული თავისუფლებისა და არჩევნის არსი საწყის დონეზეც კი არ აქვს გააზრებული. ეს კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს პრობლემის აქტუალურობას.

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ჯემალ ქარჩხაძის ერთი ნაწარმოების სიღრმისეულად გაანალიზების პირველ მცდელობას. „ზებულონი“ წარმოდგენილია როგორც მწერლის კოსმოგონიის, მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროს მისეული აღქმის მოდელი; ერთი რომანი, ერთი ტექსტი, როგორც თვითკმარი მოცემულობა, მწერლის იდეათა და კონცეპტთა ერთიანობის ნიმუში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება მეცნიერული თვალსაზრისით ნაკლებად არის შესწავლილი. **სადისერტაციო ნაშრომის სიახლეა** მწერლის ერთი ნაწარმოების სიღრმისეული კვლევა, მით უმეტეს, რომ პიროვნული არჩევნის კუთხით არათუ მოცემული მწერლის, არამედ სხვა, უფრო საფუძვლიანად შესწავლილ შემოქმედთა ნაწარმოებებიც არ არის გაანალიზებული. ნაშრომის **მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებად** მიგვაჩნია ადამიანის პიროვნული განვითარების პროცესის ხელშემწყობი ფაქტორების აღმოჩენა. ნაშრომი გამოადგება პრობლემით/საკითხით დაინტერესებულ პირებს, შემდგომი კვლევებისას, მის ფაქტობრივ მასალად გამოყენების თვალსაზრისით. ნაშრომისა და მისი ძირითადი დასკვნების გამოყენება შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებლებში ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტებისათვის, მომავალი მეცნიერული კადრებისათვის, რომლებიც ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედების გააზრებით, შესწავლით იქნებიან დაკავებული; ფართო მკითხველისათვის, რომელსაც აინტერესებს საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურის ორიენტირები. სადისერტაციო შრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა ჯემალ ქარჩხაძე, როგორც ადამიანის სულისა და

შინაგანი თავისუფლების მაძიებელი მწერალი. მისი ღრმადფსიქოლოგიური შემოქმედების მეცნიერული კვლევა დააინტერესებთ როგორც ლიტერატურათმცოდნეებს, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს, მასწავლებლებს, ასევე, ზოგადად, მკითხველებს, უშუალოდ ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედების მოყვარულებს.

სადისერტაციო შრომის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო შრომა შედგება 181 გვერდისგან. მოიცავს შესავალს, 4 თავს, დასკვნას, დამოწმებული ლიტერატურის ნუსხას, სულ 124 ერთეული.

შესავალში წარმოდგენილია შრომის ძირითადი მიზნები და ამოცანები, კვლევის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე და მეთოდოლოგიური საფუძვლები. წარმოჩენილია თემის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პირველი თავში მიმოხილულია პიროვნული არჩევნის ზოგადი ასპექტები ფილოსოფიაში, რელიგიასა და ფსიქოლოგიაში. ამ კუთხით განხილულია ცნობილი ფილოსოფოსების ნააზრევი. საკითხი წარმოდგენილია თეოლოგიისა და წმინდა წერილის, ქრისტიანული მსოფლმხედველობის თვალსაზრისითაც. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება პიროვნული არჩევნის ფსიქოლოგიურ მხარეზე. პიროვნების მთლიანობის საკითხი, ანუ ჰოლისტიკური პრინციპი მიმოხილულია იოგას, სულისა და სხეულის ერთიანობის კონცეპტის, კონტექსტშიც.

მეორე თავში განხილულია პიროვნული არჩევნის საკითხი ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურაში. ამ მხრივ მიმოხილულია ქართველი მწერლების მხატვრულ-ფსიქოლოგიური კონცეფციები, არაერთი მხატვრული ტექსტი.

მესამე თავში პიროვნული არჩევნის კუთხით განხილულია ჯემალ ქარჩხაძის ყველა რომანი:

1) ,,ქარავანი“,
2) ,,მდგმური“,
3) ,,ანტონიო და დავითი“,

4) ,,იუპიტერის სინანული,“

5) ,,განზომილება“.

მეოთხე თავი ზებულონის ცხოვრების განხილვა-გაანალიზებას ეძღვნება. მისი არსებობის თითოეული ეტაპი, მწერლის მიერ ღრმა ფსიქოლოგიური ცოდნით გადმოცემული, შეფასებულია პიროვნული არჩევნის რაკურსით. მათზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნები, რომელთა განზოგადებით წარმოვაჩენთ ჯემალ ქარჩხაძის მხატვრული აზროვნების ფსიქოლოგიურ ასპექტებს. კერძოდ, ადამიანის პიროვნული ხასიათის მწერლისეულ ხედვას, რომელსაც გადამწყვეტი ფუნქცია ეკისრება ჯემალ ქარჩხაძის მსოფლმხედველობაში.

დასკვნაში შეჯამებულია სადისერტაციო ნაშრომის მთავარი დებულებები და კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დასკვნები.

თავი I. პიროვნული არჩევანი -ზოგადი, ფილოსოფიური, რელიგიური და ფსიქოლოგიური კონტექსტები

1.1 პიროვნული არჩევნის ზოგადი დეფინიცია, პიროვნული არჩევანი ფილოსოფიაში

მუდმივად არჩევნის წინაშე დგომა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა. საკუთარი რაობის, დანიშნულების გარკვევა, ჭეშმარიტების ძიება - ეს საკითხები უამრავ პასუხისმგებლობას უყენებს მას. სხეული მუდმივად განიცდის ცვლილებებს, მის შიგნით ხდება ფიზიკური, სულიერი, ემოციური, ინტელექტუალური თუ სოციალური დიფუზიები, თითქოს ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს სხვადასხვა პროცესი თუ მოვლენა და არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. თუმცა ვისაც სურს პიროვნებად ჩამოყალიბდეს, გასაქანს არ აძლევს სხეულის მოთხოვნილებებს, მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე. როგორც ფსიქოლოგები გვეუბნებიან, პიროვნული დამოუკიდებლობის ჩამოყალიბება ვარჯიშით, დასწავლით, ჩვევაში გადასვლით შეიძლება. ცხოვრება გვაწვდის გასაღებებს, ვფლობდეთ ჩვენს სხეულს, მასში მიმდინარე პროცესებმა არ მოგვცეს ძალადობის, შურისგების, შეურაცხყოფის, მომხვეჭელობის, ყოველგვარი ნეგატიურის ჩადენისა თუ გაფიქრების საშუალება. ამაში გვეხმარება სარწმუნოება, ბუნებასთან კავშირი, შრომა, ხელოვნება, იოგა, მეცნიერება, სპორტი და ასე შემდეგ... თითოეული მათგანი გვასწავლის სხეულის ფლობას სულის გამოსაწრთობად, ყველა სხვადასხვანაირად, მაგრამ ყველა ერთს: გაიკაჟე სული და ხორცი, იყავი ჰარმონიაში ჯერ საკუთარ თავსა და მერე სამყაროსთან. ეს არ არის მარტივი, მაგრამ ადამიანი არის ინდივიდი და ეძლევა არჩევნის საშუალება. სულიერი სიმყარის, ჰარმონიისა და პიროვნულობის მისაღწევად ზოგი სარწმუნოებას ირჩევს, ზოგი - ხელოვნებას, ზოგი - მეცნიერებას, ზოგი - სპორტს, ზოგიც - არაფერს და ვინც არაფერს ირჩევს, ისე კვდება, ვერც აცნობიერებს პიროვნული ,,მეს“ რაობას. ესეც მისი არჩევანია, ადამიანი, გაცნობიერებულად თუ

გაუცნობიერებლად, ყოველთვის აკეთებს არჩევანს და მიდის რაღაც გადაწყვეტილებამდე.

ამ მარადიულ საკითხს უტრიალებს ფილოსოფია, ფსიქოლოგია, თეოლოგია, ხელოვნება და ლიტერატურა. არსებობს ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები, ფერწერული ტილო, მუსიკალური კომპოზიცია თუ კინომატოგრაფიული ნიმუში ამ თემაზე.

სადისერტაციო ნაშრომში უამრავ მხატვრულ ნაწარმოებს მიმოვიხილავთ, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ არაერთი თაობის საკულტო ფილმებზე. 1989 წელს გამოსული პიტერ უირის ამერიკული ფილმი ,,მკვდარი პოეტების საზოგადოება" მოგვითხრობს ინგლისური ლიტერატურის მასწავლებლისა და მისი მოსწავლეების ისტორიას. მისტერ ჯონ კიტინგი არატრადიციული მეთოდებით ასწავლის ენერგიითა და ოცნებებით თავგამოტენილ ახალგაზრდებს და უბიძგებს პიროვნულობისკენ, ინდივიდუალიზმისკენ: დაიჭირეთ წამი... ყოველი დღე გამოიყენეთ, ბიჭებო, თქვენი ცხოვრება ექსტრაორდინალურად აქციეთ. ბიჭებო, უნდა ეცადოთ, იპოვოთ საკუთარი ხმა. ინგლისელი მასწავლებლის ეს მოწოდება ყველა ადამიანისთვის საგულისხმოა... რომ გახდე პიროვნება, საჭიროა გქონდეს საკუთარი ხმა და ადგილი სამყაროში.

მეოცე საუკუნის მიწურულს შექმნილი ამერიკელი რეჟისორის ტეილორ ჰეკფორდის ფილმი ,,ეშმაკის ადვოკატი" უფრო თვალსაჩინოდ დაგვანახვებს პიროვნული არჩევნის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში. მასში მოთხრობილია 90-იანი წლების ამბები. უკომპრომისო ახალგაზრდა, რომელიც კარიერულ წინსვლაზეა ორიენტირებული, კევინ ლომაქსი, უზომოდ თავდაჯერებული და უკვე წარმატებული ადვოკატია. ის იცავს მხოლოდ არამზადებს და არც ერთი პროცესი არ წაუგია. მაგრამ დგება წამი, როდესაც უნდა გააკეთოს არჩევანი: გაამართლოს მოძალადე მასწავლებელი და აიღოს დიდი ფული, თუ მოუსმინოს სინდისის ხმას და უარი თქვას ამქვეყნიურ დიდებაზე?! ფილმი ნათლად დაგვანახვებს, რომ ჩვენი პიროვნული არჩევანი დღეს

განსაზღვრავს იმას, თუ ვინ მინდა, ვიყო ხვალ. რეჟისორის ოსტატობა სასამართლო პროცესის თხუთმეტწუთიანი ეპიზოდის დროს იჩენს თავს, როდესაც კევინი სარკეში ორ ადამიანს ხედავს: ერთი, რომელიც ცდილობს იმოქმედოს ცივი გონებით, როგორც ეშმაკის ადვოკატმა და ამით საკუთარ თავს გამოუტანოს განაჩენი; მეორე კი მას სამართლიანობასა და კეთილსინდისიერებას აიძულებს. ამ 15 წუთში რეჟისორი წარმოგვიდგენს პერსონაჟის ცხოვრებას ეშმაკთან გარიგების შემთხვევაში. ამის შთაგონებით კევინი საკუთარი სინდისის ხმას ირჩევს და იღებს ისეთ პიროვნულ არჩევანს, რომელიც სიმშვიდეს მოუტანს. ზოგადი მორალი ფილმისა კი ასეთია - ცხოვრება ცვალებადია, ადამიანი მარცხსაც ისევე უნდა შეურიგდეს, როგორც წარმატებას. ამქვეყნიური დიდება და პატივი წამიერია და არასწორი არჩევნის შემთხვევაში მატერიალურსაც ისევე მალე დაკარგავს კაცი, როგორც სულიერს.

2013 წელს შექმნილი იტალიური ფილმი ,,დიდებული სილამაზე", რომლის რეჟისორია პაოლო სორენტინო, მთელი სიმძაფრით აღწერს დღევანდელ რეალობას. ფილმის მთავარი გმირი არის მწერალი ჯოზეფი. მას ურთიერთობა აქვს უამრავ ადამიანთან: არისტოკატი ქალები, მეძავები, სტრიპტის მოცეკვავეები, ლილიპუტი თუ ტანწერწეტა ლამაზმანები, რეალური თუ მოჩვენებითი ინტელექტუალები, კრიმინალები, პოლიტიკოსები, ხელოვანები, მონაზვნები, მღვდლები - ყველა ერთიანად ჩართულია ცხოვრების ქაოსში და საკუთარი არჩევნით თანამედროვე ბაბილონს უმზადებს თავს.

კინომატოგრაფიიდან მოყვანილი ეს რამდენიმე მაგალითი ადასტურებს, რომ პიროვნული არჩევნის თემა უაღრესად აქტუალურია, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მიწურულიდან. ეს თემა, რომელიც აქამდე მხოლოდ ლიტერატურულ ტექტებში იყო აქტუალური და ხშირად პერსონაჟის ხასიათის გახსნის მთავარ ხერხსაც წარმოადგენდა, განსაკუთრებით მოდერნის ეპოქაში, კინემატოგრფიულადაც მიმზიდველი აღმოჩნდა.

ადამიანის ცნობიერების ყველა დარგი, და არა მარტო ისინი, ფიზიკური განვითარების შემსწავლელი მეცნიერებებიც კი, მიმართულია იქითკენ, რომ ჩასწვდეს შინაგან სამყაროს, ამოიცნოს სხეულისა და სულის ერთიანობა.

ამის პრაქტიკულად განხორციელებული, უკვე მრავალჯერ ნაცადი მაგალითია თუნდაც იოგა, როგორც ცხოვრების ფილოსოფია, სულისა და სხეულის ურთიერთკავშირის კონცეპტი. იოგას მეცნიერულ მტკიცებულებებს ბევრგან შევხვდებით. აქვე მოვიყვანთ ერთ-ერთ მათგანს. ეს არის ფიზიკური დატვირთვით მიღებული სულიერი ნეტარება. *,,იოგას პრინციპებიდან გამომდინარე, პიროვნულობა შეიძლება გავიაზროთ სხვადასხვა პერსპექტივიდან. ჰოლისტიკური პიროვნება მოიცავს ფიზიკურ, ემოციურ, ინტელექტუალურ, სოციალურ და სულიერ განზომილებებს. პიროვნების განვითარება მრავალგანზომილებიანი მოვლენაა, რომელსაც სჭირდება ინტეგრირება"* [Tabassum, 2017 (ელრესურსი)].

ნებისმიერი განზომილების არარსებობა ხდის ადამიანის პიროვნებას ცალმხრივს და არასრულს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მეცნიერული დაკვირვება იოგას ერთ-ერთ სახეობაზე, აშტანგა იოგაზე, რომელშიც ორი მთავარი საფეხურია: იამა (თავშეკავება) და ნიიამა (დაკვირვება). ორივე პრინციპი ადამიანს ეხმარება მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში და მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში აქტიურად დამკვიდრდებაში. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც უნივერსალური კოდექსი, რომელიც დაგვეხმარება მაღალი სტანდარტის მიღწევაში სოციალურ თუ პირად ცხოვრებაში. იამა და ნიიამა აშტანგა იოგას ნაწილია. პირველს აქვს ხუთი პრინციპი: არა ძალადობას, ნდობა, არა ქურდობას, თავშეკავება და არა მომხვეჭელობას. ნიიამაც ხუთი პრინციპისგან შედგება: სისუფთავე, კმაყოფილება, დისციპლინა, კარგი ლიტერატურის შესწავალა და თვითშემეცნება, ღმერთს მინდობა/უზენაესი ძალა [Tabassum, 2017 (ელრესურსი)]. ეს პრინციპები ნათლად დაგვანახვებს, ადამიანის ცხოვრებაში რამდენი ტრიგერია იმისთვის, რომ სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბდეს, შეძლოს რაციონალური და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება. იმისთვის, რომ პიროვნებად ვიქცეთ, საჭიროა საკუთარი ღირებულებების ჩამოყალიბება და გაცნობიერება. ამაში გვეხმარება მრავალი დისციპლინა, რომლებიც უნივერსალური და თითოეული ინდივიდისთვის ხელმისაწვდომია. ამდენად, ღირებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბება ადამიანის ცხოვრებაში სწორი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების განმსაზღვრელია.

პიროვნული თავისუფლების საკითხი ოდითგანვე ფილოსოფიის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. ძველ საბერძნეთში უცნობი იყო ნების ცნება. აქედან გამომდინარე, მასზე მსჯელობას არც კი ვხვდებით ანტიკურ ეპოქაში. ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანი თავისუფალი მხოლოდ მაშინ იყო, როდესაც გონების კარნახს ემორჩილებოდა. ასეთი ინდივიდი კი, არისტოტელეს აზრით, მოქმედი და პატიოსანია. *,,კაცს უწოდებენ თავშეკავებულსა თუ თავშეუკავებელს იმის მიხედვით, ემორჩილება თუ არა გონებას, რაც თვითეული ადამიანის არსებას წარმოადგენს. ადამიანები მაშინ მოჩანან ნებაყოფლობით მოქმედად, როდესაც მოქმედებენ გონების კარნახით, რომ მთლიანად ან ძირითადად ესაა დამახასიათებელი ადამიანისთვის, პატიოსანი კაციც ყველაზე მეტად გონებას სცემს პატივს"* [არისტოტელე, 2003:202]. მაშასადამე, ისეთი ადამიანი, რომელსაც პიროვნული ინდივიდუალიზმი აქვს, თავისუფალთან ერთად, პატიოსანი, მოქმედი და თავშეკავებულია. არისტოტელესთვის კეთილ თუ ცუდ ადამიანსაც კი განსაზღვრავს პიროვნული თვითმყოფადობა. გონების კარნახით მოქმედი ადამიანი არის კეთილი და, ამასთანავე, თავმოყვარე, *,,რადგან ის სჩადის რა მშვენიერ საქმეებს, საკუთარ თავსაც რგებს და სხვებისთვისაც მოაქვს სარგებლობა"* [არისტოტელე, 2003:203]. ასეთი პატიოსანი კაცი უარყოფს ქონებასაც და დიდებასაც, თუმცა თავისთვის იტოვებს მშვენიერებას. მშვენიერება კი არის სხვისთვის, ახლობლის, მეგობრისა თუ სამშობლოსთვის მოტანილი სარგებელი. არისტოტელე თითქოს თავისებურ ფსიქოლოგიურ მიდგომას გვთავაზობს პიროვნული თავისუფლების განვითარების ხელშეწყობის ასპექტში, ადამიანში ყველაზე მაღალი ღირებულებების აღიარებით და დარწმუნებით, მოცულობით უმნიშვნელო და მცირე არსების ღირსებებისა და უნარების წინა პლანზე გადმოწევით: *,,არაა საჭირო, ადამიანი დაარწმუნო, რომ ის ადამიანია, არც ის, რომ მოკვდავია, იგი, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა დაარწმუნო, რომ უკვდავი გახდეს და ყოველივე გააკეთოს იმისთვის, რომ იცხოვროს იმის მიხედვით, რაც ყველაზე უფრო მაღალია მასში"* [არისტოტელე, 2003:224].

,,შეიცან თავი შენი"- სოკრატეს ამ ფრაზით დასაბამი მიეცა ადამიანად ყოფნისა და მისი ყოფიერების კვლევას. აქედან მოყოლებული ამ საკითხზე

მსჯელობა არ შენელებულა და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი დამაარსებლის იმანუელ კანტის (1724-1804) ფილოსოფიაში შეიძინა. ამ კონცეფციის მიხედვით, ადამიანად ყოფნის უპირველესი ნიშანი არის თავისუფლება. კანტისთვის თავისუფლება გონების უპირატესობით მიიღწევა, რაც გულისხმობს განათლებას და საკუთარი გონების თავისუფალ საჯარო მოხმარებას. განმათლებელისთვის ადამიანის გონება თავისუფალი უნდა იყოს საყოველთაოდ დადგენილი ნორმებისგან. *,,გამნანათლებლობისათვის მხოლოდ თავისუფლებაა საჭირო, თანაც ყველაზე უწყინარი მათ შორის, რასაც თავისუფლება შეიძლება ეწოდოს...“* [კანტი, 2012:35]. მას შემდეგ, რაც ადამაინი გაჩნდა დედამიწაზე, საყოველთაო წესები ყალიბდება, გარკვეულ ეტაპზე მისი ზოგადი თავისუფლება იზღუდება ან მეტ გასაქანს პოულობს. ეს ყველაფერი დამოკიდებულია უამრავ გარემო ფაქტორზე. როგორც ჩანს, კანტის ეპოქის ადამიანი განიცდის თავსმოხვეული ნორმებისა და კანონების შეუსაბამობას პიროვნულ თავისუფლებასთან. *,,აქ ყველგან იზღუდება თავისუფლება... ყველა მხრიდან ეს მესმის: ,,ნუ მსჯელობთ!“ ოფიცერი ამბობს: ,,ნუ მსჯელობთ, ივარჯიშეთ!“ ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი: ,,ნუ მსჯელობთ, გადაიხადეთ!“ სასულიერო პირი: ,,ნუ მსჯელობთ, იწამეთ!“* [კანტი, 2012:35]. რაციონალურად თუ შევხედავთ, საჯარო ნორმები არც ისე საშიშია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მათი არსებობა აუცილებელია წესრიგისთვის. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს თითოეული ინდივიდის თავისუფალ ნებასა და აზროვნებას, თვითმყოფადი გონება ყოველთვის თავისუფალია ნებისმიერი დოგმებისა და ზღუდეების პირობებშიც კი. *,,საკუთარი გონების საჯარო მოხმარება ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს და მხოლოდ მას შეუძლია ადამიანებს შორის განმანათლებლობა მოიტანოს“* [კანტი, 2012:35]. განათლებული და ზნეობრივ ჩარჩოებში მოქმედი ადამიანი, კანტის მიხედვით, თავისუფალია: *,,თავისუფალი ნება და ზნეობის კანონებისადმი დაქვემდებარებული ნება ერთი და იგივეა“* [კანტი, 2013:251]. ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც ადამიანი იღებს, თუ გონიერებით არ არის ნასაზრდოები, თავისუფლებად ვერ ჩაითვლება: *,,თავისუფლება უნდა დავუშვათ, როგორც ყველა გონიერ არსებათა ნების თვისება.*

საკმარისი არ არის, საკუთარ ნებას, რა საფუძველზეც არ უნდა ჩავდიოდეთ ამას, თავისუფლება მივაწეროთ, თუ არ გაგვაჩნია საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ იგი მივაწეროთ, ასევე, ყველა გონიერ არსებასაც" [კანტი, 2013: 253]. ადამიანის მოქმედებაში გონება უნდა დომინირებდეს, რაგინდ განათლებული და მაღალი სტატუსის მქონეც უნდა იყოს ის. წარმმართველი თავისუფლების დროს გონებაა: *,,პრაქტიკული თვალსაზრისით, თავისუფლების ბილიკი მაინც ერთადერთია, რომელზედაც შესაძლებელი ხდება გონების გამოყენება ჩვენს მოქმედებაში; ამიტომაც არის, რომ თვით უკიდურესად დახვეწილ ფილოსოფიასაც კი ისევე არ ძალუძს სხვადასხვა გონებისმიერი ხრიკებით მოიშოროს თავისუფლება, როგორც უჩვეულებრივეს ადამიანურ გონებას"*[კანტი, 2013:287].

მე-17 საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნე ჯონ ლოკი (1632-1704) თავისუფლების არსს იმაში ხედავს, რომ ადამიანი არ უნდა დაემორჩილოს არანაირ ამქვეყნიურ ძალას: *,,ადამიანის ბუნებითი თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ემორჩილება არანაირ ამქვეყნიურ უპირატეს ძალას ან ადამიანის ნებასა თუ საკანონმდებლო ხელისუფლებას და მხოლოდ ბუნებით კანონს აღიარებს სახელმძღვანელოდ"*[ლოკი, 2017:219].

მე-20 საუკუნის ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, აბსურდის ფილოსოფიის წარმომადგენელი ალბერ კამიუ (1913-1960) მიიჩნევს, რომ სიზიფისათვის მისჯილი უნაყოფო შრომა არათუ სასჯელი, არამედ ბედნიერება და თავისუფლებაა. ადამიანმა შეიძლება იცის, რომ ცხოვრებას აზრი არ აქვს და ყველაფერი სისულელეა, მაგრამ მაინც აგრძელებს ცხოვრებას და ხშირად მოსწონს კიდეც ეს ბრძოლა, ისევე როგორც სიზიფეა შეგუებული აღმართზე ლოდის ატანას. მას ღმერთების მორჩილებას და დაუსრულებლად სხვების ნება-სურვილით მოქმედებას ურჩევნია უნაყოფოდ იშრომოს და თან თავისუფალი იყოს. *,,მე ვხედავ ადამიანს, მძიმე, მაგრამ თანაბარი ნაბიჯით რომ მიემართება თავისი სატანჯველისკენ... იგი უფრო ძლიერია, ვიდრე მისი ლოდი"* [კამიუ, 2017:143]. კამიუს აზრით, სიცოცხლე აბსურდულია, მაგრამ ის მაინც გვაბედნიერებს, რადგან

ბედნიერება და აბსურდი ერთი მიწის ნაყოფია. *,,სიზიფის დაფარული სიხარულიც ამაშია. მისი ბედიც მას ეკუთვნის. ეს ლოდი მისი კუთვნილებაა"*[კამიუ, 2017:144].

თავისუფლების არსზე ქართველი ფილოსოფოსებიც საკმაოდ სიღრმისეულად მსჯელობენ და გვთავაზობენ თავიანთ შეხედულებებს. მერაბ მამარდაშვილისთვის (1930-1990) თავისუფლება მეტაფიზიკური საკითხია. მისი აზრით, თავისუფლება და აზროვნება არ არის ბუნებრივი მოვლენები. ადამიანი კი რეალიზდება აწმყოში, მისი სოციალურობა და კულტურული დონეც ყალიბდება არსებულ მომენტში. *,,ადამიანის რეალიზაცია არის ადამიანური ყოფნა მარადიულ ,,ახლა"-ში; ეს უკანასკნელი არის ვრცელი სამფლობელო, რომელშიც კრისტალდება პიროვნების ადამიანური ნიშანდობლივი თვისებები, მისი სოციალურობა, მისი კულტურული დონე"*[მამარდაშვილი, 2011:217].

შოთა ნადირაშვილი (1926-2011) თავისუფლების განმსაზღვრელ თვისებად პიროვნულ არჩევანს ასახელებს. მისი აზრით, ადამიანის ინდივიდუალური არჩევანი პიროვნული ფასეულობებიდან გამომდინარეობს და მას გადამწყვეტი მნიშნელობა აქვს ობიექტურ ქცევაში: *,,თავისუფალი ქცევის განხორციელებისთვის მნიშვნელობა პიროვნულ არჩევანს ეკისრება... არჩევანი ერთ-ერთი სერიოზული ფსიქიკური აქტივობაა. მისი განხორციელება მხოლოდ პიროვნებას შეუძლია"*[ნადირაშვილი, 2014:447].

ოთარ ტაბიძე მიიჩნევს, რომ ყველა სასიცოცხლო მოთხოვნის დაკმაყოფილება ადამიანისთვის თავისუფლებას სულაც არ ნიშნავს. ნამდვილი თავისუფლება დაკავშირებულია ობიექტურ ღირებულებათა სამყაროსა და შემოქმედებით აქტივობასთან. *,,ადამიანი ქმნადობის პროცესში მყოფი არსებაა და მისი შემოქმედება ყოველთვის ახლის ქმნაა. რაც მას ეხმარება თვითიდენტიფიკაციაში და არა მარტო სიახლის შექმნაში"*[ტაბიძე, 1986:81].

ნოდარ ნათაძისთვის აზროვნება თავისუფლებაა და ადამიანს მხოლოდ მისი საშუალებით შეუძლია თავი დააღწიოს ბუნების მიზეზშედეგობრივ ჯაჭვს, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც წინასწარ არ იქნება განსაზღვრული.

,,ნიშნავს თუ არა ადამიანის თავისუფლება აზროვნებაში, ამავე დროს, მის თავისუფლებას მოქმედებაში?“ ნოდარ ნათაძე ამ კითხვას გარკვევით პასუხობს: ,,ადამიანს, ერთადერთს ბუნების მთელ სამყაროში, მართლაც აქვს ამის უნარი და, ამდენად, იგი მართლაც თავისუფალი არსებაა“ [ნათაძე, 1979:27]. მისთვის თავისუფლება ზნეობრივი ქცევაა. ზურაბ კაკაბაძე თავისუფლებას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად მიიჩნევს. როგორც მასთან ვკითხულობთ, ადამიანი შეიძლება გადასცილდეს ობიექტური ყოფიერების საზღვრებს, მაგრამ მაინც ზომიერებისკენ მიისწრაფვის. ეს მისწრაფება შეიძლება ჩაითვალოს ყველა ადამიანის საერთო ინტერესად. *,,საზოგადოების წევრად ყოფნა, თავისუფლების სახით ყოფიერების, პიროვნების სახით, ყოფიერების რეალიზაციის ფუნდამენტური ასპექტია“* [კაკაბაძე, 2012:300].

თამაზ ბუაჩიძის მოსაზრებით, ზნეობრივი ,,მე“ *,,მოვლენათა მწვავე განცდის, ადამიანის ცხოვრების აზრსა და დანიშნულებაზე, ღმერთზე ფიქრის, სიცოცხლისა და სიკვდილის, ბოროტებისა და სიკეთის, ცუდისა და კარგის შედარება-შეთანადების პროცესში ყალიბდება. ის იბადება მარტოობაში, უღრმესი განცდა-განაზრების შედეგად, რაც მთავარია, საკუთარი არჩევანის და გადაწყვეტილებების მიღების საშუალებით. მე ვქმნი ჩემს ზნეობრივ სახეს საკუთარი არჩევანის, საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგად...“* [ბუაჩიძე, 2005:283). ამავე დროს, ინდივიდის ჩამოყალიბება ზნეობრივი ღირებულებების შედეგად ხდება, თუ ის სულიერებას ირჩევს, ესე იგი, მას გაცნობიერებული აქვს პიროვნული ღირებულებები და არჩევანიც შესაბამისია. *,,სინდისი არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, რომელიც შემთხვევით ცხოველთა შორის იზრდებოდა. მაშასადამე, უნდა არსებობდეს კულტურული გარემო, ე. ი. ზნეობრივი ღირებულებების მფლობელი საზოგადოება, რათა ინდივიდუმმა შეძლოს ღირებულებებთან ზიარება“* [ბუაჩიძე, 2005:282). საკუთარი არჩევნისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალებით ყალიბდება ადამიანი და შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ ზნეობრივი ,,მე“ თავად ადამიანის შემოქმედების ნაყოფია. ქართველი ფილოსოფოსისა და ანთროპოლოგისთვის ადამიანის რაობა საკუთარი თავის

შექმნა და აღმოცენებაა. *,,ადამიანი საკუთარ თავს აცნობიერებს, როგორც შექმნილს და როგორც შემოქმედს კულტურული ღირებულებებისა“* [ბუაჩიძე , 2003:5].

წარმოდგენილ ფილოსოფიურ დისკურსს თუ შევაჯამებთ, ყველა დროსა და ეპოქაში თავისუფლებისა და პიროვნული არჩევნის გაგება მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, თუმცა ერთი საერთო ნიშნის პოვნა მაინც შეიძლება: პიროვნულად თავისუფალი ადამიანი გონიერი არსებაა, რომელიც ზნეობრივ საწყისებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს, ცხოვრობს, ქმნის.

1.2 პიროვნული არჩევნის რელიგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები

პიროვნების თავისუფალი ნება და არჩევანი ძირეული საკითხებია ქრისტიანობაშიც, რომლის მიხედვითაც ღმერთმა ადამიანს შთაბერა უკვდავი სული და მიანიჭა თავისუფალი არჩევნის უნარი. *,,ყველაზე ფასეული თავისებურება, რომელიც ადამიანს იმთავითვე აქვს და რაც მას ცხოველებისაგან პრინციპულად განასხვავებს, არჩევნის თავისუფლად გაკეთების უნარია....ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი მხოლოდ მატერიალურ სამყაროში კი არ ცხოვრობს, არამედ სულიერშიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისთვის სულიერი სამყარო მხოლოდ იმ შემთხვევაში იხსნება, თუ იგი თავის სურვილებს შემოქმედის ნებას დაუმორჩილებს“* [ბიბლია განმარტებებით, 2019:26]. სწორედ თავისი არჩევნით, ინდივიდუალური შეხედულებებით, ღირებულებებით, მისწრაფებებით, მრწამსით ყალიბდება პიროვნება და თავისი ხასიათით, ქცევით პოულობს ადგილს საზოგადოებაში.

პირველი არჩევანი დედამიწაზე ევამ გააკეთა. როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, გველი არის ყველაზე მეტად ,,მიწაზე მყოფი“ ცხოველი. ისე დახოხავს,

თითქოს მიწას ერწყმის, მისგან განუყრელია, ამიტომ ბოროტების სიმბოლო და სატანის განსახიერებაა. ის ირჩევს ცოლს, როგორც უფრო სუსტ ჭურჭელს, რათა მისი მეშვეობით მიაღწიოს მიზანს. დედაკაცი დგას არჩევნის წინაშე: დაუჯეროს ღმერთის ნათქვამ სიტყვას, თუ მოუსმინოს გველს. ის თავისი ნებით ირჩევს მეორეს. როგორც იოანე დამასკელი გვეუბნება: *,,ცდომილების შემდეგ ადამიანმა, რომელმაც ,,უგონებო პირუტყვს ჰბაძა და მათ ემსგავსა"* (ფს. 48,13) თავში უგნური გულისთქმა მოაზროვნე გონებაზე გააბატონა, *„რამეთუ უფლის მცნებას ეურჩა"* [ბიბლია განმარტებებით, 2019: 31]. ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს, იყოს სურვილების მონა და ამით ემსგავსოს პირუტყვს, თუ ამაღლდეს ყოველგვარ მიწიერ ვნებაზე და მოიპოვოს სულის თავისუფლება. სწორედ უფლის მცნებების ერთგულებით, სრულყოფილებისაკენ გამუდმებული სწრაფვით, ამქვეყნიურ ცდუნებათა დაძლევის გზით შეძლებს იგი მიაღწიოს სასურველ მდგომარეობას.

თანამედროვე საზოგადოებაში განსაკუთრებით აქტუალურია ეს თემა, რადგან ბევრი ახალგაზრდა ეკლესიასთან ურთიერთობაში თავისუფლების დაკარგვის საშიშროებას ხედავს. უჭირს იმის გააზრება, რომ ყველაზე დიდი თავისუფლება ნამდვილ რწმენაშია. ის ეხმარება კაცს საცდურთან ბრძოლაში, რომელიც ასე მრავლად გვეღობება ყოველდღიურ ცხოვრებაში. *,,კაცი რომ თანამდებობაზე ზის და ზნეობრივ ნორმებზე უარს ამბობს, იმის შიშით, რომ თანამდებობას დაკარგავს, ეს არ არის მონობა?.. ეს პატივმოყვარეობა, ეს სიამოვნება, ჰლუს სიკვდილის შიში, ავადმყოფობა... რისგან არ არის კაცი მართული. ნამდვილი თავისუფლება კი არის იქ, სადაც ხარ თავისუფალი სამყაროს ამ მარწუხებისგან, ანუ ხარ ტრანსცენდენტულ ღმერთთან ერთობაში"* [გიგნაძე, 2019 (ელრესურსი)].

,,წმინდა მაქსიმეს თანახმად, რაკი ადამიანი გონიერი არსებაა, მას დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი მიზნების დასახვა და არჩევანის გაკეთება. ამავე დროს, ცოდვით დაცემით იგი ღმერთისაგან განეშორა და შემოქმედის მაგივრად ქმნილებისაკენ მიიდრიკა. ამის გამო ადამიანში

ბუნებრივი ნებისგან განსხვავებული პიროვნული, არჩევითი ნება გაჩნდა“ [ბუაძე, 2013 (ელრესურსი)].

ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, აშკარაა, რომ პიროვნული თავისუფლების საკითხში თავად ადამიანს, მის არჩევანს ეკისრება გადამწყვეტი როლი, ის სამყაროს გვირგვინია და აბსოლუტურად თავისუფალია ამ თვალსაზრისით, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, რას გადაწყვეტს.

პიროვნული არჩევნის საკითხს განსხვავებულად უყურებს ფსიქოლოგია. ის პრაქტიკული მეცნიერებაა, რომელიც აღიარებს გენეტიკური თუ გარემო ფაქტორების გავლენას ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესზე. თუ რელიგია პიროვნული არჩევნის უქონლობას თვითონ ადამიანის ბრალეულობად მიიჩნევს, ფსიქოლოგია ამის მიზეზს სხვადასხვა ფსიქიკურ და ფიზიკურ დარღვევაში ხედავს.

პიროვნული ფსიქოლოგიის ერთ-ერთ დამაარსებლად მე-20 საუკუნის ამერიკელი ფსიქოლოგი გორდონ უილიარდ ოლპორტი (1897-1967) მიიჩნევა. მან ხაზი გაუსვა თითოეული ინდივიდის უნიკალურობას და ამჟამინდელი კონტექსტის, აწმყოს მნიშვნელობას წარსულთან საპირისპიროდ. ოლპორტს არ სჯერა, რომ ადამიანების დაყოფა შეიძლება თვისებების მიხედვით. მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ შინაგანი და გარეგანი ძალები გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე და ამ ძალებს უწოდა გენოტიპები და ფენოტიპები. გენოტიპები არის ადამიანის შინაგანი ძალა, რომელიც გულისხმობს, თუ როგორ აღიქვამს ინდივიდი ინფორმაციას და როგორ იყენებს მას გარემოსთან ინტერაქციაში. ფენოტიპები არის გარეგანი ძალა, რომელიც გულისხმობს, თუ რა გავლენას ახდენს გარემო ადამიანის ქცევაზე. ეს ძალები არის საძირკველი ინდივიდუალური თვისებების შესაქმნელად. ოლპორტის მიხედვით, პიროვნულობა არის დინამიკური პროცესი და ადამიანის ფსიქოფიზიკური სისტემები განსაზღვრავს მის ხასიათს, ქცევასა და ფიქრებს. ოლპორტს სჯერა, რომ პიროვნულობა არის ბიოლოგიურად განსაზღვრული დაბადებისას და ფორმირდება ადამიანის გარემოსთან ინტერაქციის შდეგად [ოლპორტი, 2019:52]. ფაქტობრივად, ოლპორტი მიიჩნევს, რომ გენეტიკა აძლევს

გარკვეულ პოტენციალს ადამიანს და ამის შემდეგ გარემო განსაზღვრავს მის პიროვნულობას.

ავსტრიელი ფსიქოლოგის, ზიგმუნდ ფროიდის (1856-1939) ფსიქოდინამიკური თეორიის მიხედვით, პიროვნულობა ყალიბდება ბუნებისა (შინაგანი ინსტინქტების) და აღზრდის ურთიერთქმედების შედეგად. განვითარება დამოკიდებულია ინსტინქტებისა და გარემოს (მშობლობა) ურთიერთქმედებაზე ცხოვრების პირველი ხუთი წლის განმავლობაში. მშობლების ქცევა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ბავშვის ნორმალური თუ არანორმალური განვითარებისთვის. სწორედ ამას უკავშირდება პიროვნულობა და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები მოზარდობაში. ანუ წარსულის გავლენას აღიარებს [ფროიდი, 2019:67]. ფროიდის მიხედვით, აღზრდის პროცესს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მცირე ასაკიდან, ფაქტობრივად ჩვილობიდანვე

გერმანული წარმოშობის ინგლისელი ფსიქოლოგი ჰანს იურგენ აიზენკის (1916-1997) თეორია პიროვნულობის შესახებ დაფუძნებულია ბიოლოგიურ ფაქტორებზე. ის ამტკიცებს, რომ ინდივიდს მემკვიდრეობით გადაეცემა ნერვული სისტემის ტიპი, რომელიც გავლენას ახდენს მის უნარზე, ისწავლოს და ადაპტირდეს გარემოში. ამასთან ერთად, ის გარემო პირობებსაც ანიჭებს უპირატესობას, რაც აიზენკის თეორიის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიიჩნევა. მისი აზრით, ადამიანის პიროვნულობის ჩამოყალიბებაში თანაბარ როლს თამაშობს ბუნება (გენეტიკა) და აღზრდა. ის ამტკიცებს, რომ ბიოლოგიური პრედიპოზიციები (განწყობები) კონკრეტულ პიროვნულ მახასიათებელთან კავშირში ერწყმის გარემო პირობებსა და ბავშვის სოციალიზაციას, შესაბამისად, ყალიბდება ჩვენი პიროვნულობა [აიზენკი, 2019:65].

პიროვნების ფსიქოლოგიის წარმომადგენელი, ინგლისელი რეიმონდ კეტელი (1905-1998) ამტკიცებდა, რომ ადამიანის პიროვნულობის გასაგებად საჭიროა დააკვირდე არა პიროვნების რამდენიმე თვისებას, არამედ მთლიანად პიროვნებას, იმისთვის, რომ მიიღო მთლიანი სურათი პიროვნების შესახებ. კეტელმა ორი ტიპის თვისებები გამოყო: ზედაპირული და ღრმა. ზედაპირული

თვისებები ძალიან ცხადი და ადვილი შესამჩნევია ადამიანში. მაშინ, როდესაც ღრმა თვისებები ფარული და ნაკლებად თვალსაჩინოა სხვა ადამიანებისთვის. კეტელს მიაჩნდა, რომ პიროვნების აღწერის დროს ადამიანის ღრმა თვისებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზედაპირული [კეტელი, 2019:85].

საბოლოოდ, ფსიქოლოგების ნააზრევს თუ შევაჯამებთ, პიროვნულობასთან დაკავშირებით აბსოლუტურად დამტკიცებული მოსაზრებები, როგორც ბევრ სხვა საკითხში, აქაც არ არსებობს. თუმცა საერთო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში უამრავი კომპონენტია გასათვალისწინებელი. მათ შორის დიდი ადგილი უჭირავს გენეტიკურ ფაქტორს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდასა და გარემოს.

თავი II. პიროვნული არჩევანი ქართულ ლიტერატურაში

2.1 პიროვნული არჩევნის საკითხი ძველ ქართულ მწერლობაში

ტერმინი ,,პიროვნება“ ლექსიკონში ასეა განმარტებული - ,,პიროვნება გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობას, პერსონალურ სტილს, კულტურულ და სოციალურ საფუძვლებს, პირად უნარებს და მონაცემებს“ [ონლაინენციკლოპედიური ლექსიკონი (ელრესურსი)]. ამ საკითხს თავისებურად ეხმიანება მსოფლიო და ქართული მწერლობა.

პიროვნული არჩევანი იმდენად მასშტაბური თემაა, შეუძლებელია ყველა იმ ტექსტის მიმოხილვა, რომლებშიც ეს პრობლემაა დასმული. თუმცა, თუ დავაკვირდებით, ვერ ვიპოვით ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც ამ საკითხის წამოწევა არ შეიძლება. ადამიანის ცხოვრება სხვა რა არის, თუ არა ყოველწამიერი არჩევანი?! მეტ-ნაკლებად მასზეა დამოკიდებული, რას გაუღებს კარს: სიკეთესა თუ ბოროტებას, ბნელსა თუ ნათელს, შავსა თუ თეთრს, ღვთიურსა თუ ეშმაურს; მასზეა დამოკიდებული, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს: საქვეყნოს თუ სათავისოს, სულისას თუ ხორცისას. ამ თემაზე არსებობს ერთი ფილოსოფიური იგავი - ,,მე ვირჩევ ნეტარებას“. ოსტატ ბახაუდინს მთელი სიცოცხლე სახიდან ღიმილი არ შორდება, სიკვდილსაც თითქოს ნეტარებით ხვდება და ამით ყველას აოცებს. ალბათ, თითოეული ადამიანისთვის საგულისხმოა მისი პასუხი: *,,შინაგანად თავისუფალი ვარ. არჩევანი ჩემზეა. უბრალოდ, ასეთია ჩემი ნება. ყოველ დილით, როდესაც თვალს ვახელ, საკუთარ თავს ვეკითხები, დღეს რა ავირჩიო - ტანჯვა თუ ნეტარება, და თავისთავად ისე ხდება, რომ ნეტარებას ვირჩევ. ეს ხომ ასე ბუნებრივია!“*[მურღულია, 2010:103].

მართლაც, ბუნებრივად ასე ხდება, ყველაფერი ადამიანის დამოკიდებულებაზეა დამყარებული, მოვლენებს პოზიტიურად აღიქვამს თუ ნეგატიურად. ბრძენის სიტყვებისა არ იყოს, რომლის გამოსაცდელადაც კაცმა ხელში პეპელა დამალა და სთხოვა გამოეცნო, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. ბრძენმა კი მიუგო, რომ ყველაფერი ადამიანის ხელშია, ის წყვეტს, რა აირჩიოს.... მსგავს

თემებს უტრიალებს ლიტერატურაც, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნება ეპიცენტრული გვიან საუკუნეებში ხდება, ძველ მოღვაწეთა ნაშრომებსა და მხატვრულ ტექსტებშიც, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, მაინც პიროვნებაა ამოსავალი წერტილი. სწორედ ამიტომ, შეუძლებელია რომელიმე ნაწარმოებში ვერ ვიპოვოთ პიროვნული თავისუფლების არსებობა ან არარსებობა. ამ კონტექსტს ეხმიანება სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი იგავი: ,,მოტირალი და მოცინარი". ერთსა და იმავე ამბავზე ერთი კაცი სულ რომ იცინის, მეორე კი - ტირის. ესეც პიროვნული არჩევანია.

თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში პიროვნული არჩევნის თემა იშვიათობას არ წარმოადგენს, ისევე როგორც გამოგონილი თუ ავთენტური პერსონაჟები, რომელთა არსებობამ და პიროვნულმა გადაწყვეტილებამ კაცობრიობის სვლას გეზი შეუცვალა, ადამიანის ცნობიერებას კვალი დაატყო.

იაკობ ხუცესის თხზულებაში შუშანიკი, დედოფალი, დედა, ცოლი, ერთი შეხედვით, სუსტი და უსუსური არსება, უპირისპირდება მოძალადე, სპარსეთის ზურგით გამაგრებულ ქმარს. მტკიცე რწმენა, სულიერი და ფიზიკური ძალა, შინაგანი თავისუფლება სჭირდება ადამიანს, საკუთარი ნებით თქვას უარი დედოფლის პატივზე, ფუფუნებაზე, შვილების სიყვარულსა და წუთისოფლის სიტკბოებაზე. შუშანიკი არის წმინდანი, რომლის ცხოვრების გაცნობა ყველა საუკუნეში აღელვებს ადამიანს, დააფიქრებს წუთისოფლის წარმავალობასა და სულის მარადიულობაზე. ზემოთ ვახსენეთ, რომ პიროვნული თავისუფლების ჩამოყალიბება შეუძლია ადამიანს, თუ ის ამაზე იზრუნებს, იშრომებს. დედოფალს ეს უნარი თანდაყოლილი აქვს, არავის უსწავლებია, არ ჰქონია ამის ბევრი მაგალითი, ასეთი დაიბადა - შიშსა და სიკვდილზე გამარჯვებით ადამიანური ღირსების უმაღლეს საფეხურზე დადგა.

ასეთივეა არაბი აბო, 17-18 წლის მაჰმადიანი ჭაბუკი. შეუძლებელია, არ დაგაფიქროს ამ წმინდანის ცხოვრებამ, თუკი გახსნილი გონების თვალით წაიკითხავ. მაშინ, როცა ხორციელ სურვილებს დამორჩილებული ადამიანები, პირიქით, ,,მახვილითა პყრობილი სჯულის" მოზიარენი ხდებოდნენ, ქრისტეში პოვა ჭეშმარიტება და შეეწირა კიდეც მას. პიროვნული არჩევნით მაგალითი მისცა

თავის თანამედროვეებსაც და მომავალ თაობასაც. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ აბო ქრისტესთვის თავდადების მაგალითს გვაძლევს, არამედ ის, რომ ეძიებს, პოულობს, იბრძვის და სხვის სულზეც ზრუნავს. აფხაზეთის მთავრისთვის მიცემული მისი პასუხი სახარებიდან მოხმობილი სწორედ ამის დადასტურებაა: *,,არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქვეშე ხვიმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაითა ჰნათობდეს ყოველთა"* [საბანისძე, 2003:83]. ღვთაებრივი ნათლით გასხივოსნებული მისი არსება თვითონ იწვის როგორც სანთელი და ბნელს განაქარვებს, სხვებს უკვალავს სულიერი ცხოვრების გზას. ხორციელი შიშის დაძლევა, სიკვდილზე ამაღლება, სხვის სულზე ზრუნვა პიროვნულობის ერთ-ერთი უპირველესი გამოხატულება და დადასტურებაა.

გიორგი მერჩულეს ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" თავიდანვე ყურადღებას იქცევს დამოკიდებულება საკვების მიმართ. ,,პური გულის სათქუმელი არა ვსჭამო". ერთი შეხედვით, ეს უმნიშვნელო ფაქტი - საკვების მიღება არა სიამოვნებისთვის, არამედ ხორცის განმტკიცებისთვის - გამოარჩევს მას ჩვეულებრივი ადამიანებისგან, იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა ნიკოლოზის მსგავსად ხდება სულიერი საზრდოს მარადიულად მაძიებელი. მისი გადაწყვეტილება, უქმ უდაბნოში წასვლა, მხოლოდ განმარტოების, სულიერი ჭვრეტის, თვითჩაღრმავების, ბოროტების დათრგუნვის გზა კი არ არის, არამედ ქაოტურ ძალთა სამკვიდროს ,,ქალაქყოფა" და ,,ზეციურ იერუსალიმად" ქცევაა. პიროვნული სრულყოფილების მისეული გზა ადასტურებს, რომ ხორციელისა და სულიერის მუდმივი ხსოვნა, თანაარსებობა, შერწყმა არის პირობა ყოველგვარი წარმატებისა, როგორც ერთი ადამიანისთვის, ისე მთელი ერისთვის. გრიგოლისა და მისი მოწაფეების დაუღალავი შრომა სწორედ ამიტომ არის კეთილი ნაყოფის გამომღებელი. *,,ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების"* [გიორგი მერჩულე, 2003:162]. მამულის, ენის, სარწმუნოების ერთიანობის იდეათა განმახორციელებელი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება არის ნიმუში პიროვნული მდგრადობისა და წონასწორობისა. ეს არის ილია ჭავჭავაძის უმთავრესი კონცეპტის - მამული, ენა, სარწმუნოება - პირველსახე და რაოდენ სამწუხაროა,

რომ ერის მამას, სულიერ ლიდერს ეს ტექსტი წაკითხული არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, ილიას მოკვლის შემდეგ აღმოაჩინეს ჩვენი ჰაგიოგრაფიის ნამდვილი მარგალიტი.

მარტო ქართულ კი არა, მსოფლიო ლიტერატურაშიც ძნელია ავთანდილის მსგავსი პერსონაჟის მოძიება. მოყვასისთვის თავდადება, ,,სხვისად რგებად ველთა რბენა“, სიმამაცე, შეუპოვრობა, მოხერხება, სიტუაციური მოქნილობა, უფლის მცნებებისკენ სწორუპოვარი სწრაფვა ქმნის მის პიროვნებას. ამას ემატება სიმშვიდე, ემოციური წონასწორობა, პრაგმატულობა, რაციონალური აზროვნება, პიროვნული ბალანსი. როგორი სასოწარკვეთილიც უნდა იყოს, ყოველთვის პოულობს საკუთარ თავში სიცოცხლის გაგრძელების ძალას, არასდროს აძლევს გრძნობებს გაბატონების უფლებას. მისი გადაწყვეტილება, მოიმდუროს ამქვეყნიური ხელმწიფე, დატოვოს სამშობლო, სატრფო, არც ისე იოლი მისაღებია. *,,ავთანდილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის სულიერი ვალი არ დარჩეს - გამოხატოს მადლიერება, სიყვარული და პიროვნული ნება. ამას ის, პირველ რიგში, როსტევანის, საკუთარი აღმზრდელისა და მეფის, მიმართ აკეთებს. ანდერძის დამწერი, ასევე, ნათელყოფს, რომ სამშობლოს დატოვების უცნაური გადაწყვეტილება მისი პირადი და გაცნობიერებული არჩევანია“* [მურღულია, 2018:95]. ავტორი მუდმივად დაგვანახვებს, რომ ავთანდილსაც უმძიმს გადაწყვეტილების მიღება, ყველაფერის მიტოვება თავის მოკვლის სურვილსაც კი უჩენს, ამით მეტ დამაჯერებლობას სძენს პერსონაჟს: *,,ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა,/ მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართის დანასა“* [შოთა რუსთაველი, 1974:63]; *,,გამკითხველო, გამიკითხე, აჯა ჩემი შეისმინე, დაამოკლენ დღენი ჩემნი, ჭირი ამით გამილხინე!“* [შოთა რუსთაველი, 1974:277]; *,,მივა და მიტირს გულ-მდუღრად, ვერ ვიტყვი ცრემლთა მცრობასა“* [შოთა რუსთაველი, 1974:273]; *,,რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელ-ყვის გაძრვად ენისად, მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან მსგავსად დიჯლისა დენისად“* [შოთა რუსთაველი, 1974:273]. უმძიმს არაბეთის სპასპეტს, მაგრამ ავტორს სწორედ იმის ჩვენება უნდა, რომ ადამიანმა ხანდახან ის უნდა აკეთოს, რაც არ უნდა. ყოველთვის რაც უნდა, იმას აკეთებს პირუტყვი, ადამიანი კი ცხოველისგან სწორედ იმით

განსხვავდება, რომ თავს აიძულებს ხანდახან თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოიქცეს. ეს არის პიროვნული თავისუფლება. სწორედ ასეთი, თავის ხორციელ მისწრაფებებზე ამაღლებული, დაცემულ ბუნებასთან მებრძოლი ადამიანი გააკეთებს სწორ პიროვნულ არჩევანს. ,,თავის" ,,უფალი" (საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვა ,,უფალი" სახარების ძველ ქართულ თარგმანებში სხვადასხვა კონტექსტში ღმერთსაც ნიშნავს და ბატონსაც.). ნიშნავს იბატონო საკუთარ თავზე, მართო გრძნობები, ლაგამი ამოსდო სურვილებს, არ მისცე მათ შენზე მძლავრობის უფლება. ამისკენ მოუწოდებს სიყვარულისგან გრძნობადაკარგულ ტარიელს თინათინის მიჯნური: *,,რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ ნუ სდევ წადილთა ნებასა!"* [შოთა რუსთაველი, 1974:285].

ამასვე ამბობს დავით გურამიშვილი ,,დავითიანში": *,,იქმოდე გულის თქმისასა გემოვნებისა თმენასა"*[გურამიშვილი დ., 2003:368]. ავთანდილმა კარგად იცის, რომ ზნეობრივ კიბეზე აღმა სვლისთვის, ბეწვის ხიდზე უცდომელად გავლისთვის გულისა და გონების თანაბარი მუშაობაა საჭირო, თუ ერთმა გადაწონა, წონასწორობა დაირღვევა, კაცი უფსკრულში გადავარდება. ამიტომ შესთხოვს უფალს: *,,მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!"* [შოთა რუსთაველი, 1974:265]. ავთანდილმა ისიც იცის, რომ წუთისოფელზე მინდობილობისა და მიჯაჭვულობის გამო უჭირს თინათინთან განშორება, ვინც ამქვეყნიურს ღმერთზე მეტად შეიყვარებს, ის ორსავ სოფელში მდუღარე ცრემლებით იტირებს: *,,ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!/ ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!"* [შოთა რუსთაველი, 1974:310]. ქრისტიანული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია მიწისა და ცის, სოფლისა და ზესთასოფლის დაპირისპირება. რუსთველისეული სწავლებით, წუთისოფელს კი არა, ღმერთს უნდა მიენდოს კაცი, ის მისცემს ძალას სასოწარკვეთილებას დააღწიოს თავი, გრძნობებს გაუმკლავდეს და სწორად განაგრძოს ცხოვრება. ის მისცემს ძალას ყველა დაბრკოლება გადალახოს და უძლეველი მტერიც კი დაამარცხოს:

,,კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ, ვითა მთრვალი!

არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!

დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაპერწკალი,

ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხრმალი“ (შოთა რუსთაველი, 1974:333].

ღმერთს უნდა მივენდოთ და საცდელს ვეცადოთ: *,,თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა!“*[შოთა რუსთაველი, 1974:227]. ეს არის არაბი ჭაბუკის ცხოვრების მრწამსი. *,,რუსთველი შუა საუკუნეებში გავრცელებულ მოსაზრებას ეყრდნობა იმის შესახებ, რომ კაცს არჩევანის თავისუფლება აქვს ნაბოძები. უფალი არ ძალადობს მასზე, ყოველ კონკრეტულ ადამიანზეა დამოკიდებული, რას მიიღებს მსოფლმხედველობრივ საფუძვლად და როგორ წარმართავს თავის ცხოვრებას“* [დათაშვილი, 2017:17]. წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის: *,,მიწა არაფერს აღმოაცენებს წვიმის გარეშე და მიწის გარეშე წვიმაც უსარგებლოა. სწორედ ასევე მადლი არ მოქმედებს თავად ადამიანის თანამონაწილეობის გარეშე, არც ადამიანის ნება-მადლის თანამონაწილეობის გარეშე“* [წმ. იოანე ოქროპირი, (ელრესურსი)]. ავთანდილის მსოფლმხედველობა და მრწამსი დაგვანახვებს, თუ რამდენად რთული და მნიშვნელოვანია წუთისოფელში სწორად ცხოვრება. *,,ავთანდილის რწმენით, კაცთა სწორი თუ მცდარი არჩევანი მათი რწმენის სიდიდეს ეფუძნება და მათ მომავალ ხვედრსა თუ ამქვეყნიურ ყოფას განაპირობებს, რადგან მხოლოდ და მხოლოდ უფალზეა დამოკიდებული კაცის ბედნიერება, მისი შეწევნის გარეშე, ამქვეყნად ყველა უბედური იქნება“* [დათაშვილი, 2017:96]. ავთანდილი არის გმირი, რომელიც თავისი პიროვნული არჩევნითა და მორალური საქციელით სამყაროს უზენაეს წესრიგს უერთდება.

რუსთაველი რაინდთა და ვაჭართა საზოგადოების ცხოვრების აღწერით ერთმანეთს უპირისპირებს ორი კატეგორიის ადამიანს: ერთნი, რომელთა ცხოვრების წესი სწორია და სასუფევლისკენ მიდის, მეორენი, გზას აცდენილნი, მხოლოდ ხორცზე ზრუნავენ და ჯოჯოხეთისკენ მიემართებიან. თუ რაინდებისთვის სიყვარული ,,შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ არის, ვაჭრები ,,დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვას“ პრინციპით ცხოვრობენ, მათთვის გაუგებარი და წარმოუდგენელია ოჯახური სიწმინდე და

ერთგულება. პატრონყმურ ურთიერთობაში მოყვასისთვის თავის გაწირვა, მტერთან ბრძოლა, ღმერთის ძალის მორჩილება ვაჭრებთან ლაჩრობითა და ურწმუნოებით იცვლება. თუ რაინდებისთვის ფიცი, დადებული პირობა უზენაესის ერთგულებაა და მისი გატეხვა ღვთის გმობაა, ვაჭრებისთვის ეს ჩვეულება და რჯულის სიმტკიცეა. თუ რაინდებისთვის სიმდიდრის გაცემა შინაგანი მოთხოვნილება და სიკეთის კეთების საშუალებაა, ვაჭრებისათვის ქონების მოხვეჭა ცხოვრების მიზანი, ანგარებითა და თვალთმაქცობით მოპოვებული დიდებაა. ხორციელ ნეტარებაში სრულად ჩაფლული ვაჭრების სამეფოში ,,სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები.“ ნადიმებსა და სალხენ-გასართობებს არც რაინდთა საზოგადოებაში ერიდებიან, მაგრამ აქ არც სული ავიწყდებათ - სულიერისა და ხორციელის შეზავებით, გულისა და გონების წონასწორობით ცდილობენ მუხთალ წუთისოფელში სწორად სვლას.

შოთა რუსთაველი ვაჭრებისა და რაინდების სახით დაგვანახებს ადამიანებს, რომელთაგან ერთნი წუთისოფლის სიყვარულს ირჩევენ, მეორენი - ღმერთის. *,,ადამს სამომავლოდ ორი გზა ჰქონდა - ღვთიური და საკუთარი, იგი ამ უკანასკნელს დაადგა. ღმერთს ,,გული დასწყდა“, რომ მისმა ხატმა ეს ეკლიანი გზა აირჩია, მაგრამ მაინც ,,კმაყოფილი დარჩა“, რომ მისმა ქმნილებამ, ამიერიდან არჩევანის უფალმა, არ დამარხა მინიჭებული ტალანტი - არჩევანის ნება და უფლება, და აირჩია. საკუთარ გზაზე მას ღმერთმა საგზლად გააყოლა წმინდა გონება და პრაქტიკული გონება, რომ შერჩენოდა, ერთი მხრივ, სამოთხისეული მჭვრეტელობითი უნარი და, მეორე მხრივ, წუთისოფლის ვითარებაში საორიენტაციო პრაქტიკული უნარი. ამ ორი იარაღით მას უნდა აეცილებინა მესამე პერსპექტივა - სატანის გზაზე სიარული და საბოლოოდ მისი ნებისადმი დამორჩილება“* [კიკნაძე, 2013:15]. მოცემული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსთველი ორი საზოგადოების აღწერით დაგვანახვებს ორ გზას: ერთს წმინდა და პრაქტიკული გონებით ზესთასოფლისკენ მივყავართ, მეორეს კი ხორციელი ვნებებით - ქვესკნელისკენ. არჩევანი ჩვენზეა, მოკვდავ ადამიანებზე.

დავით გურამიშვილი, როგორც ავტორი და მთხრობელი, თვითონ გვაძლევს პიროვნული თავისუფლების მაგალითებს. მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი, არასდროს კარგავს უფლის სასოებას. მისი სიტყვები - ,,ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო"- კიდევ ერთხელ შეაგონებს ადამიანებს თავიანთ დანიშნულებას წუთისოფელში. თავის შეცნობა პიროვნული თვითგამორკვევისთვის ერთ-ერთი უპირველესი გზაა, რომელიც ადამიანს გააზრებინებს, რომ ის უწყვეტი ძაფებით არის დაკავშირებული წარსულსა და მომავალთან. *,,ძალიან დიდი ხნის წინათ, უხსოვარ დროს, ღმერთმა ანგელოზებს ჰკითხა, სად დაემალათ ცხოვრების საიდუმლო...ზღვის ფსკერზე, დედამიწის გულში, მაღალი მთის მწვერვალზე - მიუგეს ანგელოზებმა..... მოვა დრო და ისინი მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალებს დაიპყრობენ. თუ ცხოვრების საიდუმლოს შენახვა არც ზღვაში, არც მიწაში და არც მთაზე არ შეიძლებოდა, მაშინ სად უნდა დაემალათ იგი? იქნებ ვარსკვლავზე? კვლავ სიჩუმე ჩამოწვა, ბოლოს უფალმა განაცხადა: ადამიანები უფრო ადრე მოივლიან სამყაროს ოთხივე მხარეს, ჩავლენ ყველაზე ღრმა ოკეანის ფსკერზე, დაიპყრობენ მწვერვალებს, მიაღწევენ ვარსკვლავებამდე, ვიდრე შეიცნობენ საკუთარ თავს. ამიტომ, უმჯობესია, ცხოვრების საიდუმლო თავად მათში იყოს დამალული*" [მურღულია, 2010:69]. ეს ფილოსოფიური იგავი გვასწავლის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ცხოვრების საიდუმლოს ამოსახსნელად საკუთარი თავის შეცნობა და იმის განცდა, რომ ყოველი ადამიანი საკუთარ თავში ატარებს მთლიან სამყაროს - დასაბამიდან აღსასრულამდე. ვინც ამას გაიაზრებს, რამდენადმე მაინც შეძლებს ცხოვრების კანონზომიერებაში წვდომასა და წუთისოფელში სწორად ცხოვრებას.

ასეთია ძველ ქართულ მწერლობაში პიროვნულობისა და პიროვნული არჩევნის გაგება, რომლის მიხედვითაც ნამდვილი პიროვნება ისაა, ვინც წუთისოფელში სწორად იცხოვრებს.

2.2 პიროვნულობის პრობლემა ახალ ქართულ მწერლობაში

განსაკუთრებით მწვავედ დგას ეროვნული და პიროვნული თავისუფლების საკითხი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. საუკუნის დასაწყისში რუსეთის წინააღმდეგ წამოწყებული აჯანყებები, რომლებიც ქართველთა დაქსასულობისა და არაკოორდინირებულობის გამო კრახით დასრულდა, უიმედობისა და ნიჰილიზმის საბაბი გახდა. ეს მდგომარეობა ქართულ მწერლობაში რომანტიზმში ვლინდება - წარსულის გაიდეალება და მომავლისადმი უიმედო დამოკიდებულება გამსჭვალავს ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებას. გამონაკლისი არის ნიკოლოზ ბარათაშვილის ,,მერანი" - ბრძოლისა და მოქმედების უკვდავი საგალობელი. ლექსის ლირიკული გმირი ძლიერი ვნებით შეპყრობილი ინდივიდია, რომელიც უპირისპირდება საზოგადოებას, გამოდის საკუთარი ,,მეს" ინტერესების დასაცავად, თავისი ზებუნებრივი, განსაკუთრებული ადგილის დასამკვიდრებლად, არ ემორჩილება ბედს, თავისუფლების მოსაპოვებლად მზადაა ყველაფერი დათმოს, ყველა დაბრკოლება გადალახოს, თავი გაწიროს:

,,ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;

ნუ დამიტიროს სატრფომ გულისამ, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის" [ბარათაშვილი, 2007:109].

,,ადამიანი ეზიარება უსასრულობას, როცა უერთდება კაცობრიობის უსასრულო მოძრაობას ,,თავისუფლების სამეფოსკენ". თავისუფლება, რომელიც მჟღავნდება სხვათა თავისუფლებისადმი ინტერესში, სხვათა თავისუფლების თანაზიარობაში, არის საკუთარი ყოფიერების სასრულობის, შეზღუდულობის გადალახვა. თავისუფლება უსასრულობაში დამკვიდრებისკენ სწრაფვის გამოხატულებაა" [კაკაბაძე, 2006:111]. ზურაბ კაკაბაძის ეს სიტყვები - თავისუფლება უსასრულობაში დამკვიდრებისკენ სწრაფვის გამოხატულებაა - ზუსტად მიესადაგება ,,მერნის" ავტორის, ლირიკული გმირის სულისკვეთებას. თუმცა პიროვნული არჩევნის თვალსაზრისით მაინც „ფიქრნი მტკვრის პირზედ" იწვევს განსაკუთრებულ ყურადღებას; ახალგაზრდა ბარათაშვილის ცხოვრებისეული პოზიცია მანამდე იქნება აქტუალური, სანამ ადამიანი იარსებებს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი მუდამ უკმაყოფილოა მიღწეულით,

მისი ცხოვრება „აღუვსებელი საწყაულია,“ კეთილი და ბოროტი მეფეც გამუდმებით იღვწიან, ერთი კეთილი სახელის დასამკვიდრებლად, მეორე მიწების გასაფართოებლად, ყველას გარჯა, ძალისხმევა ამაოა, რადგან სოფელს ადრე თუ გვიან ბოლო მოეღება, აპოკალიფსი გარდაუვალია. ადამიანის ყველა ქმედება აზრს კარგავს, და მაინც: *„მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან, შვილნი სოფლისა,/ უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას სოფლისა,/ არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი, მკვდარსა ემსგავსოს/იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“* [ბარათაშვილი, 2012:68]. ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის ამოსავალი სწორედ ეს კონცეპტია _ ადამიანი სიცოცხლეშივე არ უნდა დაემსგავსოს მკვდარს და ხშირად სურვილის საწინააღმდეგოდ ემსახუროს ქვეყანას, შეასრულოს თავისი მოვალეობა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი კაცი უკვე რუსეთის მონობას შეგუებული და მტერთან შეხმატკბილებულია. ილია ჭავჭავაძე თავის თამემებრძოლებთან ერთად ერის გამოფხიზლებას სწორედ მხატვრული ლიტერატურით ცდილობს. ერთი მხრივ, ხორცის სიამოვნებას გადაგებული ლუარსაბ თათქარიძე და, მეორე მხრივ, სულის ხსნისთვის წუთისოფელს განრიდებული განდეგილი ორ განსხვავებულ მიდგომასა და არჩევანს წარმოგვიდგენს. ორი უკიდურესობა - ერთი მხოლოდ ხორცზე ზრუნავს, მეორე მხოლოდ სულზე. ლუარსაბში ილიამ თავი მოუყარა დეგრადირებული ერის ნაკლოვანებებს. დაუდევრობა, ზომაგადასული ჭამა-სმა, ტრაბახი, მუქთახორობა, სიბრიყვე, ლაჩრობა, ინერტულობა, სიბინძურე, ცრუსაქმიანობა, ფუჭმეტყველება, ფარისევლობა, ცრუმორწმუნეობა, ძმათა შორის ქიშპი და გაუტანლობა მისი ბუნებრივი თვისებებია.ამით ,,შემკული“ ადამიანი, მწერლის აზრით, კაცი არ არის. ,,კაცია ადამიანში?!“ ყველა პერსონაჟი უარყოფითია, თითოეული მხოლოდ საკუთარ თავსა და გამორჩენაზე ფიქრობს, ,,ჩემ შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა“ - ამ პრინციპით ცხოვრობს ერი და ბერი. როცა ერი კარგავს ყველაზე ღირებულს, თავისუფლებას, პირუტყვს ემსგავსება, გადაგვარდება, მცონარებას ეძლევა. ადამიანი პიროვნება მაშინაა, როცა იღვწის, შრომობს, მუდმივ მოძრაობასა და აქტიურობაშია, როცა ცდილობს სარგებელი მოუტანოს მოყვასს, მიემსგავსოს

პირველხატს, იმისთვის ,,ჭამს და სვამს, რომ იცხოვროს და არა იმისთვის ცხოვრობს, რომ ჭამოს და სვას“. ლუარსაბს კი ისე აუფუებია ხორცი, რომ სული ჩამკვდარა და მინავლებულა ,,მყრალ ჭურჭელში“. მწერალი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ადამიანის დანიშნულებაზე. უმოქმედობა ყველა შემთხვევაში მიუღებელია: *,,მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“* [ჭავჭავაძე, 2006:37]. ამ სიტყვებით მოუწოდებს დარღვეულ, დანაწევრებულ, გათითოკაცებულ ქართველობას სულიერი მამა. თუ პიროვნება არ გათავისუფლდა, ერი ვერ გამთლიანდება.

განდეგილის სახით ილია ჭავჭავაძე დაგვანახვებს ადამიანს, რომელიც სულის გადასარჩენად წუთისოფლის ორომტიალს გაურბის. მისი გადაწყვეტილებით, არც ეს არის სწორი გზა და მწყემსი ქალის სიტყვებით გვანდობს საკუთარ გულისთქმას:

,,განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის,

ქვეყანას ღვთითვე დაბადებულსა?

ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო

ესე ლამაზად წუთისოფელი?

განა მისთვის, რომ ადამიანმა

შეაჩვენოს და აიღოს ხელი?“ [ჭავჭავაძე, 2010:287].

როდესაც ღმერთმა ადამიანი შექმნა, ხორციელი და სულიერი თანაბრად შეაზავა და ორივეზე ზრუნვა თითოეულის მოვალეობაა, არც მხოლოდ სხეულს უნდა გადაჰყვეს კაცი და არც მხოლოდ სულს. წუთისოფლის სიძნელეებს განშორებული ბერი საოცარ სულიერ სიმაღლეს აღწევს, მაგრამ პირველივე წაბოძირკებისას მარცხდება და ენარცხება, დიდი შრომით, წვითა და რუდუნებით მოპოვებულ სიმაღლეს კარგავს, ვერ აგრძელებს ბრძოლას და შუა გზაზე ტოვებს ჯვარს, რომელიც ბოლომდე უნდა ეტარებინა. ამით ილია შეგვახსენებს, რომ სული მხოლოდ წუთისოფელში გამოიწვრთნება, როგორც რკინა ცეცხლში.

ჭეშმარიტი სულიერი ბრძოლა, პიროვნული კათარსისი ცხოვრების ორომტრიალში მჟღავნდება.

ილიას მიერ ერთგვარ ფორმულად ჩამოყალიბებულ იდეალს ,,მამული, ენა, სარწმუნოება“ აკაკი წერეთელიც ერთგულებს. ის მიზნად ისახავს დაბეჩავებული, ღირსების გრძნობადაკარგული ქართველი ერის გამოფხიზლებას. გმირული ისტორიული წარსულის გახსენებით (,,თორნიკე ერისთავი“, ,,ბაში-აჩუკი“ და სხვ.) იმედს ჩაუსახავს სასოწარკვეთილ ქართველობას და ბრძოლისკენ მოუწოდებს. ალეგორიულ ლექსს ,,ვედრებაში“ აკაკი ორგვარ დაცემულზე საუბრობს: ერთი ცდილობს წამოდგომას და ებრძვის მტერს, ანუ მოქმედებას ირჩევას, მეორე კი ,,გდია ვით მკვდარი“, ამათგან უკანასკნელი პოეტის საშინელ რისხვას იმსახურებს, რადგან ადამიანი, რომელიც არ იბრძვის არსებული ვითარების შესაცვლელად, ემორჩილება და ქედს უხრის მტერს, დანდობის ღირსი არ არის.

,,პირველს თუ შეხვდე, შრომა უკურთხე,

ხელი მიეცი, წამოაყენე,

და მეორეს კი ზედ დააფურთხე!

იტირე, მაგრამ ზურგი უჩვენე!“ [წერეთელი, 2010:108].

პოეტის მიხედვით, სიცოცხლეს აზრს მოყვასისთვის თავგანწირვა, მსხვერპლის გაღება სძენს. მხოლოდ ასეთი არსებობაა გამართლებული, სიყვარულითა და სიკეთით სავსე ერთი წამიც კი სჯობს უგრძნობელ სიცოცხლეს:

,,ერთი წამიც კი სიცოცხლის,

თუ სხივების მომფენია,

უსინათლოს და უგრძნობელს

საუკუნეს მირჩევნია“ [წერეთელი, 2010:305].

საოცარი ნეტარებით აღავსებს პოეტს ღვთიური მადლის შეგრძნება. ღმერთის ძიება ადამიანის სულიერ ამაღლებას გამოხატავს, ამ ცისქვეშეთში არაფერია მასზე დიდი მიზანი და აღმატებული სიხარული:

,,სხვებმა სვან ღვინო!...მე ულვინოდაც

მთვრალი ვარ მეტის სიხარულითა!...

ემატა სოფელს მშვენიერება

ჩემს თვალში მისის სიყვარულითა!“ [წერეთელი, 2010:299].

ამგვარი სულისკვეთებითაა სავსე აკაკის პოეზია (,,აღმართ-აღმართ“, ,,სულიკო“ და სხვ.), პიროვნულობის ერთ-ერთ უმთავრეს გამოხატულებად დაკარგული ღმერთის ძიება მიაჩნია პოეტს. ღვთისკენ, ზეციური სიმაღლისკენ სვლა გულისხმობს სულიერ განვითარებას, განწმენდას. ამგვარად მცხოვრები ადამიანი კი სამყაროსთან ჰარმონიულად თანაარსებობს.

როდესაც თავისუფლებასა და განსაკუთრებით პიროვნულ თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია ვაჟა-ფშაველა არ ვახსენოთ. მისი გმირები: ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა, ზვიადაური, აღაზა, ლუხუმი, მინდია და სხვები მაღალადამიანურ სიბრძნეს არიან ნაზიარები და პიროვნული იდენტობის გამოხატულებად გვევლინებიან. ალუდა თემს უპირისპირდება ზოგადად ადამიანური სიკეთის, ჭეშმარიტებისა და სიმართლის დასამკვიდრებლად, ის ჯიუტი, შეგნებული თანმიმდევრულობით მისდევს თავის მიერვე აღმოჩენილ ჭეშმარიტებას და ეწირება კიდეც მას. მართალია, ფიზიკურად მარცხდება, თუმცა ტიტანური სულიერი ენერგიის წყალობით ნათელ კვალს ტოვებს, რაც პიროვნულობის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა. აქ ნაჩვენებია *,,ადამიანის ფერისცვალების სიღრმე და მისი ამაღლება წარმავალზე“*[ჩხენკელი , 2009:160].

,,სტუმარ-მასპინძელის“ პერსონაჟებიც მაღალჰუმანურ იდეალებს ქადაგებენ, პოემის უკანასკნელ თავში ამ ქვეყნიდან წასული გმირები იმ მთაზე ხვდებიან ერთმანეთს, სადაც ჯოყოლა მოკლეს:

,,ვაჟკაცობისას ამბობენ,

ერთურთის დანდობისასა,

სტუმარ-მასპინძლის წესზედა

ცნობის და და-ძმობისასა“[ვაჟა-ფშაველა, 2006:150].

ამ სიტყვებში ცხადდება ვაჟას სურვილი: ადამიანებმა ისწავლონ დანდობა, მიტევება, შეცოდება, შემწყნარებლობა, ჰუმანიზმი, გულისა და გონების, ცნობიერისა და არაცნობიერის ჭიდილში წონასწორობის დაცვა.

ვაჟა დიდი ჰუმანისტია, მთელი მისი შემოქმედება მაღალზნეობრივ იდეალებს ემყარება. მოქმედება, მუდმივი აქტიურობა, მოყვასის გულშემატკივრობა, სამშობლოსთვის თავდადება, ბუნების სიყვარული, სიკვდილის შიშის დაძლევა, პრინციპების ერთგულება, საკუთარ თავში ახალი ადამის აღორძინება აქცევს კაცს პიროვნებად. *,,უპირველესი სიკეთე საკუთარი თავის გაკეთებაა, ანუ გა-სიკეთე-ბა. ეს არსებობის საფუძველთა საფუძველია, რადგან მხოლოდ ამ უპირველეს სიკეთეს მოსდევს გათავისუფლება და ყველაფერი სხვა. მაგრამ ეს სიკეთე დაკავშირებულია თავისი ,,სხვა მე“-ს, მოჩვენებითი ,,მე“-ს სიკვდილთან, ე. ი. სიკვდილის ზღვარის გადალახვასთან ანუ სიკვდილის ხილვასთან ნამდვილი მეს მიერ.... სწორედ ამ მომენტისთვისაა განკუთვნილი ადამიანის თავისუფალი ნება“*[კაშია, 2001:78].

თავისუფალი ადამიანის მონად გადაქცევის რთულ პროცესს საინტერესოდ დაგვანახვებს მიხეილ ჯავახიშვილი რომან ,,ჯაყოს ხიზნებში“. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში შექმნილ ამ ნაწარმოებში ასახულია ქვეყანაში არსებული ანარქია, მთავრობათა მონაცვლეობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, საზოგადოების ზნეობრივი გადაგვარება: ერთი მხრივ, უნიათო, უხერხემლო, ლაჩარი, გაუბედავი, დაუდევარი, მიამიტი, გულუბრყვილო თეიმურაზ ხევისთავი და, მეორე მხრივ, მედროვე, მოძალადე, გაუნათლებელი, უტაქტო, თავხედი, ცბიერი, მომხვეჭელი, ნიღბოსანი ჯაყო. ორივე ეპოქის პირმშოა, პირველმა პოხიერი ნიადაგი შეუქმნა მეორეს. ასპარეზი გაუხსნა, საშუალება მისცა აღზევებულიყო, საკუთარი ნებით თქვა უარი ,,კაცობაზე“ და ,,ნაკაცარად“ იქცა. თეიმურაზს გამოცლილი აქვს საყრდენი, რომელიც ადამიანს კაცად, პიროვნებად აქცევს. რწმენა არაფრისა აქვს: არც ღმერთის, არც მომავლის, ის მუდამ წარსულს მისტირის, აწმყოსა და მომავალს მუქ, შავბნელ ფერებში ხედავს, როგორც ავტორი გვეუბნება: *,,თვალწინ მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო*

ყველაფერი, რაც კი ოდესმე გააჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი“ [ჯავახიშვილი, 2000:12]. სიყვარულიც არაფრისა აქვს: არც მარგოსი, არც სამშობლოსი, არც მამაპაპისეული დანატოვარის. რაც გიყვარს, მას ხომ ვერანაირი ძალა ვერ დაგათმობინებს. ის კი გულგრილად საუბრობს საქართველოზე და დიდი გატაცებით - ზანზიბარზე. გულუბრყვილობით, დაუდევრობით, მედღეხვალიობით, ლაჩრობით თმობს მშობლების ქონებას, სახლ-კარს, მამულებსა და ბოლოს ცოლსაც - მარგო ყაფლანიშვილს (მარგალიტს). *,,ნუ მისცემთ სიწმინდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხთითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“* (მათე, 7.6.) უღირსი მეპატრონე საკუთარი ნებით აგდებს ამ სიწმინდეს ბოროტი ჯაყოს ხელში, რადგან უძლურია დაიცვას იგი. თუ თეიმურაზის სახეს პიროვნული თავისუფლების პრიზმაში განვიხილავთ, თვალწინ წარმოგვიდგება არსება, რომელსაც სულიერი და ხორციელი საწყისიც დაშრეტილი აქვს. სული აღარ ახსოვს, ხოლო ხორციელის, მატერიალურის მიმართ გულგრილობას თავისი პატიოსნებით ამართლებს: *,,მე ყველაფერს ვხედავდი, მაგრამ ვსდუმდი, რადგან ნაჭარბევად კეთილი გული მქონდა,“ - ეუბნება ჯაყოს ,,დამდნარი ნაკაცარი“* [ჯავახიშვილი, 2000:138]. და მერე რატომ დუმდა, როცა მომხვდური ოჯახში შეუვარდა, ყველაფერი წაჰგლიჯა ,,ჩემია, ჩემიას“ ძახილით, ფეხქვეშ გათელა და პატივი აჰყარა მის ღირსებას. განა ერთი წუთით მაინც შეიძლება მისი გამართლება? ასეთის იმედად ან ოჯახი როგორ უნდა იყოს, ან ქვეყანა? ხოდა, სანამ კაცი კაცად არ იქცევა, პიროვნებად არ იქცევა, რწმენასა და განათლებას ერთად არ მოარიგებს, თავდაჯერებასა და იმედს არ შეიძენს, მეპატრონეობასა და მესაკუთრეობას ვერ განასხვავებს, თავდაუზოგავად და უშიშრად არ გააგრძელებს ცხოვრებას, თავისუფლებას ვერ ეღირსება.

განსაკუთრებით მძიმე დაღი პიროვნებას საბჭოთა ეპოქამ დაასვა. ათეული წლების განმავლობაში პიროვნება იზღუდებოდა საბჭოური ტირანიისაგან. პარტიულმა ნომენკლატურამ იზრუნა იმაზე, რომ ქვეყნის იდეოლოგის როლი მწერლებს აეღოთ საკუთარ თავზე, ბოლშევიკების დაკვეთით ისინი ახალ მითებს ქმნიდნენ. მწერალი კონიუნქტურას ემორჩილებოდა.

განსხვავებული აზრის მქონეს ხალხის მტრად აცხადებდნენ და სჯიდნენ. რეპრესიებს შეეწირა ბევრი საზოგადო მოღვაწე. სტალინის ყველა ფარული თუ აშკარა მოწინააღმდეგე ფიზიკურად უნდა განადგურებულიყო. ადამიანებს იჭერდნენ, აწამებდნენ, ხვრეტდნენ ჩადენილი თუ გამოგონილი დანაშაულისთვის. ტერორმა ადამიანში ჩაკლა ღვთისგან მიმადლებული პიროვნულობა, თავისუფლება. უფლის არსებობა წარსულის გადმონაშთად იქცა, ეს იყო ადამიანის ცნობიერების უკიდურესი დეგრადირების ეპოქა.

საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, ბოლშევიკებმა დახოცილი ელიტის ნაცვლად აღზარდეს უიდეო, უპრინციპო, პარტიული ინტერესების დამცველი ფსევდოელიტა. ისინი სიხარულით ჩადგნენ ტოტალიტარული რეჟიმის სამსახურში და 1930-იანი წლებიდან მოყოლებული აყალიბებდნენ საზოგადოებრივ აზრს. სტალინის სიკვდილის შემდეგ, ე. წ. ,,ოტტეპელის“ პერიოდში, ვითარება ცოტათი იცვლება. ახალგაზრდა ნიჭიერ მწერლებს აღარ აიძულებენ პარტიისა და საბჭოთა კავშირის სადიდებელი ტექსტების შექმნას. შეუძლიათ მიმართონ იგავს, ე. წ. ეზოპეს ენას, შეფარულად, ქვეტექსტურად გამოხატონ სათქმელი. ოღონდ ღიად არ უნდა ლანძღონ პარტია და მთავრობა. თუმცა ტირანიის შიში ჯერ კიდევ ღრმად არის აღბეჭდილი ადამიანთა ცნობიერებაში.

,,ასეთ ვითარებაში მწერლობის სრული დეჰუმანიზაცია ხდება. იგი კარგავს იდეალს. იქცევა მთავრობის ხელში სათამაშო ტიკინად. კისრულობს როგორც თავის თავის, ისე სხვისი ჯალათის როლს და ერთგულად ასრულებს ამ მოვალეობას. ავიწყდება უმთავრესი (ურომლისოდაც არ არსებობს სიტყვაკაზმული მწერლობა და ხელოვნება), რომ ყოველ ადამიანში არის ერთიანი სულიერი საწყისი, რაც სიყვარულის საფუძველია. რასაც ქადაგებდნენ კონფუციუსი, ლაო-ძი, სოკრატე, ბუდა, რამაკრიშნა, მარკუს ავრელიუსი, ქრისტე. თუ ნაძალადევად და ხელოვნურად ამ ერთიან საწყისს კლასობრივად დავშლით, მაშინ სიყვარულის ადგილს სიძულვილი დაიჭერს, კეთილისას - ბოროტი. ძნელად ზნეობრიობა ვრცელდება, თორემ ამორალიზმი

თვალისდახამხამებაში იპყრობს ყველას. მათ შორის მწერლობასაც“ [ბაქრაძე, 1990:19].

,,ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ადამიანი, როცა იგი თავის-უფალია, თავისუფლება სხივური ელემენტია ადამიანში, ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? არავინ. იქ ყველაფერი აკრძალულია, რაიც არაა ბრძანებული“ [რობაქიძე, 2012:388]. რომანში ,,ჩაკლული სული“ გრიგოლ რობაქიძე დაგვანახვებს, როგორ ხრწნის და ანადგურებს მორალურად ადამიანებს საბჭოთა იდეოლოგია, როგორ სახიფათოდ მიიჩნევს რეჟიმი ადამიანთა ახლობლურ, სიყვარულსა და მეგობრობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. ახშობს მას, რადგან კარგად იცის, სწორედ ასეთ ურთიერთობაში პოვებს პიროვნების თავისუფლება გასაქანს, მასში ამჟღავნებს ყველაზე ბუნებრივად საკუთარ თვითმყოფადობას, შინაგან თავისებურებას.

,,სოციალიზმი იმანაც დაღუპა, რომ ზნეობრიობას განუდგა, მისი მომაკვდინებელი განაჩენი მაშინ დაიწერა, როცა შვილი მამას გადაჰკიდა და მამა - შვილს, დაი - ძმას და ძმა - დას, ქმარი - ცოლს და ცოლი - ქმარს, მეგობარი - მეგობარს და მეზობელი - მეზობელს. ამით სიყვარულის ის ძაფები დაწყვიტა, რომლითაც იყო შეკავშირებული საზოგადოება ყოველ დროში“ [ბაქრაძე, 1990:8]. აკაკი ბაქრაძის ამ სიტყვებს ზუსტად ეხმიანება რევაზ ინანიშვილის მოთხრობა ,,ლარა“. ,,დავრდომილი“ და ,,დისტროფირებული“ ნაპატრიმრალი მამა უგულებელყოფს ლარას თავდადებას, საკუთარ შვილსა და შვილიშვილს აბეზღებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი წყალობით დგას ფეხზე. პერსონაჟის სულის მოძრაობასა და ქმედებას სოციალისტური ფანატიზმი განაპირობებს. ავადმყოფური ერთგულება ,,ვიღაც დიდი უფროსისა“ მასში კლავს ადამიანს, მამას, ბაბუას და უსახურ მარიონეტად აქცევს. ადამიანს პიროვნებად სწორედ ოჯახის წევრების, გარშემომყოფების, ღმერთის, სამშობლოსა და საერთოდ სამყაროს სიყვარული აყალიბებს. ძალადობრივი სისტემა კი თავისი მარწუხებით კაცს ამგვარ უნარს ართმევს და ლარას მამის მსგავსად სულგაყიდულ პრიმიტივად აქცევს.

საბედნიეროდ, მრავლად იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე მწერლები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით შენიღბულად ცდილობდნენ ტოტალიტარიზმის მარწუხებისგან გაეთავისუფლებინათ პიროვნება, დაებრუნებინათ მისთვის ღვთით ბოძებული თავისუფალი ნება. ისინი მკითხველს სთავაზობდნენ იმ გზებსა და საშუალებებს, რომლებიც ადამიანმა პიროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად უნდა გაიაროს. ამისთვის საჭიროა სიკეთის კეთების მარადიული სურვილი, ადამიანებისა და საკუთარი საქმის ერთგულება, სიყვარული, სამშობლოსათვის მგზნებარე გული, მხატვრული ლიტერატურის შემეცნების უსაზღვრო წყურვილი, ზეციური მამის წიაღში დაბრუნება. თავისი მეთოდები აქვს ჭაბუა ამირეჯიბს რომანში ,,დათა თუთაშხია". თუთაშხია მუდამ მზად არის ადამიანების დასახმარებლად და სამართლიანობის აღსადგენად; თვალზე ლიბრგადაკრულ, გონებადაბნელებულ ბრბოს თავისუფლებისკენ მოუწოდებს: *,,რას შვრებით, ხალხო, რას გავხართ, თუ ხედავთ ამას?.. ვინ ხართ, თქვე უბედურებო, რა ჯიშის ხართ! რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა და, აგერ, ამ მოსასპობმა თაბაგარმა, არ ფიქრობთ?! ვერ ხედავთ ამას?!"* [ამირეჯიბი, 2019:349] - ასე გამოხატავს თავის აღშფოთებას სეთურის მიერ დამონებული ხალხის საქციელით გაოგნებული დათა თუთაშხია. საირმის ტყის ეს ამბავი ჭაბუა ამირეჯიბის მწერლური ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც თვალსაჩინოდ დაგვანახვებს ადამიანების უსახურ ბრბოდ ქცევის საშინელებას. რეალურ ცხოვრებაში ნუთუ შეიძლება ასე გადაგვარდეს ადამის მოდგმა და ცხოველს დაემსგავსოს? ბრმად და ყრუდ დაემორჩილოს მბრძანებელს, ისე, რომ ერთხელაც არ გაუჩნდეს კითხვა ,,რატომ?" ალბათ, შეიძლება. ისტორიამ ამის უამრავი მაგალითი იცის.

ანტიიმპერიალისტური და ანტისაბჭოთა სულისკვეთებით გამოირჩევა გურამ გეგეშიძის შემოქმედება. მწერალი ,,ქართლის ჭირის" ციკლის ტეტრალოგიით, რომელშიც შედის რომანები: ,,ხმა მღაღადებლისა", ,,სისხლის წვიმები", ,,ნაცრის კოშკი" და ,,ნათლისქრობა", ასახავს საქართველოს ისტორიის მძიმე ეპიზოდებს მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან უახლოეს წარსულამდე. ბატონყმობის გაუქმებით გამოწვეული სირთულეები, პირველი მსოფლიო ომის

რყევები, დამოუკიდებლობის წლები, გასაბჭოება, 1924 წლის აჯანყება, 30-იანი წლების რეპრესიები, მეორე მსოფლიო ომის უმძიმესი გავლენა, 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი პროტესტი და კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტი რეალისტურად, თითქმის ისტორიული სიზუსტით არის გადმოცემული რომანებში. ამ მოვლენების ფონზე მოთხრობილია უამრავი ადამიანის თავგადასავალი: გადასახლება, წამება, დახვრეტა, დაპატიმრება, ღალატი და გაუტანლობა, უნდობლობა და სასოწარკვეთილება, სოციალური და ეკონომიკური სიდუხჭირე, გაუცხოება, ოჯახების ნგრევა, ზნეობრივი გადაგვარება, და, რაც ყველაზე მთავარია, პიროვნების წაშლა-გაქრობა... ეს არის ეპოქა, როდესაც *,,გრძნობა დაუცველობისა, უპატრონობისა სულ ადრეულ ასაკში უყალიბდებოდათ და უვითარდებოდათ ადამიანებს იმ ყოვლად უსამართლო ქვეყანაში, სადაც ძალადობაზე იყო დამყარებული ყველაფერი"* [გეგეშიძე, 2017: 92].

რომანთა ციკლის მთავარი პერსონაჟი, უნდილაძეთა და ნიგურიანთა შტოს ჩამომავალი გიორგი უნდილაძე, გახლეჩილი და გაორებულია, ერთი მხრივ, ანტისაბჭოთა შეხედულებების ბიძა და ბაბუა, მეორე მხრივ, კომუნისტური რეჟიმის მეხოტბე მამა. მოზრდილობაში ხვდება, რომ მიხაკო ნიგურიანის მტრული დამოკიდებულება სტალინისადმი სწორია, საკუთარ ოჯახშიც კი შეუძლებელია სიმართლის ლაპარაკი: *,,საქართველოში, ქართულ ოჯახში, იგი ხშირად ხედავდა ახლობელთა გამეტებულ დაპირისპირებას და ახლა იმაზე ფიქრობდა, რა იყო ამის მიზეზი? სადაც სითბო და ურთიერთპატივისცემა, დაფასება არ არის, იქ რა ერთობაზე შეიძლება ლაპარაკი? როგორ შეიძლება იმ ერის წინსვლა, რომლის შვილები სხვადასხვა მხარეს იქაჩებიან?"* [გეგეშიძე, 2017:383]. დარღვეული, გათიშული, ინდივიდუალობადაკარგული ადამიანი, ოჯახი, საზოგადოება ვერ იპოვის გზას გადარჩენისას, თავს ვერ დააღწევს მონობას, ასე გააგრძელებს ცხოვრებას ერთი კაცის ჭკუაზე. ადამიანი, თუ ძალიან განათლებული და გონიერი არაა, შეუძლებელია არ დაემორჩილოს მის დროში გავრცელებულ იდეალებს, განსაკუთრებით რთულია ასეთ ეპოქაში საკუთარი თავისა და პიროვნების პოვნა, ერთეულებს თუ შეუძლიათ, მიხვდნენ, რომ

ადამიანი *,,სასწრაფოდ უნდა გაეცალოს აფუთფუთებულ სკასავით მოზუზუნე დედაქალაქს, სადაც მეტროში, ქუჩებში, ვაგზლებში ჭიანჭველების მწკრივივით მიედინებიან პიროვნულ ნიშანწაშლილი, აქოთქოთებული ბრბოს წევრად ქცეული ადამიანები"* [გეგეშიძე, 2017:235]. მე-20 საუკუნის პროზაიკოსი ქმნის ისეთ პერსონაჟებსაც, რომელთა საფიქრალს ეგზისტენციური საკითხები წარმოადგენს - საკუთარი დანიშნულებისა და ადგილის პოვნა სამყაროში, პიროვნული თავისუფლებისა და თვითმყოფადობის შემენა-შენარჩუნება. ვინც ფიქრობს, ხვდება, რომ *,,ამ სწრაფმავალ, მუდმივცვალებად წუთისოფელში არსებობს გარკვეული მნიშვნელობის ღირებულებები, რომლებსაც ყველა პირობებში უნდა ემსახურო, რომ თავის გატანა არ არის ადამიანის ერთადერთი მიზანი"* [გეგეშიძე, 2017:221].

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა ,,კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ საბჭოური ეპოქის თავისებურებებს საქართველოში. საბჭოთა ადამიანის ტრაგიზმი აქ აშკარად არ ჩანს, ამას თანდათან ოსტატურად შემოგვაპარებს მწერალი. მთავარი პერსონაჟისთვის ლიტერატურა ინდივიდუალური თავისუფლების სივრცეა. წიგნების კითხვითა და წაკითხულის გაანალიზებით, თვითჩაღრმავებით, საკუთარ თავთან თუ ნაწარმოების პერსონაჟებთან დიალოგით ვასიკო კეჟერაძე აღიდგენს ღვთის მიერ ბოძებულ და ადამიანებისგან წართმეულ თავისუფლებას. უდავოა, მწერალი მკითხველს თავისთავადობისკენ, საკუთარი სამყაროს შექმნისკენ მოუწოდებს, რადგან, როგორ დროსა და ეპოქაშიც უნდა ცხოვრობდეს, პიროვნული თავისუფლება მეტ-ნაკლებად მაინც თვითონ მასზეა დამოკიდებული.

ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაჟია იგი, რომლის საშუალებითაც ავტორი თითოეულ ადამიანს უჩვენებს პიროვნული ხსნის ინდივიდუალურ გზას. ამ ნაწარმოებში ყველაზე ნათლადაა გამოკვეთილი ევოლუციური განვითარების ეტაპები. იგის ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, რომ თითოეული ადამიანი გარკვეულ დროსა და სივრცეში არის მოვლენილი, რათა თავისი წილი სამყარო შეცვალოს. მისი კითხვები, მუდმივი ძიება, სიახლის

შიშის დაძლევა დასტურია თვითმყოფადობისა. ვინც კითხვებს სვამს, პასუხებსაც იღებს, ხოლო ვინც კითხვებს არ სვამს, იძულებულია, სხვების პასუხებით იცხოვროს. ამით განსხვავდება იგი ერთ დიდ ვეებერთელა თვალად ქცეული მასისგან. ქარჩხაძე იგისაც სწორედ ამიტომ დააძლევინებს ყოველგვარ შიშს და მიწის კაცობიდან ზეცის კაცობამდე აღამაღლებს. *„იგიში“, უპირველესად, სწორედ ადამიანის შინაგანი სამყაროა დახატული, ამიტომაც მწერალი იყენებს სიმბოლოებს, რათა არარაობიდან პიროვნების დაბადებისა და განვითარების რთული გზა დაგვიხატოს“* [ჯალიაშვილი, 2016: 69].

ოთარ ჩხეიძე (1920-2007) ავტორია რომანების მთელი სერიისა, რომელთა მთავარი პერსონაჟების _ გენეტიკური ხაზით ერთმანეთთან დაკავშირებული სამი თაობის ადამიანების _ ბედის ჩვენებით შექმნილია XX საუკუნეში ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ვრცელი ეპოპეა:

„ტინის ხიდი“, I-III, 1950-1955;

„ბურუსი“ - 1955;

„ჯებირი“ - 1956;

„მეჩეჩი“ - 1958;

„კვერნაქი“ - 1965;

„აღმართ-დაღმართი“ - 1967;

„ლანდები“ - 1968;

„ბორიაყი“ - 1974 (რომანი საფუძვლად დაედო რეჟისორ გიორგი შენგელაიას კინოფილმს „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ – 1985, რომელშიც მთავარი როლი შეასრულა ახალგაზრდა მსახიობმა ლევან აბაშიძემ, ეს როლი მის საუკეთესო კინოროლად ითვლება);

„ცხრაწყარო“ - 1980;

„მთაგრეხილი“ - 1984 და სხვა.

ოთარ ჩხეიძეს ეკუთვნის აგრეთვე პიესები „ვისია ვისი“ (დაიდგა 1964), „ძველი რომანსები“ (დაიდგა 1966), „თედორე“ (დაიდგა 1967), „ქეთევან“ (დაიდგა 1970); მონოგრაფიები „ვასილ ბარნოვი“ (1965) „რომანი და ისტორია“ (1976), „იტალიური დღიურები ბაირონისა“ (1976) და სხვა. რომანების ციკლი - „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“, „2001 წელი“, „მორჩილი“ და ბოლო, 22-ე რომანი „ლაზერშოუ“ (2005) გამოხატავს საქართველოში კომუნისტური რეჟიმის შემდგომდროინდელ მოვლენებს. ყოველი მათგანი მოვლენათა ცხელ კვალზე იწერებოდა და ქვეყნდებოდა და მართლაც მხატვრული მატიანე იქნება შთამომავლობისათვის, მატიანე პირუთვნელი თანამედროვისა [(ელ.რესურსი) https://enciklopedia.webnode.page/products].

ოთარ ჩხეიძის პირველი მოთხრობა 1940 წელს დაიბეჭდა, ჟურნალში „ჩვენი თაობა“, მერე გამოქვეყნდა ნოველების ციკლი „ჩემი სოფლის ეტიუდები“, ამას მოჰყვა რომანების ციკლი „მატიანე ქართლისაი“, რომლის თითოეული ნიმუშიც მეოცე საუკუნის საქართველოს მნიშვნელოვან მოვლენას აცოცხლებს და ინახავს. სამართლიანად შენიშნავს როსტომ ჩხეიძე: *„ოთარ ჩხეიძე ბიოგრაფიითაც და შემოქმედებითაც გამოსდევს XX საუკუნეს“* [ჩხეიძე, 2008:4]. ციკლის ყველა მნიშვნელოვან ტექსტში დგას პიროვნული არჩევნის პრობლემა, კონტექსტი უმთავრესად საბჭოთა ღირებულებების, პოზიციის, იდეოლოგიის მიღება-უარყოფას ემყარება. ძველი, ტრადიციული, ავთენტური, საუკუნეებით გამყარებული თუ ახალი, რაც ყოველთვის არ გულისხმობს დადებით კონოტაციას, რაც, უპირველესად, იდენტობის დაკარგვით გვემუქრება - სწორედ ეს დილემა განსაზღვრავს არაერთი პერსონაჟის პიროვნულ სიმყარეს, მდგრადობას, ცხოვრებისეულ პოზიციას.

რომანების ციკლი იხსნება „ტინის ხიდით“, რომელიც მწერალს 1950-51 წლებში ყელქცეულში დაუწერია. 30 წლის ოთარ ჩხეიძე ქმნის თავის პირველ რომანს, რომელშიც უკვე იკვეთება მისი რომანისტიკის მთავარი კონცეპტები და სტილური თავისებურებანი. *„ეს არის ოთარ ჩხეიძის ყველაზე ჟანრული, ყველაზე ყოფითი რომანი. სიმბოლურია ნაწარმოების სათაური - „ტინის ხიდი“. პატარა ღელეს პატარა ჭალა გასდევს, იქვე ლამაზი ჩანჩქერია, რომელზედაც ტინია*

გადებული, ძველისძველი ტინია ხიდისა. ორმხრივი დატვირთვა აქვს ხიდის სიმბოლიკას _ ერთი მხრივ, ძველია და წარსულის მქონე, მეორე მხრივ, არამყარია, ბეწვის ხიდსა ჰგავს, მასზე მდგარი ადამიანები ხშირად საფრთხეს განიცდიან, ცხოვრებაც ხომ ბეწვის ხიდზე სიარულია _ ფრთხილად, ფეხაკრეფით, დაკვირვებით. ახალ მშენებლობათა ეპოქაში მწერალი მაინც ძველ ხიდსა და გზას ირჩევს, ის ხიბლავს და მოსწონს" [ტურავა, 2014:275]. სწორედ ეს არჩევანი უდგათ რომანის პერსონაჟებსაც: ძველი გზა და ხიდი აირჩიონ, თუ ახალი?! ძველი _ სამშობლოს, წარსულს, ტრადიციას უკავშირდება; ახალი _ საბჭოთა ეპოქას, ახალ ღირებულებებს, სიახლეებს. ამ არჩევანს რომანში ორი პერსონაჟი, ერთმანეთთან ანტითეზურად დაპირისპირებული მუსიო და ლეონ ბადრიაშვილი წარმოაჩენენ. მუსიო განათლებული, ინტელექტუალი, კარგი გვარის შვილი, ალღოიანი პიროვნებაა, ლეონი - ახალი საქართველოს მეხოტბე, მისი მედროშე. მუსიოს ძველი, ისტორიული, ავთენტური მოსწონს, ლეონს მხოლოდ ახალი.

საბჭოთა დრომ ისეთი ადამიანები წამოატივტივა, რომელთაც „მუსიოზე მეტი არც ჭკუა ჰქონდათ, არც გონება, არც ცხოვრება წარუმართიათ უკეთ", მაგრამ მაინც მასზე მეტს მიაღწიეს, მეტი გააკეთეს. საბჭოთა ხელისუფლება რომ არაინტელექტუალურ, უწარსულო ადამიანებს აძლევდა შესაძლებლობებსა და ასპარეზს, ხშირად სწორედ ინტელექტუალისა და წარსულიანის დასამარცხებლად, ამ ეპოქის არაერთ ტექსტში აისახა. ხელმოცარულობის გამოც სძულს მუსიოს, ბროძელების უძველესი გვარის უკანასკნელ მოჰიკანს, საბჭოეთი, რაც ყველაზე კარგად ლეონ ბადრიაშვილთან დაპირისპირებაში ვლინდება. ლეონი ახალი საქართველოს ბურჯი და სიმბოლოა, მაგრამ არ აქვს ის ღრმა გრძნობა, რომელიც მუსიოს მემკვიდრეობით მიუღია და რაც მამულის სწორად, ტრადიციულად სვლას, განვითარებას გულისხმობს. ქართლის მინდვრების სულ ერთიანად საჭარხლედ გადაქცევასა და ამის სანაცვლოდ ხილის, ხორბლისა და ღვინოს მოსპობას, ბეღლის განადგურებას მუსიო ნამდვილად ვერ მოუწონებს ახალ დროს. იგი დარწმუნებულია, რომ ქართლში ახალაშენებულის კი არა, ისეც ყინწვისისა თუ უფლისციხის, ძველი ტაძრებისა და ციხეების მოსანახულებლად ივლის ხალხი. იგი *„ეროვნული ცნობიერების, თავისუფლების ერთგულია და*

ქართულ იდეას განასახიერებს აშკარად თუ დაფარულად“ [ტურავა, 2014:279]. ლეონს, მუსიოსაგან განსხვავებით, „კოლექტიური სული“ აქვს და სჯერა, რომ მართალ საქმეს ემსახურება. ლეონი არ მიეკუთვნება ფარისეველთა რიცხვს, რომლებიც მრავლად იყვნენ იმ ეპოქაში, პირიქით, გულწრფელობით გამოირჩევა, არჩეული გზის სისწორეში წამითაც არ ეპარება ეჭვი. მწერლისეული დაპირისპირება ორი თვითკმარი, გამორჩეული პიროვნების ჭიდილს ასახავს და არა უთანასწორო ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის იდეების მატარებელი რომანში მუსიოა, ლეონ ბადრიაშვილის პიროვნული არჩევანი ღირსეულად არის წარმოჩენილი, ეს პერსონაჟი ციკლის სხვა რომანებშიც გადავა და მწერალი მის სახეს ახალ შტრიხებს შესძენს, თუმცა სწორედ „ტინის ხიდიდან“ დაიწყება მისი ლიტერატრურული ისტორია. ბროძელების ერთი ოჯახის არსებობა, სამწუხაროდ, მუსიოს სიკვდილით დასრულდა. ძველი ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლები ახალ დროში სულიერად და ფიზიკურად ნადგურდებიან, საბჭოთა ხელისუფლება მათ არც განვითარების, არც პერსპექტივის საშუალებას არ აძლევს, რაც კარგად ჩანს არა მხოლოდ ოთარ ჩხეიძის, არამედ ანტისაბჭოთა განწყობებით გამორჩეული ქართველი ავტორების ნაწარმოებებში.

ციკლის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწარმოები „ბორიაყია“, მას არაერთი მკვლევარი მიიჩნევს XX საუკუნის გამორჩეულ რომანად. „გურამ ასათიანმა სამართლიანად უწოდა „ბორიაყს“ თანამედროვე ქართული პროზის მწვერვალი“. *„ამ რომანით ოთარ ჩხეიძე უპირისპირდება არა მხოლოდ კონკრეტული დროის ძალადობას (პიროვნებაზე), სულიერებისაგან დაცლილ იმის შაბლონებსა და ეტალონებს, არამედ გასაოცარი გამბედაობით უპირისპირდება ყოველი დროის ნაჩქარევ, უგემურ, წყალ-წყალა საქმიანობებში გართულ ყოფას, ფსევდო მკითხველსა და ფსევდო ცხოვრებას“ (ნაირა გელაშვილი). ამხელს ქვეყნის წინააღმდეგობრივ, ხშირად დაუფიქრებელ, განუსჯელ ისტორიას“* [ტურავა, 2014:297-298].

1970 წელს ქართველი მწერალი ოთარ ჩხეიძე ჩარლზ დიკენსის საქციელს გაიმეორებს და მწერალთა სასახლეში, ორი დღის განმავლობაში წაიკითხავს

რომანს, რომლის დაბეჭდვასაც საბჭოთა გამომცემლობები უარობენ [https://1tv.ge/audio/pikis-saati-otar-chkheidzis-boriayis-bediswera/]. „ბორიაყი“ მხოლოდ ოთხი წლის მერე, 1974 წელს გამოქვეყნდა. ამ დროს თითქოს უკვე მიმცხრალია საბჭოური რეპრესიები, უფრო სწორად, სიკვდილით აღარ უსწორდებიან თავისუფალ სიტყვას, მაგრამ მაინც ძალიან სახიფათოა 1924 წლის აჯანყებაზე წერა, მეოცე საუკუნის ოციანი წლების სრული და ობიექტური სურათის აღდგენა.

1924 წლის აჯანყებაზე საბჭოთა პერიოდში რომ გაჭირდებოდა ნაწარმოების გამოქვეყნება, ავტორს, დაფასების ნაცვლად რომ დასჯიდნენ, ცხადია. ამიტომაც ოთარ ჩხეიძემ გამოსავალი მოძებნა და რომანი ისე ააგო, მთავარი სათქმელი სტრიქონებს შორის მოაქცია. ის შეთქმულთა დამარცხების შემდგომ პერიოდს ასახავს. ახალგაზრდა მუსიკოსი (ნიკუშა ჩაჩანიძე) ფოლკლორულ ექსპედიციას დაგეგმავს გორის რაიონის სოფლებში, მარშრუტის მონახაზს, ერთგვარ რუკას შეადგენს და, მიუხედავად მისი პროფესორის, კომპოზიტორ გიორგი ყანჩაველის, გაფრთხილებისა, ცუდი დრო არისო, მაინც გაეშურება საშური საქმის (მივიწყებული ხალხური სიმღერების ჩაწერა) აღსასრულებლად. სწორედ ეს რუკა აღმოჩნდება მტკიცებულება და ნიკუშას მასპინძელ ოჯახებს, არისტოკრატული გვარის წარმომადგენლებს, ააწიოკებენ, დააპატიმრებენ, შემდეგ კი სიკვდილითაც დასჯიან. მანამდე კი ახალგაზრდა მუსიკოსს, 1924 წლის აჯანყებაში დამარცხებული შეთქმულები, უკვე სასოწარკვეთილი გვარიშვილები, მხსნელად, თბილისიდან მოვლენილ შიკრიკად მიიჩნევენ. ამ გაუგებრობის გამო ნიკუშა უხერხულ სიტუაციაშია და მუდმივი თავის მართლების რეჟიმში იმყოფება. გმირად მიჩნეული ახალგაზრდა კომპოზიტორი ცრუგმირი აღმოჩნდება. მისი სტუმრობის ბრალი გახდება რამდენიმე ოჯახის – ხეთერელების, კათარელების, იტრიელების, არჯევნელების და კიდევ – პეტრე ვარაზნელის, გიგა მაბკურელის, ლეკო თათაშელის – ამოწყვეტა. თუმცა ეს ერთი შეხედვით. ნიკუშა ჩაჩანიძე ერთი შეხედვითაა დამნაშავე. სინამდვილეში ნიკუშა ჩაჩანიძე უდანაშაულოა, რადგან მისი მასპინძლები ისედაც განწირულები არიან [(ელრესურსი)].

„ბორიაყის“ ბოლო გამოცემის ანოტაციაში ვკითხულობთ: თავიდანვე აბსურდულად გამოიყურება ნიკუშა ჩაჩანიძის სურვილი, გაემგზავროს გორის სოფლებში ხალხური მუსიკალური ნიმუშების მოსაძიებლად, შეადგინოს თავისი სამოქმედო გეგმა და მარშრუტი და ასე იაროს კარდაკარ იმ არეულ დროში, როცა აღარავინ აღარავის ენდობა და ხალხი ისეა დაშინებული, უცხოს კი არა, კარი ლამის ერთმანეთს არ გაუღონ. უკვე საბჭოთა ხელისუფლებას ფეხი მყარად აქვს მოკიდებული საქართველოში, ქვეყანა დამარცხებულია და წელში გატეხილი. ამიტომაც ხდება, რომ ვერც მასპინძლები იჯერებენ ნიკუშა ჩაჩანიძის მოგზაურობის ნამდვილ მიზანს და მას, როგორც მხსნელს, როგორც ქვეყნის გასათავისუფლებლად რაღაც არარსებული შეთქმულების ერთ-ერთ თავკაცს, ისე უყურებენ.

1924 წლის ცნობილი აჯანყების ამბები რომანში ისეა განზოგადებული და გავრცობილი, რომ ქართული ხასიათის ზუსტ სურათსა და ეპოქის უტყუარ ანაბეჭდს იძლევა. „ბორიაყის“ სიუჟეტური ხაზი რომანის ყველა პერსონაჟს ერთგვარი არჩევნისა და დილემის წინაშე აყენებს, ასევე საფუძვლად უდევს პერსონაჟის მოულოდნელ, უცნაურ, ოსტატურ ტრანსფორმაციას, ლეკო თათაშელის გარდასახვას პიკარესკული პერსონაჟიდან ტრაგიკულამდე. სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება ერთი თავი როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანისა „აგვისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)“. წიგნი მწერლის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 2008 წელს დაიწერა და ამავე წელს გამოიცა.

წიგნის პირველი კარის მესამე თავი ასეა დასათაურებული _ მისია და ბედისწერა ლეკო თათაშელის (გვ. 87-122). *„ქართლის გარემოში მიმოფანტულიყვნენ ის იდალგოები, თვალსაჩინო გვართა ნალეკნი, რომელთა ნიშან-თვისებანიც წაადგებოდა ლეკო თათაშელის პორტრეტის გამოკვეთას, თუმც ყველაზე თვალნათლივ და სისხლსავსედ ოთარ ჩხეიძისათვის ლეკო ტატიშვილი განასახიერბდა მის პირველსაწყისს“* [ჩხეიძე, 2008:91]. ბავშვობაშივე დამახსოვრებია გარეგნობითაც, ქცევითაც და სიტყვა-პასუხითაც დახვეწილი ლეკო, განსაკუთრებით კი მისი ხმა, უჩვეულო ტემბრი. პროტოტიპის სახელი უცვლელად გადმოუტანია ტექსტში, გვარი ფონეტიკური მიმსგავსების ხერხით

შეუცვლია, რაც ზოგადად ახასიათებდა. საინტერესო, რთული და წინააღმდეგობრივი ფსიქოტიპია წარმოჩენილი ლეკო თათაშელის სახით. პირველად გურამ ასათიანმა შეადარა კირილე მიმინოშვილს, მუდამ ქეიფსა და დროსტარებაზე ორიენტირებულ აზნაურს, რომელიც ასე ოსტატურად დახატა დავით კლდიაშვილმა და შემოდგომის აზნაურთა მრავალფეროვანი გალერეა კიდევ ერთი შთამბეჭდავი პორტრეტით გაამდიდრა. მაგრამ ლეკო თათაშელი კირილე მიმინოშვილზე, პიკარესკულ ტიპზე მეტია და სწორედ ამაშია მისი სირთულეცა და ხიბლიც. „ლეკო თამადობდა და ლეკო თვრებოდა“, თითქოს ამით უნდა ამოწურულიყო მისი ამქვეყნიური და რომანისეული ფუნქცია, მაგრამ მწერალი სხვაგვარად ფიქრობდა.

„ლეკო თათაშელის ტრაგიკომიკური სახის დახატვითა და მოვლენების ფინალური განვითარებით მწერალი ხაზგასმით მიანიშნებს 1924 წლის აჯანყების სპონტანურობაზე, ლეკო თათაშელი თავისივე მახეში გაება, გაერთო საკუთარი როლით და, როცა ყველაზე ნაკლებ იყო საჭირო ფსევდო-ჩვენების მიცემა, მაშინ გადაწყვიტა არარსებულის აღირება, რითაც ნიკოც გაწირა და სხვა უამრავი ადამიანიც“ [ტურავა, 2014:295-296]. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეკო თათაშელის აღიარების მიუხედავად, ქართველი იდალგოები, 1924 წლის შეთქმულებასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული ლიახვისხეობელები, მაინც განწირულები იყვნენ.

ლეკო თათაშელის აღიარებაცა და საბოლოო სიტყვაც მაინც პიროვნულ არჩევანთან არის დაკავშირებული. *„რა ცვლილებას გამოიწვევდა მის არსებაში სულ სხვა სინამდვილეში მოულოდნელი თვალის ახელა, საით წარმართავდა მის ბუნებაში ჩაგუბებულ ენერგიას, რა უეცარ თვისებებს აღმოაჩენინებდა საკუთარ თავში? გაჰყვებოდი, გაჰყვებოდი ამაზე ფიქრს და ლეკო თათაშელის თავგადასავალიც და ბედისწერაც ამოჩნდებოდა. თუმც მარტოდენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმწვავის შუაგულში მოხვედრა ვერ გარდაქმნიდა პერსონაჟის ხასიათს ასე ძირფესვიანად, რისი მომსწრეცაა მკითხველი, ვიღაც აუცილებლად სჭირდებოდა გვერდით, ვინც საამისოდ უბიძგებდა. თუნდაც უნებლიეთ ებიძგა - ისე უნებლიეთ, არამცთუ თავიდან ვერ*

მიმხვდარიყო, ლეკოს ხასიათში ცვლილებები რომ ისახებოდა, ბოლოსაც კი ვერ გაეცნობიერებინა, სულ სხვა კაცი რომ წარმოდგა თავქეიფა მეგზურისაგან, პიკარესკული ტიპი უეცრად მონუმენტურ სახედ ამოიზიდა“ [ჩხეიძე, 2008:92]. ლეკო თათაშელის პიროვნული არჩევანი ნიკუშა ჩაჩანიძის მოულოდნელმა გამოჩენამ, მისმა ნამდვილმა და სხვებისგან მიკერებულმა მისიამ განაპირობა, ეს იყო ერთგვარი ბიძგი, რამაც პერსონაჟის ამგვარი გარდასახვა, სხვა პიროვნებად, სახედ ქცევა განაპირობა. მსოფლიო ლიტერატურამ არაერთი ასეთი ტრანსფორმაცია იცის, მაგრამ ასეთი მოულოდნელი, მყისიერი, დრამატული მაინც ნაკლებად. ვფიქრობთ, „ბორიაყის“ მხატვრულ ღირებულებას ეს ფაქტიც აძლიერებს.

„ბორიაყის“ ბოლო, 2021 წლის გამოცემას, რომელიც „ინტელექტს“ ეკუთვნის, გიორგი ლობჟანიძის შესანიშნავი წერილი ერთვის (გვ. 375-390). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს რომანი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მრავალმხრივ და საფუძვლიანად არის გამოკვლეული. გ. ლობჟანიძე წერს: *„ოთარ ჩხეიძის შემოქმედება იმიტომ არის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებისა, რომ მასთან ყველაფერს მსჭვალავს ეროვნული, ქართული ხასიათი. ამ არტისტიზმს კი საოცარი იქნებოდა გულგრილი დაეტოვებინა ქართული კინემატოგრაფი. არადა, მხოლოდ ქართული კინოს ნამდვილი გენიოსი გიორგი შენგელაია მიხვდა, რა სიღრმისა და მნიშვნელობის ფილმი შეიძლებოდა შექმნილიყო ოთარ ჩხეიძის რომანის მიხედვით. გიორგი შენგელაიას „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ მართლაც ყოველმხრივ უნიკალური ფილმია, რასაც, პირველ ყოვლისა, ლიტერატურული პირველწყაროს – გენიალური „ბორიაყის“ დიდი მხატვრული ღირებულება განაპირობებს“* [ჩხეიძე, 2021:337].

„ბორიაყის“ მიხედვით გადაღებული გიორგი შენგელაიას კინოფილმ „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობის“ სცენარის ავტორი ერლომ ახვლედიანია, იგი 1984 წელს გადაიღეს. 1986 წელს საუკეთესო რეჟისურისათვის დაჯილდოვდა „ვერცხლის დათვით“ დასავლეთ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე; 1987 წელს კი მიენიჭა ბრიტანეთის კინოინსტიტუტის პრიზი წლის საუკეთესო ფილმისათვის.

ოთარ ჩხეიძის „მატიანე ქართლისაი“ რომანების ციკლია იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ პერსონაჟები ტექსტიდან ტექსტში გადადიან, ასეთია ლეკო თათაშელიც, რომელიც მოულოდნელად, სრულიად სხვა კონტექსტში გამოჩნდა ციკლის კიდევ ერთ რომანში _ „მორჩილში“. 2004 წლის 26 მაისს დაუსრულებია მწერალს მასზე მუშაობა. ამ რომანის ანალიზს, დისერტაციის მიზნიდან გამომდინარე, დაწვრილებით არ შევუდგებით, თუმცა ვიტყვით, რომ აქაც პერსონაჟთა განვითარებას, ცხოვრების ხაზს, ამქვეყნიურ დანიშნულებას, ზოგ შემთხვევაში მისიას სწორედ პიროვნული არჩევანი, ერთგვარი დილემა განსაზღვრავს. ოთარ ჩხეიძე იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც 2003 წელს მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები ყოველგვარი გამანძილებისა და დისტანცირების გარეშე შეაფასა და სწორი დიაგნოზიც დადო. ახალი ძალისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს „მორჩილის“ პერსონაჟთა პიროვნულ არჩევანსაც და მომავალსაც.

მოცემულ თავში მოკლედ, კონცეპტუალურად მიმოვიხილეთ ქართული პროზის ნიმუშები, რომლებშიც წარმოჩენილია პიროვნული განვითარების არსი და პრობლემატიკა. სხვადასხვა ეპოქის მწერლები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და აანალიზებენ პიროვნული თავისუფლებისა და არჩევნის საკითხს, დაგვაფიქრებენ და მოგვიწოდებენ მუდმივი ძიებისა და დაფიქრებისკენ, სწორი ფასეულობების ჩამოყალიბებისა და გააზრებისკენ.

.

თავი III. პიროვნული არჩევნის იდეა ჯემალ ქარჩხაძის რომანებში

3. 1 „მდგმური“

მოცემულ თავში მიმოვიხილავთ ჯემალ ქარჩხაძის რომანებს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა ნაწარმოების დეტალური გაანალიზება, მაგრამ შევეცდებით, ტექსტები სწორედ პიროვნული არჩევნის კუთხით წარმოვაჩინოთ. „ზებულონზე“ კი მეოთხე თავიდან დავიწყებთ მსჯელობას.

„XX საუკუნის II ნახევრის ქართულ ლიტერატურაში წარმოქმნილმა ცვლილებებმა, რომლებიც განპირობებული იყო ახალი ადამიანური ღირებულებების ჩამოყალიბებით, ისტორიული ცვალებადობითა და მოვლენებით, ხელი შეუწყო მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმზე გადასვლის პროცესს. უდიდესი თავისუფალი ნების მქონე პოსტმოდერნისტი მწერალი სრულიად თავისუფალ „სივრცეში“ მოექცა. თავისუფალი ფორმები, მოქმედება, განუსაზღვრელობა, ირონია, ინტერტექსტი, ორმაგი კოდირება, წერილი, მცირე ისტორია და სხვა მნიშვნელოვანი თვისებები გამოიკვეთა XX საუკუნის 80-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში“ [მირცხულავა, 2008:8]. ამ ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენელია ჯემალ ქარჩხაძე, როგორც თვითონ ამბობს თავის „შემოქმედების კანონში“, სულიერ ნათესაობას ნიკოლოზ ბარათაშვილთან გრძნობს, უყვარს დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე, პირველი ავტორი, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში წაუკითხავს, ყოფილა ჰომეროსი [ქარჩხაძე, 2011:12]. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მის ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება მითისა და რიტუალის ენა, მოვლენების მითოსური აღქმა.

მას, უპირველეს ყოვლისა, წერის დახვეწილი მანერა და უტყუარი ალღო გამოარჩევს. კითხვაზე, როგორ აღწევს იმ მოქნილობასა და სილაღეს, ასე რომ განასხვავებს ყველასგან, ჯემალ ქარჩხაძე უპასუხებს: *„არავის გამოცდილებას არ ვეფუძნები, ჩემი გზით მივდივარ და ჩემს საკუთარ გამოცდილებას ვქმნი. საერთოდ, არა მგონია, ამ საქმეში სხვისი გამოცდილება კაცს დიდად გამოადგეს.*

ვისაც ენის ცოდნა უნდა, თავისი კერძო ბილიკი უნდა გაჭრას ენაში“ [ქარჩხაძე, 2011:12]. და მართლაც, ასე დამკვიდრდა XX საუკუნის ქართულ მწერლობაში ქარჩხაძისეული *,,თხრობის ტკბილი და სევდიანი სურნელი“* [ჯალიაშვილი, 2016:69].

,,მწერლობის დანიშნულება ადამიანის სულის კვლევაა“ - წერს ჯემალ ქარჩხაძე, და მართლაც, მთელი შემოქმედებით გამადიდებელი შუშით აკვირდება ადამიანის სულის ღრმა შრეებს და მხატვრულად გადმოგვცემს ადამიანისგან პიროვნების ,,დაბადება-ვერდაბადების“ (თამაზ ვასაძის ტერმინია) რთულ პროცესს. ერთგან ის ამბობს, რომ ნებისმიერი ცვლილება მწერლობასა და ლიტერატურაში მხოლოდ მაშინ არის ფასეული, როცა იგი თავისუფლების გზაზე დგას. მისი შემოქმედება მუდმივად ამ თემას უტრიალებს და მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში ცრუფასეულობების ნაცვლად ამკვიდრებს ჭეშმარიტ, მარადიულ ღირებულებებს.

„ქარჩხაძის პროზა, ერთი მხრივ, მიჰყვება თხრობის ტრადიციულ წესს, მაგრამ, მეორე მხრივ, მკვეთრად ინდივიდუალური და თავისთავადია, მწერლის სტილი არ არის სქემატური. ქარჩხაძის ნაწარმოებებს ზნეობრივი მაქსიმალიზმი და უკომპრომისობა ახასიათებს, პერსონაჟები კი სიკეთის მადლით არიან გაჯერებულნი“ [ტურავა, 2014:356]. თხრობის განსაკუთრებულ მანერასთან ერთად სწორედ ზნეობრივი მაქსიმალიზმია ის კონცეპტი, რომელიც ორგანულია ჯემალ ქარჩხაძის მთელი შემოქმედებისათვის, უფრო მეტიც, ეს მწერლის მსოფლმხედველობის ამოსავალი დებულებაა.

ჯემალ ქარჩხაძის პირველი მოთხრობა ,,აბზიანიძეების ოჯახი“ 1962 წელს ჟურნალ ,,მნათობში“ დაიბეჭდა. მას შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში შექმნა და გამოაქვეყნა ოცდაათამდე მოთხრობა, ექვსი რომანი, ერთი პიესა, პუბლიცისტური ნაწარმოებები და ლიტერატურული ზღაპრები. იგი ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. დავით წერედიანთან ერთად თარგმნა ისლანდიელი მწერლის, ჰალდორ კილიან ლაქსნესის ,,ატომის სადგური“, ლიონ ფოიხტვანგერის ,,ცრუ ნერონი“, რადიარდ კიპლინგისა და გრიმების ზღაპრები და სხვ.

მწერლის თხზულებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის, რუსულ, ჩეხურ, გერმანულ, შვედურ და არაბულ ენებზე. 2007 წელს გამოვიდა ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობების სრული კრებული, ამავე წელს დაიბეჭდა ლიტერატურული ზღაპრების კრებული, სახელწოდებით ,,უფლისწული და გველეშაპი.“ 2014 წელს ერთ წიგნად გამოიცა პუბლიცისტიკა, რომელშიც თავმოყრილია 1988-1998 წლებში პრესაში გამოქვეყნებული წერილები, ესეები და ინტერვიუები. ხოლო რაც შეეხება ,,შემოქმედებით კანონს“, წიგნში შესულია რჩეული ფრაგმენტები ჯემალ ქარჩხაძის ესეებიდან და ინტერვიუებიდან, რომლებიც თემატურადაა დალაგებული და დასრულებულ სურათს იძლევა მწერლის პიროვნებისა და შემოქმედებითი კონცეფციის შესახებ.

,,მდგმური“ ჯემალ ქარჩხაძის პირველი რომანია, მისი მთავარი პერსონაჟია 29 წლის უსახელო კაცი. უსახელო, ალბათ, იმიტომ, რომ მდგმური განზოგადებული სახეა თანამედროვე ადამიანისა. ავტორი გვიყვება ერთი ჩვეულებრივი კაცის ამბავს, რომელშიც თითოეული მკითხველი საკუთარ თავს ამოიცნობს. მისი ფიქრები ადამიანის დანიშნულებაზე, ცხოვრების მიზნებზე, სიძულვილზე, სიყვარულზე, შეცდომებზე, სიბრალულზე, ქონების დაგროვებაზე იმდენად ახლობელი და შინაგანია, რომ ხვდები, ეს არის ამბავი, რომელშიც შენ თავზე გიყვებიან შენზე უკეთ.

ტექსტისთვის ეპიგრაფად წამძღვარებული სიტყვები თავიდანვე შინაგანის საჭვრეტად განაწყობს ადამიანს: *,,მიზანი მაცდურია, ბატონებო. სანამ მიაღწევთ, თქვენი გგონიათ; როცა მიაღწევთ, მაშინღა მიხვდებით, რომ სხვისი ყოფილა. თუ მაიცდამაინც ისეთი მიზანი უნდა დაისახოთ, რომელსაც ვერ მიაღწევთ, წამება კია, სამაგიეროდ, რწმენაცაა“* [ქარჩხაძე, 2011:5]. ამის შემდეგ მთავარი პერსონაჟი ჰყვება ერთი ამხანაგის ამბავს, რომელსაც სანამ მიზანი ჰქონდა, სულ ღიღინებდა და ოხუნჯობდა, ამბობდა ჩემი სული ჩემს მიზანშიაო, როცა ყველაფერს მიაღწია და ოცდათორმეტი წლის ასაკში პროფესორი გახდა, მის სახეზე ღიმილსაც ვეღარ ნახავდით. ეს აკვირვებს მდგმურს და ვერ ამოუხსნია, ვერ გაუგია, რატომ ხდება ასე. რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერც ვერავინ გაგცემთ, რადგან ცხოვრება ასეა მოწყობილი, ზუსტად არავინ არაფერი იცის,

ზედაპირულად კი შეიძლება ასე ვუპასუხოთ - სანამ კაცს მიზანი აქვს, რწმენითა და სიხარულითაა სავსე, ამიტომ არასოდეს უნდა გაჩერდეს, ახალი მიზნისკენ უნდა იაროს, ყველაფრის მიუხედავად, უნდა იმოქმედოს.

როგორც ქარჩხაძის თითქმის ყველა პერსონაჟი და ადამიანთა უმეტესობა თავისი ბუნებით, ახალგაზრდა ინჟინერიც მარტოსულია, სამსახური სძულს და მეგობრები თითქმის არ ჰყავს. ისიც, ქარჩხაძის სხვა გმირების, ზებულონის, აბელის.... მსგავსად ადამიანის საიდუმლოს ამოცნობას ცდილობს, იმ საიდუმლოსი, რომელიც არც ერთი მოკვდავის წილხვდომი არაა. სიზმრად კი - უსხეულო არსებაში უხვ და უწყვეტ ნაკადად იღვრებოდა საიდუმლო ცოდნის სიამოვნება, ყოვლისმომცველი და გაუგონარი ფიქრი, განსჯა, აზროვნება - ეს ის მთავარი თანდაყოლილი ნიშნებია, რომლებითაც ადამიანი დედამიწაზე შექმნილი ყველა არსებისაგან განსხვავდება. მე-20 საუკუნის პროზაიკოსი ამ პრობლემას გამოკვეთს თითქმის ყველა ნაწარმოებში. ადამიანს პიროვნებად ჩამოყალიბებაში ეხმარება კრიტიკული აზროვნება. აღზრდის საშუალებით ეს თანდაყოლილი უნარი მყარდება და სწორ მიმართულებას იძენს.

რომანში არაფერია ნათქვამი მდგმურის ბავშვობაზე, აღზრდაზე. მას უკვე ზრდასრულობაში გვაცნობს მწერალი, თავდავიწყებით უყვარს ეგვიპტე და თავისი პატარა ოთახის კედელზე უკიდია ყველაზე იდუმალი დედოფლის, ნეფერტიტის სურათი. ფაქტია, რომ ფიქრობს ძალიან ბევრს ადამიანის დანიშნულებაზე, რაც პიროვნულობის ერთ-ერთი ნიშანია: *,,შეიძლება ადამიანის დანიშნულება ის არის, რომ დამოუკიდებელ მოვლენებს შორის კავშირი იპოვოს.“ ფიქრობს იმაზეც: ,,ნუთუ მართლა ამხელა არჩევანი მქონდა და ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული? ნუთუ მართლა სხივებივითაა ჩვენს წინ გაშლილი ნაირნაირი გზები და, საითაც მოგვეპრიანება, იქით წავალთ“*[ქარჩხაძე, 2011:99]. აქ მთავარი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარი და გამბედაობაა. ეს ორივე აკლია ჩვენს გმირს, ამიტომ უჭირს არჩევანი გააკეთოს ვნებასა და სიყვარულს, ახლადგაცნობილ დიასახლის ირინესა და დედოფალ ნეფერტიტივით უმშვენიერეს მაკას შორის: *,,ერთადერთი ნაბიჯი, ან ერთადერთი სიტყვა, პატარა, უბრალო სიტყვა, სულ ორი მარცვალი... და ახლა, ალბათ, აქ არ*

ვიქნებოდი. მაშინ სხვანაირად ვიარსებებდი, სხვა ,,მე“ ვიქნებოდი და სამყაროც სხვა სამყარო იქნებოდა“ [ქარჩხაძე, 2011:111]. მწერალს სურს დაგვარწმუნოს, რომ ჩვენზეა დამოკიდებული, ვინ ვიქნებით, ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენს ,,მეს“, ამის თვითრწმენა თუ ექნებათ ადამიანებს, უფრო პრინციპულები და თავდაჯერებულები თუ იქნებიან, პიროვნებებად შედგებიან. ნაბიჯის სიმტკიცე გაკლიაო, უთხრა ერთხელ მაკამ. ამას თვითონაც ხვდება: *,,იმ ქალთან მარტო დარჩენის მეშინია. მე ხომ შენსავით მთლიანი და მყარი არ ვარ,“* - ფიქრებით მიმართავს გულისსწორს. გზაჯვარედინის ხსენება ტექსტს რეფრენივით გასდევს, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს. მისი სიმბოლური დანიშნულება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მთელი ცხოვრება გზაჯვარედინია, არჩევანია, ჩვენი პიროვნული არჩევანი და არა ორჭოფი, მუდმივი რყევა, ეჭვი: *,,იქნებ არჩევანი ტყუილია? იქნებ ჯაჭვი დაბადებისთანავე იკვრება და ყოველ რგოლს აუცილებლობის გზით მივყავართ მომდევნო რგოლამდე? დანარჩენი გზები კი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ეჭვებმა დაგვღრღნას და უფრო მწარედ განვიცადოთ ჩვენი არსებობა?“* [ქარჩხაძე, 2011:102]. ეს ხელმოცარულთა თავისმართლებაა, სუსტების აღსარებაა. ცხოვრებას კი სუსტები არ უყვარს, მტკიცე, მყარი ნაბიჯებით სიარული უხდება. ირინესგან გაქცეული მდგმური, მთაზე ასული, კარავში კლავს თავის მყიფე ორეულს, მხოლოდ ამის შემდეგ ახსენდება მაკა. და კვლავ გაიჟღერებს რომანისთვის ეპიგრაფად წამძღვარებული სიტყვები: ,,ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად.“ ორ ბატონს ვერ დაემონება, ერთ-ერთი უნდა აირჩიოს კაცმა. ვნებასაყოლილი, ირინეს ირჩევს, მაგრამ ძალიან მალე ხვდება, რომ გზაჯვარედინზე მდგომს, მაკასთვის ხელი უნდა მოეკიდა, სახლში წაეყვანა, თავიდან დაძაბულობა იქნებოდა, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა, როლები საბოლოოდ დადგინდებოდა, ფუნქციები გადანაწილდებოდა: ირინე იქნებოდა ნაქირავები ბინის დიასახლისი, მაკა - სხივი. ვერ შეძლო, და რადგან სიყვარულის დედოფალი დაკარგა, დედოფალი ნეფერტიტის სურათსაც ადვილად შეელია. ახლა, როცა ყველაფერი გვიანია, როცა მიხვდა, რომ ცხოვრების გზაზე უამრავი შეცდომა დაუშვა და ამის მიზეზი ხან სიბეცე, ხან სულმოკლეობა, ხან ლაჩრობა, ხან მონობა იყო, ახლაღა

მიხვდა: *,,როგორ მიყვარდი და როგორ დაგკარგე! მე მაშინ დაგკარგე, როცა მონუსხულივით ვიმეორებდი, ხვალ გვიან იქნება-მეთქი, და ადგილიდან კი არ ვიძროდი“* [ქარჩხაძე, 2011:271]. წრედი შეიკრა, ეპიგრაფში გამჟღავნებული სურვილი ნაწარმოებშია ხორცშესხმული - მიზნის მიღწევისთვის მუდმივი მოქმედებაა საჭირო, ადამიანის არსებობის ერთადერთი გამართლება მოძრაობა და აქტიურობაა. ეს არის პიროვნებად შედგომის ერთ-ერთი გარანტი.

3.2 ,,ქარავანი“

,,ქარავანი“ ის რომანია, პიროვნული თავისუფლების იდეასა და არჩევნის მნიშვნელობას მძაფრად რომ გამოხატავს. ეს არის, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი ადამიანის თავგადასავალი დაბადებიდან ზრდასრულობამდე. *,,გადავწყვიტე ამჯერად ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ყოფაში დავკვირვებოდი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ადამიანს, რომელიც, მართალია, ჩვეულებრივთა ზედა ფენაში კი იმყოფება, არსებითად არაფრით არაა გამორჩეული“* [ქარჩხაძე, 2014:103]. აბელი პატარა ბიჭუნაა, რომელიც დედასთან ერთად ცხოვრობს თბილისში, ზაფხულობით სოფელში ჩადის პაპა-ბებიასთან. მარტო ყოფნა უყვარს, ფიქრობს, ბუნებაში დახეტიალობს და უცნაური კითხვები აწუხებს: *,,რატომ ბრუნდება ადამიანი ყოველთვის უკან? ან რის მიხედვით აგნებს იმას, რაც ,,საკუთარის“ სახელითაა ცნობილი? რატომ სულ პირდაპირ არ მიდის?“* [ქარჩხაძე, 2016:16]. ჰოდა, როცა კითხვებზე პასუხებს უფროსებისგან ვერ იღებს, აბელი მიდის, გზას დაადგება ნიკო ლორთქიფანიძის ,,ჭეშმარიტების მაძიებლის“ პერსონაჟის ალის მსგავსად. თითქოს გასაკვირი არაფერია, ყველა ბავშვი ხომ მეტ-ნაკლებად ცნობისმოყვარეა და თავს აბეზრებს უფროსებს ზედმეტი შეკითხვებით. როგორ იქცევიან ამ დროს უფროსები? სავარაუდოდ, მწერალი სწორედ ამ თემაზე დაგვაფიქრებს, ადამიანს თანდაყოლილი აქვს მსჯელობისა და აზროვნების უნარი, მთავარია, ისე წარიმართოს თავისი ცხოვრება, რომ ოჯახმა, ახლობლებმა, გარემომ არ დაბლოკონ, არ ჩაკლან მასში ძიების სურვილი. უღრანი ტყიდან უკან

მობრუნებულს, ერთი სული აქვს, ბაბუამ მაინც ჰკითხოს წასვლის ნამდვილი მიზეზი, მაგრამ ისიც, როგორც სხვები, არაფერს ამბობს. მხოლოდ ხუმრობითა და ქილიკით ეკითხება რამდენიმე მეზობელი: ,,მაინც სად მიდიოდი?" როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში, ბავშვს უნდა მივცეთ ემოციის გამოხატვის საშუალება, შეძლებისდაგვარად დავუკმაყოფილოთ ცნობისმოყვარეობა და არც ერთ თემას არ დავადოთ ტაბუ. ჯემალ ქარჩხაძე ადამიანის განვითარების ამ ეტაპებს ისეთი ფსიქოლოგიური სიღრმითა და მხატვრული ოსტატობით აღწერს, რომ მკითხველი დიდი ინტერესით ივსება. მუდმივად სიახლეების ძიება, მოქმედება, წინსვლა, გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი სურვილი განვითარებისა აქცევს აბელს პიროვნებად: *,,რა იცოდნენ, რომ აბელი ისეთ გზას ადგა, რომელიც მხოლოდ წინ მიდის და უკან არსდროს ბრუნდება"* [ქარჩხაძე, 2016:28]. რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რადგან არავის ეცალა მისი აღზრდისთვის, არც მაგალითი ჰქონია პიროვნულობისა: *,,ბებია ნაკლებად ახსოვდა აბელს, რადგან ბებია პიროვნება კი არ იყო, არამედ პაპის ერთგვარი დანამატი"* [ქარჩხაძე, 2016:45], - გვამცნობს მწერალი და დღეისთვისაც არანაკლებ აქტუალურ პრობლემას წამოწევს წინ. ქალი იქცევა ხოლმე ქმრის აჩრდილად, კარგავს საკუთარ თავს, ინდივიდუალობას, ამას ხშირად ქართველი კაცის აზიატური, დიქტატორული ბუნება განაპირობებს. პროზაიკოსი პიროვნულობის საკითხს განზოგადებულ ჭრილში წარმოაჩენს, მიუხედავად ყველანაირი გარემოებისა, ეპოქისა, სოციალური მდგომარეობისა, თითოეული ადამიანის დაბადება განსაკუთრებული მოვლენაა და თვითონ არ უნდა დაუკარგოს ამ მოვლენას განსაკუთრებულობა, არ უნდა გაითქვიფოს, გადადნეს, გაიხსნას სხვაში. აბელი განაგრძობს ძიებას, აკვირდება მოვლენებს, თითოეულ გადაწყვეტილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, მაღაზიაში გრძელი გზით წავიდეს თუ მოკლეზე მოჭრას და ფიქრობს: *,,თითოეული ნაბიჯი უნდა წყვეტდეს კაცის ბედს. მარჯვნივ გადადგამ ნაბიჯს, ასე აეწყობა ცხოვრება, მარცხნივ გადადგამ, ასე აეწყობა. არჩევანი შენს ხელთაა"* [ქარჩხაძე , 2016:48]. ამ ფიქრებით შთაგონებულმა, იქნებ გაუაზრებლად, გაუცნობიერებლად აღქმული, რომ პიროვნებად

ფორმირებისთვის საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაა უმნიშვნელოვანესი, *,,გადაწყვიტა, ახლავე გამოეყენებინა არჩევანის თავისუფლება და მკვეთრად შეეცვალა თავისი ცხოვრება. ამ მიზნით გრძელი გზით წასვლა დააპირა, მაგრამ პირველი ნაბიჯი რომ უნდა გადაედგა, შეჩერდა. მართლა გრძელი გზით წასვლა შეცვლის ცხოვრებას? მართლა ჩვენს ხელთაა არჩევანი?"* [ქარჩხაძე , 2016:64]. რასაკვირველია, ეს ორჭოფობაც ბუნებრივია. ვის გაუცია დაზუსტებული პასუხები ამ კითხვებზე, თუმცა როცა კითხვებს სვამ, ეს უკვე ნიშანია იმისა, რომ აზროვნებ, ეძიებ, ვითარდები, შენეულად იზრდები, პიროვნებას ემსგავსები: *,,უპასუხო კითხვები უპასუხო კითხვებია, მაგარამ თავის საქმეს მაინც აკეთებს და ნელ-ნელა, ჯიუტად, გულმოდგინედ, როგორც წვეთ-წვეთად ჩამომდინარე წყალი ბურღავს კლდეს"* [ქარჩხაძე, 2016:69]. ცხოვრება გზაჯვარედინებითაა სავსე, როგორც ზღაპარი. განსხვავება ერთია, ზღაპარში ერთ მხარეს აწერია: ,,აქეთ წახვალ, გადარჩები", მეორე მხარეს - ,,აქეთ წახვალ, დაიღუპები", რეალობაში კი არ იცი, რას მოგიტანს დღევანდელი არჩევანი, საით არის გადარჩენის გზა. ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს ნოველა ,,მონა", რომელშიც ავტორი მოუწოდებს მონობას შეგუებულ ადამიანს, რომ მაღლა ასწიოს თავი, შეისუნთქოს ჰაერი, მოსეს კვერთხი და დავითის შურდული მისცემს თავისუფლებას. მაგრამ თუ კაცი ვერ იპოვის საკუთარ თავში ძალას, დაძლიოს შიში, მოიკრიბოს გამბედაობა, მონად დარჩება მუდამ. პიროვნულ თავისუფლებას გამბედაობა სჭირდება და პირიქით, გამბედაობას სჭირდება პიროვნული თავისუფლება. ადამიანი ურთიერთობებში ყალიბდება, ხანდახან ერთი პიროვნება შეიძლება მოდელად ექცეს მეორეს, სრულად შეცვალოს ცხოვრება. აბელის ცხოვრებაში ასეთი მირიანი აღმოჩნდა, მუდამ უფროსი ძმის მონატრული, ძმასაც იძენს, უფაქიზეს მეგობარსაც და ცხოვრების მასწავლებელსაც. მირიანი და მისი ოჯახი აბელის ჯერ კიდევ ნედლ, თოთო პიროვნულობას რწმენითა და განათლებით ამყარებენ. პირველად ნახა მათ ოჯახში ამდენი წიგნი ერთად და ბიბლია. სწორედ აქ ვლინდება აბელის გონიერება და თვითმყოფადობა, ცხოვრება მუდმივად გვაჩვენებს გზას, მაგრამ თუ სულიერი თვალი დახშული გაქვს, ვერასდროს გამოიყენებ სწორად.

აქ შეიძლება ვახსენოთ ჩვენი საკვლევი თემის ,,ზებულონის“ მთავარი პერსონაჟი. მასაც უამრავჯერ გამოუჩნდნენ მხსნელები ბექა ამილახვრის, ნესტანისა თუ კათალიკოსის სახით, თუმცა ვერავინ და ვერაფერმა აუხილა თვალი და ვერ შეცვალა მისი ცხოვრება. აბელი კი პიროვნულ თავისუფლებას მაშინვე ავლენს, როცა სკოლის დამთავრების შემდეგ, დედის ჩაგონებით, ფიზიკის ფაკულტეტზე იწყებს სწავლას, მალევე ხვდება, რომ ეს მისი მოწოდება არ არის, თავს ანებებს, თეატრალურზე აბარებს და წარმატებული მსახიობიც დგება. ეს არის საკუთარი თავის შეცნობის მუდმივი პროცესის ერთი ეტაპი. პიროვნულობის მნიშვნელოვანი გამოცდა ჩაბარებულია - უნდა გეყოს სითამამე და თავდაჯერება, ასეთი არჩევანი რომ გააკეთო. ზოგადად ნაწარმოებში პიროვნული თავისუფლების იდეა იმდენად ყოვლისმომცველია, ეპოქის სული ნაკლებად იგრძნობა, თავად ავტორი კი ამბობს: *,,(აბელი) თუმც კი თავად ეს არ იცის, - ეპოქის ტყვეა და ეპოქის ყაიდაზეა შეკრეჭილი; რომელსაც არა აქვს ძლიერი ვნებები (მისი პროტესტიც კი თვითლიმიტირებულია); რომელიც მუდმივად უახლოვდება დუღილის წერტილს, ადუღებით კი არასდროს დუღდება. ერთი სიტყვით, საყოველდღიო გმირი მოქცეულია საყოველდღიო გარემოში და, თუ თვითაღზრდის იმპულსებს არ მივიღებთ მხედველობაში, არაფერი არ ვითარდება იმ ზომამდე, რომ რაღაც ახალი წარმოიქმნას“* [ქარჩხაძე, 2014:103]. იმ ქალაქში, რომელშიც თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს აბელი, თვალნათლივ ჩანს საბჭოთა რეჟიმისთვის დამახასიათებელი ტრაფარეტულობა, ერთფეროვნება. დიდი თვალხმიერება და სიფხიზლე მართებს ადამიანს ამ ბილწი ქალაქის აშმორებულ ჭაობში რომ არ ჩაეფლოს. ,,თუ ჩათრევა მოასწრო, მერე მორჩა, შმორის სუნი გაგიტკბებათ,“ - ასე მოძღვრავს ამ ქალაქში ახლადჩამოსულ აბელს სამსონი, რომელმაც ,,საბოლოოდ შეაქცია ზურგი ამქვეყნიურ ცხოვრებას, სადაც პატივმოყვარეობა და ეგოიზმი პარპაშებს, და თავისი საკნის დიდი სიმაღლიდან აუმღვრევლად გადმოჰყურებს ადამიანთა უაზრო ფუსფუსსა და ვნებათაღელვის ორომტრიალს“ და გედეონ რევია, რომელსაც *,,თავისი საკუთარი სათვალთვალო კოშკი ჰქონდა და საკუთარი ჭოგრიტით გაჰყურებდა ქვეყნიერებას“* [ქარჩხაძე, 2016:106]. ალბათ, სწორედ თვითაღზრდის წყალობით

ახერხებს გმირი საკუთარი თავის შენარჩუნებას. მწერალი მისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქით აღწერს მოვლენებს - ადამინთა ფამილარობას, მლიქვნელობას, მაამებლობას, მაგრამ ამას ისე აკეთებს, მკითხველი კი არ მძიმდება, პირიქით, ივსება, რადგან აქვე პოულობს შვებას: *,,ნაკლი ნაკლია, ღირსება - ღირსება, ადამიანისთვის ერთიცა და მეორეც თანაბრად ორგანულია და შესაძლებელია თანაბრად საჭიროც"* [ქარჩხაძე, 2016:124]. აქ საუბარია იმ თავმდაბლობაზე, რომლის მიხედვითაც არც ერთი ადამიანი მეორეზე მეტი არაფრით არ არის, არავის აქვს უფლება, განსაჯოს ისეთივე არსება, როგორიც თვითონაა: *,,ჩვენ ყველანი ერთმანეთისგან შევდგებით და გადავდივართ ერთმანეთში. ამაში საკვირველი არაფერია. ვისაც ეს ხელს არ აძლევას, მან საკუთარი თავი უნდა უარყოს, რადგან თავისუფლება საკუთარი თავის უარყოფით იწყება"* [ქარჩხაძე, 2016: 143]. აბელი ამ სიბრძნეს იმ ადამიანებისგან სწავლობს, რომელთაც საკუთარი სამყარო აქვთ და საკუთარი არშინით ზომავენ გარემოს. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც ცხოვრების მრავალნაცადი ბილიკები გავლილი, თავი უკვე შეცნობილი აქვთ და პიროვნებად შემდგარან. აბელი კი განაგრძობს საკუთარი თავის ჩხრეკას, კირკიტს, ნაწილებად დაშლას, შეცნობას, განაგრძობს მანამ, სანამ პასუხს არ იპოვის, თავისებურ პასუხს: *,,ვინ არის აბელი? რა უნდა? რისი მაქნისია? ...სამსონმა იცოდა, ვინ იყო სამსონი. სხვა საქმეა, რამდენად სწორია ეს ცოდნა, მაგრამ ამის დადგენა შეუძლებელია და რაკი შეუძლებელია, არცა აქვს აზრი. მთავარია, შენთვის იპოვო პასუხი, რწმენაა მთავარი"*[ქარჩხაძე , 2016:289].

3.3 ,,ანტონიო და დავითი"

,,ანტონიო და დავითი" პიროვნული არჩევნის პრიზმაში ქარჩხაძის უდავოდ განსაკუთრებული რომანია. მთავარი პერსონაჟი, ანტონიო, ევროპელი, ორმოც წელს მიტანებული კათოლიკე მღვდელია. ის ეწინააღმდეგება ზოგიერთ ქრისტიანულ დოგმას, განსჯის და ეძიებს პასუხებს, როგორ შეიძლება ამქვეყნად

მოვლენილ ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება ჰქონდეს. ამით ცდილობს, თავისი რწმენა მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს, ცოდნა სიცოცხლის ნიშნად აქციოს და საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება მოიპოვოს: *,,ეს ჩემი კერძო აზრია, და იგი შეიძლება ისეთივე მცდარი იყოს, როგორც პაპის ან რომელიმე კარდინალის აზრი. მაგრამ მე არ მოვითხოვ, ჩემი ნათქვამი ჭეშმარიტად აღიარეთ-მეთქი"* [ქარჩხაძე, 2016: 26]. მწერალი არ გვიყვება, როგორ, რა ვითარებაში გაიზარდა პერსონაჟი, მაგრამ, დამოკიდებულებების მიხედვით, აშკარად შეიძლება ვიმსჯელოთ მის პიროვნულ გამორჩეულობასა და მეტყველ სულიერებაზე, პროტესტის გრძნობა თავისუფალი აზრის აღკვეთასთან დაკავშირებით არ ასვენებს გმირს: *,,ტანჯვაა, ბართოლომეო, ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც შენს აზრს თავისუფლად არ გათქმევინებენ, რომ შეეძლოთ, თავისუფლად ფიქრსაც აგიკრძალავენ"* [ქარჩხაძე, 2016:25]. ეს მწერლისეული დისკურსი აშკარად მიგვანიშნებს საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ვითარებაზე, როცა განსხვავებული სიტყვა კი არა, აზრიც იკრძალებოდა, როცა ინდივიდუალიზმი და პიროვნულობა ჩაკლული და უგულებელყოფილი იყო. აქ შეიძლება გავიხსენოთ მწერლისეული მსოფლაღქმა, *,,რომ ჭეშმარიტი ღმერთი მხოლოდ პიროვნულ თავისუფლებაში მჟღავნდება, რადგან პიროვნული თავისუფლებაა ის სხივი, რომლითაც ადამიანი ღმერთს შეიგრძნობს"* [ქარჩხაძე, 2014: 89]. აშკარაა, ეს სხივი ანტონიოში მძაფრადაა, იმდენად მძაფრად, რომ ხვდება თვალი, გული და გონება ადამიანს იმისთვის მიეცა, თავად დაარქვას თეთრს თეთრი და შავს - შავი, თავად გაარჩიოს ავი და კარგი: *,,თვალი ღვთითა გვაქვს და სახედველად მოგვეცა, ისინი კი ჩვენს მაგივრად თვითონ იყურებიან და გვაიძულებენ თეთრი ვთქვათ იმაზე, რასაც შავად ვხედავთ. აზრიც ღვთითა გვაქვს და განსასჯელად მოგვეცა, ისინი კი გვაიძულებენ ჩვენი აზრი ჩავიხშოთ და მათი აზრის კვალობაზე ვსაჯოთ"* [ქარჩხაძე, 2016:26], - ეუბნება ის ახლადგაცნობილ მოგზაურსა და ვაჭარს, ბართოლომეოს, რომელთან ერთადაც მოხვდა კოლხეთის ერთ მიკარგულ სოფელში. სამყაროს მოწყვეტილ, ერთ ტაფობზე გაშენებულ ამ ადგილას ხალხი მონად გახდომია თავადს, ეს უკანასკნელი კი, საკუთარი ცოლის ნახევარძმას, ყაჩაღ დავითს ისე დაუმორჩილებია, შიშით ძლეულს ადამიანის სახე დაუკარგავს, ყველანაირი ზნეობა და მორალი დავიწყებია და ერთადერთ

საზრუნავად უგნური სიცოცხლის შენარჩუნება უქცევია: *,,შიშმა გონება აუმღვრია და სულის ის სანთელი დაუხშო, ურომლისოდაც ადამიანს არ შეუძლია მიხვდეს, რომ ქვეყნად იმიტომ არ მოვდივართ, სანამ სიკვდილი მოგვკლავს, ჩვენი უმთავრესი საზრუნავი სიცოცხლის შენარჩუნება იყოს"*[ქარჩხაძე, 2016:54]. ასეთი წინამძღოლის ხელში ხალხს რაღა მოეთხოვება? დავითის ეშმაკთან წილნაყარობაში დარწმუნებული ხალხი, დაზაფრული და დაშინებული, მაინც არ კარგავს სახეს.

შინაგანად თავისუფალი ადამიანი ბევრად თავდაჯერებული და გამბედავია, ამას ანტონიოს საქციელი ადასტურებს, მან დავითის მიერ ეფრემ მღვდლისთვის ჩამოცმული ქამანდის თოკი უშიშრად გადაჭრა და ყაჩაღს მიმართა: *,,რაც ამქვეყნად შიში დაგითესია, სულ შენს შიშად იქცევა, რაც ამქვეყნად მწუხარება დაგითესია, სულ შენს მწუხარებად იქცევა, რაც ამქვეყნად ცრემლი დაგიღვრია, სულ შენს ცრემლად იქცევა, რაც ამქვეყნად ტკივილი დაგითესია, სულ შენს ტკივილად იქცევა... სანამ დროა, სინანულის ჯაჭვი დაიდე ქედზე, მუხლი მოიყარე შემოქმედის წინაშე და შენდობა გამოითხოვე"*[ქარჩხაძე, 2016:69]. კიდევ ბევრი რამე უთხრა ეკლესიის ეზოში ანტონიომ დავითს, იმდენი რამე, რომ გააოგნა და დააფიქრა ყაჩაღი, ისე გააოგნა, რომ ხმამაღლა აღიარა მისი გამბედაობა და სიმამაცე: *,,გადამთიელო! დავითი რომ განრისხდება, მაშინ ღმერთიც დავითის მხარესაა. შენი ამხანაგი კი გულადი ყოფილა"* [ქარჩხაძე, 2016:70]. მართლაც, რა საშინელებაა შიში, რამდენ სისაძაგლეს ჩაადენინებს კაცს, როგორ დაამცირებს და არარაობად აქცევს, ზოგს სამშობლოს მოღალატედ აქცევს, ზოგს - ოჯახის, ზოგს - მოყვასის, ზოგს - ღმერთის, ზოგს - ყველაფრის ერთად და ასეთი ადამიანი ხომ პიროვნებად ვერასოდეს შედგება. თავისი მოქნილი, დიდაქტიკური ინტონაციით პროზაიკოსი ანტონიოს ასაუბრებს, პიროვნებას პიროვნებათა შორის: *,,შიში ყველა ადამიანს დაბადებითვე თან დაჰყვება, მაგრამ ზოგს ჰყოფნის გამბედაობა, თვალი გაუსწოროს თავის შიშს, ზოგს - არა. ვისაც არ ჰყოფნის, ის ლაჩარი და უსამართლო ხდება. თანდაყოლილი შიში სიკვდილის შიშია, და ვინც შიშს ბატონად გაიხდის, მას ყველაზე მოსაფრთხილებელი თავისი სიცოცხლე ჰგონია"* [ქარჩხაძე, 2016:96]. ანტონიო თავისი პიროვნულობით, შემართებით, შეგონებებით კიდევ ერთხელ

არწმუნებს დავითს, რომ ,,სიცოცხლე იმად არ ღირს, მისი გულისთვის კაცი შიშს მონად გაუხდე.“ საბოლოოდ, ანტონიომ თავისი პირადი მაგალითით გაანათა ყაჩაღის სულის ბნელი კუნჭულები, უძღები შვილივით დააბრუნა, მიახვედრა, რომ სიცოცხლე მისგან სამსახურს მოითხოვს და სანამ ცოცხალია, მის წილს, ჭაპანს სხვა ვერავინ გასწევს. თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს. ეს გააზრებინა ანტონიომ დავითს, უფსკრულიდან ამოიყვანა და მისი სული მარადიული ტანჯვისგან იხსნა. ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაც ხომ ეს არის, თუნდაც ერთი გზასაცდენილი ცხვარი სამწყსოს დაუბრუნოს. თვითონ პიროვნება, განსჯის უნარის მქონე, თავდაჯერებული და გამბედავი, პასუხისმგებლობით სავსე, რასაკვირველია, არჩევანსაც სწორს გააკეთებს. *,,ავი და კარგი იმთავითვე გარჩეულია, რადგან ღვთით მონაბერი სული ყოველ კაცში სუფევს... მაგრამ გარჩევა ადვილია, არჩევა კი ძნელი. არჩევანზე რომ მიდგება საქმე, მაშინ ვიბნევით, რადგან გულისთქმა ეშმაკისგან გვაქვს“* [ქარჩხაძე, 2016:130]. სწორედ ეს არის ადამიანის პიროვნებად ქცევის უტყუარი ნიშანი, რომ გულისთქმა ეშმაკს არ დაუმორჩილოს.

3. 4 ,,იუპიტერის სინანული“

,,იუპიტერის სინანული“ ჯემალ ქარჩხაძის შემდეგი რომანია, რომელშიც ტოტალიტარული რეჟიმის ანარეკლები ცხადად აისახება. მოქმედება ძველი რომის იმპერიის ისტორიულ მოვლენებს შეეხება და მხატვრულ-შემოქმედებითად არის გარდასახული. ზნეობის საკითხები მწერალს ყოველთვის განსაკუთრებულად აწუხებს: *,, ზნეობის დაბინძურებამ ჩვენში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და პრობლემებით სავსე ჩვენს ეპოქაში, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ერთი ყველაზე მძიმე და ყველაზე საშური პრობლემა ზნეობის ეკოლოგიაა“* [ქარჩხაძე, 2014:114]. ეს მოსაზრება დაგვეხმარება ძველ რომში განვითარებული ამბები ქართულ, ხოლო ზნეობა-უზნეობა პიროვნულობის ჭრილში განვიხილოთ.

რად იქცევა ადამიანი, როცა მისი ძალაუფლება შეუზღუდავია და როგორ იქცევიან ადამიანები, როცა მათ ნებას ტირანი მართავს? ამ კითხვებზე პასუხებს მივიღებთ რომანში და კიდევ ერთხელ დავფიქრდებით იმაზე, რა იქნებოდა ეს სამყარო ადამიანებს ღვთაებრივი, სამართლებრივი ან მორალური კანონები რომ არ ზღუდავდეს. ამ კანონების დაცვა მას პიროვნებად აყალიბებს, ამაღლებს, ხოლო უგულებელყოფა ამდაბლებს, არარაობად აქცევს. *,,ჩვენ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით ამ მოთხრობის კითხვისას, რომ ისევე, როგორც არსად არ თავდება სულიერი სრულყოფილებისაკენ მარადმედინი ხაზი და უსაზღვროებისაკენ მიისწრაფვის ზემოთ, ასევე დაუსაზღვრავია სვლა ქვემოთ - უზნეობის უფსკრულებისკენ“*[ჯალიაშვილი, 2016:155].

ყოვლად ძლიერი ღვთაება, იდეათდამბადებელი, სამეუფოთა მეუფე, არსისა და არარსის მპყრობელი იუპიტერი საშინელ სინანულს მოუცავს - ადამიანებმა ზნეობრივი კანონები ფეხქვეშ გათელეს, სამყაროს ბალანსი დაირღვა. ამპარტავანი, დიდებისმოყვარე, თაღლითი, შურიანი, ცბიერი, ნიღბოსანი ნერონი მართავს რომის იმპერიას, რომელიც ხელის აუკანკალებლად, მხოლოდ წვრილმანი შურის გამო ხოცავს ადამიანებს. ასე კლავს ბრიტანიკუსს, დედამისის გერს, რომლის სიმღერაც შეშურდა. სიმღერა, ლექსების თხზვა, მსახიობობა ნერონის სისუსტეა, იმპერატორის გვირგვინთან ერთად ხელოვანის დიდებასაც ესწრაფვის და ფიქრობს, რომ ისეთი ხვედრის ღირსია, როგორიც მანამდე არავის ღირსებია. როცა მისი სიმღერის დასაცინად დედამისი აგრიპინა თხას მოიშინაურებს, ამით სიკვდილის განაჩენს განუმზადებს საკუთარ თავს. მწერალი ჩვეული ოსტატობით მიგვადევნებინებს თვალს სამეფო კარზე დატრიალებული ინტრიგებისთვის. სულმდაბალი ნერონისთვისაც კი ურთულესი აღმოჩნდება ერთგული, პატიოსანი, ჭკვიანი, პატრიოტი, გულწრფელი ადამიანების შერჩევა. ქვეშევრდომები და მცველებიც ისეთივე უზნეო, მონური მორჩილებით გაარარავებული და გადაგვარებული არიან, რომ *,,ხედავდა ამ სახეებს, რომლებსაც მონური მორჩილების ბეჭედი ესვა... უეცრად შეებრალა აგრიპინა. შეებრალა არა იმის გამო, რომ უნდა მოეკვლევინებინა - დედა რომ შვილს ქვეყნის სამასხროდ და სათრევად*

გახდის, ის რა შებრალების ღირსია!- არამედ იმის გამო, რომ ამ მონებისთვის უნდა მოეკვლევინებინა" [ქარჩხაძე, 1994:54].

ნერონის საზოგადოება მონად გახდომია ძალაუფლებას, თანამდებობას, ფუფუნებას, დიდებას, მღვრიე გასართობებს, ამ ხალხს ღრმად სწამს, რომ ფული უნივერსალური უპირატესობაა, რომელსაც ყველაფრის გაბათილება შეუძლია. *,,იქნებ საბოლოოდ არ გადავგვარებულვართ? იქნებ ნამდვილი სიყვარული ჯერ კიდევ ბოგინობს რომის იმპერიაში?"- ასე ფიქრობს, თვითონაც არანაკლებ გადაგვარებული და უზნეო დედა ნერონისა, როცა შვილის დათაფლულ წერილს მიიღებს. იხსენებს მის ბავშვობას: ,,დღესაც მახსოვს, ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნა როგორ აღელვებული დახტოდი ხოლმე სამსხვერპლოდ შერჩეული ცხოველის ირგვლივ, მერე კი, როცა დაკლავდნენ, როგორ შეუშვერდი ფუნჩულა ხელებს, როგორ აივსებდი პეშვს სისხლით და როგორ რწყავდი პაწაწკინტელა ნერგებს"* [ქარჩხაძე, 1994:79]. რომ გაიზარდა, ადამიანების სისხლით მორწყო დედამიწა, მათი ხოცვა ხელოვნებად იქცია, ყველა ჯერზე სხვადასხვა მეთოდს იგონებდა მეტი ტკობიბთვის. ისე გაერთო ამ საქმიანობით, ერთიც არავინ აღმოჩნდა ერთგული. როცა აჯანყებულების პირისპირ სულ მარტო დარჩა და სიჩუმესაც სიკვდილის სუნი ასდიოდა, ფიქრობდა: *,,ნეტა ყველა ნერონივით კანკალებს სიკვდილის მოლოდინში, თუ ნერონი განსაკუთრებით მგრძნობიარეა? რომ სცოდნოდა, სიკვდილთან შეხვედრა ასეთი ძნელი იქნებოდა, ეგებ ამდენი ხალხი არც დაეხოცა"* [ქარჩხაძე, 1994:114].

რომ სცოდნოდა.... არ იცოდა, არავის უსწავლებია, რაც შენთვის არ გინდა, იმას სხვას ნუ გაუკეთებო, არც ბავშვობაში ჩაუგონებია ვინმეს, როცა სისხლით რწყავდა ნერგებს, ეგ ცუდი საქციელიაო, სისხლისღვრა სისასტიკეაო, არც კეთილისმოქმედ გარემოში მოხვედრილა და არც ერთი კაცი არ გადაჰყრია, რომელიც თითოეულ ადამიანში უეჭველად არსებულ კეთილ მარცვალს ააღორძინებდა. და ახლა სიკვდილის პირისპირ, როდესაც არც ღმერთი, არც მეგობარი აღარ ჰყავს გვერდით, როდესაც საწამლავიც კი მოჰპარეს, მოთქვამს და გოდებს: *,,რას ერჩით, უკვდავებო, საწყალ კაცს? რატომ დაუდგინეთ, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი უნდა მოეკითხოს და ყველაფერი უნდა გადახდეს?.. რატომ*

გვადებთ ბორკილებს და რატომ არ გვაძლევთ გასაქანს, უკვდავებო? გშურთ ადამიანის თავისუფლება? თუ გეშინიათ ადამიანის თავისუფლების?" [ქარჩხაძე, 1994:119]. აი, როგორ ესმის თავისუფლება! ყველა, ვინც ფიქრობს, რომ თავისუფლება ყველაფრის უფლებაა, შეუზღუდავი, ზღვარდაუდები მოქმედებაა, ნერონის მდგომარეობაში აღმოჩნდება - საკუთარ თავს წაშლის. *,,პიროვნულობის მთავარი მოწინააღმდეგე, ჯემალ ქარჩხაძის თვალთახედვით, არის სიყალბე, ნიღბოსნობა. ისეთ ნიღბოსანს, როგორიც არის ნერონი ,,იუპიტერის სინანულში", მხოლოდ პიროვნებად ყოფნის თამაში შეუძლია, ნამდვილად მნიშვნელოვანი და საინტერესო პიროვნება ის ვერ იქნება"* [ვასაძე, 2010:288].

3. 5. ,,განზომილება"

რომანი ,,განზომილება" ჯემალ ქარჩხაძის საბოლოო, დაუსრულებელი ნაწარმოებია. თუმცა, როგორც მკვლევარი ლევან ბრეგაძე *შენიშნავს: ,,რომანში იმ მასშტაბის სამუშაოა წამოწყებული, რომ ძნელია არ გაჩნდეს კითხვა: საერთოდ შესაძლებელი კია ასეთი სამუშაოს ,,დასრულება?"* [ბრეგაძე, 2016:6]. უამრავი მხატვრული სახე, მძლავრი ფილოსოფიური შენაკადი, მწერლისთვის დამახასიათებელი დახვეწილი, მოქნილი მეტყველება, უმაღლეს ტექნიკამდე აყვანილი, ამ წიგნს შემოქმედების გვირგვინად აქცევს. სიუჟეტი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით ვითარდება: ავტორ-მთხრობლის ახალგაზრდა მწერალი კაცის იაკობისა და სალომე ერისთავის ურთიერთობა, სალომეს მამიდების სავარაუდო კავშირი იაკობის მამასთან, ქალაქ სანაკლიოს ,,უფსკრულში გადაჩეხვის" ამბავი, სოფელ ეწერში ეკლესიის გაქრობასთან დაკავშირებული უცნაურობანი, პრომეთეოს დიდებულიძის თავგდსავალი. ფაქტები საქართველოში მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულების მანძილზე მიმდინარე მოვლენების ფონზე ვითარდება. რეალური და წარმოსახული, მხატვრული და მისტიკური გარდასახვა სხვა განზომილებაში გადასასვლელად მწერლის მიერ დიდაქტიკურ-მორალისტური ინტონაციითაა შეფერილი.

ქვეყანაში შექმნილი ვითარება - კომუნისტური რეჟიმის რღვევა და თავისუფლების იდეის გაცხადება ადამიანებში დაბნეულობას იწვევს. რიკოთის გვირაბთან შეკრებილები მსჯელობენ ღმერთის არსებობაზე, სამშობლოს სიყვარულზე, არსებობისთვის ბრძოლაზე, სიცარიელის შეგრძნებაზე, თავისუფლებასა და კიდევ სხვა ბევრ რამეზე. *,,საერთო-სახალხო საკუთრება შეიძლება იყოს ცა, მზე, ვარსკვლავები, ღმერთი, ბოლოს და ბოლოს. მაგრამ არა მიწა.“ აი, კიდევ; ,,ბოროტება უპირისპირდება არა სიკეთეს, არამედ თავისუფლებას, როგორც სიკეთის მატერიალისტურ იპოსტასს“* [ქარჩხაძე, 2008:36]. აქ შეკრებილ ადამიანებს ისიც ესმით, რომ მოძრაობა თავისუფლების გარანტიაა და შეუძლებელია დამოუკიდებლობის გარეშე არსებობა. ნელ-ნელა, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, მწიფდება თავისუფლების იდეა. მწერალმა გვირაბთან ყველანაირ ქართველს მოუყარა თავი, თითოეულის ნაფიქრი და ნააზრევი დიალოგის ფორმით გადმოგვცა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ამ ამბის მოწმე და მონაწილეა. აქ არიან მორწმუნეები და ურწმუნოები, განათლებულები და გაუნათლებლები, პატრიოტები და ქვეყნის მოძულენი, მწერლის სიტყვებით, ,,ინკუბატორში გამოყვანილები“, ,,საჭურისები“, ,,წარმართები“, ,,მედავითნეები“, ,,პროკომუნისტები“, ,,დემოკრატები“, ,,კოჭლები“, ,,ბრუციანები“, ,,კუზიანები“... მწერალი ჩვეულ ხერხს არ ღალატობს - ადამიანოლოგიითაა გატაცებული. გულმოდგინედ უსმენს თანამემამულეებს, თითოეულისთვის ცალ-ცალკე და ერისთვის მთლიანად დიაგნოზის გამოტანას ცდილობს. *,,თავისუფლებისკენ სწრაფვა, ქალბატონებო და ბატონებო, სქემატურად რომ წარმოვიდგინოთ, ორგვარია; ემოციური და რაციონალური. პირველი ცხოველის ბუნებაა, მეორე ადამიანის. ქართველების დღევანდელი დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ წმინდა ემოციური სწრაფვა გახლავთ“* [ქარჩხაძე ჯ., 2008:83]. ემოციურად, გრძნობებს აყოლით ვერც ერთი ადამიანი და ერი ვერანაირ საქმეს ვერ გააკეთებს, ან თუ გააკეთებს, მის გამოსწორებას წლები დასჭირდება. ასეც მოხდა. მწერლის მიერ მოვლენების რეალური შეფასება ასეთია; *,,თავისუფლების განსაზღვრა ძალიან ძნელია. მაგრამ თავისუფლების გრძნობა კი ყოველ კაცში უნდა არსებობდეს. ჩვენთან თავისუფლება და ანარქია ტოლფასი*

ცნებები აღმოჩნდა“ [ქარჩხაძე, 2014:162]. გვირაბი და მასთან მდგომი ხალხი ალეგორიულად გაურკვეველი სიახლის მომლოდინე ერია, თავისუფლება რომ მოიპოვო, შიში უნდა დაძლიო, სიბნელის შიში, უნდე შეხვიდე გვირბში, შემდეგ რომ გახვიდე *,,ვისაც გასვლა უნდა, ჯერ უნდა შევიდეს...ვინც არ შევა, ვერ გავა. მხოლოდ მასა აქვს გასვლის შანსი, ვინც შევა. რომ გავიდეთ, უნდა შევიდეთ“* [ქარჩხაძე, 2008:81]. რიკოთის გვირაბთან 16-საათიანი დგომა ქართველი ხალხისა, იმ რყევას და ბალანსის რღვევას განასახიერებს, რომელშიც ჩვენი ქვეყანა 90-იანი წლებში იყო. და კითხვაზე, რაღა გვაბრკოლებს, რა მიზეზი არსებობს, გვირაბში შესვლა რომ შეუძლებელი იყოს, მწერალი პასუხობს: *,,ჩვენივ ნება. უკანასკნელ ხანებში რეალობის მუხტები მოგვაკლდა, სამაგიეროდ, ილუზიის მუხტები დაგვიგროვდა და წონასწორობაც დაირღვა“* [ქარჩხაძე, 2008:98]. ეს ის წონასწორობაა, რომელიც ყველა ადამიანს ესაჭიროება პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის და ყველა ხალხს - ერად შედგომისთვის.

ამის შემდეგ მწერლის მიერ მოყვანილი ,,უფლისწულისა და გველეშაპის“ ზღაპარი ერთგვარი სიმულაციაა ქართველთა ცხოვრებისა. ძალგულოვანი, ზნესრული, გამჭრიახი უფლისწული, რომელსაც ,,გაბედულებისა და ცოდნის თვალი“ ეხმარება შიშის დაძლევაში, შედის გველეშაპის ხახაში. აქ აუცილებლად მწერლის ზოგად შეხედულებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება - განათლებისა და გამბედაობის გარეშე ვერც ერთი ადამიანი ვერ ამაღლდება საკუთარ თავზე და ვერ ჩამოყალიბდება პიროვნებად - თითქმის ყველა ნაწარმოებში ჯემალ ქარჩხაძე, სხვებთან ერთად, ამ იდეასაც ატარებს. აქვე ავტორი ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, როგორ ეჩვევა ადამიანი ნებისმიერ მდგომარეობას და სხვანაირი ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, ერთადერთი რეალობა გარშემომყოფი სინამდვილე ჰგონია. და თუ დაკარგული აქვს განსჯის უნარი, იმასაც მტრად მიიჩნევს, ვინც სიახლისკენ მოუწოდებს, ასეთები კი მხოლოდ სიბრალულს იმსახურებენ: *,,განა თავისი თავი შეებრალა! ეს ხალხი შეებრალა, რომელიც გველეშაპის წიაღში ცხოვრობდა და გველეშაპის წიაღი ეგონა მთელი ქვეყნიერება“*[ქარჩხაძე, 2008:109]. კიდევ ერთი დადასტურება, რომ ადამიანი მუდმივად უნდა აზროვნებდეს, სვამდეს კითხვებს, სიახლისკენ მიისწრაფოდეს, ვითარდებოდეს. ამ მოსაზრებას

მწერალი თავისი მოხდენილი ლაკონიური ენით ასე გადმოგვცემს: ,,ადამიანის მოვალეობა ძებნაა და არა პოვნა“. თუ ქართველი ერი, თითოეული ქართველი იბრძოლებს თავისუფლების მოპოვებისთვის, *,,ნაპირი ნაპირს შეუერთდება, ნაპრალი ამოივსება, რაც დანაწევრებული იყო, ისევ გამთლიანდება და დიდი ბრძოლოდან დაბრუნებული ძლევამოსილი უფლისწული ბროლის სასახლეში ელვის ტახტზე დაბრძნდება“* [ქარჩხაძე, 2008:189].

რომანში ქალაქი სანაკლიო ერთგვარი მოდელია იმდროინდელი საქართველოსი. *,,გარდაქმნა“ პოლიტიკური ვალდებულებაა, თავისუფლება - სულ ახალი ხილი. ხელმძღვანელობაცა და ხალხიც გაოგნებულ-დამფრთხალია და არ იცის, ,,თვითონ ეს თავისუფლება სად არის და ვის ხელშია? ანდა, საერთოდ, რა არის თავისუფლება?“*[ქარჩხაძე, 2008:164]. ერთადერთი საღად და განსხვავებულად მოაზროვნე კაცი მთხრობლის ბიძა იონა კამკამიძეა, რომელიც ხვდება, რომ მარქსიზმმა მარცხი განიცადა და კომუნისტები იძირებიან.

რომანის პირველი ნაწილი, როგორც ვნახეთ, ეროვნულ თავისუფლებას ეხება, მაგრამ პიროვნული თავისუფლების გარეშე ერის თავისუფლებაც ხომ ვერ შედგება, ამიტომ მწერალი თავისი შემოქმედების ზოგად კურსს არ ღალატობს და მნიშვნელოვან ყურადღებას პიროვნების განვითარებას უთმობს. ამ პროცესებზე დასაკვირვებლად ახალი პერსონაჟი, პრომეთეოს დიდებულიძე, შემოჰყავს. მამა რეპრესიებს ემსხვერპლა, დედა გაუთხოვდა. მძიმე ბავშვობის მიუხედავად, განსჯისა და ძიების არაჩვეულებრივი უნარი აღმოაჩნდა, მისი ,,დაკვირვებები“ ერთგვარი შეჯამებაა მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიციისა. სანიმუშოდ რამდენიმეს მოვიყვანთ: ,,სანამ ვარსებობთ, ვერ გევიგებთ, რატომ ვარსებობთ, და, თუ გევიგებთ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ აღარ ვარსებობთ.“ *,,არსებობა გამოცანაა და ჩვენ ყველანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ნებით თუ ძალით - ჩვენი შესაძლებლობის კვალობაზე მხოლოდ ამ გამოცანის გამოცნობას ვლამობთ, სხვა ამის მეტი საწუთროში არაფერი გვესაქმება“* [ქარჩხაძე, 2008:182]. კიდევ ბევრი ასეთი აღმოჩენა აქვს თორმეტი წლის ასაკში სრულიად მარტო დარჩენილ ბიჭს, თანაც როგორ ეპოქაში? როცა განსხვავებული

აზრი და სიტყვა უგულებელყოფილი და დასჯილია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მწერლის პუბლიცისტურ ნააზრევს: *,,მე მუდამ იმ აზრს ვემხრობოდი, რომ ადამიანი საკუთარ თავს, არსებითად, თვითონ განაგებს და რომ შინაგანი თავისუფლება ხელშეუხებელია, ვინაიდან ძალმომრეობას შეუძლია აკრძალოს სიტყვა, მაგრამ არა აზრი, ან, მეტი რადიკალიზმით თუ ვიტყვით, ხელი მიუწვდება სიცოცხლეზე, მაგრამ არა უკვდავებაზე. პრინციპულად ეს, ალბათ, მართლა ასეა- ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტი თავისუფლება მდგომარეობს არა განთავისუფლებაში, არამედ თავისუფლების შეცნობაში"* [ქარჩხაძე, 2014:92]. ეს საოცარი განსაზღვრება შინაგან თავისუფლებაზე, ალბათ, ეთანხმება ფსიქოლოგების ვარაუდს, რომ ადამიანის პიროვნებად შექმნაში გენეტიკურ კოდსა და აღზრდას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ეს სწორედ ის ნახევარია, რომელზეც მწერალი საუბრობს. უდავოდ, პრომეთეოს დიდებულიძეში არის თავისუფლების მძლავრი შინაგანი იმპულსები, რომლებიც ვერც ეპოქის ზეგავლენით და ვერც აღზრდის ნაკლებობით ვერ ჩაკვდა. მწერალი სწორედ ამას გვასწავლის, არასდროსაა გვიანი საკუთარ თავზე მუშაობის დაწყება, თვითაღზრდა, უფრო მეტიც, გვიანი კი არა, მუდმივი და აუცილებელი პროცესია. და თუ არ გაგვიმართლა, არც შესაბამის ეპოქაში დავიბადეთ, არც მშობლებმა და სკოლამ იზრუნეს ჩვენს პიროვნულ თავისუფლებაზე, არც ვინმე გადაგვეყარა ცხოვრების გზაზე, ვინც ამ საკითხზე დაგვაფიქრებს, მაშინ ერთადერთი გამოსავალი თვითაღზრდაა და ამაში ყველაზე უტყუარი წიგნებია და ჩვენც დავიჯეროთ პროზაიკოსის სიტყვები: *,,წიგნებში შეიძლება უფრო მეტი ამოვიკითხოთ, ვიდრე წერია"* [ქარჩხაძე, 2008:199]. განათლება არის შუქურა, რომელსაც ადამიანის სული სიბნელიდან ამოჰყავს და ცხოველური საწყისის დაძლევაში ეხმარება, რაც პიროვნული თავისუფლებისა და შემდეგ პიროვნული არჩევნის უტყუარი პირობაა.

ჯემალ ქარჩხაძის ყველა რომანის მთავარი კონცეპტი, რომელ ისტორიულ დროსა და სივრცეშიც უნდა ვითარდებოდეს მოვლენები, პიროვნების იდენტობაა. წარსულსა თუ თამედროვეობაზე შექმნილ მის ნაწარმოებებში ძირითადი საკითხია პერსონაჟის შინაგანი სამყაროს ფსიქოლოგიური სიზუსტით შესწავლა. თვითონ სწავლობს, აკვირდება და მკითხველს შთააგონებს ინდივიდის უზენაესობის იდეას.

ნაშრომში ხშირად გვიწევს ფსიქოლოგიური წყაროების დამოწმება, რაც ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, რომ თავად ჯემალ ქარჩხაძეა უდიდესი ფსიქოლოგი. არ შეიძლება მისი ნაწარმოებებიი მიმოიხილო და ფსიქოლოგიას გვერდი აუარო. შემოქმედის მთავარი ნიშა სწორედ პიროვნების ფსიქოლოგიის ღრმა და დეტალური ანალიზია, რაც მკითხველთან მკაფიოდ, ნათლად და სხარტად მოაქვს. ადამიანის სულისა და გონების ტეხილების ესოდენ რეალურად, ემოციურად, მხატვრულად და მარტივად გადმოცემა ურთულესი ამოცანაა.

თავი IV. პიროვნული არჩევანი „ზებულონის“ მიხედვით

4.1. ზებულონის სიყმაწვილე

,,ზებულონი“ ჯემალ ქარჩხძის მეოთხე რომანია. იგი პირველად 1988 წელს გამოქვეყნდა. ამ დროს უკვე დაწერილია ,,მდგმური“, ,,ქარავანი“, ,,ანტონიო და დავითი“, რომლებშიც მხატვრულად არის ხორცშესხმული ქართული ხასიათი, როგორც რთული და წინააღმდეგობრივი, მრავალწახნაგოვანი ფენომენი. ეს არის შემოქმედების ის პერიოდი, როდესაც იწყება ისტორიისა და თანამედროვეობის ერთ მთლიანობად წარმოდგენის ბელეტრისტული დისკურსი. ჯემალ ქარჩხაძეს ისტორია, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აინტერესებს, როგორც ქართველი კაცის ხასიათის გამოვლინება. ამ საკითხის შესახებ მას აქვს საკუთარი, საკმაოდ ღრმა და მწყობრი ფსიქოლოგიურ - ფილოსოფიური კონცეფცია, რომელსაც ყოველთვის უძებნის ორიგინალურ მხატვრულ რეალიზაციას.

ჯემალ ქარჩხაძე სამწერლო ასპარეზზე თავისუფლების მოთხოვნით შემოდის, ყველა მისი ნაწარმოები ამ სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ადამიანი თუ დაკარგავს ღვთისგან ბოძებულ პიროვნულ თვითმყოფადობას, გზააბნეული იბორიალებს წუთისოფლის ლაბირინთებში და ვერასდროს იპოვის გზას სამზეოსკენ.

ზებულონი ბიბლიური იაკობის მეათე შვილის სახელია და ამაღლებას, განდიდებას, შეწყნარებას ნიშნავს. შესაძლოა, მოცემულ სახელს პერსონაჟის განზოგადებისთვის არსებითი მნიშვნელობა არ მივანიჭოთ, რადგან ჯემალ ქარჩხაძეს ახასიათებს რელიგიური სახელების მოხმობა, მაგალითად: „ქარავანში“ - აბელი, „ანტონიო და დავითში“ - დავითი, „სოლომონიანში“ - სოლომონი და ასე შემდეგ. მოთხრობა ,,ზებულონის“ მთავარი გმირი მშობლების ერთადერთი შვილია. ზებულონის შემდეგ ოთხი შვილი ეყოლათ, რომლებიც პირველსავე კვირაში დაეხოცათ. ,,ზებულონი, ცალთვალა ისახარის ვაჟი, წყაროსთვალში

დაიბადა, წყაროსთვალში გაიზარდა და, თვრამეტი წლისა ისე შეიქნა, იქიდან ფეხი არ მოუცვლია“ [ქარჩხაძე, 2016:6] თავისი მარტივი, სადა ენით გვამცნობს პროზაიკოსი. ყურადღებამისაქცევია სოფლის სახელწოდება ,,წყაროსთვალი“. წყაროს ორმაგი მნიშვნელობა აქვს - ახალ, მდინარ წყალს ნიშნავს და სულიერად ცხოველმყოფელ სიცოცხლის მომნიჭებელს, სწორედ ამ მნიშვნელობით ამბობს მაცხოვარი *,,ღმერთი არს წყარო წყლისა ცხოველისა“* (იერემია: 2.13). ცხოველ წყალში იესო ქრისტე საკუთარ თავს მოიაზრებს, რომლის მოძღვრებასაც მთელი სიმძფრით უნდა დაეწაფოს გონიერი კაცი. ვინც ქრისტეს მოძღვრებას ისმენს, ის სულის წყურვილსაც იმშვიდებს და აღმოიცენებს რწმენას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წყაროსთვალთან განშორებით ზებულონი ქრისტეს ნათელს განეშორება და კარგავს ღვითბოძებულ მადლს. მისი ცხოვრება ბობოქარ ზღვაში გემის უმისამართო ხეტიალს ემსგავსება, ეს მას მერე, რაც *,,მეცხრამეტე გაზაფხული წარღვნასავით მოვარდა და ყველაფერი ულმობლად ქვეშ დაიტანა“* [ქარჩხაძე, 2016:7].

რატომ ვერ შედგა ზებულონისგან პიროვნება? დავიწყოთ მისი ბავშვობით. ჯერ მიმოვიხილოთ პიროვნების ცნება. როგორც ბევრ სხვა საკითხში, ვერც პიროვნულობის განმარტებასა და პირდაპირი გზით გაზომვის საშუალებებზე თანხმდებიან ფსიქოლოგები. მასზე დასკვნის გამოტანა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ ქცევებიდან გამომდინარე, რომლებსაც მის ამსახველად მიიჩნევენ. პიროვნულობის სხვადასხვა თეორია იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რამდენადაც ისინი ქცევის განმსაზრვრელად მიიჩნევენ ინდივიდს. თუ სიტუაცია პიროვნების განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ, მაშინ ერთსა და იმავე სიტუაციაში ჩვენ ყველანი იდენტურად მოვიქცევით, რაც არასწორია. ფსიქოლოგების აზრით, სინამდვილეში სიტუაციაზე შეიძლება გავლენას ახდენდეს შინაგანი მოვლენები. სხვადასხვა ადამიანი ერთსა და იმავე სიტუაციას სხვადასხვანაირად ხედავდეს. უახლესი თეორიების თანახმად კი, როგორც სიტუაციური, ისე ინდივიდუალური ფაქტორები ახდენს გავლენას იმ გამძლე და მტკიცე მახასიათებლებზე, რომლებსაც ჩვენ ,,პიროვნულობას“ ვუწოდებთ. პიროვნებისადმი მიდგომები განსხვავდება იმის მიხედვითაც, ისინი ადამიანებს

ტიპებად ყოფენ თუ ამა თუ იმ თვისებას მიაწერენ. გერმანული წარმოშობის ინგლისელი ფილოსოფოსის ჰანს აიზენკის მიდგომა (1916-1997), რომელმაც შექმნა პიროვნების ოთხგანზომილებიანი იერარქიული მოდელი და და პიროვნული ტიპების კლასიფიკაცია, ორივეს აერთიანებს, მან ორი განზომილება განსაზღვრა, ერთი-ერთი ინტროვერტ-ექსტროვერტობაა. ადამიანთა ძალიან მცირე ნაწილი მიეკუთვნება ერთ კონკრეტულ ტიპს, რადგან მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასვა განზომილების რამდენიმე თვისება. ამ თეორიის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზებულონი ადამიანთა იმ მცირე ნაწილს მიეკუთვნება, რომელთაც მხოლოდ ინტროვერტული თვისებები აქვთ.

ზებულონს თანატოლებში თამაშს მუდამ მარტო ყოფნა ურჩევნია. *,,მარტოობა შვება და ნუგეში იყო, საკუთარი თავი კი საუკეთესო მეგობარი და გულის მესაიდუმლე“*[ქარჩხაძე, 2016:11]. ინტროვერტობა ნაკლი არ არის, მაგრამ, როგორც ყველა საკითხში, რადიკალურობა აქაც უსარგებლოა. შესაძლოა, თანატოლებთან საერთოს ვერ პოულობდე, მაგრამ ის, რომ კომუნიკაცია არ შეგიძლია, უკვე პრობლემაა, რადგან სოციალური ურთიერთობები გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის ევოლუციაში, განვითარებასა და ყოველდღიურ სოციალიზაციაში. კარგად თუ დავაკვირდებით, პრობლემის საწყისი უფრო სიღრმეებში უნდა ვეძებოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფროიდის მიხედვით, პიროვნების ფორმირებაში ხუთ წლამდე ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სად არიან მშობლები მაშინ, როდესაც ზებულონი მარტოსული დაეხეტება? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი იმდენად არიან თავიანთ უბედურებაში ჩაძირულნი (ოთხი შვილი დაეღუპათ), რომ არ მონაწილეობენ მის აღზრდაში, ვერც გრძნობენ აღზრდის აუცილებლობას. დასაწყისში ბავშვი კომუნიკაციას წესით მათგან უნდა სწავლობდეს, მაგრამ ეს მისთვის უცხოა, რადგან დედ-მამა არათუ მას, ერთმანეთსაც თითქმის არ ეკონტაქტება. ალბათ, იმ ეპოქაში სწორად არავინ იაზრებს (ალბათ არც სცხელათ), რამხელა როლი აკისრია მშობლის ჩართულობას ბავშვის პიროვნებად ფორმირების გზაზე. *„რაკი საჭიროება მოითხოვდა, ომის სამზადისსაც ჩვეული მუყაითობით მიჰყო ხელი“* [ქარჩხაძე, 2016:14]. თუ ზებულონი ბრძოლას იმიტომ სწავლობს, რომ ქვეყანას ასე სჭირდება, მაშინ რატომ

არავინ ფიქრობს, რომ ასეთ ჩაკეტილ და გულჩათხრობილ ადამიანს კომუნიკაცია ესაჭიროება, აზრების გაზიარება, ემოციების გამოხატვა და არა დათრგუნვა, რადგან მათი აკუმულირება საბოლოო ჯამში ადამიანის ფსიქიკური თუ ფიზიკური მდგომარეობის რღვევას იწყებს. მერე რატომ გვიკვირს, თუ ვიღაც სადისტურად კლავს, იპარავს, ეგოისტურად ცხოვრობს ან ისეთ რამეს აკეთებს, რაც ადამიანობისგან შორს დგას? ბავშვებს ათასი კითხვა და აზრი ებადებათ, თუ მშობელს ვერ ეკითხება, სხვას ხომ უფრო ვერ ჰკითხავს. მაშინ ვინღა უნდა აუხსნას ან აჩვენოს, რა არის სწორი და არასწორი, როგორ გაარჩიოს პატარა, ჩამოუყალიბებელმა არსებამ ტყუილი და მართალი? *„ვჩხუბობთ, ახალგაზრდები არ გვივარგა-თქო! რას ჰქვია არ გვივარგა? როგორც გაზარდე, იმნაირია, რას ერჩი ახალგაზრდობას?! კეთილი გენება და დაგეყენებინა გზაზე. ისინი ჩვენგან გაუბედურებული ახალგაზრდები არიან და ახლა არ მოგწონს?“* [იოსელიანი, 2015:17]. ამას ოტია იოსელიანი წერს და განა ასე არაა ზებულონის შემთხვევაშიც? მამისთვის შიშით აზრი ვერ უკითხავს: *„მაგრამ იმ დღეს არც უცხო კაცებს უთქვამთ უცხო სიტყვები და არც მამა დათათბირებია დედას ან, თუ უცხო კაცებმა უცხო სიტყვები თქვეს და მამა დედას დაეთათბირა, ზებულონს ეს ამბავი არ შეუტყვია“* [ქარჩხაძე, 2016:33]. სად არის პასუხი ამდენ უთავბოლო კითხვაზე? ზებულონსა და ისახარს შორის ცივი, მოკრძლებული და თითქოს შიშნარევი კედელია აღმართული. ბავშვი საკაცობრიო კი არა, ყოველდღიური ყოფითი კითხვების დასმასაც ვერ ბედავს. აზრადაც არ მოსდის, დედას მაინც ჰკითხოს. როგორც იქნა, მამა გამოიჩენს ინიციატივას, იოველ ბატონიშვილის სურვილი გაუმხილოს, თუმცა, აქაც ბედის ანაბარა ტოვებს, შენვე უნდა გადაწყვიტოო. დიახ, სწორია, ბავშვმა არჩევნის გაკეთება უნდა შეძლოს და ისწავლოს. ამ შემთხვევაში ისახარი არ ცდება, მაგრამ ჩნდება შეკითხვა, თუ მანამდე არ განუვითარებიათ ეს უნარი, ასე ერთბაშად თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხს როგორ გადაჭრის? მით უმეტეს, რომ ისახარი სიტყვაძუნწობს, ლაპარაკი და განხილვაც არ უნდა ზედმეტად, რომ შვილს მისცეს გზა სწორი არჩევნისკენ, ბევრი ლაპარაკი რაღად დაგვჭირდებაო, ეუბნება.

ბავშვისთვის აუცილებელია სიყვარული, ყურადღება, სითბო, გულწრფელობა. იმის ნაცვლად, რომ მშობელმა ბავშვს განუვითაროს განსჯის უნარი, მოუსმინოს, ესაუბროს, ასწავლოს, ემოციები გაუზიაროს, ზებულონის პიროვნების რაღაც ნაწილი კვდება, იბლოკება ისე, რომ ამას მშობლები ვერც აცნობიერებენ. ისინი ვერ ხვდებიან, რა შეიძლება მოჰყვეს აღზრდის უგულებელყოფას. დიქოტომიურ გარემოში ამყოფებენ და ისეთივე უბედურ, სევდიან ბურუსში ხვევენ, როგორშიც თვითონ ცხოვრობენ. ტექსტის მიხედვით, დედ-მამა მართლმორწმუნე უნდა იყოს, თუმცაღა ისახარის სიტყვებში,რომ ლოცვაშიც არაფერი ყრია, იჭვნეულობა და მცირედმორწმუნეობა აშკარად იგრძნობა. რა თვითრწმენის ჩანერგვაზეა საუბარი, როცა მამა ღვთის რწმენაშიც მერყეობს. ვინ იზრუნებს მის რწმენასა და განათლებაზე? ვერ ურთიერთობს სხვა ადამიანებთან, შესაბამისად, უტყვ ობიექტებთან ურთიერთობით ირჩევს მარტივ გამოსავალს. არავინ ეკითხება, რაზე შეიძლება ფიქრობდეს: *,,ზებულონმა არ იცოდა, რასაც თვითონ განიცდიდა, იმას განიცდიდნენ თუ არა სხვებიც"*[ქარჩხაძე, 20016:13]. მისთვის არავის უსწავლებია თანაგრძნობა, არ იცის, რომ შეიძლება სხვასაც ჰქონდეს იგივე განცდები, როგორიც თვითონ აქვს. რამაც შესაძლოა, არასრულფასოვნების გრძნობა დაბადოს, რაც შემდგომში გადაწყვეტილების მიღებაში ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება, რადგან არ სჯერა საკუთარი თავისა. ცოდნის წყურვილი დიდი აქვს, მაგრამ ადრეულ ასაკშივე ეთრგუნება ეს უნარი, რადგან მხოლოდ საკუთარი თავი ჰყავს, კითხვები ბევრი აქვს, მაგრამ ისევ თვითონვე პასუხობს. ყურადღებამისაქცევია, ადრეულ ასაკშივე გამოვლენილი პიროვნული თვითმყოფადობა, ხასიათის სიმტკიცე: *,,უნდოდა თუ არ უნდოდა, ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ისინი იქცეოდნენ, ის თამაში ეთამაშა, რომელსაც ისინი თამაშობდნენ, იმაზე ელაპარაკა, რაზედაც ისინი ლაპარაკობდნენ. ამას კი ვერ იტანდა. ჯიუტი ხასიათი ჰქონდა და სხვების ჭკუაზე სიარული არ შეეძლო"* [ქარჩხაძე, 2016:9]. თავისუფლებისმოყვარე და განსხვავებულია ისევე, როგორც ყველა ბავშვი, მაგრამ არავინ უვითარებს, არავინ მიუთითებს ამ საოცარი უნარის მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ ეს მისი ღირსებაა და არა ნაკლი. ამ საკითხთან დაკავშირებით მაია ჯალიაშვილი წერს: *,,იგი სხვათაგან*

გამორჩეული ბავშვია, ყველასგან განრიდებული, განმარტოებული, თავის ფიქრებსა და ოცნებებში ჩაძირული. რა ელის ამ სიწმინდეს ცხოვრებაში? გაუძლებს თუ არა ცხოვრების მღვრიე ტალღების შემოტევას?"[ჯალიაშვილი, 20016:82]. ერთი მხრივ, დავეთანხმებით მაია ჯალიაშვილს, ის მართლაც წმინდა და გამორჩეული ბავშვია, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ბავშვი თავისებურად განსაკუთრებულია. ავტორი თავისი დინჯი, თანმიმდევრული, მწყობრი თხრობით ამოგზაურებს მკითხველს ზებულონის იდუმალ სამყაროში და სწორედ ამიტომ შეიძლება მხოლოდ ის მოგვეჩვენოს განსაკუთრებულ ბავშვად, მაგრამ, ვფიქრობთ, მწერალი აქცენტს უფრო მეტად არა მის გამორჩეულობაზე, არამედ აღზრდაზე აკეთებს, ხეს ფესვები სჭირდება, ფესვები კი ძირში თუ არ ასაზრდოე, ვერც ნაყოფს გამოიღებს და გახმება კიდეც.

კრიტიკოსი გია არგანაშვილის აზრით, *,,ზებულონი მარტოსული ადამიანია, თუმცა მისი მარტოსულობა ჩვეულებრივ კომპლექსებით დატვირთული, ამპარტავნებით სავსე მოზარდის განმარტოებაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ დიდებულ მარტოსულობასთან, სიბრძნის დედად რომ უნდა იქცეს"* [არგანაშვილი, 2008:8]. ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, ფაქტია, დაკომპლექსებულია. თუ მისი ძალა და გარეგნობა სოფლელებს აღაფრთოვანებს, ზებულონს *,,არათუ სიამოვნებას არ ანიჭებდა, არამედ ცოტა ეუხერხულებოდა კიდეც. ღონეცა და ტანიც, განსაკუთრებით ტანი, რომელიც ისე დაჰქონდა, თითქოს რაღაც უსიამო ტვირთი ძალად აჰკიდესო"* [ქარჩხაძე, 2016:15]. რაც შეეხება ამპარტავნებას, ტექსტში ვერსად ნახავთ ამ თვისების დადასტურებას, პირიქით, პერსონაჟი თავმდაბალია, შეიძლება ითქვას, ზედმეტად გულუბრყვილო და მიამიტიც. ზებულონი, შესაძლოა, იმ მომენტში თავის თანატოლებთან საერთო ენას ვერ პოულობს, რაც, ალბათ, მისი ინტროვერტული ხასიათიდან გამომდინარეობს. მწერალს, სავარაუდოდ, ამით იმის თქმა უნდა, რომ ყველა ადამიანი საწყისით თავისუფალი იბადება და არჩევნის საშუალებაც ეძლევა. ეს სწორედ ის გადამწყვეტი ასაკია, როდესაც პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ მშობლების დამოკიდებულებაზე ზებულონთან და პირიქით.

ფაქტობრივად, ტექსტში არ ჩანს ჩართულობა შვილის აღზრდაში. კომუნიკაცია თუ არ იცის, რა გასაკვირია, რომ საერთოს ვერ პოულობს ტოლებთან. ზღაპრულ გმირს ქმნის წარმოსახვაში, რომლისგანაც მომავალში მიიღებს პასუხებს. მანამდე კი ბუნებასთან უხმო ურთიერთობით იკმაყოფილებს ცნობისწადილს. *,,ბავშვს აღზრდა ჭირდება. ეს პედაგოგიური აქსიომაა. რატომ არიან დედამიწაზე და ჩვენს საზოგადოებრიობაშიც ბოროტები, ხარბები, შურიანები, გაიძვერები, მოღალატეები, გამცემები, მკვლელები, შურისმაძიებლები, სადისტები, გარყვნილები, მაფიოზები, ეგოისტები, ნარკომანები, ლოთები, და სხვანი და სხვანი? რამ მოამრავლა ისინი? მათ არ ზრდიდნენ, არ ჩააგონებდენენ სიკეთეს, ღვთის სიტყვას, არ უღვიძებდნენ სიყვარულს, ვერ შეეშველნენ საბედისწერო წუთებსა და პერიოდებში, ყველას, ვისაც აღზრდა აკლია, აკლია ადამიანობაც"* [ამონაშვილი, 2020 (ელრესურსი)]. თანამედროვე ქართველი პედაგოგისა და ფსიქოლოგის მოსაზრება, ვფიქრობთ, მეტად საგულისხმო და ყურადსაღებია, აღზრდას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია და თითოეული მშობელი, მასწავლებელი თავის მოვალეობად უნდა მიიჩნევდეს, სული გაუთბოს და გაულამაზოს, ხელი ჩაჰკიდოს და ცხოვრების გზაზე სიარული ასწავლოს აღსაზრდელს.

,,როცა ბავშვები ცოტა წამოიზარდნენ, ზებულონს გულმა ერთი გაწევა მაინც გაუწია მათკენ. ეს ის დრო იყო, გოგო-ბიჭები რომ უეცრად დაშორიშორდნენ, მათ შუა გამოუცნობი ზღუდე აღიმართა, უცნაური, საშიში და გადაულახავი"[ქარჩხაძე, 2016:10]. ეს ის ზღუდეა, ბავშვობასა და მოზრდილობას შორის რომ აღიმართება ხოლმე, ცნობის წადილი საპირისპირო სქესის მიმართ, ამოუხსნელი საიდუმლო, რომლის ამოხსნას *,,მხურვალე ბანგით გაბრუებულები მოგუდული ჩურჩულით ცდილობდნენ"*[ქარჩხაძე, 2016:10]. ამ დროს გაუწია გულმა ზებულონს თანატოლი ბიჭებისაკენ, მაგრამ მალე მიხვდა, რომ *,,ქალის იდუმალება უცხო და ხელუხლებელი რამ იყო, მართალია, ტკბილი და ჟრუანტელისმომგვრელი, მაგრამ ამავე დროს უხილავი და არამიწიერი, ბიჭები კი მხოლოდ იმას ცდილობდნენ, ეს შორეული სილამაზე როგორმე ხელით შეეპყროთ, მიწაზე ჩამოეთრიათ და უწმაწური მახვილსიტყვაობით დაემდაბლებინათ და მტვერში ამოეთხვარათ"* [ქარჩხაძე, 2016:11]. ერთი შეხედვით, ზებულონი სპეტაკად მოგვეჩვენება,

დანარჩენები კი გარყვნილ, თავხედ ბიჭებად. ზებულონი მართლაც ასეთია, მაგრამ ეს ხაზს არ უსვამს მის გამორჩეულობას და არც სხვებს აკნინებს, პირიქით, ლოგიკურია, რომ ამ ასაკში მის თანატოლებს საპირისპირო სქესისადმი ლტოლვა უჩნდებათ, ეს ხომ ბუნებრივი მდგომარეობაა, ის უფრო უცნაურია, ზებულონი რომ არ არის დაინტერესებული ასეთი საკითხებით. შესაძლოა, ის უფრო ბავშვურია, ნაკლებად მიწიერი და, რადგანაც არც მაინცდამაინც ცოდნით არ გამოირჩევა, ყველაფერი თავისთავადი მისთვის უცხო და მიუღებელია. მისი თანატოლები ძალიან ჰგვანან გურამ გეგშიძის მოთხრობა ,,შურისძიების“ ბიჭებს, მწერლისავე თქმით, ,,ინგლისელი ჯენტლმენები თავიანთ კლუბში“ განიხილავენ, მათთვის საინტერესო ყველა თემას, საუბრობენ ჩხუბზე, კინოზე, უფროს ბიჭებზე, გოგოებზე. ესენი არიან ჩვეულებრივი მოზარდები მათთვის დამახასიათებელი ღირებულებებითა და ინტერესებით. ზებულონი კი ასეთ ყოფიერ თემებზე საუბრისას სირცხვილის ზიზღნარევი გრძნობით ივსება. ეს პასაჟი გმირის ხასიათზე უკეთ დაკვირვებისთვის მნიშვნელოვანია.

როგორც მაია ჯალიაშვილი ამბობს, ,,ზებულონი“ ინტროვერსული რომანია. თვითონ ზებულონი კი ინტროვერტული ადამიანია. ფსიქოლოგების მოსაზრებით, ასეთებს ურჩევნიათ საკუთარ ფიქრებთან მარტო ყოფნა, დამოუკიდებლად მუშაობა, უჭირთ საზოგადოებასთან ურთიერთობა. ინტროვერტები გუნდური მუშაობისას არაკომფორტულად გრძნობენ თავს, რაც ხელს უშლის მათ, იყვნენ უფრო პროდუქტიული. ასეთია ზებულონიც - *,,მარტოობა შვება და ნუგეში იყო, საკუთარი თავი კი საუკეთესო მეგობარი და გულის მესაიდუმლე“*[ქარჩხაძე, 2016:11]. ზებულონს თავისი სამყარო აქვს და ამ სამყაროში არავის ახედებს. მწერალი ამბობს, რომ ჩვიდმეტი წლისა ის უკვე კარგი მეურნე და გაწვრთნილი მეომარი იყო. თავის წარმოსახვაში მრავალი ბრძოლა გადაიხადა, თანასოფლელებში იმითაც გამოირჩა, რომ *,,ჩვიდმეტი წლისამ მსუბუქად და ლაღად აიტაცა საჯილდაო ქვა, რომელიც იმდენ ხანს იდო უქმად სასაფლაოს პირას, რომ მისი ამწევი ძველ თქმულებებსა და გადმოცემებსაც კი არავის შემოენახა, სოფელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სახელოვანი მეომარი და საიმედო ქომაგი ეზრდებოდა“*[ქარჩხაძე, 2016:15].

ზებულონის ბავშვობის რეფლექსიისას უთუოდ აღმოვაჩენთ აღზრდის დეფიციტს, არც პასუხისმგებლობის გრძნობა განუვითარებია მისთვის ვინმეს და არც კრიტიკული აზროვნების, არც მის განათლებაზე უზრუნია ვინმეს და არც რწმენის განმტკიცებაზე. პირიქით, დაბადებითვე დაყოლილი უნარები მასში გარემომ ჩაკლა და დაბლოკა. იმთავითვე დაეხშო გზა პიროვნული თავისუფლებისკენ.

ჯემალ ქარჩხაძე ყველა დროის აქტუალურ პრობლემას, აღზრდის, განათლების, რწმენის საჭიროებას მე-20 საუკუნის თვალსაწიერიდან დაგვანახვებს. რეალისტი მწერალი მძაფრი კრიტიკულობით აღიქვამს კომუნისტურ იდეალებზე აღზრდილი თაობის იდენტობის კრიზისს და ზებულონის ბავშვობის გაანალიზებით გვთავაზობს გზას პიროვნული განვითარებისაკენ.

მწერალი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ზებულონის ცხოვრების შემდეგ ეტაპებს. „იყო და არა იყო რა“... ყველა ზღაპარი ასე იწყება. ოცნებებისა და წარმოსახვის სამყაროთი მონუსხული მკითხველი მშვიდად ელოდება კეთილ დასასრულს, ჰეფი ენდს. თითოეული ზღაპარი განსაკუთრებულია, მაგრამ ბოლო ერთია - სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს და ყველა ბედნიერია. ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებისთვის უცხო არ არის ზღაპრის ელემენტები, მითისა და რიტუალის ენა. იგი ავტორია ლიტერატურული ზღაპრებისა და ეს ჟანრი ორ რომანში, ,,მდგმურსა“ და ,,განზომილებაშიც“ აქვს გამოყენებული.

როგორც კრიტიკოსი თ. ჩოკორაია შენიშნავს, *„მდგმური“ არის რომანი, რომელიც რეალურ მოვლენებსა და ცხოვრებისეულ კანონზომიერებებს ასახავს, ქრონოტოპიც შესაბამისია. თუმცა, დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს ავტორის მცდელობას, ხაზი გაუსვას ზღაპრულ ელემენტებთან სიახლოვეს“*[ჩოკორაია, 2016:22].

ზღაპარი ,,უფლისწული და გველეშაპი“, რომელიც რომან ,,განზომილებაშია“ ჩართული, ფილოსოფიური ხასიათისაა. მასში უფლისწულისა და გველეშაპის დაპირისპირების მარადიული თემაა წარმოდგენილი.

,,ბედნიერების მაძიებელი უფლისწული“ ჯემალ ქარჩხაძის პირველი ზღაპარია, რომლის მთავარ პერსონაჟს ბედნიერების სანაცვლოდ სთავაზობენ უძლეველობას, სიბრძნესა და ყველა ნატვრის ასრულებას. საბოლოოდ გმირი ხვდება, რომ ყველაფერი წარმავალია და სრულყოფილ ბედნიერებას ვერავინ მიაღწევს.

ზებულონს თავისი ზღაპრების სამყარო აქვს. ერთი მათგანი, ყველაზე გამორჩეული და განსხვავებული, იოველ ბატონიშვილის ზღაპარია, ხოლო სხვა დანარჩენი, ასე თუ ისე, ერთმანეთს ჰგავს - მძლეთამძლე ჭაბუკი გადალახავს ყველა დაბრკოლებას, მზეთუნახავს შეირთავს ცოლად და ,,ცხოვრობენ ტკბილად და ბედნიერად“. ასეთი დასასრული არ მოსწონს ზებულონს, რადგან *„ამგვარი დასასრული მართლა დასასრული იყო, ყველაფრის დასასრული“, რადგან როცა მზეთუნახავს შეირთავ, ხელმწიფედ დაჯდები და ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობ, მეტი რაღა უნდა მოხდეს!“* [ქარჩხაძე, 2016:16]. როგორც ჩანს, მეზღაპრე-პერსონაჟს სირთულეებისა და თავგადასავლების მოყვარული ბუნება აქვს. ხიბლავს დაბრკოლებებით აღსასვე გზა და მისეული ზღაპარი სხვაგვარია - იოველ ბატონიშვილის ზღაპარს „დასასრული არ ჰქონდა“. ამ სამყაროში მისთვის ყველაზე ამაღლებული მხოლოდ და მხოლოდ იოველ *ბატონიშვილია: „იგი ერთადერთი იყო, გამორჩეული, ყველასგან განსხვავებული და განსხვავებულად ამაღლებული“* [ქარჩხაძე, 2016:16]. შეიძლება ითქვას, რომ ზებულონი, არაპრაქტიკული, არარაციონალური, ზედმეტად მეოცნებეა, რადგან იდეალად ისახავს ისეთ პიროვნებას, რომელზედაც მხოლოდ ლეგენდები სმენია და თვალითაც არ უნახავს. რომელ ჭკვიან ადამიანს უყვარს ცხოვრების განზრახ გართულება, ყველა ბრძენმა და გამოცდილმა იცის, რომ სიმარტივეშია სიადიადე. მხოლოდ შლეგს თუ მოხიბლავს, ზღაპრების ტრაგიკული დასასრული.

სანამ იოველ ბატონიშვილს პირადად ნახავდა, ზებულონს თანასოფლელებისგან მასზე უამრავი ამბავი ესმოდა, დაუჯერებელი და უცხოდ საკვირველი ამბები, რომლებსაც ზღაპრებივით ჰყვებოდნენ... ფრთხილად მიიწევს ზებულონი „უცხოდ გაცისკროვნებული ზღაპრისკენ“ და ცდილობს *,,ადამიანის*

საიდუმლოს ამოხსნას“ [ქარჩხაძე, 2016:19]. ამ ეპიზოდში ზებულონი ძალიან ჰგავს ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის ,,ჭეშმარიტების მაძიებელის“ მთავარ პერსონაჟს, ალის. ისიც მარტოსული, ბუნების ყურისმგდებელი, ცნობისმოყვარე ბავშვია. ჭეშმარიტებას ეძებს ყველგან: ვარდის გაშლაში, შაშვის გამოჩეკვაში, გიშერას დაკვლაში: *,,ჯერ კიდევ ბავშვი - ალი ეძებდა ხან ტყის დაბურულ ადგილებში, ხან ბებიის კიდობანში, რომელიც რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული, ჭეშმარიტებას; ამ სიტყვას ყური მოკრა სრულიად შემთხვევით და მაშინვე გული აუძგერა. რა იყო ეს ჭეშმარიტება ბავშმა არ იცოდა, მაგრამ ეგონა, რომ ისეთი რაღაც შესანიშნავი იქნება, ერთი შეხედვით მივხვდებიო“* [ლორთქიფანიძე, 2015: 399]. ჭეშმარიტების მაძიებელი ყმაწვილი არ ნებდება და ახლა ბრძენი მოხუცისგან მოითხოვს პასუხს, თუმცა, რა თქმა უნდა, არც მას აქვს ზუსტი პასუხი, არც მან იცის, როგორც ზებულონმა, რომ ერთი ჭეშმარიტება არ არსებობს, ყველას ჭეშმარიტება განსხვავებულია: *,,მთელი ქვეყანა მოვიარე და ისეთი ოსტატი ვერსად ვიპოვე, კაცის საიდუმლო იცოდეს. და აჰა, შენთან მოვედი, შენ ყველა ბრძენზე ბრძენი ხარ და ყველა სწავლულზე სწავლული. მიმიღე შეგირდად. მიმიღე და რაც გინდა მთხოვე, თუნდა სული მთხოვე, არ დაგიჭერ, უარს ნუ მეტყვი...“*[ქარჩხაძე, 2016:29]. ასე ეხვეწება ყრმა ზებულონი სწავლულ ბატონიშვილს თავის წარმოსახვაში. მას ადამიანის საიდუმლოს ამოხსნა ქცევია ცხოვრების მიზნად, იოველი გამხდარა მისთვის შარავანდედით მოსილი იდეალი, რომელთან მიახლოებასაც ეკრძალება, რომ უბრალო და ყოველდღიურ სახმარად არ აქციოს. ჰგონია, რომ იოველ ბატონიშვილი ჭეშმარიტების კარს გაუღებს და ამით ცხოვრების საიდუმლოსაც ამოხსნის. სინამდვილეში ზებულონი, ისევე როგორც ალი, დეზორიენტირებული და დაბნეული ბავშვია, რომელსაც კითხვა ბევრი აქვს, მაგრამ ის არ იცის, რომ ყველა ადამიანმა თავის ჭეშმარიტებას თვითონ უნდა მიაგნოს, თავისი პიროვნება თვითონ უნდა შეიცნოს და თავისი გზა თვითონ უნდა გაკვალოს. მან არც ის იცის, რომ ვერც ჭეშმარიტებას, ვერც ადამიანის დანიშნულებს, ვერც სამყაროს არსს ხელის ერთი დაკვრით ვერავინ აღმოაჩენს. ამის გამო ადამიანი სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდეს, პირიქით, ეს იმედს უნდა აძლევდეს, თვითრწმენას მატებდეს და უჩენდეს სურვილს, რომ უფრო მეტი აკეთოს და ამით

შედგეს პიროვნებად. ეს პროცესი მუდმივი და უწყვეტი უნდა იყოს. ალბათ, ერთადერთი დაზუსტებული სიმართლე მოძრაობის იდეაა. ვერც ალი დაკმაყოფილდა ბრძენის პასუხით და ზებულონსაც ტყუილად აქვს იმედი, რომ იოველ ბატონიშვილი საკუთარი თავის შეცნობაში დაეხმარება. როგორც მე-19 საუკუნის ცნობილი ინგლისელი ბიოლოგი ჰენრი გრაი ამბობს, *,,შეიძლება თქვენ ზუსტად იცით, როგორი გინდათ იყოთ ან შეიძლება პარალიზებული ხართ, რადგან წარმოდგენა არ გაქვთ, რა არის თქვენი მისწრაფება. სიმართლე ის არის, რომ ამას მნიშვნელობა არა აქვს, ეს არც უნდა იცოდეთ, უბრალოდ, წინსვლა უნდა განაგრძოთ, რამის კეთება უნდა გააგრძელოთ, ჩაეჭიდეთ ყველა შემდეგ შესაძლებლობას, დარჩით ღია, რომ სცადოთ რამე ახალი. ის არ უნდა მოერგოს თქვენს წარმოსახვით სრულყოფილ საქმეს ან სრულყოფილ ცხოვრებას. სრულყოფილება მოსაწყენია, ოცნებები კი არარეალურია, უბრალოდ აკეთე...“* [Gray, 1858 (ელრესურსი)] .

ცალთვალა ისახარის ვაჟი იმდენად მარტოსულია, რომ თავის სულში არსებულ სიცარიელეს ნაზღაპრალ გმირზე ოცნებით ივსებს, მის არსებაში იგი ღვთაებრივის, მიუწვდომელის სინონიმად იქცა. მთელი რომანი ამ იდეალისკენ სწრაფვას გადმოგვცემს. იმ დროს, როდესაც ოცნებას ფრთები უნდა შეესხა და თავისუფლებით დამტკბარიყო, ზებულონი ერთიანად ძირს დაეშვა - იოველ ბატონიშვილი წყაროსთვალში ამობრძანდა, ისახარის (ზებულონის მამის) სახლში დადგა სტუმრად და ამით ზღაპრულ ბროლის კოშკს თავისი ხელით გამოაცალა საფუძველი. საოცარია ადამიანი, სანამ მიეახლება, გამუდმებით იმ სანუკვარზე ოცნებობს, როგორც კი მის ხელში აღმოჩნდება, ბედნიერებას ვერ მოიხელთებს და შეიგრძნობს სრულად. ოცნებითა და წარმოდგენებით გაბრუებულ ზებულონს ვერაფრით დაეჯერებინა, რომ მისმა უსაყვარლესმა საოცნებო გმირმა, ოქროსქოჩრიანმა უფლისწულმა, ზღაპრის სამყარო გადმოლახა და წყაროსთვალში გამოჩნდა. ბუნებრივია, ზებულონიც მიუწვდომელის უძირო ხიბლშია ჩავარდნილი. ჯემალ ქარჩხაძე ნაკლები მხატვრულობით აღწერს ზებულონის საარაკო გმირის, იოველ ბატონიშვილის, ვიზუალურ მხარეს, მხოლოდ თვალებია მრავალფეროვანი ეპითეტებით დახასიათებული: თაფლისფერი, თბილი და

ლმობიერი, სევდიანი და მწუხარე, შორეული და ღრმადფიქრიანი. ზღაპრული იდეალის მზერა შეუცნობელს ჭვრეტს და ზებულონის ძირმორყეულ ზღაპარს დროებით ამაგრებს. ერთ ზღაპრს მეორეც ემატება და აზნაური ისახარის ვაჟი,ზებულონი, რომელიც თვრამეტი წლისა ისე გახდა, თავის სოფელს არ გასცილებია, დიდმა ბატონიშვილმა ყველასგან გამოარჩია - თეთრ ტაძარში მიიწვია სწავლა-განათლების მისაღებად.

ყურადღებამისაქცევია ისახარისა და ბატონიშვილის *დიალოგი. ,,იოველ ბატონიშვილი თითქმის იმეორებს ილია ჭავჭავაძის აზრს წიგნისა და ხმლის დროულობაზე. ხოლო მისი და ისახარის საუბარი ზებულონის მომავალ ბედ-ღბალზე მღვდლისა და პეტრეს საუბარს (,,გლახის ნაამბობი“) გვაგონებს.“* - წერს გია არგანაშვილი სტატიაში ,,ზებულონის ტრაგედია“ [არგანაშვილი, 2008:9]. ვეთანხმებით მოსაზრებას, თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია დიალოგის უფრო ღრმა ანალიზი.

იოველ ბატონიშვილის მოსაზრება ქვეყნის სვე-ბედზე ძალიან საგულისხმო და ღრმააზროვანია, მრავალ ქვეყანაში ნამყოფ სწავლულს კარგად აღმოუჩენია ის გარემოება, რომ, ბედუკუღმართი საქართველოს გარდა, ხალხი მარტო მიწის შემყურე აღარსად არაა და *,,თუ ახალი იარაღი არ ავისხით და ძველებურად ხმალი ვიქნიეთ, ჩვენი ხმალი ჰაერს გაჰკვეთს, მტერს კი ვერას დააკლებს“* [ქარჩხაძე, 2016:29]. იოველისთვის ქართველების ერთადერთი ხსნა სწავლა-განათლებაშია, რათა გონებით თვალახელილმა ერმა ის მოსახვევი დაინახოს, რომელსაც ქვეყნიერება მისდგომია, იმაზეც დაფიქრდეს, ,,ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ, რა გვინდა, რას ვაკეთებთ, რა არის ჩვენი ყოფა, რის მაქნისია ეს ამოდენა ხალხი, ჭიანჭველებივით რომ დაფუთფუთებს დედამიწის ზურგზე.“ და ყველაზე მთავარი - თუ ერი არ გაერთიანდა და ცოდნის წყაროს არ დაეწაფა, *,,ნათლის დიდ ზეიმს, რომელიც ოდესმე უეჭველად დადგება, ქართველობა ვერ დაესწრება“* [ქარჩხაძე, 2016:28]. ბატონიშვილის საუბრის პათოსი ძალიან ჰგავს ილია ჭავჭავაძის პოემა ,,აჩრდილის“ მონოლოგს, რომელსაც ქართველი ხალხის

ისტორიული ბედის, გონებისა და ზნეობის პერსონიფიცირებული განსახიერება წარმოთქვამს:

,,ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას

და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული

ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,

იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,

უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის“ [ჭავჭავაძე, 2006:46].

ქართველებმა უნდა შეიცნონ ,,ზოგადი ცხოვრება“, ,,საზოგადო ცხოვრების დენა“, ანუ კაცობრიობის ცხოვრების ძირითადი კანონზომიერებები, გეზი და ამ შეცნობის საფუძველზე თავისი ცხოვრება მსოფლიო განვითარების მიმართულებას შეუსაბამონ. ასეთია ილიასეული ზუსტი და უტყუარი ფორმულა საქართველოს ხსნისა და აღორძინებისათვის. სწავლა-განათლება თითოეული ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებს. ადამიანი საკუთარი თავისა და სამყაროს შესაცნობად უნდა სწავლობდეს, იაზრებდეს, რომ არის ინდივიდი, რომელიმე ერის შვილი და კაცობრიობის ნაწილი. თითოეული დღე, ნაბიჯი, არჩევანი არა მხოლოდ ერთი ადამიანის ცხოვრებას გადაწყვეტს, არამედ ოჯახის წევრების, ქვეყნის, მსოფლიოს, რადგან კაცი ერთი რგოლია იმ დიდი ჯაჭვისა, რომელსაც სამყაროს ჰარმონია ჰქვია. თითოეული ადამიანი ამ წესრიგში თავისი წვლილის შეტანას უნდა ცდილობდეს. განათლება სწორედ ამაში ეხმარება კაცს. ,,ზებულონშიც“ ამ თემას აქტიურად გამოკვეთს ავტორი და მთავარ გმირს მიზნად დაუსახავს თეთრ ტაძარში სულის გასანათლებლად წასვლას. პროზაიკოსს სურს გვითხრას, რომ განათლების გარეშე ისეთი უმწიკვლო ადამიანიც კი, როგორიც ზებულონია, სწორ პიროვნულ არჩევანს ვერ გააკეთებს. რასაკვირველია, ყველა ადმიანშია სინათლის სხივი, ზოგში მეტი, ზოგში-ნაკლები, მაგრამ მას აელვარება, აკაშკაშება სჭირდება განათლების ლამპრით. ზებულონმა კი ღვთისგან ბოძებული ნათელი საკუთარ თავში ჩაკლა და ჩააბნელა.

ლიტერატურაში ხშირია სუბიექტური თხრობა, როცა ავტორი სინამდვილეს პერსონაჟის თვალით უყურებს, მისი აზრებითა და შთაბეჭდილებებით იმსჭვალება, სხვადასხვა პერსონაჟის ენით მეტყველებს. ამგვარი მხატვრული საშუალებები ოსტატურად არის გამოყენებული ,,ზებულონში". ამჯერად ავტორი იოველ ბატონიშვილის პირით მეტყველებს, ამაში კარგად დავრწმუნდებით, თუ მის პუბლიცისტიკას მოვუსმენთ: *,,მე არ მეგულება საქართველოს ისტორიაში ისეთი პერიოდი, ჩვენებური კაცი რომ ცოდნითა და განათლებით განსაკუთრებით ძლიერი ყოფილიყოს. არც ჭეშმარიტებაზე ფიქრით აგვიტკიებია, სხვაზე მეტად, როდისმე თავი და არც აბსოლუტურ ფასეულობათა ძებნაში გვიღამ-გვითენებია"* [ქარჩხაძე, 2014:172].

უდავოა, ჯემალ ქარჩხაძე ტექსტში თავის ეპოქის პრობლემატიკაზე წერს, ყველა ნაწარმოები ხომ თავისი დროის პირმშოა. მეოცე საუკუნეში განსაკუთრებით აქტუალურია ის საკითხები, რომლებზეც ზემოთ არის საუბარი. თავად ავტორი ამასთან დაკავშირებით ამბობს: *,,მე მიმაჩნია, რომ მწერლისთვის არსებობს დრო, როგორც ერთიანი განზომილება, და არსებობს ადამიანი, რომელიც მთელ ამ განზომილებას მოიცავს და მთელ ამ განზომილებაში მოქმედებს... აქედან გამომდინარე, მწერალი წერს არა ,,ისტორიულ რომანს", არამედ რომანს, რომლის სიუჟეტი ამა თუ იმ კონკრეტულ დროში მიმდინარეობს, და, დროის არჩევანი აქ, პრინციპულად, არაფრით განსხვავდება ადგილის არჩევანისაგან. უბრალოდ, მწერალი მიმართავს იმ ეპოქას,რომელიც, მისი აზრით, დასამუშავებელი მხატვრული პრობლემისათვის მასალასაც მეტს იძლევა და ფონსაც უკეთესს ქმნის"* [ქარჩხაძე, 2014:172]. ამ ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ ,,ზებულონში" გამოყენებული ისტორიული დრო მხოლოდ საფარველია მხატვრული ტექსტისთვის, ის საშუალებაა მწერლისთვის თავისი დროის პრობლემატიკა მოიტანოს მკითხველამდე.

მაია ჯალიაშვილი ,,ზებულონზე" მსჯელობისას წერს: *,,1988 წელს გამოცემულ ამ რომანში თითქმის არ ჩანს რეალისტური რომანისთვის დამახასიათებელი სოციალური პანორამულობა. მართალია, მწერალს ყოველთვის*

თანადროული პრობლემები აინტერებდა, მაგრამ მისთვის მთავარი ერთგვარი ზედროული სივრცე იყო, რომელშიც ცხოვრობენ მისი პერსონაჟები და ავლენენ იმ არსებითს, რაც ადამიანს ან ღმერთთან მიაახლოებს და ან დემონთან. ამიტომ ამ მწერლისთვის მთავარი ადამიანია, რომელსაც კონტექსტის მრავალფეროვნებისთვის ურჩევს ხან ადრინდელ საუკუნეებს, ხან ძველ რომს, ხან ზღაპარს, ხან თანამედროვეობას. ამჯერად საქართველოს ისტორიის მძიმე დროში გადავინაცვლებთ. თუმცა მწერალს ნაკლებად აინტერესებს თვითონ ისტორიული ფაქტი თუ მოვლენა, ამიტომაც ეს არ არის რომანი ისტორიულ თემაზე, არამედ ადამიანზე, რომელიც თავის ბედს, თავის ცოდვა-მადლს შესჭიდებია“ [ჯალიაშვილი, 2016:121]. თვალნათელია, ,,ზებულონში“ აღწერილი ისტორიული ფაქტები ნაკლებად რეალისტურია, ისტორია მხოლოდ ფონია მხატვრულ-ფსიქოლოგიური კოლიზიებისთვის, რომლებიც რომანში თამაშდება. მწერლის მიზანს ისტორიის გაცოცხლება, განახლება კი არ წარმოადგენს, არამედ ისტორიულ ლაბირინთებში გმირის დაბადების ასახვა.

ისახარისა და იოველ ბატონიშვილის დიალოგის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო, რა მოელოდა ზებულონს: წყაროსთვალის მწირი და უღიმღამო სინამდვილე თუ იოველ ბატონიშვილის ზღაპართზღაპარი. საბოლოოდ გადაწყდა, რომ მაისის პირველ დღეს ახალ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ქურანაზე ამხედრებული ზებულონი ეახლებოდა იოველ ბატონიშვილს, რომელმაც იმის ნიშნად, რომ სიზმარი და მოჩვენება არ ყოფილა, ზებულონს წმინდა სახარება აჩუქა. სახარება, რომლისაც ვერაფერი გაიგო (წერა-კითხვა არ იცოდა), მაგრამ დიდი რუდუნებით ინახავდა სკივრში. მხოლოდ ერთხელ, იმ საბედისწერო დღის შემდეგ, როდესაც იმედმა გაუელვა, ეგებ მიმიღოს იოველ ბატონიშვილმა, იქნებ ჯერ კიდევ შეიძლება რამის შეცვლაო... წმინდა სახარება ხურჯინში ჩაიდო, ქურანაზე შეჯდა და გზას გაუდგა. ბევრი იხეტიალა გზასაცდენილმა, შეცდენილმა ცხოვარმა და მხოლოდ ცხოვრების დასასრულს სულ სხვა მისიით მივიდა იოველ ბატონიშვილთან, *,,თითქოს ონავარი ბალღის ხელში მოხვედრილიყოს, ზებულონის ბედის ჩარხი უცნაურად და უკუღმართად ტრიალებდა. იქ, სადაც ორი წელი უნდა დაეყო და სიბრძნის წყაროს უნდა დასწაფებოდა... ახლა წამიერ*

სტუმრად და უცხო შიკრიკად მიდიოდა“ [ქარჩხაძე, 2016:274]. ზებულონის აუხდენელ ოცნებას ტექსტში იოველ ბატონიშვილის ბურუსით მოცული თეთრი ტაძარი განასახიერებს: *,,ფერდობის თავზე გადმომდგარ თეთრ ტაძარს ირგვლივ თეთრი ბურუსი შემოსდგომოდა და ისე მოჩანდა, თითქოს იყო და არც იყო“* [ქარჩხაძე, 2016:275]. იოველ ბატონიშვილთან წასვლა, წერა-კითხვის შესწავლა, და მისი ნახვაც კი, ზებულონისთვის მთელი ცხოვრების აუხდენელ ოცნებად, წარსულის შეუხორცებელ ჭრილობად დარჩა. *,,ზებულონი საბოლოოდ გამოერკვა და გული მწარედ ჩაწყდა, ძველისძველი იარა გაეხსნა და სისხლმა წვეთვა დაუწყო“* [ქარჩხაძე, 2016:274].

დაბნეული, საკუთარი დანიშნულების მაძიებელი ბიჭი დარწმუნდა იმაში, რომ მისი მისია შურისძიება ყოფილა, მას რომ სცოდნოდა, ადამიანი ერთი საქციელით არ განისაზღვრება, შესაძლოა, არც შურისძიებას ჩაიდენდა, იოველ ბატონიშვილთან მისვლაზე ხელს არ აიღებდა და ამით საკუთარ პიროვნულ განვითარებაზე უარს არ იტყოდა. მისი ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში განათლების მიღებაზე უარის თქმაა.

ავტორი ზებულონის ბუნებასთან სიახლოვით მის სულიერ სამყაროს დაგვანახვებს. გმირი მხოლოდ ბუნებაში პოულობს თავშესაფარს და იდუმალ კავშირსაც მხოლოდ მასთან ამყარებს. მწერალი გმირის ცნობისმოყვარე ეგოს წარმოსაჩენად ხატოვნად გადმოგვცემს ფიქრებს იმის შესახებ, თუ რატომ აქვს ყვავილებს სხვადასხვა ფერი, სად მიდის და საიდან მოდის ამდენი ვარსკვლავი. ზაფხულის საღამოს ბალახებში ჩაწოლილი, ზეცას შეჰყურებს და ცდილობს მიღმა სამყაროს ამოცნობას, როგორც რომანტიკოსი პოეტი: ,,გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი, ,,შემოღამება მთაწმინდაზედ“).

კიდევ უფრო იდუმალი და ამოუცნობია ზებულონის წადილი დამდგარი მდინარის ხილვისა, *,,ამ უჩვეულო რამ ამბის სანახავად სამჯერ უთენია გაიპარა სახლიდან“* [ქარჩხაძე, 2016:10]. მართალია, დამდგარი მდინარე ვერასოდეს ნახა, მაგრამ ნახვის მოლოდინიც კი სასიამო ჟრუანტელს ჰგვრის, უდავოა, ამ ეპიზოდში

ქრისტიანული პარადიგმის ელემენტები უნდა დავინახოთ. მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას მოწმობს უფლის ნათლიღების დღეს, 19 იანვარს, ყოველწლიურად აღსრულებული სასწაული - იერუსალიმის პატრიარქი მდინარე იორდანეს აკურთხებს და მასში სამჯერ ჩაფლავს ჯვარს და ამ დროს წყალი ჩერდება, რამდენიმე წამის განმავლობაში იგი საპირისპირო მიმართულებით მიედინება. მორწმუნეთათვის ეს უფლის მყოფობის უტყუარი ნიშანია, ხოლო ათეისტი ურწმუნო ადამიანისთვის - დაუჯერებელი ზღაპარი. ზებულონს სჯერა ჭეშმარიტებისა და მისი არსებობისა, ცდილობს მის პოვნასა და შეცნობას, თუმცა გაუცნობიერებლად. იგი თითქოს ადამიანად ყოფნის სევდით არის შეპყრობილი, ეძიებს ადამიანად ყოფნის არსს, მიზეზს, თუ რატომ არის კაცი და ამაზე პასუხის მოსაპოვებლად კვლავ თავის დაუდგრომელ დედასთან, ბუნებასთან, ბრუნდება. აქ ეძებს იმ ნავსაყუდელს, რომელსაც ოჯახში ვერ პოულობს. ზებულონს ტალახში ფეხშიშველა სიარული უყვარს. *,,ნელთბილი და თოთო მიწა რომ ნესტიანი ენით მოელამუნებოდა და ტერფებზე საამო არტახებად შემოეკვროდა, ის უცხო და უსახელო, აუხსნელი განცდა გულში ნიღვარივით შემოვარდებოდა, მერე ყოველ მხარეს გაიფანტებოდა, სისხლს შეერეოდა და მთელ სხეულს ტკბილი, მომნთენთავი ნეტარებით ავსებდა“* [ქარჩხაძე, 2016:13]. გრძნობის ეპითეტები ,,უცხო და უსახელო, აუხნელი“ კარგად დაგვანახვებს, რომ ზებულონის დამოკიდებულება ბუნებასთან ეფუძნება არა გააზრებულ ცოდნას, არამედ ბუნებრივ ინსტინქტს, რომელიც დაბადებიდანვე თან სდევს ყველა ადამიანს. ოღონდ ეს ინსტინქტი ზებულონში აშკარად მოჭარბებულია.

მოცემული ეპიზოდის შესახებ მკვლევარი მაია ჯალიაშვილი წერს: *,,ყველასთვის ცნობილია გალაკტიონისეული ცვრიან ბალახზე გავლის განცდა. ჯემალ ქარჩხაძის ზებულონს კი წვიმის შემდეგ რბილ ტალახში ფეხშიშველი სიარული უყვარდა. არის თუ არა დაპირისპირება კრიალა სუფთა, ნამიან ბალახსა და შავ, ჭუჭყისფერ ტალახს შორის. არა, უბრალოდ, მიწის შეგრძნება ახალი ნიუანსითაა გამდიდრებული... ტალახი განიწმინდება, ჩამოიშორებს ერთგვარ მყარ შინაარსს და ახალი ემოციით იტვირთება“* [ჯალიაშვილი, 2016:133]. „ახალი ემოცია“ ზებულონისთვის ბუნების სიყვარულია. ასე ემონება და იმონებს

წყაროსთვალელი ჭაბუკი ცას, მიწას, ყვავილებს, ხეებს, ნიავს, წვიმას თუ ღრუბელს: *,,მუხების ენაც გავიგე და, ნიავი რომ დაუბერავს, მესმის როგორ უყვებიან ერთმანეთს თავ-თავიანთ ამბავს,მიწას რომ ყურს დავადებ, მიწის ლაპარაკს ვიგებ, ღრუბლების თავგადასავალი როცა მინდა გავიგო, წვიმას სახეს მივუშვერ და წვიმის წვეთები წვრილად მიამბობენ ყველაფერს"* [ქარჩხაძე, 2016:19]. ზებულონისთვის უფრო ნათელი ფენომენი ბუნების კანონზომიერებაა, ეს უკანასკნელი თითქოს კარგადაც შეუმეცნებია, მაგრამ ადამიანისა ვერაფერი გაუგია, თითქოს მისი შინაგანი ხმა გამოხატავს არსებობის ადამიანური ფორმებით დაუკმაყოფილებლობას. რამ შემქმნა ადამიანად?!- ვაჟასეული მარადიული კითხვა აწუხებს წყაროსთვალელ ჭაბუკს. ვაჟა-ფშაველა წვიმად არგაჩენას ადამიანის შესაძლებლობათა განსაზღვრულობის გამო ნანობს, ასეა ზებულონისთვისაც, ადამიანის შესაძლებლობათა დასაზღვრულობის შეგნება უბიძგებს, ეძიოს შეუცნობელი. სურს, სამყარო მოიცვას, თვითონ მისი ღირებული ნაწილი, სამყარო კი მისი მთელი იყოს. ამიტომაც ცდილობს ხან მუხად ქცევას, ხან - ცად და ხან - მიწად, ამიტომაც ურჩევნია ადამიანებთან ურთიერთობას ოთხფეხა მეგობრებთან ყოფნა, ზებულონს მარტოობის დაძლევაში ორი უერთგულესი ძაღლი, ბროლა და ლომია, ეხმარება. სუფთა სისხლის ნაგაზები შეუპოვრები, მებრძოლები, ავები უნდა გამოსულიყვნენ, თუმცა წყაროსთვალელმა ჭაბუკმა ისინი მეძებრებად გაწვრთნა და დაგეშა. *,,ეს მოზვრისტოლა ნაგაზები, რომლებიც არაერთხელ მგლების მთელ ხროვას შებმიან და გაუფანტავთ კიდეც... ნაგაზებიც იყვნენ და მეძებრებიც, ბრძოლაც იცოდნენ და ეშმაკობაც, ღონეც ჰქონდათ და ხერხიც"* [ქარჩხაძე, 2016:64]. ზებულონს მათი კარგად ესმის, იცის, რა უჭირთ და რა ულხინთ და ძაღლებიც ასევე უთქმელად უგებენ პატრონს.

ტექსტში ბროლასა და ლომიას ამბის შემოტანით ავტორი კიდევ ერთხელ დაგვანახვებს ზებულონის თავისებურ ამაღლებულ ბუნებას. ძაღლი ცხოველთა შორის ყველაზე კარგად ამოიცნობს ადამიანის სულიერ სამყაროს, ერთგულების ნიჭითაც ეს არსება გამორჩეულად დაუჯილდოებია არსთა გამრიგეს. ზებულონსაც ერთგულობენ თავისი ოთხფეხა მეგობრები, სანამ მასში იმ ღვთიურ ნათელს ხედავენ, რომლითაც გამოირჩევა სხვა ადამიანებისგან. შურიძიების შემდეგ კი

ზებულონი, სხვათა მსგავსად, ცოდვისკენ მიდრეკილი, ცდუნებისგან დამდაბლებული, პირუტყვებისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი ხდება. *,,ბროლა და ლომია გამოქვაბულის პირას იწვნენ. თავები ზემოთ, ზებულონის მხარეს მოექციათ. ბროლას ავი, ქურუხი სახე ჰქონდა, ლომია კი ისე იყურებოდა სევდიანი, შესაბრალისი თვალებით, თითქოს რაღაც ღრმა საფიქრალს მისცემიაო"* [ქარჩხაძე, 2016:87]. ნეტავ, რა აქვთ საფიქრალი კაცთა მუხანათობაში დარწმუნებულ ოთხფეხთ? ზებულონის ნამოქმედარით გაოგნებულნი რად არ ტოვებენ ცოდვის ალაგს? რად გადამტერებიან ასე უმოწყალოდ ადამიანთა მოდგმას? პასუხი მარტივია - ადამიანების ნდობა აქვთ დაკარგული! აკი თითო გასროლით დაასრულა მათი სიცოცხლე აზნაური ისახარის ვაჟმა. ხელიც არ აჰკანკალებია, ისე დახოცა თანშეზრდილი, ერთგული მეგობრები, როცა ცოდვით დაცემამდე წარმოსახვაშიც კი არ გაუმეტებია სიკვდილისთვის ცოცხალი არსი.

თენგიზ წოწონავა ვაჟა-ფშაველას ,,გველის მჭამელის" მინდიაზე მსჯელობისას ამბობს: *,,ბუნება, ტკივილით გამსჭვალული, ადამინივით დაფიქრებული არსება აღმოჩნდა... ბუნების ენის შეთვისებამ მინდია ზეადამიანურ ჰარმონიას და უდიდეს მოქალაქეობრივ ბედნიერებას აზიარა"* [წოწონავა, 2010:138]. რასაც ვერ ვიტყვით ზებულონზე, ბუნების საიდუმლოს ამოცნობა, როგორც მწერალი გვეუბნება, მისთვის უქმი და უსარგებლოა. ბუნებასთან სიახლოვე ადამიანს ღვთიურ ძალას აზიარებს, ზებულონი კი ამ ძალას უკეთური საქმისთვის იყენებს და მას პრაქტიკულ დანიშნულებას არ აძლევს.

ზებულონს განსაკუთრებით უყვარს სოფლის ის განაპირა ადგილი, სადაც შვიდი უზარმაზარი მუხა დგას განცალკევებით. სჯერა, რომ სულის თავისუფლება ძიებაში იმალება და ეს მისცემს გამართლებას მის ყოფნას ადამიანად. აშკარაა, რომ უსაგნოდ დარჩენილი ჭაბუკი დროებით ნავსაყუდელს ბუნებაში პოულობს. თითოეულს სათითაოდ ეტოლება, ხან სისქეს უმოწმებს, ხან გულაღმა წვება *,,და ქვემოდან ისა და ზემოდან ცა მუხის ხშირი ტოტებითა და ფოთლებით ერთმანეთისგან გაყოფილები ერთმანეთს მალულად უთვალთვალებენ"* [ქარჩხაძე, 2016:8]. ქრისტიანულ რელიგიაში შვიდი საკრალური რიცხვია, არც მუხების

რაოდენობის აღსანიშნავად უნდა იყენებდეს ამ ციფრს მწერალი შემთხვევით. არსებობს შვიდი მიუტევებელი ცოდვა: ამპარტავნება, სიხარბე, შური, მრისხანება, ავხორცობა, ეგოიზმი და სიზარმაცე. გოტიკური ტაძრების ვიტრაჟებზე გამოსახულია შვიდი მტრედი იესოსა და მარიამის ირგვლივ, რაც სულიწმიდის შვიდი მადლის გამოხატულებაა. ზოგჯერ შვიდი მტრედი უფლის შვიდ ანგელოზს განასახიერებს. არსებობს ბაროკოს ეპოქის მხატვრის ბართლომე ესტებან მურილიოს შედევრი ,,ორი სამება", რომელზეც ღმრთისმშობლისა და იესოს ირგვლივ გამოსახულია შვიდი მტრედი, სულიწმიდის შვიდი მადლი (შედევრი დაცულია ლონდონის ნაციონალურ *გალერეაში). ,,ერთხელ ზებულონი თვითონაც მუხად იქცა და მთელი სიმწვავით იგრძნო მუხის ძალაცა და უძლურებაც"* [ქარჩხაძე, 2016: 9] . როგორ შეიძლება თან ძლიერი იყოს და თან უძლური? ძალა მადლია, უძლურება-ცოდვა, რადგან ღვთის მადლის მოპოვებას დიდი ღვწა და ძალისხმევა სჭირდება, ცოდვა კი გაურჯელად ეღობება ადამიანს ყოველი ფეხის ნაბიჯზე. წუთისოფელიც, ისევე, როგორც ერთი ადამიანი, სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის, ცოდვისა და მადლის გამუდმებული ჭიდილია. სწორედ ზებულონის არსებაში მიმდინარე ცოდვა-მადლის ჭიდილს აღწერს ავტორი მუხის ნარატივით. აბა რა უნდა იყოს მუხად ქცევის შემდეგ ზებულონის განცდა, ერთი მხრივ ,,რა დიდებული რამ ყოფილა მუხა, რა მძლავრი, რა მშვიდი, რა ღონიერი." მეორე მხრივ კი *,,მუხა განწირული იყო და მის ფუტურო სიამაყეს არავითარი ფასი არ ჰქონდა"*[ქარჩხაძე, 2016:9]. ასე ფიქრობდა ზებულონი, მან არ იცოდა, რომ მუხის არსი მის ტყვეობაშია (ის მიწის ტყვეა), რადგან ღვთისგან შექმნილ სამყაროში ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული, თვით ჩვენი პლანეტაც ორბიტის ტყვეა და სწორედ ეს დამოკიდებულება უნარჩუნებს მას თვითმყოფადობას. თავისდაუნებურად ვაჟას მიერ საოცარი პოეტური ალღოთი წარმოთქმული სიტყვები გაახსენდება კაცს ლექსიდან ,,ღამე მთაში": *,,ხევი მთას მონებს, მთა-ხევსა, წყალნი-ტყეს, ტყენი-მდინარეთ, ყვავილნი-მიწას და მიწა-თავის აღზრდილთა მცინარეთ. და მე ხომ ყველას მონა ვარ პირზე ოფლგადამდინარედ!"* [ვაჟა-ფშაველა, 2007:66].

ადრეულ შუა საუკუნეებში გავრცელებული ერთი შეხედულების თანახმად, მინერალიც, მცენარეც და ცხოველიც განვითარებას ესწრაფვის. მყარი სტრუქტურის მქონე მინერალს უნდა ზრდის ძალა შეიძინოს და მცენარედ იქცეს, თავის მხრივ, მცენარეს ცხოველად გადაქცევა სურს, ცხოველს კი ადამიანად, ხოლო ამ უკანასკნელს წინ ღვთისკენ მიმავალი გზა უდევს. ე.ი. ყოველ არსს თავისი მდგომარეობის დაძლევა სურს, რათა თანდათან განვითარდეს და საბოლოოდ სამყაროს პირველმიზეზის წიაღს დაუბრუნდეს. სამყაროს პირველსაწყისის ზიარება ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება. იგი ერთეულთა ხვედრია და საყოველთაო ვერასოდეს გახდება. ეს მისტიკური თვალსაზრისი წერა-კითხვის უცოდინარი ზებულონისთვის სრულიად მიუწვდომელი და გაუგებარია. მას აქვს შესაძლებლობა ბუნების წესრიგი და ურთიერთდამოკიდებულება შეიცნოს, თუმცა, როგორც ჯემალ ქარჩხაძე გაზეთ ,,ფენომენში"თამარ ოთიაშვილთან ინტერვიუში ამბობს: ,,ადამიანის ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა საიდუმლოებების მუდმივი ძიება, მათი მიგნება და სინათლეზე გამოტანა. ადამიანის საიდუმლო ამოუწურავია, მაგრამ რაღაცის გამოაშკარავება შესაძლებელია. სწორედ ამოხსნილი საიდუმლოებებით განსხვავდება დღევანდელი ადამიანის თვალსაწიერი გასული საუკუნეების ადამიანთა თვალსაწიერისაგან. ოდესღაც ადამიანი ლაპარაკობდა ჯადოსნურ სარკეზე, მფრინავ ხალიჩაზე... ყველაფერი ეს გარკვეულწილად რეალობად იქცა: ადამიანმა გამოიგონა ტელევიზორი, საფრენი აპარატი... ასე რომ, საიდუმლოებების ამოხსნა შეიძლება, ამოწურვა კი - არა... ზებულონი უბირი კაცია, მან იმდენი არ იცის, რაც მისმა ავტორმა იცის, ამიტომ ჰგონია, რომ *„შეიძლება არსებობდეს ოსტატი, რომელიც ყველა საიდუმლოს ამოხსნის"*[ქარჩხაძე, 2014:182].

ზებულონი მსხვერპლია, საკუთარი უვიცობისა და უუნარობის მსხვერპლი. მას ისევე, როგორც ყველა ადამიანს, აქვს ღვთისგან მიმადლებული ნიჭი სამყაროს შეცნობისა, თუმცა ვერ ახერხებს ამ ნიჭის რეალიზებას, განვრცობასა და სასიკეთოდ გამოყენებას, რაშიც აღზრდის, რწმენის, განათლების უქონლობა უშლის ხელს. თავისდაუნებურად იმ ტალანტის პატრონს ემსგავსება, რომელიც მიწაში ფლავს უფლისგან ბოძებულს (,,ათი ტალანტის იგავი"). განგება ადამიანს ტალანტს იმისთვის უბოძებს, რომ მისი სასწაულებრივი ძალა სასიკეთოდ აამოქმედოს,

ახალი შექმნას და სიკეთე ამრავლოს. ,,ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი ტარიელს ეუბნება: *,,არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?“* [შოთა რუსთაველი, 1974:117]. ამ საუნჯეში, ცხადია, ადამიანისთვის ნაბოძები ტალანტი-გონება, ჭკუა იგულისხმება, ამიტომაც ტალანტი პიროვნებისთვისაც და ქვეყნისთვისაც უდიდესი სიმდიდრეა და ის არ უნდა დამარხოს კაცმა. ნიჭის შესახებ ჯემალ ქარჩხაძე წერს: *,,ნიჭს ვერ დავანებებთ თავს. ნიჭი იმ ფურცლის ცალი გვერდია, რომლის მეორე გვერდი ბიოლოგიური სიცოცხლეა. ნიჭი არის ადამიანის თვითრეალიზაციის ძალა, თვითრეალიზაციის გარეშე კი ღმერთისკენ მიმავალი გზა ჩაკეტილია“* [ქარჩხაძე, 2014:201]. ღმერთისკენ მიმავალ გზას ზებულონი საკუთარი ხელით კეტავს, ამიტომაც ექცევა სიცოცხლე სევდად. მთელი ცხოვრება გაურბის ადამიანებს. თვითონ, როგორც ადამიანმა, საშინელი ცოდვა ჩაიდინა. ამით გული აიცრუა საკუთარ თავსა და კაცთა მოდგმაზე. ამიტომაა, რომ ნდობა აქვს დაკარგული და ყველას უფრთხის. როგორც ჩანს, აშინებს სისასტიკის ის გამოვლინება, რომლის ჩადენა მის მსგავს არსებას შეუძლია. *,,გაქცევა იმიტომ კი არ ეწადა, რომ გაქცევით ტკივილი დაეყუჩებინა, იმიტომ ეწადა, რომ ადამიანებს გარიდებოდა. იმის გაფიქრებაზე, რომ ადრე თუ გვიან კვლავ ადამიანებს უნდა გადაჰყროდა, გულ-მუცელი ეთუთქებოდა და სხეული სევდით ევსებოდა“* [ქარჩხაძე, 2016:221]. გაქცევით ზებულონი საკუთარ პრობლემასაც ემალება. ფიქრობს, რომ მისი დანაშაულის შესახებ ყველამ იცის, მისკენ იშვერს ხელს, გამკილავი მზერით უყურებს. აფრთხობს სხვისი აზრი, თავისდაუნებურად ემონება მას და შეუფერებელ ნაბიჯს ადგმევინებს. *,,ცხოვრების მდინარე ამღვრეულია და შხამიანი. სათავეში გველეშაპი ჩაწოლილა. გველეშაპი ყოველივეს ამღვრევს, ყოველივეს შხამავს. ამიტომ ადამიანებიც ამღვრეულები არიან, შხამიანები, ვერაგები და გაუტანლები“* [ქარჩხაძე, 2016:96]. ასე ფიქრობს ცხოვრებისაგან დამფრთხალი, სევდით შეპყრობილი ზებულონი.

4. 2 შურისძიება

ჯერ კიდევ უძველეს ადამიანებში შურისძიება სამართლიანობის აღდგენის მიზნით იყო პასუხი დანაშაულზე, რომელიც აღწერილია წინასაუკუნეების ფილოსოფოსთა კონცეფციებში. კანტმა შემოიღო მორალური სასჯელის აბსოლუტური თეორია. სასჯელის მიზანი არის აბსოლუტური სამართლიანობის განხორციელება და მისი სხვა რაიმე უტილიტარული მიზნებით გამოყენება დაუშვებელია. ,,სჯობს, მოკვდეს ერთი, ვიდრე დაიღუპოს მთელი ერი". ფილოსოფოსთა უმეტესობა ამართლებს ამ თვალსაზრისს და ერთგვარად ემხრობა ტალიონის პრინციპს თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, თითქოს ეს არის ადამიანის ბუნებრივი რეაქცია, დაისაჯოს დამნაშავე.

ფსიქოლოგები შურისძიებას მიიჩნევენ როგორც ღირსებასა და სამართლიანობასთან დაკავშირებულ ბუნებრივ მოთხოვნილებას, მაგრამ თვითონ ქმედებას - არაჯანსაღი იმპულსებით ნაკარნახევს, რაც ერთმნიშვნელოვნად დარღვევაა.

ამ საკითხთან ეკლესიის დამოკიდებულება განსხვავებულია. შურისძიებას ის ადამიანის ბრალეულობად მიიჩნევს. შურისძიება უმძიმეს ცოდვად ითვლება. მისი ჩამდენი საკუთარ თავს უთხრის *სამარეს. ,,შურისმაძიებელმა უნდა გათხაროს ორი საფლავი, ერთი სხვისთვის და ერთი თავისთვის"* [საშობაო ეპისტოლე, 1993. (ელრესურსი)], - ამბობს საშობაო ეპისტოლეში საქართველოს პატრიარქი ილია II. პეტრე მოციქული კი თავის ეპისტოლეში წერს: *,,ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტისა წილ და ნურცა გინებას გინებისა წილ"* [ძველი აღთქმა, თავი 27]. ბოროტებასთან ბოროტების დაპირისპირებით იგი მხოლოდ გამრავლდება და გაიზრდება. ლევიტელთა წიგნის მე-19 თავში კი წერია: *,,და არცა შური იძიოს ხელმან შენმან და არცა ძვირი იხსენო ძეთათვის ერისა შენისათა"* [ძველი აღთქმა, თავი 19] . აქედან ჩანს, რომ ადამიანმა გულშიც კი არ უნდა გაივლოს შურისძიების სურვილი.

შურისძიებას, როგორც ურთულეს ფსიქოლოგიურ მოვლენას, ბევრი ქართველი თუ უცხოელი მწერალი ეხება. ეს თემა იყო, არის და იქნება აქტუალური,

სანამ კაცობრიობა არსებობს. როცა კაენმა თავისი ძმა აბელი მოკლა, ეს იყო პირველი მკვლელობა, პირველი შურისძიება დედამიწაზე. მას შემდეგ ეს გრძნობა თანაცხოვრობს თითოეულ ადამიანში და ებრძვის სიკეთეს. რაც ხდება ერთხელ, მოხდება ყოველთვის, მარადიულად...

ჯემალ ქარჩხაძე რომან ,,ზებულონში" მოგვითხრობს მთავარი გმირის თავგადასავალს დაბადებიდან გარდაცვალლებამდე. პირველი ნაწილი, რომელსაც შურისძიება ჰქვია, ზებულონის ამ ვნებასთან ჭიდილს და დამარცხებას გვიჩვენებს.

,,რა დაგიშავე, ღმერთო, ასეთი! ოთხი შვილი ისე წამგვარე, თვალის ახელა არ დააცადე არც ერთს. ასეთი რა ცოდვა გვაწევს, რომ ამოდენა უბედურება არ გვაკმარე!... ოთხი და-ძმა ხომ წაგართვა! რით ვერ იკმარა, რომ ახლა მამაც გამოგაცალა ხელიდან!" [ქარჩხაძე, 2016:99]. ასეთი გლოვით დახვდა დედა ავი წინათგრძნობით დაზაფრულ სახლში დაბრუნებულ ზებულონს. სოფელიც შეყრილიყო და ისახარის აკუწული სხეულიც ტომრებით მოეტანათ კაცებს. მამის მკვლელობის დეტალები ზებულონმა და მთელმა სოფელმა სულელი იაგორასგან შეიტყო, რომელიც შემთხვევით შესწრებოდა ამ ამბავს. აზნაურ ისახარს, რომელიც სოფლის თავკაცად ითვლებოდა, ცხვრების ქურდობისთვის მკაცრად დაუსჯია ცოტა ხნის წინ ჩამოსახლებული შუბლძარღვგაწყვეტილი, უჟმური დაროაშვილების უმცროსი ძმა. ამ დროს უფროსები ტყეში ყოფილან, ყურმოჭრილი, სისხლში ამოთხვრილი ძმა რომ დაუნახავთ, ისახარს უკნიდან მიპარვიან, კეტი ჩაურტყამთ და შემდეგ ნაჯახებით დარევიან. ასეთი მკვლელობა ნებისმიერ ადამიანში, რა თქმა უნდა, აღძრავს შურისძიების გრძნობას. მწერალი ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად გადმოგვცემს ზებულონის გულში დატრიალებულ სულისშემძვრელ გრძნობას. ჯემალ ქარჩხაძის მხატვრული მეტყველება პროზის ტიპური ენაა, მწერალი თავის სათქმელს გარეგნული სამკაულების გარეშე, სადად, ლაკონიურად გადმოგვცემს. ამ შემთხვევაში არ იგრძნობა მისწრაფება პოეტური აღწერების, ტროპული სახეების მოჭარბებულად გამოყენებისკენ. მწერალმა იცის, რომ რომანის ეს ეპიზოდი ისედაც დაძაბულია და მხატვრული ხერხების სიმრავლემ შეიძლება დინამიკა შეანელოს, მკითხველის

ყურადღება მხატვრული ქსოვილისკენ მიაპყროს. აღსანიშნავია პერსონაჟების სამყაროს ერთფეროვნება, წყაროსთვალელებს ერთიანი სახე და სახელი აქვთ, ისინი საერთო ფიქრით შეპყრობილნი შეჰყურებენ ზებულონს - *,,ღობის გადაღმა, მთავარ ეზოში თავმოყრილი ხალხი აქეთ იყურებოდა, ზებულონი რომ გამოვიდა, ყველამ მას მიაპყრო მზერა, ახლა ამ მზერაში მოლოდინი იყო"* [ქარჩხაძე, 2016:102], მოლოდინი იმისა, რომ შვილმა შური უნდა იძიოს მამის მკვლელებზე, რადაც უნდა დაუჯდეს, დახოცოს უკეთური, პირსისხლიანი დაროაშვილები. სოფელს თავისი სიმართლე აქვს. რჩეულმა ვაჟკაცმა მკვლელებს სისხლი არ უნდა შეარჩინოს, სხვა არაფერი აინტერესებს, არ ფიქრობს, არ აანალიზებს, სპონტანურ გადაწყვეტილებას იღებს. ზებულონი მარტივად ექცევა საზოგადოების გავლენის ქვეშ, სოციალური მიმღებლობის ფასად ის კონფორმული ხდება და ეს არც არის გასაკვირი მისნაირი სუსტი პიროვნებისაგან, რომელიც მხოლოდ ცხრამეტი წლისაა, გარდატეხის ასაკშია და ჰორმონების ჭარბ მოზღვავებას განიცდის. ფაქტობრივად თვითონ ვერ მართავს თავის ორგანიზმს. *,,კონფორმულობას დიდი ხანია შეისწავლიან. აღსანიშნავია ორი კლასიკური კვლევა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კონფორმულობის გამოკვლევაში. შერიფისა და აშერის კვლევებმა აჩვენა, თუ როგორ ყალიბდება ჯგუფური ნორმები და სტანდარტები. საინტერესოა, რატომ ექცევიან ადამიანები ჯგუფის გავლენის ქვეშ და რა არის კონფორმული ქცევის მიზეზი. მკვლევარები ორ ძირითად მიზეზს გამოყოფენ: იყო მართალი და მოწონებული"* [ჟამერაშვილი, 2018:2]. ზებულონმა თანასოფლელთა სურვილი აღასრულა. წყაროსთვალელებში ვლინდება ის ფსიქოლოგიური იმპერატივი, რომელიც ამოძრავებს ჭაბუა ამირეჯიბის არქიფო სეთურის (,,დათა თუთაშხიადან"), ჯემალ ქარჩხაძის ,,იგის", ვაჟა-ფშაველას ,,ალუდა ქეთელაურისა" და ,,სტუმარ-მასპინძელის", მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვის", გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის", რიჩარდ ბახის ,,თოლია ჯონათან ლივინგსტონის", ჰერმან ჰესეს ,,ტყის კაცის" და უამრავი სხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მხატვრული ტექსტის ბრბოდ ქცეულ საზოგადოებებს, რომელთაც თავისი დაუწერელი კანონები და სისასტიკე აქვთ და რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს. აქ ერთვება „კოლექტიური არაცნობიერის" ფაქტორი, რომლის

შემოტანაც სამეცნიერო სივრცეში ცნობილ შვეიცარელ ფსიქოლოგის კარლ გუსტავ იუნგის (1875-1961) სახელს უკავშირდება. კოლექტიური არაცნობიერი არის ინდივიდის არაცნობიერი ნაწილი, რომელიც ევოლუციურად არის ჩამოყალიბებული, თანდაყოლილია და საერთოა ადამიანური სახეობის თითოეული წარმომადგენლისთვის. იუნგისათვის კოლექტიური არაცნობიერი უნივერსალური ადამიანური მოგონებებისა და ემოციური ხატების საცავი იყო. [ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებაში (ელრესურსი)].

წყაროსთვალელები არ განსჯიან, რა მოხდება მერე, ზებულონი თუ სისხლს აიღებს, სისხლს სისხლით ხომ ვერ დაახშობს, ბოროტებას ბოროტებით ხომ ვერ დაამარცხებს?! მხოლოდ მედლის ერთ მხარეს ჭვრეტენ და არ ფიქრობენ, რომ სიმართლეს, როცა ვინმეს წინააღმდეგ მიმართავ, ზნეობრივი საწყისი ეკარგება და ქვად, ისრად, ტყვიად გადაიქცევა, ჯერ პირად და მერე საზოგადო უბედურებას წარმოშობს. მიუხედავად ამისა, სოფელი ჩუმი რისხვით თავისას ითხოვს: *,,ეზოში მოგროვილი ხალხი, თითქოს გადარაჯებული ყოფილიყოს, წამსვე მისკენ მოტრიალდა და ურიცხვი თვალი მოაპყრო. მწუხარე, შეშფოთებულ და ჯიუტად მდუმარე სახეებზე ისეთი რამ ეწერათ, თითქოს რაღაცას ითხოვდნენ, ხოლო ამ მოთხოვნის უკან, ვინიცობისაა ზებულონს მის შესრულებაზე უარი ეთქვა, შეგუებული და შეკავებული რისხვა იდგა“* [ქარჩხაძე, 2016:61]. ორი დღის ამაო წანწალის შემდეგ საინტერესოა ზებულონის ფიქრები: *,,სოფელი მისგან სიმართლის აღსრულებას მოელოდა და აბა როგორ შეეძლო ასეთი მოლოდინი გაემტყუნებინა და ხელცარიელი დაბრუნებულიყო. იქნებ პირში არც არავის რამე ეთქვა, იქნებ დაემშვიდებინათ კიდეც, რა შენი ბრალია, ამოდენა ტყეში რომ კაცი დაიმალება, როგორ უნდა იპოვო, სამაგიეროდ, ზურგს შეაქცევდა თუ არა, ვინც წამის წინ ამშვიდებდა, ახლა ზიზღით გვერდზე გადააფურთხებდა, ფუი, შენს ვაჟკაცობას, კაცი გქვია და მამის სისხლი კი ვერ აგიღია, სოფელში მაინც რა პირით გამოჩნდიო!“* [ქარჩხაძე, 2016:63]. მეოცე საუკუნის მიწურულს შექმნილ ამ რომანში, უდავოა, ჯემალ ქარჩხაძეს თავის თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი და სარწმუნეობრივი გადაგვარების ასახვა სურს. მწერალს აწუხებს, რომ ადამიანებს თავისი აზრი არ გააჩნიათ, ინდივიდუალიზმის დეფიციტს განიცდიან. საკუთარი

ნების აღსრულებას უფრთხიან. ეს მონაკვეთი დაგვანახვებს, როგორ ექცევა ზებულონი ხალხის გავლენის ქვეშ. როდესაც იგი ბროლასა და ლომიას დასახოცავად მიდის, ერთ-ერთ ძაღლს ძია ანანიას მიამსგავსებს, თავში გაუელვებს კითხვა, რომელიც სხვა დროს არავის აზრად არ მოსვლია, რატომ ითვლებოდა ძია ანანია ყველაზე ჭკვიან კაცად? ეს ეპიზოდი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, როგორი ერთსახოვანი და უფერულია წყაროსთვალის საზოგადოება. მძიმედ, მდორედ, კითხვების გარეშე მიჰყვება ცხოვრებას. დაახლოებით ამავეს წერს თანამედროვეობაზე ჯემალ ქარჩხაძე: *,,ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც საკუთარი ჭკუით გადაწყვეტილება ვერ გამოაქვს და მხოლოდ შეკვეთებს ასრულებს. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც კომუნიზმის ავთვისებიანი სიმსივნე აქვს და მონობის ბანგითაა გაბრუებული. მე არ ვიცი, როგორი ვიყავით ჩვენ ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში, მაგრამ დღეს ერი არ ვართ, საზოგადოება არ ვართ, დღეს ჩვენში ჯერ კიდევ კოლექტიური ცნობიერება ბატონობს“* [ქარჩხაძე, 2014:139]. ამ საზოგადოებას წინამძღოლიც ჰყავს, რომლის სიტყვა ყველასთვის კანონია: *,,მართალ საქმეს ღმერთი მიუძღვის წინ, ...თავისი სანთელი ყველამ თვითონ უნდა აანთოს“* [ქარჩხაძე, 2016:54], - ეუბნება ძია ანანია ძმისშვილს და შურისძიებისკენ მოუწოდებს. ნება-უნებლიეთ გახსენდება ნესტან-დარეჯანის სიტყვები ,,ვეფხისტყაოსნიდან“: *,,ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“* [შოთა რუსთაველი, 1974:187].

თავის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული ქალი უდანაშაულო ხვარაზმელი სასიძოს მოასაკლავად აღძრავს გულის სწორს და ამით უბედურ მომავალს იმზადებს. ნუთუ შეიძლება, სადაც მკვლელობაა, შურისძიებაა, იქ იყოს მართალი საქმის და ღმერთის ხსენება? ავტორი იმდენად ექსპრესიულად, მაგრამ შენიღბულად გადმოგვცემს მოვლენებს, არც ხალხის, არც ზებულონის სიმართლეში ეჭვი არ შეეპარება მკითხველს: *,,ყველა ამას მოითხოვდა ზებულონისგან: ნათესავებიც, ახლობლებიც. მეზობლებიც, ყმებიც... ყველანი მას შემოსცქეროდნენ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა და მთელი სოფელი მას მოსჩერებოდა. ყველას ერთნაირი გამომეტყველება ჰქონდა და ყველას კუშტი მოლოდინი ეწერა სახეზე. ვისაც მამა მოუკლეს, შურიც მანვე უნდა იძიოს, თავისი*

სანთელი ზებულონმა თვითონ უნდა აანთოს“ [ქარჩხაძე, 2016:56]. ამას ავტორი ამბობს, თუ ზებულონის წარმოსახვაა? იქნებ შურისძიებით ისეა შეყრობილი, ასე ხედავს ყველას და ყველაფერს, იქნებ ეს მისი ფანტაზიის ნაყოფია და ხალხს კი არ მოუწოდებია სისხლის აღებისკენ, არამედ მასში ბუნებრივად გაჩნდა ეს გრძნობა. მაშინ გამოდის, რომ ზებულონი სხვებისგან არაფრით განსხვავდება, არაფრითაა გამორჩეული. თუ იგი ბუნებასთან, მთელ სამყაროსთან გრძნობს ჰარმონიას, მას აქვს მშვენიერებისა და ბედნიერების განცდა, ის გრძნობს, რომ ბუნება ჰკარნახობს, იყოს თავისუფალი, ესე იგი, განსხვავებული, მაშ რატომ ემსგავსება ყველას, რატომ ემორჩილება სოფლისა და ძია ანანიას მოთხოვნას? იმიტომ, რომ ზებულონს პიროვნული თავისუფლება აკლია, იმიტომ, რომ სიმყარე, მდგრადობა არა აქვს, იმიტომ, რომ არ ჰყოფნის ძალა, შურისძიების ვნება დაამარცხოს. ცდუნების დაძლევას განსაკუთრებული სულიერი სიმაღლე და ნებელობა სჭირდება, რაც არ აღმოაჩნდა ზებულონს. საამისოდ არც განათლება მიუღია და არც რწმენა განუმტკიცებია. შოთა რუსთაველის შეგონება - *,,რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“* [შოთა რუსთაველი, 1974:204] - მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. არაა ადვილი საკუთარი სურვილების წინააღმდეგ წასვლა, ეს ძლიერ და თვითმყოფად ადამიანებს ხელეწიფებათ. *,,ხატად ღვთისა“ შექმნილი ადამიანი არ შეიძლება იქცეს მიწიერ სურვილთა ტყვედ, მან უნდა შეინარჩუნოს სულიერი თავისუფლება. საკუთარ არსებაში წარმავლის დათრგუნვით პიროვნება მარადიულ ჭეშმარიტებას ეზიარება. კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, განურჩევლად რწმენისა, იმთავითვე ამას მიიჩნევდა ადამიანური არსებობის უმთავრეს მიზნად. რომის იმპერატორი, მარკუს ავრელიუსი, რომელიც არ იყო ქრისტიანი, წერდა: ,,მე უფრო დიდი ვარ და დიდი რამისთვის შობილი, ვიდრე მსახურებაა ჩემივე თავის მიმართ“. ეს ,,მე“ გულისხმობს საზოგადოდ პიროვნებას და არა მაინცდამაინც იმპერატორს“*[მაღლაფერიძე, 1992:94].

კონსტანტინე გამსახურდიაც ათქმევინებს დავით აღმაშენებელს თავის ტეტრალოგიაში, რომ ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარ თავთან მოგებული ომია. არც სამცხელი ზენონისთვის (,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“) იქნებოდა ადვილი დის შეურაცხმყოფელის მოკვლაზე ხელის აღება, მაგრამ ამ

სიტყვებით შთაგონებული: *,,ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს. დაღაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრხე არს სულისა ჩემისა და, უკუეთუ ცუდად უკუნ-ვიქცე სახედ ჩემდა, სირცხვილ არს ჩემდა. არამედ აღთქუმაი მონაზონებისაი აწ აღუსრულო უფალსა"* [მერჩულე, 2003:133]. სულის წაწყმედის ნაცვლად, მის ასამაღლებლად და გადასარჩენად, მონასტერს მიაშურებს. ამ საკითხის შესახებ გია არგანაშვილი წერს: *,,ზებულონი არჩევანის წინაშე იდგა, იოველ ბატონიშვილთან წასულიყო, თუ შური ეძია დაროაშვილებზე, მან შურისძიება გადაწყვიტა, ზენონმა კი მონასტერში წასვლა არჩია, ზენონის გადაწყვეტილების შედეგი კარგად ვიცით, აგიოგრაფი მას დიდ ზენონად მოიხსენიებს"* [არგანაშვილი, 2008:9].

რთული იქნებოდა შურისძიებაზე უარის თქმა აკაკი წერეთლის ,,გამზრდელის" გმირისთვისაც. ბათუს საყვარელი ცოლის შეურაცხმყოფელი არც საძებნელი ჰყოლია, როგორც ზებულონს მამის მკვლელები, ვერც ფიზიკური ძალით დაჯაბნიდა მოწინააღმდეგე. დიდ ნებელობასა და თავშეკავებას ავლენს, სტუმარს შესაფერისი პატივით ისტუმრებს და ,,მთის მწვერვალზე", ღმერთთან ახლოს, თავის ამაღლებულ სამყოფელში კრინტსაც არ ძრავს საზარელი ცოდვის შესახებ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ,,გაახურვეს მათ ცხენები, ააღელვეს, ააჩქარეს და ვიწრო გზით ის დაღმართი სულ კუნტრუშით ჩაატარეს" (აკაკი წერეთელი, ,,გამზრდელი"), მხოლოდ აქ, ბიწიერ დედამიწაზე, უნდა გადაწყდეს, ჩაეფლობა ბათუ ცოდვის ჭაობში, თუ კვლავ ამაღლდება თავის სამყოფელში. ავტორი დილემის წინაშე აყენებს პერსონაჟს - შური იძიოს მოღალატე ძუძუმტეზე, თუ მიუტევოს და ღმერთს მიანდოს მისი განსჯა?! ბათუ უკანასკნელს ირჩევს, ამის საფასურად კი, მართალია, ,,ძლივს, ბარბაცით", მაგრამ მაინც უბრუნდება იმ სულიერ სიმაღლეს, რომელზეც ნაწარმოების დასაწყისში იყო. *,,გამზრდელის" პერსონაჟებისთვის შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა პრინციპია. აკაკის აზრით, დანაშაულის ზნეობრივი გამოსყიდვა ადამიანს შეუძლია მონანიებითაც (საფარ-ბეგი), პატიებითაც (ბათუ) და თვითდასჯითაც (ჰაჯი-უსუბი), შურისძიებით კი დანაშაული არ გამოისყიდება, მხოლოდ დანაშაულის ერთი სახეობა შეიცვლება მეორეთი"* [ბაქრაძე, 2008:328].

ამგვარი დიდსულოვნებისა და პატიების გამოვლინება, რა თქმა უნდა, ყველას არ შეუძლია და რეალურ ცხოვრებაშიც ცოტა დაუჯერებელია. ალექსანდრ კუპრინის მოთხრობაში ,,ზღვის ავადმყოფობა“ ელენა ტრავინაც შეურაცხყვეს, ამის შესახებ თვითონ უამბო ქმარს. სერგეიმ ცოლს დაუყვავა, ანუგეშა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს სიმშვიდე მოჩვენებითი იყო. ძალიან დიდ სულიერ სიმაღლეს და შინაგან ენერგიას მოითხოვს პატიება. შეიძლება ამის სურვილი კი გქონდეს, მაგრამ არ გეყოს ძალა. ორივე მწერალი დამაჯერებლად აღწერს მოვლენებს, მაგრამ აკაკის შემთხვევში, ალბათ, უფრო მწერლის სურვილია გადმოცემული, ადამიანი იყოს ასეთი მიმტევებელი, მეორეში კი - რეალობა: ადამიანს უჭირს გულწრფელი პატიება. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მწერლობის დანიშნულებაზე აკაკი ბაქრაძე: *,,ადამიანი ორ სინამდვილეში ცხოვრობს. ერთია რეალური, მეორე - ილუზიური, თუ რეალური სინამდვილე ბუნების შემოქმედების ნაყოფია, ილუზიური სინამდვილე ლიტერატურისა და ხელოვნების შემქმნელია. თუ არ იქნება რეალური სინამდვილე, გაქრება ის მკვებავი ფესვი, ურომლისოდაც ვერ იარსებებს ილუზიური სინამდვილე. თუ არ იქნება ილუზიური სინამდვილე, გაქრება იმედი, ოცნება, მისწრაფება. რეალურ სინამდვილეში ადამიანს გამოეცლება მამოძრავებელი მუხტი. ადამიანი ობოლივით იგრძნობს თავს. ერთი სიტყვით, ილუზიური სინამდვილე რწმენას ქმნის, ურომლისოდ არსებობა შეუძლებელია“*[ბაქრაძე, 1990:414].

მწერლობა ქმნის რწმენას, რომ ბათუს, ზენონის, ავთანდილის, ალუდა ქეთელაურის, ჯოყოლასა და სხვათა მსგავსი ადამიანები შეიძლება რეალურადაც არსებობდნენ. ისინი ღმერთს მიემსგავსებიან, რადგან მხოლოდ უფალია ასეთი სულგრძელი. ადამიანს კი, ლიტერატურაში, მხატვრულ ტექსტში მაინც სჭირდება ასეთი მაგალითი, იდეალის არსებობა, უფლის მსგავსებისა და ხატების შენარჩუნება და გადარჩენა.

ზებულონიც დგას ამგავარი დილემის წინაშე - დაემორჩლოს ხალხისა და საკუთარი თავის ნებას და წავიდეს შურის საძიებლად, თუ ჩაიცვას ახალი ჩოხა-ახალუხი, შეჯდეს ქურანაზე და გაემართოს საოცნებო თეთრი ტაძრისკენ?!

მკითხველი ინტერესით ელოდება ზებულონის გადაწყვეტილებას, მისი განვლილი ცხოვრება იმედს აძლევს, რომ სწორ პიროვნულ არჩევანს გააკეთებს პერსონაჟი. თუმცა დიდი მოთმინება არ სჭირდება, ბევრს არ ფიქრობს წყაროსთვალელი ისახარის ვაჟი, შურისძიებას გადაწყვეტს.

ნიკოლაი ბერდიაევი წერს: *,,სწორედ პიროვნებაა ღმერთის ხატი და მსგავსება ადამიანში. პიროვნება უპირატესად ზნეობრივი საწყისია, რომელიც განსაზრვრავს დამოკიდებულებას ყოველგვარ ფასეულობათა მიმართ. ზნეობრივი ცხოვრების ცენტრი პიროვნებაა და არა საზოგადოება. სიკეთის და ბოროტების ნამდვილი შეჯახება მხოლოდ პიროვნებაში ხდება. ტრაგედია ყოველთვის დაკავშირებულია პიროვნებასთან, პიროვნების გაღვიძებასთან, მის შინაგან ბრძოლასთან. პიროვნების ცხოვრების არსია არა თვითშენარჩუნება, არამედ საკუთარი თავის გაზრდა, საკუთარი თავის გადალახვა, ძლევა“* [ბერდიაევი, 2006:98].

ვერ გადალახა ზებულონმა საკუთარი თავი, ვერ სძლია ცდუნებას, ვერ შედგა მისგან პიროვნება, ვერ გაიმარჯვა ზნეობრივმა საწყისმა, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილში უარსო არსს მისცა ასპარეზი საკუთარ ხორცში. ხუთი დღის თავდაუზოგავი ძებნის შემდეგ მიაგნო ზებულონმა ,,ეშმაკისა და ქაჯების ჩამომავალი დაროაშვილების“ კვალს, რომლებიც იმ საბედისწერო დღეს დედაწულიანდ აყრილიყვნენ და მიუვალ გამოქვაბულს აფარებდნენ თავს. გაუგონარი სისასტიკით ამოხოცა მან სამი ძმა, ორი რძალი და ჩვილი ბავშვები. მწერალი მთელი სიმძაფრით ასახავს ზებულონის თითოეულ მოძრაობას, მის სტიქიურ ფიზიკურ ძალას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, გამოქვაბულისკენ ისეთ მძიმე ლოდს მიათრევს, ოთხ მაგარ ვაჟკაცს გაუჭირდება მისი აწევა. დახშული გამოქვაბულიდან გაურკვეველი ხმები მოისმის. ამ ეპიზოდამდე არსად შეინიშნება, რომ მწერალს მცირედი ეჭვი შეჰქონდეს ზებულონის საქციელში, სწორედ ამაშია მისი სიდიადე, ისე დაბეჯითებით მოუწოდებს თავის პერსონაჟს შურისძიებისკენ, მკითხველს სჯერა მისი. პროზაიკოსი ოსტატურად აღწერს გმირის სულში დატრიალებულ ვნებათაღელვას, ცოდვის ორომტრიალშივე წამიერად უნათდება

გონება შურისძიებით შეპყრობილს - ,,თითქოს მზემ დანარჩენ სამყაროს ზურგი შეაქცია და მთელი თავისი ძალა ზებულონისკენ მიმართა“ - თითქოს ეს არის უკანასკნელი მცდელობა სამყაროსი, ზებულონი სიკეთისკენ მოაბრუნოს, ხელი ააღებინოს უკეთურ განზრახვაზე, თითქოს არ ემეტება ეს კეთილშობილი ადამიანი ასეთი ცოდვის ჩამდენი გახდეს, ასეთი საქციელი ხომ სრულად ეწინააღმდეგება ზებულონის ,,მეს“. მაგრამ უკვე გვიანაა. უსასტიკესი მკვლელობა აღსრულებულია, ყველაფერს მღვრიე ნისლი ფარავს. ბუნება საშინელი რისხვით ეხმაურება დედამიწაზე მომხდარ სისხლისღვრას: *,,ერთბაშად ისეთი დელგმა ატყდა, გეგონებოდათ, ზეციერმა მდინარეებმა ნაპირები წალეკეს და მხისხანე ღრიალით დედამიწაზე გადმოეშვნენო“* [ქარჩხაძე, 2016:75].

გაალმასებული ზეცა თითქოს ზებულონის ნამოქმედარის წაშლას ცდილობს, ამ საქმის მთავარი გმირი კი გაუნძრევლად ზის წვიმის თქეშში. კმაყოფილი უნდა იყოს, როგორი ჟინით დაეძებდა დაროაშვილიებს, როგორი სიმძაფრით მოუწოდებდა მამის ამღვრეული სული, შექსპირის ჰამლეტის დარად, რომელიც მალევე ნანობს ჩადენილს და ამბობს: *,,ნეტავი იმას, ვინც მსხვერპლად არ გახდომია ვნებათა ღელვას“* [შექსპირი, 2013:78]. ჰამლეტი თავისი ბუნებით, შინაგანი არსით არ არის მკვლელი, მაგრამ იძულებულია, მკვლელად იქცეს, არ არის შურისმაძიებელი, მაგრამ იძულებულია, შური იძიოს მამისა და მეფის მკვლელზე. სწორედ ეს არის შექსპირული ტრაგედიის ამოსავალი - საკუთარი თავის, არსის ღალატი, მის წინააღმდეგ წასვლა. ჰამლეტი გარემოებათა მსხვერპლია, „ვნებათა ღელვის“ მსხვერპლია ზებულონიც. დამშვიდდებოდა ისახარი იქ და ზებულონი - აქ. თუმცა ვის დაუმშვიდებია სული შურისძიებით, რომ წყაროსთვალელმა აზნაურმა დაიმშვიდოს?! *,,ცოდვის უამეს ცოტა ხანს არა არის რა, მერმე სამსალა არს და საწყენი“* [ორბელიანი, 2003:253], - ამბობს სულხან-საბა ორბელიანი ,,სიბრძნე-სიცრუისაში“. მართლაც, როცა ცოდვას სჩადის ადამიანი, საკუთარ ნებას აღასრულებს და ამით სიამოვნებას იღებს, მაგრამ მალევე ხვდება მომხდარის საშინელებას. შურისძიებაც ხომ ასეა, ეს არის მწველი სურვილის ასრულება. ზებულონის სულიერი მდგომარეობის წარმოჩენაში დაგვეხმარება გურამ გეგეშიძის მოთხრობა ,,შურისძიების“ ბოლოს მოცემული ავტორისეული

ექსკურსი, ერთგვარი მორალისტური დასკვნა მთავარი გმირის, რეზიკოს, შურისძიების შემდეგ: *,,გამარჯვებამ, რომელსაც მან მიაღწია სიძულვილით და არა ძალით, არ მოუტანა შვება. შურისძიებამ არაფერი არ შეცვალა. ყველაფერი ისევ ისე დარჩა. რაც მოხდა, უკვე მომხდარი იყო და არ შეიძლებოდა მისი შეცვლა არც შურისძიებით, არც სინანულით... მან არ იცოდა, რომ არსებობს უმიზეზო უსამართლობა, როდესაც ხშირად, საკუთარი ნების წინააღმდეგ, ცხოვრებას მიჰყავხარ, იქ, სადაც არ გინდა, გაკეთებინებს იმას, რაც არ გინდა და ყოველივე ამის გამო სამუდამო ტკივილს გიტოვებს გულში, რომელიც შემდეგ აღარასოდეს, აღარაფრით აღარ შეიძლება წაიშალოს და ბოლომდე გტანჯავს"* [გეგეშიძე, 2006:24]. ამას რეზიკო ფიქრობს, 15 წლის ბიჭი, რომელსაც ერთი კაციც არ მოუკლავს, მხოლოდ სასტიკად სცემა მეგობარს, ძმის დაჩაგვრისთვის და, წარმოიდგინეთ, რას უნდა გრძნობდეს ზებულონი, რომელმაც მკვლელებთან ერთად უდანაშაულო ქალები და ბავშვები ამოხოცა?! ჯემალ ქარჩხაძე, როგორც თვითონ ამბობს, ამა თუ იმ ზომით და ხარისხით ლიტერატურა ყოველთვის ფსიქოლოგიურია, ადამიანის სულის შემცნობია და ღრმა ფსიქოლოგიზმით დაგავანახვებს ზებულონის სულიერ მდგომარეობას.

ისტორიული განვითარების პროცესში ფსიქოლოგიური ანალიზი სულ უფრო დეტალიზებული და დანაწევრებული ხდება. მეოცე საუკუნის მსოფლიო და ქართული ლიტერატურა მიზანმიმართულად ცდილობს ადამიანის სულის მთელი სირთულე მოიხელთოს, მის შინაგან სამყაროში სხვადასხვაგვარი წინააღმდეგობრივი ძალების ურთიერთკავშირსა და ცვალებადობას ჩასწვდეს. სულიერი ცხოვრების იდუმალება ამოიცნოს. ფსიქოლოგიზმი ნაწარმოებში შეიძლება გამოვლინდეს პერსონაჟის შინაგანი სამყაროს ანალიზით, ცნობიერი თუ არაცნობიერი ემოციური იმპულსების, გრძნობების, შთაბეჭდილებების, ფიქრების წარმოჩენით. ფსიქოლოგიზმი ხორცს ისხამს პერსონაჟის შინაგანი მონოლოგებით, გულახდილი დიალოგებით სხვა პერსონაჟებთან, აღსარებებით, სიზმრებით, წერილებით... ზებულონთან მსგავსი არაფერი შეინიშნება. საქციელი და გარესამყაროს ზემოქმედება ნათლად გვიჩვენებს პერსონაჟის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას: ,,ზებულონმა მხოლოდ ერთხელ გაიგონა *,,ზებულონ! ზებულონ!"*

მაგრამ ეს კაცის ხმას არ ჰგავდა და საერთოდ ძნელი სათქმელი იყო, მართლა გაიგონა თუ მოეჩვენა“ [ქარჩხაძე, 2016:75]. რა ხმა ჩაესმის ზებულონს? ამ საკითხს ნათელყოფს ფილოსოფოს ვლადიმირ სოლოვიოვის მოსაზრება: *,,ადამიანს სიკეთისა და ბოროტების გარჩევის ბუნებრივი უნარი აქვს - ეს არის სირცხვილის გრძნობა, რომელიც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი. ეს უნარი ვითარდება, ფაქიზდება და სირცხვილის გრძნობიდან სინდისის სახით ამოიზრდება. როცა მოყვასთან და ღმერთთან ადამიანის ურთიერთობას ეხება საქმე, ზნეობრივი თვითშეფასება გრძნობის ამარა ვერ დარჩება, თვითშეფასება მოექცევა აზროვნების სფეროში და იქიდან უკვე სინდისის ფორმით გვევლინება. სირცხვილი და სინდისი სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ და ლაპარაკს სხვადასხვა საბაბით იწყებენ, მაგრამ მათი სათქმელი ერთია: ,,ეს სწორი არ არის, ეს არ არის კეთილი საქმე, ეს უღირსობაა“. ამგვარი სათქმელი უკვე სირცხვილის გრძნობაშია ნაგულისხმევი. სინდისი მას აზრობრივ სიცხადეს მატებს: ,,რაკი ეს დაუშვებელი რამ ჩაიდინე, შენ ბოროტება, ცოდვა, დანაშაული იტვირთე“* [სოლოვიოვი, 2006:216].

ზებულონის შინაგანი არსი ხვდება დანაშაულის სიმძაფრეს და, უდავოა, ეს სინდისია. ვაჟა-ფშაველას აქვს პოემა ,,სინდისი“, რომელშიც მხატვრულად არის აღწერილი დედამიწაზე ამ გრძნობის დაბადება. აბელისა და კაენის ბიბლიურ ისტორიას მწერალი საკუთარ პოეტურ ქურაში გადაადნობს და გარკვეული სახეცვლილებით გვთავაზობს. პოემის მიხედვით, კაენი ძმას შურისა და ჯიბრის გამო სიპი ქვით აჭრის თავს, აბელის მკვლელობისას ცაში ვარსკვლავები ტირიან, მთები იძვრის, ზღვები ღელავს - ბუნება შფოთავს და მრისხანებს, ისე როგორც ,,ზებულონში“. ამ პირველი მკვლელობის შემდეგ ქვეყნად ბოროტება - ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა მკვიდრდება. კაენს კი უჩინარი არსი ევლინება ღვთისაგან. *,,მკვლელს შუა გზაში დაეცა თავში ლოდისა მსგავსი უჩინო არსი“* [ვაჟა-ფშაველა, 2006: 209]. ,,უჩინო არსი“ იმ დღიდან მოყოლებული ყველა ადამიანშია, თუმცა სხვადასხვანაირად აღიქვამს და უგდებს ყურს თითოეული.

კაენისა და აბელის ბიბლიური ამბავი ასევე საფუძვლად უდევს ინგლისელი მწერლის ჯორჯ ბაირონის დრამატულ პოემას ,,კაენი“. ბაირონის მიერ დახატული კაენი ვერ ურიგდება ადამისა და ევას პირველცოდვის შედეგს, იმას, რომ ადამიანის ხვედრი მძიმე შრომა, ტანჯვა და სიკვდილია. ამაში კაენი ღმერთსაც ადანაშაულებს და აღიზიანებს აბელის ღვთისმოსაობა. მას უკმაყოფილებას, მეამბოხურ განწყობას უმძაფრებს დემონი ლიუციფერი. ასე ხდება კაენი ძმის მკვლელი, ამის შემდეგ ამაყი მეამბოხე ითრგუნება, სტანჯავს სინანულის განცდა და სამუდამოდ კარგავს სიმშვიდეს. კაენის მამა, ადამი, ამბობს, რომ ის არ დაწყევლის მკვლელს, მისი შემაჩვენებელი მისივე სინდისია.

არაერთი ადამიანის მკვლელობის ცოდვა ამძიმებს შექსპირის ,,რიჩარდ III“ - ის მთავარ პერსონაჟს. მისი სული თითქოს მთლიანად არის სავსე ბოროტებით, მაგრამ სინდისის ქენჯნას მაინც ვერ აიცდენს - ძალაუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის წინა ღამეს მას სიზმარში ეცხადებიან იმ ადამიანთა სულები, რომლებიც ტახტის მოპოვებისთვის სასიკვდილოდ გაწირა და შინაგანად არყევენ, ასუსტებენ მას.

მკვლელობისა და მკვლელის სულიერი ტანჯვის თემა ლიტერატურას ძველი დროიდან გასდევს. ეს თემა ღრმად და მკვეთრად წარმოჩნდება ბერძნულ ტრაგედიაში, მაგალითად, ესქილეს (ძვ.წ.ა. 524-456) ,,ევმენიდებში“. ცოლის მიერ სასიკვდილოდ მოღალატურად გამეტებული მეფე აგამემნონის ვაჟს, ორესტეს, რომელიც მამის გამო შურს იძიებს და საკუთარ დედას, კლიტემნესტრას კლავს, სდევნიან ერინიები (ევმენიდები) - შურისძიების ქალღმერთები. ეს აღიქმება როგორც მკვლელის დატანჯვა საკუთარი სინდისის, დანაშაულის გრძნობის მიერ. სინდისი სამაგიეროს უხდის დანაშაულის ჩამდენს. ამავდროულად, ბერძნულ მითოლოგიაში არანაკლებ მნიშვნელოვანია გადამეტებული ბედნიერების, ზღვარს გადასული სიამაყის, ამპარტავნების დამსჯელი ნემესისი (ნემეზიდა), რომელიც შემდეგ შურისგების ქალღმერთად იქცა. საბერძნეთის გარდა, ნემესისს თაყვანს სცემდნენ რომშიც, განსაკუთრებით ჯარისკაცები და გლადიატორები [ნემესისი- ბიბლიოვიკი (ელრესურსი)], ამ საკითხის მიმართ ხელოვანთა დიდ ინტერესს ისიც

ადასტურებს, რომ მსოფლიოში შექმნილია ნემესისის რამდენიმე სახის სკულპტურა, რომლებიც გაფანტულია სხვადასხვა ცნობილ მუზეუმში. განსაკუთრებით პოპულარულია ბერძნული (რამნუსი), ეგვიპტური (ლუვრი) და რომაული (გეტის კოლექციები) ქანდაკებები. საგულისხმოა გეტის მუზეუმში დაცული ფრანგი მხატვრის პიერ-პოლ პრუდონის მიერ ამ თემაზე შექმნილი ფერწერული ტილო ,,დანაშაული და ღვთიური შურისძიების აღსრულება.“ შედევრი სიტყვიერად რომ აღვწეროთ, ასე გამოიყურება: წინა პლანზე წევს მკვდარი კაცი, რომელსაც დაჭრილი ყელიდან სდის სისხლი, მკვლელი გარბის მსხვერპლის ნივთებით ხელში, ზემოთ ღვთიური შურიძიება ანათებს გზას ჩირაღდნით და სამართალი აღჭურვილია ხმლითა და სასწორით, რათა დასაჯოს დამნაშავე. პიერ პრუდონმა ეს ნახატი შექმნა მონუმენტური ფერწერის ნიმუშად, რათა დაეკიდათ მოსამართლის სკამის უკან პარიზის სამართლის სასახლეში. მხატვარი იყენებს სწრაფ და მკვეთრ ფერწერულ გადასვლებს. აღწერს ფიგურების მოძრაობასა და ენერგიას. სიტუაციას მეტ დრამატულობას სძენს აქცენტი სინათლისა და სიბნელის კონტრასტებზე. მთვარის ანარეკლი მთავარი ილუმინატორია შურისმაძიებელი პერსონაჟებისა, ძლიერად არის განათებული მსხვერპლის ტორსი, ამის ფონზე ჩაბნელებულია დამნაშავის სახე. პრუდონის კონცეფცია ასეთია: სამართალი არის დაუნდობელი, თუმცა ზოგჯერ შენელებული. ეს შეტყობინება ამცნობს დარბაზში შემსვლელებს, რომ შურისძიება ანუ ,,სამართალი“ გარდაუვალია, ის ადრე თუ გვიან იპოვის გზას და აუცილებლად აღსრულდება [Lloyd, 2016 (ელრესურსი)]. ზემოთ ნახსენები ,,ნემესისები“ იმის დასტურია, რომ დედამიწის იდეოლოგიური სიჭრელიდან გამომდინარე, არსებობს უამრავი შეხედულება და აზრი შურისძიების, ანუ ,,სამართლის აღსრულების“ შესახებ. თუ მართმადიდებლური რელიგია ერთადერთ მსაჯულად არა ადამიანს, არამედ ღმერთს მიიჩნევს და მხოლოდ მის სამართალს ენდობა, ძველი ბერძნები ქალღმერთებს მოიხმობენ, რომ დაეხმარონ საკუთარი ხელით ჩაიდინონ ,,სამართლიანი“ შურისძიება.

დოსტოევსკის რომანის ,,დანაშაულის და სასჯელის“ გმირი რასკოლნიკოვი მიიჩნევს, რომ გამორჩეულ პიროვნებას, ზეკაცს, თავისი მიზნის მისაღწევად

ჩვეულებრივი ადამიანების მკვლელობის უფლება აქვს და ახორციელებს კიდეც ამ ,,თეორიას“ - მოხუც მევახშე ქალს კლავს. მაგრამ აღმოჩნდება, რომ სხვა ადამიანის მკვლელობა ამავე დროს საკუთარი სულის დანგრევაა - საკუთარ თავში ადამიანის მოკვლაა.

თვითმკვლელობაში ხედავს გამოსავალს საკუთარი ძმის მკვლელი ბაჩილა ჩიჩილაშვილი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაში ,,ორი განაჩენი“. კანონის მიერ გამოტანილი განაჩენი - თავისუფლება - სასჯელი აღმოჩნდება მისთვის და მორალურ კმაყოფილებას მხოლოდ სიკვდილში პოვებს.

რეალური ბიბლიური ისტორია კი ასეთია: ,,დაორსულდა ევა და შვა კაენი. თქვა: კაცი შემეძინა უფლისაგან. მერე შვა მისი ძმა აბელი. აბელი მეცხვარე იყო, კაენი - მიწის მუშაკი. გამოხდა ხანი და მიართვა უფალს ძღვენი, მიწის ნაყოფი. აბელმაც მიართვა თავისი ფარის რჩეული პირუტყვი. მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს, ხოლო კაენს და მის ძღვენს არ მოჰხედა. ძალზე გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა. უთხრა უფალმა კაენს: რად გამწარდი, რად ჩაღუნე თავი? თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე. უთხრა კაენმა თავის ძმას, აბელს: გავიდეთ ველად. და როცა ველად იყვნენ, დაეცა კაენი აბელს და მოკლა. უთხრა უფალმა კაენს: სად არის შენი ძმა აბელი? მიუგო: არ ვიცი. ჩემი ძმის დარაჯი ხომ არ ვარ?! უთხრა ღმერთმა: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს. ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას: დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე. უთხრა კაენმა უფალს: მძიმე ასატანია ჩემი სასჯელი, აჰა, მაგდებ დღეს მიწის პირისაგან და უნდა მივეფარო შენს სახეს; დევნილი და მიუსაფარი ვიქნები ამქვეყნად და ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა. უთხრა უფალმა: *„ამიტომაც შვიდგზის მიეზღვება კაენის მკვლელს, დაადო უფალმა ნიშანი კაენს, რომ ვერ მოეკლა იგი ყოველ შემხვდურს“* (დაბადება, თავი 4,1-15). ბიბლიის ამ ეპიზოდიდან ნათელია, რამდენად სცოდავს ადამიანი, როდესაც საკუთარი

ძალებით მოინდომებს სიმართლის აღდგენას, რამდენად სულსწრაფია კაცი, რომელიც არ დააცდის ღმერთს თავად აღასრულოს სამართალი. ნამდვილი ადამიანი და სრულყოფილი პიროვნება ის არის, ვინც შეძლებს სამართლიანი შურისძიებისგანაც შეიკავოს თავი და ღმერთს მიანდოს მისი *აღსრულება: ,,ჩემი არს შურისგებაი და მე მივაგო შენ წილ!"* (ზირ. 28,1; რომ. 12:19). რამდენად იმძიმებს სულს ყოველგვარი მკვლელობის ჩამდენი. თუ ერთი აბელის მკვლელობისთვის შვიდგზის მიეზღვება კაცს, მაშინ შვიდი დაროაშვილის მოკვლისთვის ზებულონს შვიდჯერ შვიდგზის მოეკითხება. ასეცაა, ივლის, ალბათ, ზებულონი, *,,დევნილი და მიუსაფარი" და ვერსად იპოვის ნუგეშს. მისი ცხოვრების გაგრძელების ისტორია მძაფრი ინტერესით ავსებს თითოეულ მკითხველს. აქ საგულისხმოა ირონიული ელფერის ხატოვანი ფრაზა: ,,დილით ქვეყნიერება დაწყნარდა, წვიმამ გადაიღო, ცაზე მზე გადმოდგა და ზებულონის ნამუშაკევს გადმოხედა"* [ქარჩხაძე, 2016:75]. ვერ მოიწონებს ზებულონი თავისი ნამუშაკევით თავს, ვერ შეიხორცებს მამის სიკვდილით მიღებულ ჭრილობას, პირიქით, გრძნობს, ამ ჭრილობას კიდევ უფრო დაუღია და დაუფჩენია პირი. გრძნობს, არაადამიანურად დასუსტებული და დაღლილი, რომ მთელი თავისი, გამორჩეულად დიდი, სულიერი და ფიზიკური ძალა უკეთური საქმისთვის შეულევია. *,,ზებულონის შურისძიება გაუგონარი ქმედებაა, ავტორი ამბობს, რომ ეს მას სოფელმა მოსთხოვა (ბუნებრივია, რომ ავტორი პერსონაჟის მხარეს იჭერს და მის გამართლებას ცდილობს), მაგრამ შურიძიების ფორმაც სოფელმა უკარნახა? საიდანაა ახალგაზრდა კაცში ამდენი სისასტიკე? ეს არაა რიტორიკული კითხვა, მკითხველი მის პასუხს ტექსტში დაუწყებს ძებნას და, სამწუხაროდ, ვერ იპოვის... ზებულონის შურისძიება ჩვეულებრივ დანაშაულად ვერ ჩაითვლება, გაკვირვებას იწვევს არა დანაშაულის სიმძიმე, არამედ მისი ფორმა, ღრმა ფანტაზიის შედეგი, რომელიც ზებულონს სრულიად სხვა კუთხიდან გვაჩვენებს"* [არგანაშვილი, 2008:2].

მართლაც, ძნელია ზებულონის გამართლება, მაგრამ მოიპოვება კი დედამიწაზე ადამიანი, რომელიც ერთხელ მაინც არ ყოფილა შეპყრობილი შურისძიების ვნებით. მოცემულ საკითხზე მსჯელობისას წმინდა კირილე იერუსალიმელი ამბობს: *,,გსურს, ღვთის კაცთმოყვარეობა და უდიდესი მოთმინება*

იხილო? ისმინე, რაც (კაენს) შეემთხვა... პირველშობილი ადამიანი, კაენი, ძმის მკვლელად იქცა, ბოროტმოქმედების გამომგონებლად, მკვლელობათა საწყისად და პირველ შურიანად. მაგრამ რა მიესაჯა ძმის მკვლელობის შემდგომ? დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე, ცოდვა დიდია, სასჯელი კი - მსუბუქი" [ბიბლია განმარტებებით, 2019:45]. ეს სიტყვები უფლის გულმოწყალებისა და სათნოების დასტურია, მას უყვარს თავისი შექმნილი არსება, მაგრამ *,,ღმერთი ადამიანში ყურმოჭრილ მონა-აღმსრულებელს კი არა, პიროვნებასა და კეთილგონიერ შემოქმედს ეძებს"* [ბიბლია განმარტებებით, 2019:42]. გონიერი არსება კი არასოდეს უნდა ვნებდეს ღმერთის შემოქმედებას. კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ძნელია ზებულონის განსჯა, თავად ავტორი ერთგან ამბობს: ძნელია გაამტყუნო ადამიანი, თუ შენ თვითონაც ადამიანი ხარ. მესროლოს ქვა იმან, ვისაც არ ჰქონია ეს ვნება.

შურისძიების თემა ილია ჭავჭავაძის ,,გლახის ნაამბობში" შეფარვით არის გაშლილი. გაბრიელის ცხოვრების ისტორია თითოეულ მკითხველში ღრმა ფიქრებს აღძრავს. ეს გლეხის ბიჭი ზებულონს თავისი სათუთი სამყაროთი ძალიან ჰგავს. ავტორი თვითონ პერსონაჟს ათქმევინებს: *,,მე, მართალია, ვიყავ ერთ დროს კაი მოსხეპილი, ხელმარჯვე ბიჭი, ძალი და ღონე ყველაფერში შემწევდა, მაგრამ, ღვთის წინაშე ვაღიარებ, მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი. იქ ასეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შვილი მოუკლა და ხელი არ აგიკანკალდეს. მე იმისთანა არ ვიყავ: გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე, მე ყმაწვილობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვარიგად გამითბო გული"* [ჭავჭავაძე, 2015: 14]. კი ჰქონდა გული გამთბარი, მთელი ცხოვრება იმას გაიძახის, კაცის გამმეტებელი არ ვარო სასიკვდილოდ, მაგრამ ბატონის გულქვაობამ ააღებინა ცხოვრებაზე ხელი, შური იძია საყვრელი ქალის შეურაცხმყოფელზე, მოკლა. საშინელი ტანჯვითა და სინდისის ქენჯნით მიდის ამ ქვეყნიდან ისე, რომ ზიარებაც არ ეღირსა. ბოლოს აღმოაჩენს, სწორედ იმან იხსნა პატიმრობისა და გარდაუვალი სიკვდილისაგან, ვინც დაუნდობლად მოკლა. სიბნელეში ქლიბი შეაჩეჩა და მიაძახა: სახელი რად გინდათ, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავსო. სიკვდილის წინ ნათქვამი მისი სიტყვები: *,,მშვიდობით და გამარჯვებით, გამარჯვებულო გაბრიელ!...ვნანობ, რომ ესე უსახელოდ მოგეკვლევინე. გამარჯვებით..."* [ჭავჭავაძე, 2015:56]. ნებისმიერ ადამიანს აუჩუყებს

გულს და დააფიქრებს ღვთის განგებულებაზე. ცხოვრებისეული გაკვეთილიდან ვინ რას იღებს, ძნელი გასაგებია, კაცის გონებას უფლის კანონზომიერებაში წვდომა ხომ არ ძალუძს. ეგ არის, ნამდვილად ეგ არის... ჭიებდასეული, დაწყლულებული სხეული აქვე რომ ლპება, სწორად ხვდება - არასდროს უნდა განსაჯო ისეთივე ადამიანი, როგორიც შენ ხარ.

კიდევ უფრო ძნელია სპირიდონ მცირიშვილის გამტყუნება ეგნატე ნინოშვილის მოთხრობიდან ,,ჩვენი ქვეყნის რაინდი“. პატიოსანი მასწავლებელი კაცი, რომელსაც მთელი ცხოვრება ისე გაუტარებია, ჭიანჭველასთვისაც არ დაუდგამს ფეხი, ასეთივე სათნო მეუღლის პატრონია. მათი ,,დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ შეხმატკბილებულად, სულის ერთობით იბრძვიან ამ მძიმე და უსამართლო წუთისოფელში: ,,კაი ამხანაგები რომ გინახავს, ისთე ეხმარებიან ერთმანეთს საქმეში. ორივე ისე ზრუნავს სკოლისთვის, რავარც კაი დედ-მამა შვილის აღზრდაზეო“ - ამბობდა ხალხი“ [ნინოშვილი, 2011:27]. ერთი საღამო აღმოჩნდება მათი ცხოვრების დამანგრეველი. მატარებლის სადგურზე ელპიდეს სილამაზე მიიპყრობს ტარიელ მკლავაძის ყურადღებას. ხმელი ტანის, ჩია სპირიდონი მისთვის უმნიშვნელო დაბრკოლებას წარმოადგენს. ან კი რა უნდა გაუჭირდეს თავმომწონე, ქება-დიდებით გაამპარტავნებულ აზნაურს, რომლის სიტყვასა და სურვილს თვალის დახამხამებაში ასრულებენ დამქაშები. *,,ალბათ, არის ჩემში მეტად ძვირფასი რამე, რომ ყველა მაქებს და პატივს მცემსო, - იფიქრა მან და თანდათან გამედიდურდა, თანდათან დაეკარგა მის თვალში სხვების პირადობას, რომლებიც არ იყვნენ ბუნებისგან დაჯილდოებულნი მისთანა თვალტანადობით და მკლავღონიერობით“* [ნინოშვილი, 2011:31], გვეუბნება ავტორი პერსონაჟის შესახებ. ამ ამბავმა სიცოცხლე მოუსწრაფა ელპიდეს და ჯანმრთელობა კიდევ უფრო შეურყია ისედაც დაავადმყოფებულ სპირიდონს. ვერ ვიტყვით, რომ შურისძიებით იყო შეპყრობილი, პირიქით, ის საერთოდ გაურბოდა ამ ამბავზე ფიქრს, იმ ადგილისკენაც არ იყურებოდა, სადაც ხორციელი ჟინით შეპყრობილი ტარიელ მკლავაძე და მისი მსახურები ჯერ დუქანში დაესხნენ თავს და ელპიდეს მოტაცება სცადეს, მერე რკინიგზის ბაქანზე კატასავით ათრიეს. განგებამ მოულოდნელად შეახვედრა. ახლა, როცა მოულოდნელად გადაეყარა

გალაღებულ აზნაურს, წარმოიდგინა, რამდენ ადამიანს გაუმწარა და კიდევ გაუმწარებდა სიცოცხლეს თავისი ავხორცობით, რევოლვერი ამოიღო და ესროლა. ავტორი აღარ მიჰყვება მთავარ პერსონაჟს ციმბირში, მაგრამ მკითხველს საფიქრალს კი უტოვებს. ისეთი სათუთი ბუნების პატრონსაც, როგორიცაა სპირიდონი, აჯობა შურისძიების გრძნობამ. და მერე რა... აღსრულდა სამართალი? ერთი შეხედვით, დამსახურებული სიკვდილი ეწია დამნაშავეს, სიკვდილი ისედაც ხომ მოვიდოდა, უბრალოდ, სპირიდონმა დააჩქარა, მთელი მისი ცოდვები აიკიდა და თვითონაც დამძიმებული წავიდა ამ ქვეყნიდან.

გიორგი წერეთელი მე-19 საუკუნის მიწურულს შექმნილ რომანში ,,პირველი ნაბიჯი“ საინტერესოდ აღწერს ღრმა ეკონომიკური პროცესების ფონზე განვითარებულ მოვლენებს. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მრეწველობისა და ვაჭრობის სწარაფმა განვითარებამ გამოიწვია სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქად. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ღარიბი გლეხის შვილი ბახვა ფულავაა, რომელიც ქალაქში მიდის მოსამსახურედ. მწერალი დეტალურად გვიჩვენებს მისი გაჭირვებითა და დაბრკოლებებით სავსე გზას. ინჟინრის ოჯახში დიდი სიმარჯვის გამოჩენის შემდეგ პორტში იწყებს მუშაობას, ვაჭრობაშიც კარგ მოხერხებას და ჭკუას ავლენს, გვარიან ქონებას აგროვებს და შეძლებული თავადივით მოეწყობა იმერეთის ერთ ლამაზ სოფელში. მხატვრულ ეფექტს ქმნის საყოველთაო ორომტრიალი, ამ ქაოსში მთავარი გმირი სუფთად, უმწიკვლოდ გამოდის. ყველა პატივს სცემს და კარგი კაცის სახელით დადის. ცოლად მოჰყავს ივანე-რუსის შვილი, უმშვენიერესი ესმა და ამქვეყნიურ ბედნიერებას სრულად შეიგრძნობს მასთან ერთად. აკაკისა არ იყოს, ,,მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს მტრისას მისი გამოცანა“ [წერეთელი, 2006:56] ავტორი სწრაფი, ენერგიული მთხრობელია, ნაკლებად ხატოვანი აზროვნება და მეტყველება მკითხველს იპყრობს და მოვლენების განვითარების ინტერესს აღუძრავს. შემაძრწუნებელია ბნელ ღამეში ესმას მკვლელობის დეტალური აღწერა: ,,ამ დროს შენიშნა, რომ უკან მისდევდნენ და, ის იყო მისწვდენ კიდეცა. იფიქრა, დამიჭერენო და ბრაზმორეულმა, რომ თავის განზრახვას ვეღარ ასრულებდა, მოისვა ხანჯალზე მარჯვენა ხელი და ჩაკრა გულში ქალს ამ სიტყვებით: „თუ ჩემი

არ იქნები, ნურც მისი ყოფილხარ!“ ესმა საზარელი კვნესით ძირს დაეშვა. ბახვა დაეკონა თავზე ესმას. ის სისხლში ცურავდა“ [წერეთელი, 1991:54]. ეს საშინელი მკვლელობა ვინმე იერემია წარბამ, ხელმოკლე თავადიშვილმა, ჩაიდინა, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერაფრით მოინადირა ესმას გული. ავტორი თითოეულ პერსონაჟს საგულდაგულოდ გვაცნობს, ბავშვობიდან დაწყებული მთელ მათ განვლილ ცხოვრებას დაწვრილმანებით გვიყვება, ყურადღებას მიგვაქცევინებს ადამიანის სულის ფორმირების მნიშვნელობაზე მცირე ასაკში. *,,იერემიამ, როგორც ფიცხელმა და გულამაყმა, გადაუბრიალა თავის მამას თვალები, ჩაიკრა მუჭი გულში და წამოიძახა: „შენ მამა კი არა, მამალი მგელი ყოფილხარ, რომელიც ლეკვებს სჭამს და არა ზრდის! ვინ გეხვეწებოდა ჩემს გაჩენას, ჩემი მოვლა და პატრონობა თუ არ შეგეძლო? ამიერიდან მე არც დედ-მამა მყოლია, არც ოჯახი მქონია, ერთი თავზეხელაღებული გამოვსულვარ, გაჩვენებთ თუ თავს ვერ ვირჩენო“* [წერეთელი, 1991:63]. ასე გაბოროტებული, ქვეყანაზე გასული კაცი უამრავი ადამიანის ცხოვრების გამწარებელი გამოდგა, მათ შორის, ბახვა ფულავასიც. ცოლის სიკვდილის შემდეგ სამართლის ძიება დაიწყო, მხოლოდ ამაშიღა ხედავდა ცხოვრების აზრს, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდა: *„აქ თუ რაიმე გარეშე გავლენა არ მოქმედობდეს, ნუთუ ქურდი და ავაზაკი, უმანკო სულის მკვლელი და მთელი ოჯახის პირქვე დამამხობელი, აქამდის ორთაჭალის ბაღებში არხეინად უნდა ატარებდეს დროს თვით იმ მთავრობის წინაშე, რომლის წმინდა მოვალეობა მისი განკითხვა და სასტიკად დასჯა უნდა ყოფილიყოვ?“* [წერეთელი, 1991:72]. ცოლის მკვლელობით გაბოროტებული, მძულვარებითა და ზიზღით აღვსილი დადის მისთვის ჯოჯოხეთად ქცეულ დედამიწაზე ბახვა ფულავა. ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ ღრმად ეფლობა ჭაობში სისხლის ძიებით შეპყრობილი ადამიანი. თავის თავსაც იღუპავს და გარემოსაც ვნებს ბოროტებით. შურისძიების გრძნობა ნელ-ნელა, მაჯლაჯუნასავით იპყრობს კაცს, საღად განსჯის უნარს აკარგვინებს, მთელ ქვეყნიერებას უპირისპირებს და საბოლოოდ კლავს მასში ადამიანს. სისხლით მოთხვრილი, თვითკმაყოფილი ,,სამართლის“ აღსრულებას ზეიმობს: *,,სამართალი გავაჩინე, სამართალი! ქვეყანამ არ მაღირსა სამართალი და მე თვითონ გავაჩინე. ეს არის ჩემი ცოლის ესმას სამაგიერო. აი, ახლა გავცოცხლდი!*

მე ახლა გავხდი ისევ უწინდელი ბახვა. ამიერიდან, საცა უნდა ვიყო, ყველგან ბახვა მერქმევა და ქუდიც თავზე მეხურება" [წერეთელი, 1991:69]. საკუთარი ხელით აღსრულებული მკვლელობა უმაღლესი სამართლიანობის განცდას ბადებს მკვლელში ან კი, როგორ უნდა დაძრახო... ამით შელახული ნამუსი გაიმთელა, შეგუბებული ბოღმისგან გაითავისუფლა გული, მწველი სურვილი გადმოანთხია... მაგრამ ის, ვინც მოკლა, მკვლელი აღარაა, მოკლულია, სისხლში ჩამხვრჩალია, აღარაფერი მოეკითხება, მკვლელის იარლიყი მას მოხსნა და თვითონ მოირგო. არსთა გამრიგესთან ის მოკლულის ,,სტატუსით" წარდგება, შენ - მკვლელის. შენ თუ აქ გაასამართლე, როგორ მიედრები იმ უზენაეს მსაჯულს, შენ იქ გაგასამართლებენ. განსაცდელისგან, ტკივილისა და უსამართლობისგან გაბოროტებული ბახვა ამ სოფლის კანონებით იბრძვის, ღვთიური სიმართლის არსებობა მისთვის წარმოუდგენელი და დაუჯერებელია.

შურისძიების თემაზე შექმნილი ნაწარმოებების დაძებნა ქართულ თუ მსოფლიო ლიტერატურაში კიდევ მრავლად შეიძლება. ამჯერად პუშკინის ერთ პატარა მოთხრობაზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება. ,,ნასროლი" მე-19 საუკუნის დასაწყისში შექმნილი ნაწარმოებია. ავტორი თვითონ არის მთხრობელი, პირველ პირში ძალიან უშუალოდ და საინტერესოდ გვიყვება ამბავს. მთავარი პერსონაჟის სილვიოს შესახებ ვიგებთ, რომ სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ადამიანია, რომელიც ამჯერად რუსეთის ერთ მიკარგულ სოფელში ცხოვრობს და ხშირად მასპინძლობს ჯარის ოფიცრებს. მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს მის გატაცებას მიზანში სროლაში: *,,ოთახის კედლები ერთთავად დაცხრილული ჰქონდა ტყვიით, სულ დასვრეტილი ფიჭასავით... გასაოცარი იყო ის ოსტატობა , რომელსაც მან მიაღწია და თუ ის ვისიმე ქუდიდან ტყვიით მსხლის ჩამოგდებას მოისურვებდა, ჩვენს პოლკში ყველა უყოყმანოდ მიუშვერდა თავს მის ტყვიას"*[პუშკინი, 1975:564]. ბანქოს თამაშის დროს ერთ-ერთი ოფიცერი სილვიოს სილას გააწნავს, მისგან საპასუხო რეაქციას ყველა შიშით მოელის, მაგრამ გაფითრებული მასპინძელი მხოლოდ ერთ წინადადებას ამბობს: *,,მოწყალეო ხელმწიფევ, კეთილი ინებეთ, გაბრძანდით, და უფალს მადლობა შესწირეთ, რომ ეს ამბავი ჩემს სახლში მოხდა"* [პუშკინი, 1975:569]. ნების საოცარ სიმტკიცესა და სტუმრის პატივისცემას ავლენს

სილვიო. საინტერესოა საზოგადოების დამოკიდებულება: ყველა შებღალული ღირსების აღდგენას ითხოვს, ფარულად თუ აშკარად, სულგანაბული ელოდება მოვლენების განვითარებას. ეს ძალიან ჰგავს იმ ეპიზოდს, როდესაც ზებულონს მთელი სოფელი შეჰყურებს და რისხვით ითხოვს მისგან შურისძიებას. ისიც, ახალგაზრდა, 18-19 წლის გამოუცდელი ჭაბუკი, ადვილად ნებდება საზოგადოების მოთხოვნას და სამაგიეროს გადახდის სასტიკ ხერხს ირჩევს. სილვიო კი ცხოვრებანაგემი კაცია, მასზე გავლენას ვერ ახდენს გარშემომყოფების ჩუმი მოთხოვნა - ღირსება შურისძიებით აღიდგინოს. უარს ამბობს ამ სულისდამამდაბლებელ საქმეზე ისე, რომ მის ვაჟკაცობას არაფერი დააკლდეს. უდავოა, სოციუმი დიდ გავლენას ახდენს ინდივიდზე, მაგრამ ვერ განსაზღვრავს პიროვნულ არჩევანს, თუ ის მყარი და თავდაჯერებულია. სწორედ ასეთია სილვიო, პერსონაჟი საკუთარ თავში მზარდ შინაგან ძალასა და არჩევნის თავისუფლებას ატარებს, რითაც უპირისპირდება საზოგადოების არასასურველ ტენდენციებს და თავისი ღირსებით ამარცხებს შურისძიებას.

ანკი რა ექნა სოფლელ უბირ ზებულონს, აკი ცდილობდა ადამიანის საიდუმლოს ამოცნობას, აკი აპირებდა გასანათლებლად თეთრ ტაძარში წასვლას, მაგრამ ცხოვრებამ არ დააცადა. სანამ სულს გამოიწრთობდა, მანამ დაატყდა თავს უბედურება, ცხოვრებასთან ჭიდილში დამარცხდა ჭაბუკი. გაკიცხვის გარდა, თანალმობასა და თანაგრძნობასაც იწვევს მკითხველში მისი ცხოვრების სევდიანი ისტორია. მწერალს კი, ალბათ, იმის თქმა უნდა, რომ თუ ნამდვილი პიროვნება ხარ, თუ ძლიერი ხარ, ცდუნებას უნდა გაუმკლავდე, საკუთარ თავსაც აჯობო და ქვეყანასაც, ისე როგორც აჯობა იგიმ. მაგრამ თუ მაინც ცდუნდი, გამოუსწორებელი შეცდომა არ არსებობს, მონანიებით, გულწრფელი სინანულით, შეცდომის გააზრებით ყველაფრის გამოსწორებაა შესაძლებელი. ადამიანი თუ ისე ჩაეფლობა ცოდვის მორევში, ერთს მეორე მოჰყვება და ვერარასოდეს ამოვა იქიდან. ამ აზრს მწერლის პუბლიცისტური მსჯელობაც ადასტურებს: *,,ჩვენ ყველანი ერთი ვებერთელა წიგნის ფურცლები ვართ და არა ღირს მეტისმეტი თავის მოწონება იმით, რომ თქვენ ქათქათა და ულაქო ხართ, ვიდრე სხვა ფურცელი დათხვრილი და დაჭმუჭნილია. თუ ერთ გვერდზე შეცდომაა, მთელი წიგნი დეფექტურია.*

კაცობრიობა ერთიან ჯაჭვშია ჩაბმული და ერთ გზას ადგას, რომელიც ან დაღუპვის გზაა, ან გადარჩენის. მე იმედი მაქვს, რომ გადარჩენის გზაა, მაგრამ გადარჩენისთვის აუცილებელია - რა იდეალიზმადაც არ უნდა მოგეჩვენოთ - ადამიანი ისე უნდა ზრუნავდეს სხვის სულზე, როგორც საკუთარ სულზე ზრუნავს, რადგან საკუთარი და სხვისი არსებითად ერთი და იგივეა. კარაგად მესმის, რომ ამის შესრულება იმდენადვე ძნელია, რამდენადაც თქმაა იოლი, მაგარამ მე სხვა გზა არ ვიცი" [ქარჩხაძე, 2014: 47]. ძნელია საკუთარ სულზე ზრუნვაც კი, ძნელია იყო ისე ძლიერი, საშინელი ცოდვით დაცემული კვლავ წამოდგე, განაგრძო გზა და ღირსეულად ზიდო შენი ჯვარი გოლგოთამდე. ასეთი გზა ვიწრო და ეკლიანია. პირველი შეცოდების შემდეგ ადამიანი დაშორდა ღმერთს და მიეჯაჭვა მიწას, მაგრამ სულის თვისებაა მარადიულად ისწრაფოს დაკარგული სამკვიდროსაკენ. ეს ძალიან რთული პროცესია. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ჭეშმარიტი გზით სიარული, დიდ ნებისყოფასა და ძალისხმევას მოითხოვს პიროვნებისგან, რადგან, როგორც მათეს სახარებაში წერია: *,,...ვრცელ არს გჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ-იგი იწრო არს გჭე და საჭირველ გზა, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, და მცირენი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას"* (მათე, 7,13-14). საკუთარ სულზე ზრუნვა ასე გვიჭირს და გვემძიმება ადამიანებს, როცა ხორცს გადაგებულნი, ვანებივრებთ და ვაზულუქებთ მას. რომანის გაგრძელება დაგვანახვებს, შეძლებს თუ არა ზებულონი წამოდგომას, თუ სულიერად განადგურებული და დაცლილი უარაფრო სვლას განაგრძობს ცხოვრების ძნელად სავალ ბილიკებზე.

ერთი კი უდავოა, მთელი ცხოვრება სინდისის ქენჯნა არ ასვენებს, შურისძიებით დამძიმებულს საკუთარი სული აჰყავს ტყვეობაში და მისი მონა ხდება. *,,დაროაშვილები უსხდნენ გულ-გვამში და ისინი ატარებდნენ თავიანთ ნებაზე. თითქოს მას კი არ დაუხოცავს დაროაშვილები, დაროაშვილებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად იყიდეს იგი და ახლა მათი ყმა და მონა იყო, მათ ნებას ასრულებდა და, რაც არ უნდა ჩაედინა, ყველაფერი მათი კარნახით უნდა ჩაედინა"* [ქარჩხაძე, 2016:98]. მწერლის შეფასება ასეთია, ცოდვაში ჩაფლულ ადამიანს საკუთარი ნება აღარ გააჩნია, მასში ღვთიური ხატი დამდაბლებული და

შერყვნილია, ამიტომაც ასეთი ადამიანისგან პიროვნება ვერ შედგება, თუკი ცოდვისგან გათავისუფლებას მუდმივად არ შეეცდება.

ქარჩხაძის ისტორიულ მოთხრობაში „რაჰათ-ლუხუმი“ შურისძიების დაუოკებელი სურვილითაა აღსავსე მოხუცი სულეიმანი, რომელიც ეპოქალური ქარტეხილების გამო, სტამბულის ქუჩებში თურქული ტკბილეულის გამყიდვლად ქცეულა. ბრძენი აღმზრდელი ვერაფრით ივიწყებს მარცხს და მთხრობელსაც თითქოს შორიდან მოესმის მისი სიტყვები: *„უპატრონოდ არ დაყრის თავის შვილებს, ალაჰი ურიცხვ ლაშქარს გამოგზავნის და ქვეყნიერების ვრცელ ფარდაგზე შანთით ამოწვავს იმ ადგილს, სადაც შენი ტურფა მიწა-წყალია ამოქარგული. ო, ცბიერების და მზაკვრობის ბუდევ! ფერფლი და ნაცარი დარჩება“... ამ ისტორიულ მოთხრობაში, სადაც თევდორე მღვდლის გმირობაა მხატვრულად რეალიზებული, შურისძიება უფრო საზოგადო, საერო, მასშტაბური ტკივილითაა გამოწვეული“* [ტურავა, 2014:356].

შურისძიების გრძნობა იმდენად მტანჯველია, ერთი წუთითაც არ ტოვებს ზებულონსაც. მანუჩარ ბატონიშვილის რაზმში ყოფნისას, მოღალატე გაცინებულ თათარს გაოცებით შეჰყურებს: *,,თითქოს სიცილი ისეთი რამ ყოფილიყოს, რაც ღალატისთანავე უნდა ჩამოგერთვას და სამუდამოდ აგეკრძალოს“ [ქარჩხაძე,* 2016:109]. ასეთ იარლიყებს აკრავს ადამიანებს, შური იძიე? - სინდისი უნდა გქენჯნიდეს, უღალატე? - სიცილის უფლება უნდა ჩამოგერთვას, ამიტომაც მთელი ცხოვრება ვერ პატიობს თავს ჩადენილ დანაშაულს და თვითგვემაში ატარებს წუთისოფელს.

შურისძიების დამღუპველი და დამანგრეველი ძალის მიმართ ავტორის დამოკიდებულება კარგად ჩანს შემდეგ *ეპიზოდში: ,,ახლა საშიში ის იყო, ხალხი შურისძიების წადილს არ დაებრმავებინა, გულს არ აჰყოლოდა და სისხლი არ დაღვარა. სისხლის დაღვრას, ადვილი შესაძლებელია, ამდენი წვით და დაგვით ნაგები კოშკი ერთი ხელის დაკვრით დაექცია“* [ქარჩხაძე, 2016:277]. ეს მაშინ ხდება, როცა ბექა ამილახვარი საიდუმლო შეთქმულებას აწყობს ისკანდერ-ხანის წინააღმდეგ.

ზებულონის მიერ ჩადენილი შურისძიება კვალს არ კარგავს, ბედი მის წინააღმდეგ მახვილს აღმართავს: *,,(სპარსეთს) ბედმა წაიყვანა. განა იმისთვის წაიყვანა, რომ ნესტანი დაენახვებინა! იმისთვის წაიყვანა, რომ ქაიხოსრო ბატონიშვილისთვის ეჩვენებინა და შურისძიების მახვილი აელესა“* [ქარჩხაძე, 2016:283].

მთელი წელი არ ასვენებს ფიქრები ლეკ ბიჭზე. სპარსეთიდან დაბრუნებული შეიტყობს, რომ მის თანაგუნდელებს ის არ მოუკლავთ. ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად ქენჯნის სინდისი, რადგან თვითონ განკარგულება გასცა, მოეკლათ. დაუსჯელი არაფერი რჩება ამქვეყნად, ეს განცდა განმსჭვალავს პერსონაჟის ცხოვრებას, ზებულონმა პასუხი უნდა აგოს ჩადენელი ცოდვისთვის, აქვე, ამ სოფელში, სანამ არსთა გამრიგეს წინაშე წარსდგება. კათალიკოსის გაკვეთილების შემდეგ თითქოს უფრო იაზრებს ამას: *,,სახელი ვერ დაერქმია ზებულონს, მაგრამ გრძნობდა, რომ ისეთი რაღაც იყო, კაცი რომ კაცისთვის დადგენილ საზღვარს გადააბიჯებ და ისეთ რამეს ჩაიდენ, არ შეიძლება თავს ღვთის რისხვა არ დაიტეხო“* [ქარჩხაძე, 2016:287].

მოცემული თავში მიმოხილული საკითხებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შურისძიება არასდროს არის გამოსავალი, არასდროს არის სამართლიანი, ის ანგრევს თითოეული ადამიანის შინაგან სამყაროს და კეტავს გზას პიროვნული განვითარებისკენ. მწერალი მისთვის დამახასიათებელი მოქნილობითა და სიცხადით წარმოაჩენს ზებულონის სულიერ დაცემას შურისძიების შემდეგ. მთავარ პრობლემას, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებას, სარწმუნოებრივ და ზნეობრივ გადაგვარებას მე-20 საუკუნის კოლონიური საქართველოს ეთიკურ-ისტორიული ჭრილიდან განიხილავს.

4. 3 ორი ზებულონი

ზებულონი და ზებულონი - ეს გამოთქმა ტექსტში რამდენჯერმე გვხვდება, ერთი ძველ უმწიკვლო, უცოდველ ზებულონს აღნიშნავს, მეორე -

ცოდვით დამძიმებულ, შურისძიებით დაცემულს. სამი დღე და ღამე გადაბმულად ეძინა დაღლილ-დაქანცულ, ტყე-ღრეში ნაწოწიალებ, დაროაშვილების სისხლდალეულ წყაროსთვალელ დევგმირს. სამი დღე და ღამე იყო ვეშაპის მუცელში იონა წინასწარმეტყველი, ღვთისგან დასჯილი და შეცოდებული, თუმცა, სასოება არ დაუკარგავს, უფალს პატიებას სთხოვდა, მიიღო კიდეც შენდობა და სინანულის მქადაგებელიც გახდა. ვეშაპის მიერ იონას შთანთქმა აღნიშნავს ადამიანის ჩავარდნას ცოდვის მორევში. იგი ალეგორიულად მიმანიშნებელია სიკვდილისა, ხოლო სამი დღე-ღამის მერე იონას უხრწნელი დაბრუნება მიწაზე მაუწყებელია აღდგომისა. ქრისტეც სამი დღე-ღამის შემდეგ აღდგა კლდეში გამოკვეთილი საფლავიდან. ზებულონი მოკვდა სულიერად, ცოდვის ჭაობში ღრმად ჩაეფლო, მაგრამ არ იცის, რომ რწმენასა და ღმერთს ძალუძს ადამიანის გათავისუფლება ცოდვისგან. ეცდება თუ არა ცოდვისგან ამოსვლას და საკუთარ თავში ახალი ადამის აღორძინებას, ამას მოვლენათა შემდგომი განვითარება გვიჩვენებს. ზებულონს სინანულის გრძნობა აკლიაო, წერს გია არგანაშვილი და ძნელია, არ დაეთანხმო. სინდისის ხმას თითქოს ყურსაც არ უგდებს. როცა შეიტყობს, დედა ოთახში ჩაიკეტა და ღმერთს ცოდვების შენდობას ევედრებაო. გაუკვირდება, *,,რაც კი ამქვეყნად ნათელი, წმინდა, სპეტაკი და შეუბღალავი არსებობდა, დედაში ეგულებოდა. მას ისეთი რა ცოდვა უნდა ჰქონოდა, რომ ლოცვაში ღამეები ეტეხა?“*[ქარჩხაძე, 2016:77].

თითქოს ვერ ხვდება ზებულონი, რომ დედა მის ცოდვას გლოვობს. ორმოცი დღის ლოცვისა და მარხვის შემდეგ უხმაუროდ წავიდა ამ ქვეყნიდან. მანამდე ერთხელაც არ მოუნდომებია შვილის ნახვა, მხოლოდ სიკვდილის წინ დაიბარა და უთხრა: *,,რაც შემეძლო ვევედრე და ვემუდარე ღმერთს, ყველა ცოდვა ჩემთვის მოემადლებინა, რომ ჩემი სული შენი სანაცვლო ყოფილიყო, მაგრამ არაფერი მითხრა და არ ვიცი, შეისმინა თუ არა ჩემი ვედრება...“*[ქარჩხაძე, 2016: 86]. დედის საქციელში კარგად ჩანს თავდადება შვილისთვის, ზებულონის მიერ ჩადენილი ცოდვის სიმძიმისა და სინანულის გააზრების აუცილებლობა. უცოდველი ხომ არავინაა ამ ქვეყანაზე, მაგრამ, როგორც წმინდა მამები ამბობენ, გულმხურვალე ლოცვასა და გულწრფელ მონანიებას ადამიანი ჯოჯოხეთიდანაც კი ამოჰყავს.

დედა მსხვერპლად ეწირება, მაგრამ ამაოდ, შვილი ისეა დაცლილი და დაცარიელებული, რომ იმასაც ვერ იაზრებს, რისთვის კვდება მშობელი. ისიც უკვირს და აოცებს, რატომ გაურბიან თანასოფლელები, შიშითა და მოკრძალებით უვლიან გვერდს მის სახლ-კარს. თვითონაც შინიდან თითქმის აღარ გამოდის, დღისით სძინავს, ღამით ფხიზლობს, რადგან *,,ღამღამობით დაროაშვილების ხმა ესმოდა და გაოფლილი იღვიძებდა. ასეთ დროს ადგებოდა, აივანზე გამოვიდოდა, კუთხეში დაჯდებოდა მოაჯართან, მთელი ღამე გაუნძრვლად იჯდა აქ და მხოლოდ ალიონზე, როცა მზის პირველი სხივები სიბნელეს გაკვეთდა, ისევ წვებოდა. მზის ამოსვლის შემდეგ დაროაშვილები აღარ ესიზმრებოდა"* [ქარჩხაძე, 2016: 89].

ნათელია, რომ ზებულონს მტანჯველი განცდა არ ტოვებს, მაგრამ უბედურება ის არის, ვერ ხვდება, რისგან არის გამოწვეული: *,,ცხადი იყო, რომ რაღაც გაწყდა, რაღაც მოშორდა, რაღაც დაიკარგა და ისე შორს დარჩა, ვერა საშულებით ველარ მიწვდენოდა, მაგრამ ის აღარ იცოდა, კერძოდ, რა დაკარგა, რით განსხვავდებოდა ახალი ძველისგან. ზებულონი ბევრს ფიქრობდა ამაზე, თავს იმტვრევდა, მაგრამ ეს უცნაური გამოცანა ვერ გამოეცნო"* [ქარჩხაძე, 2016:85]. ნუთუ ვერ ხვდება ზებულონი, რომ ცოდვამ მასში ყოველგვარი ამაღლებული ჩაკლა, დააუძლურა და დააძაბუნა ღვთიური საწყისი, რომელიც უნდა განევრცო და დიდ სიკეთედ ექცია, ქვეყნისა და მოყვასის სასარგებლოდ გამოეყენებინა. საამისოდ მას არც მეცნიერული და არც სარწმუნოებრივი ცოდნა არ ყოფნის. ერთს კი სწორად ხვდება უმეცარი სოფლელი ჭაბუკი: *,,იოველ ბატონიშვილი იყო ერთადერთი კაცი, ვისაც მხოლოდ ძველ, დაკარგულ, დახშული კარიბჭის მიღმა დარჩენილ ზებულონთან ჰქონდა კავშირი, მაშასადამე, ის ერთადერთი კაციც იოველ ბატონიშვილი იყო, ვისაც შეეძლო ზებულონი კვლავ ზებულონთან მიეყვანა"* [ქარჩხაძე, 2016:91]. სწორედაც რომ, განათლებაა ის ერთადერთი საშუალება, ძაფი, რომელიც ზებულონს ამ სიბნელიდან ამოიყვანს, გონებას გაუნათებს და სწორ გზაზე დააყენებს. მიდის ზებულონი იოველ ბატონიშვილთან იმ იმედით, რომ უხილავი ღობის მიღმა დარჩენილ უზრუნველ ზებულონს აპოვნინებს. მიდის, მაგრამ მტანჯველი ეჭვი უღრღნის გულს, თუღა მიიღებს ცოდვითდაცემულ ჭაბუკს სინათლის ტაძარში, მან ხომ სულ სხვა ზებულონი გამოარჩია ყველასგან და

დაიბარა სწავლა-განათლების მისაღებად თავის სასწავლებელში, რათა ოსტატი გამხდარიყო და წყაროსთვალში აენთო ცოდნის ლამპარი, თუმცა იმასაც გრძნობს, რომ ისეთი ზებულონი აღარ არსებობს.

ავტორი მთელი სიმძაფრით წარმოაჩენს მთავარი გმირის ტანჯვას, გახლეჩილ, გაორებულ სულს, გაუბედაობას: *,,გრძნობდა, რომ თანდათან სხვა კაცი გახდა, კი არ გარდაიქმნა და იმისგან კი არ აღმოცენდა, რაც აქამდე არსებობდა, როგორც ფესვიდან აღმოცენდება მცენარე, არამედ სულ მოწყდა ფესვს და ცალკე მცენარედ იქცა... გონების თვალით წარმოიდგენდა დაკარგულ ფესვს, ძველ ზებულონს"* [ქარჩხაძე, 2016:84]. პერსონაჟის ტანჯვას მისი სიზმრებიც ცხადყოფს - იოველ ბატონიშვილის მცველი ავაზაკად გამოაცხადებს და ტაძარში არ შეუშვებს, მისი სხეული სულთან ერთად გადაგვარებული და გადასხვაფერებულია, მაგრამ ეს თითქოს ქვეცნობიერია, ბოლომდე ვერ ჩასწვდომია ზებულონი თავის ცვლილების მიზეზს. ძველი არსი დაუკარგავს, ახალი კი ხიდან მოწყვეტილი ფოთოლივით ქარების სათამაშო გამხდარა.

რომანში რამდენჯერმე გაიელვებს თეთრი თინიას მხატვრული სახე. მისი პირველი გამოჩენა ამაღელვებელი და ამაღლებულია, ავტორი თანხმოვნების რიტმული გამეორებით ქმნის ალიტერაციას და მელოდიასავით მჟღერი ფრაზით ატკბობს მკითხველის თვალსა და ყურს: *,,იწვა თეთრ ქვაზე თეთრი თინია, როგორც სამყაროს ამოუხსნელი საიდუმლო"* [ქარჩხაძე, 2016:41]. თინია ისახარის გლეხის, დარჩოს, შვილი იყო, ზებულონს არასდროს გაქცევია თვალი მისკენ ან რას წარმოიდგენდა, თუ დაკონკილ-დაძენძილი კაბის ქვეშ ასეთი საუნჯე იმალებოდა - ,,ბროლივით ქათქათა და მზესავით ხელუხლებელი!" არც თინიამ იცოდა, მზის გარდა, სხვა ვინმე თუ უყურებდა მის ნებივრობას სხივებში. ზებულონი წამით შეყოვნდა, მერე შერცხვა და თავს შეუწყრა, გაბრუებული გაშორდა განგების მიერ მოვლენილ თეთრ სასწაულს. საინტერესოა, რა სურს ავტორს თინიას ტექსტში გამოჩენით, რა როლს სთავაზობს ასულს ზებულონის ცხოვრებაში? უდავოდ, თინია მაცდუნებელ ევასავით ევლინება ზებულონს იმ უკანასკნელ მშვიდობიან დღეს, მწერალი პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას წარმოაჩენს - უმწიკვლო,

ფაქიზი ჭაბუკი ზებულონი ცდუნებას ძლევს და განეშორება, ბიწიერ ფიქრსაც სათაკილოდ მიიჩნევს. უკვე ცოდვანაგემი, შურისძიებით დამდაბლებული და დაცარიელებული კი, წარბშეუხრელად აღასრულებს ხორციელ კავშირს მოჩვენებასავით უხმოდ მოსულ თინიასთან. იმ ღამეს ზებულონი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ძველი ზებულონი მოკვდა, *,,რომ უკან მიმავალი გზა, სადაც თეთრი თინია დარჩა, თეთრი ზებულონი და თეთრი ზღაპარი, მოჭრილი ჰქონდა“* [ქარჩხაძე, 2016:90].

ბექა ამილახვართან ორთაბრძოლაში დამარცხებული ზებულონი კვლავ გაორებულია, იმდენად რთული მისაღები აღმოჩნდა მისთვის წაგება, ,,გულაღმა გაშოტილს, დამარცხებულს, შერცხვენილს“ მეორე ზებულონი ზემოდან დასცქერის და ორივეს გული ყელში ებჯინება. იმდენად მოწყვეტილია რეალობას, არ იცნობს ცხოვრებას, ჰგონია, რომ მარცხით ყველაფერი მთავრდება, ისევე, როგორც ჰგონია, რომ შურისძიებით მასში ადამიანი დამთავრდა. ვერ წარმოუდგენია, რომ ტრიუმფი და მარცხი ყველას თან სდევს, ყველა უშვებს შეცდომებს, მაგრამ ეს არ იძლევა უფლებას, კიდევ დაუმატო, ხელი ჩაიქნიო და არ ეცადო გამოსწორებას. ეს მარტივი კანონზომიერება უცხო და გაუგებარია ჭაბუკისთვის, რომელსაც აღზრდა, რწმენა და განათლება აკლია.

,,აგერ, უცხო მოყმე ვინმე, ზის მტირალი წყლისა პირსა!“ [ქარჩხაძე, 2016:98]. - ტარიელის მსგავსად ჩამომჯდარა წყაროსთვალელი აზნაური, გონებამიხდილი და სასოწარკვეთილი მოსთქვამს წუთისოფლის ამაოებაზე. ,,ვეფხისტყაოსნით“ შთაგონებული ავტორი მანუჩარ ბატონიშვილსა და ბექა ამილახვარს მოუვლენს ისეთ რთულ მომენტში, რომ დინებას შეუცვლის მისი ბედისწერის კალაპოტს. ხმალამოწვდილი ზებულონი უნებურად დაემორჩილა მანუჩარ ბატონიშვილის მბრძანებლურ კილოს: *,,ეგ ხმალი ქვეყნისა არის და არა შენი გულფიცხობისა, როცა ქვეყანამ გიბრძანოს, მაშინ ამოსწიე ქარქაშიდან“* [ქარჩხაძე, 2016:103]. ბექა ამილახვარს შეჭიდებული დამარცხებული ზებულონი ფიქრობს, როგორ წამოდგეს და გაახილოს თვალი. ზედმეტად თავმოყვარეა, მარცხს ვერ ეგუება, მიუხედავად იმისა, რომ ბექა ამილახვრის შეფასება ასეთია: *,,ჩინებული ვაჟი ყოფილა, ...ცოტა*

წრთობა აკლია, მაგრამ ნამდვილ ბრძოლაში სულ მალე გამოიბრძმედება და მაშინ საქართველოს მტრის მეტს სხვას არავის ვუსურვებ მაგასთან შებმას“ [ქარჩხაძე, 2016:104]. ამ ნათქვამიდან საგულისხმო ის არის, რომ წრთობა აკლია ზებულონის როგორც ხორცს, ასევე სულს. მანუჩარ ბატონიშვილის სიტყვები კი სიბნელეში ნაპერწკალივით აკიაფდა: *,,ვიდრე შენ წიგნს ისწავლიდე, ჭაბუკო, საქართველო სტამბოლის ბაზარზე გაიყიდება და ჩვენს ეკლესიებს ეშმაკები დაეპატრონებიან... დღეს კი ქვეყანას მეომარი უფრო უჭირს, ვიდრე სწავლული. მაშ, აიღე ეს ხმალი და, სანამ მტრის ქედზე ბოლომდე არ გაცვდება, ქარქაშში არ ჩააგო“*[ქარჩხაძე, 2016:105].

იმედი გაუჩნდა, რომ მის არსებობას გამართლება მიეცემოდა, ყველა ადამიანს ხომ ასერიგად ახარებს თავი საჭიროდ და სასარგებლოდ ჩათვალოს. ასე ჩაეწერა ზებულონი მანუჩარ ბატონიშვილის რაზმში და ხუთი წელი თავდაუზოგავად ემსახურებოდა ქვეყანას. მისი სული კი კვლავ დაცლილი და უარაფრო იყო, მხოლოდ გააფთრებულ ბრძოლაში გადაეშვებოდა მთელი ძალითა და არსებით. საბოლოოდ ზებულონი შეეგუა მეომრად ყოფნას და ირწმუნა, რომ მეომრად იყო გაჩენილი და წიგნი მისი საქმე არ იყო. მანუჩარ ბატონიშვილის ნათქვამიც დაიჯერა, რომ ქვეყანას ახლა მეომარი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე სწავლული. აღსანიშნავია ზებულონის ბრძოლის მანერა, რომელიც მას ნამდვილ მეომრად დაგვანახვებს. თითქოს და მთელი ცხოვრება ამ სამსახურს ელოდა, ბრძოლაში ნადირივით გადაეშვებოდა და წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა. გზას აცდენილმა გმირმა, როგორც იქნა, მიაგნო ტკივილის დროებით დავიწყების საშუალებას: *„სანამ იბრძოდა, ერთიანად თავდავიწყებად იყო ქცეული და, ბრძოლის გარდა, სხვა არაფერი ახსოვდა... ბრძოლას რომ მორჩებოდა, რაც აქამდე არ ახსოვდა, ყველაფერი ერთბაშად აღდგებოდა და უკვე ბრძოლა ქრებოდა მეხსიერებიდან“* [ქარჩხაძე, 2016:115]. ბრძოლაში ასეთ შეუპოვარსა და დაუნდობელს სისხლიანი ხმლის დანახვაზე აჟრჟოლებდა, ახლა მოსისხლე მტერიც რომ ყოფილიყო, ვერ მოკლავდა. მწერალი მრავალჯერ მიგვანიშნებს, რომ ზებულონის ბუნებაში არ არის სისასტიკე, ბრძოლაში მოკლული ქურანას გამოც კი მწარედ მოთქვამს და ქვითინებს. თუმცა, სულის ხსნა მისთვის მაინც ბრძოლაშია, ის აძლევს ძალას სიცოცხლის გაგრძელებისა: *,,სიკვდილის ავბედითი ნატვრა*

სიცოცხლის სიყვარულმა შეცვალა. სიცოცხლის სიყვარულს ბრძოლა ბადებდა... მისი სახელი მთელ ქართლსა და მთელ დაღესტანში ქუხდა და მისი გმირობის შესახებ ათას რამეს ჰყვებოდნენ, ზოგს ტყუილსა და ზოგს მართალს" [ქარჩხაძე, 2016:123].

აქამდეც სჭირდებოდა ზებულონს ადამიანი, რომელიც გზას უჩვენებდა, რადგან ზედმეტად პატარა იყო იმისთვის, რომ ჩამოყალიბებული აზრები ჰქონოდა საკუთარი მომავლის შესახებ. მთელი გულით კი სწადდა იოველ ბატონიშვილთან ყოფილიყო, მაგრამ ეს ხომ მისი ოცნებები იყო, რომლებიც არც კი იცოდა სადამდე მიიყვანდა. როცა მის ოცნებას ფრთა უნდა შესხმოდა, ერთბაშად ყველამ და ყველაფერმა ზურგი აქცია. დარჩა პატარა ბიჭი სიბნელისა და სინათლის გასაყარზე, შეცდა ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება შეცდეს, მაგრამ იმის მაგივრად, რომ მისთვის სწორი მიმართულება მიეცა ვინმეს, პირიქით, ყველამ უარყო და გარიყა. ეს ყოველთვის საზოგადოების პრობლემა იყო, ზებულონი იმ დიქოტომიურ გარემოში ნებისმიერი არჩევნის შემთხვევაში იქნებოდა კოლექტიური ისტერიის მსხვერპლი. საზოგადოება ყოველთვის ზურგს აქცევს და განსჯის ადამიანებს, რომელებსაც რეალურად დახმარება სჭირდებათ. როგორც ტოდ ფილიპსის ფსიქოლოგიურ ტრილერ ,,ჯოკერში" არტურ ფლეკი იქცა ჯოკერად, მკვლელად. კლოუნად მომუშავე სუსტი ნერვების მქონე ბიჭი აღმოჩნდება საზოგადოების დაცინვისა და აგრესიის მსხვერპლი. მეგობრის მიერ მიცემული იარაღით ყალიბდება დაუნდობელ მოძალადედ. ამ პრობლემამ მრავალჯერ გაიჟღერა ამ რეჟისორის სხვა ფილმებშიც. ეს იმის მანიშნებელია, რომ 21-ე საუკუნეში მომავალი თაობა დიდი რისკის წინაშე დგას, ახალგაზრდის ზნეობრივ ფორმირებაში უდიდესი როლი სწორედ საზოგადოებას ენიჭება.

მანუჩარ ბატონიშვილი უფსკრულის პირას მდგარ ზებულონს გზამკვლევად მოევლინა, გზა გაუნათა უდაბურებაში ჩავარდნილ ჭაბუკს: *,,ქვეყანა სამსახურს მოითხოვდა მისგან და ისიც ემსახურებოდა; ემსახურებოდა ბეჯითად, ერთგულად, თავშეუნახავად, და სამსახურის ჯილდოც სამსახურშივე ეგულებოდა, რადგან ბრძოლაში თავდავიწყებას პოულობდა, აღტკინებას, აქამდე განუცდელ*

ნეტარებას, ხოლო გამარჯვებას რწმენა და სიხარული მოჰქონდა“ [ქარჩხაძე, 2016:128]. სამყარომ მანუჩარ ბატონიშვილი ზებულონს მხსნელად გამოუგზავნა, როგორც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ტარიელს ავთანდილი. მან შთააგონა ახალი ღირებულებები და დაანახა, რომ მებრძოლად იყო გაჩენილი. თითქოს ამით ახალი მოწოდება აპოვნინა. იესე ერისთავი ეუბნება ზებულონს: *,,მე ეგრე მგონია, რომ უფალი ღმერთი ზოგ კაცს სწავლისთვის აჩენს, ზოგს ბრძოლისთვის, ზოგს ღვთისმსახურებისთვის, ზოგს რისთვის და ზოგს რისთვის... შენ ბრძოლისთვის გაუჩენიხარ და წიგნზე გული ნუ დაგწყდება. შენი სახელი დიდსა და პატარას ყველას პირზე აკერია. მხდლებსაც კი ბრძოლისკენ მიუწევთ გული, შენი ამბები რომ მოსდით“*[ქარჩხაძე, 2016:131].

თანამედროვე ახალგაზრდები მძიმე რეალობისგან გასაქცევ საშუალებად მსუბუქ ან მძიმე ნარკოტიკებს, მარიხუანას მიიჩნევენ, ზოგიერთი ასეთი მძიმე ზეწოლით მკვლელად ყალიბდება, ზოგი უბრალოდ თავს იკლავს, სუიციდამდე მიდის და ასე შემდეგ, განა აღსანიშნავი და სასიხარულო არაა, რომ ასეთი სტრესის შემდეგ ზებულონი არ გაბოროტებულა, არც აგრესიული გამხდარა, არავისთვის დაუშავებია რამე. მართალია, არაფრის დაშავება, მხოლოდ და საკუთარ თავში გამოკეტვა კარგი არაა, მაგრამ, პასუხისმგებლობას მაინც არ გაურბის. ბოლოს და ბოლოს სამშობლოსთვის იბრძვის და მოგვიანებით ვხედავთ კიდეც, როგორ სასახელო ვაჟკაცებს გაუზრდის ქვეყანას, განა ასეთი ადამიანი დასაფასებელი არაა?! მგრძნობიარე ბუნება და სინდისის ჭარბი გრძნობა თავის თავში კეტავს, ისე რომ, სხვას ზიანი არ მოუტანოს. ალღო და ინტუიცია, ბუნებასთან სიახლოვე ძალიან ეხმარება ზებულონს მეომრის საქმეში, მიწაზე ყურის დადებითა და ჩიტების გუნდის გადაფრენით შეუძლია ამოიცნოს, საიდან და რამდენი ცხენოსანი მოდის. ბექა ამილახვარს იმის იმედი აქვს, *,,თუ ღმერთი არ გაგვიდგა, კაცის გასაკეთებელს ზებულონი გააკეთებსო“* [ქარჩხაძე, 2016:243]. მთელი ცხოვრება წერა-კითხვაზე ოცნებაში გაატარა ზებულონმა და როცა შალვა ჩხეიძემ შეგირდად მიბარება სთხოვა, გაოცდა. კაცს, რომელიც ხუთი წელი იოველ ბატონიშვილის მოსწავლე იყო, მისგან რა უნდა ესწავლა. ზებულონი რომ უებრო მეომარი დადგა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ბექა ამილახვარმა იფნისხევში ორმოცდაათი რჩეული

ვაჟკაცი გამოუგზავნა და სთხოვა, *,,ისე უნდა გაწრთვნა, თუ შენისთანები ვერ დადგებიან, ჩემისთანები მაინც დადგნენო"*[ქარჩხაძე, 2016:260]. ეს თითქოს ბედის გამოცდა იყო. სოფელში გაზრდილმა და ნაადრევად დაობლებულმა ზებულონმა დიდი გულუბრყვილობა გამოიჩინა. მისმა უბოროტო და მიამიტმა გონებამ უკან დასახევი გზა არ დაიტოვა და ახლა სწორედ თავისი გამოწვრთნილი შეგირდის სამიზნე უნდა გახდეს.

მეომრობა ზებულონის ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელმაც გამოავლინა მისი ფიზიკური თუ სულიერი პოტენციალი. ამით აზრი და გამართლება მიეცა მის ცხოვრებას, მის ამქვეყნიურ მისიას, ეგზისტენციურ დანიშნულებას. ამ საქმით ცდილობს პერსონაჟი თავისი დაკარგული ,,მეს" აღდგენას, მაგრამ შურისძიების შემდეგ დაშლილ-დანაწევრებული მისი არსის აღდგენა არც ისე მარტივი აღმოჩნდა.

შეგვიძლია სქემატურადაც წარმოვიდგინოთ ზებულონის ადამიანური მთლიანობის დარღვევა. სპეტაკი ზებულონი მისი ნაწილია, მაგრამ მისი ნაწილია აგრეთვე შურისმაძიებელი ზებულონიც. ხასიათის ამ ორ გამოვლინებას შორის თვითონ აღუმართავს კედელი. ჰგონია, რომ მხოლოდ ბავშვობისდროინდელი სუფთა ზებულონია მისი ნაწილი და არ უნდა აღიაროს ის ფაქტი, რომ შურისძიებაც მისივე პიროვნების ნაწილია, ვერ იღებს საკუთარ თავს ისეთს, როგორიც არის და ავიწყდება იმის გააზრება, რომ ცოდვილობა ადამიანთა ბუნებაშია. საჭიროა ზებულონმა საკუთარი თავის პატიება დაიწყოს, გამთლიანდეს და შედგეს პიროვნებად. *,,მისი წილი სიცოცხლეცა და სიკვდილიც შორს დარჩენილიყო, ზებულონისა და ზებულონის გამთიშავი ყრუ კედლის მიღმა"*[ქარჩხაძე, 2016:211]. ეს ყრუ კედელი ხელს უშლის ზებულონის სულს დაშლილი ნაწილაკები შეკრას და ერთ მთლიანობად წარდგეს სამყაროს წინაშე. ყოველთვის, სადაც არის ფიზიკურად, იქ არასდროს არის სულით, გულითა და გონებით.

პროზაიკოსი ზებულონის სულიერი მდგომარეობის ჩვენებით უღმერთობის, რწმენის არარსებობის, რელიგიის ხარისხში აყვანილი მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმების ეპოქაში ადამიანების სარწმუნოებრივ გადაგვარებას დაგვანახვებს.

საზოგადოების მიერ წაქეზებული, შურისძიების ცოდვაში ჩავარდნილი ზებულონი არც კი ცდილობს რაიმეს შეცვლას, სულიერების კიბიდან გადმოვარდნილი იქვე რჩება, იმის ნაცვლად, რომ კვლავ წამოდგეს და განაგრძოს პიროვნული აღმასვლა.

მანამდე კი ხუთი დღე ჰქონდა, რომ დაფიქრებულიყო, რის გაკეთებას აპირებდა. მისი სხეული გაუცხოებულია საკუთარ არსებობასთან და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ აწმყოს აღქმის უნარი დაკარგული აქვს და, შესაბამისად, თვითონ არასდროს მართავს საკუთარ ცხოვრებას, ნებისმიერი მისი საქმიანობა განისაზღვრება სხვების კარნახითა და ბიძგით. ყოველთვის ჩამორჩება მიმდინარე მოვლენებს და მუდმივად წარსულის უფსკრულებში დახეტიალობს.

ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე რიტმულ საუკუნეში, ადამიანი გარბის, ცდილობს ბევრი მოასწროს, ვერ კონცენტრირდება ერთ მოვლენაზე, არ სცალია ოჯახის წევრებისთვის, ფიქრისთვის. ეს ძალიან ხშირად იწვევს ფსიქიკურ პრობლემებს. როგორც ფსიქოლოგი აბრაამ მასლოუ ამბობს: *„აწმყო მომენტით ცხოვრების უნარი ფსიქიკური ჯანმრთელობის ერთ-ერთი ნიშანია“* [Maslow, 1998:159].

ისევ წარმოსახვის ფრაგმენტებით საზრდოობს ზებულონი, ისევ მოწყვეტილია რეალობას. თვლის, რომ ერთადერთი „ნამდვილი“ ცხოვრება წარსულში დარჩა, წყაროსთვალში. სწორედ ეს არის ზებულონის შეცდომა და, ზოგადად, ადამიანების არაჯანსაღი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ: არის აწმყოში და ცხოვრობს წარსულსა და მომავალში, ვერასოდეს შეიმეცნებს მოცემულ მომენტს და ვერ ახერხებს კონცენტრირებას. *„ზებულონი, რომელსაც, ისევე როგორც მრავალ სხვა ერთგულ კაცს, წესრიგის დაცვა ევალებოდა, თავისი ორმოცდაათი შეგირდით მთელ ქალაქში დაქროდა. გული კი იქ ქონდა დარჩენილი, ამილახვრიანთ სასახლეში“*[ქარჩხაძე, 2016:277]. გაურბის ამ პიროვნებას, რომელიც სიმადვილეში მისი ნაწილია. ზებულონზე დიდ ზეწოლას ახდენს იმის წარმოდგენა, რომ მკვლელია, ვერც იჯერებს, რომ ეს მან ჩაიდინა ნამდვილად. შეიძლება ითქვას, რომ, როცა ამას აკეთებდა, იქ არც კი იყო გონებით. ვერ იღებს

პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელზე, რაც ხელს უშლის ცხოვრების გაგრძელებაში. წარსულის შეცვლა შეუძლებელია, იმ პიროვნების მიღება კი, ვინც არ გვინდა, უფრო რთულია, არ იცნობს საკუთარ თავს საკმარისად, არც ადამიანებს. საქვეყნო საქმეებში ფიზიკურად ჩაფლული მეომარი გონებით მაინც თავის საფიქრალს დასტრიალებს: *,,ამ დიდ ორომტრიალში მაინც თავის სადარდებელს დასტრიალებდა, თავის საფიქრალს, თავის ოცნებას. მართალია, ეს ოცნება მყიფე იყო და საეჭვო, მაგრამ, ვიდრე არ დამსხვრეულიყო, გულში მაინც იმედის მაცოცხლებელ ნამად ეწვეთებოდა"* [ქარჩხაძე, 2016: 277].

ზებულონის ჰოლისტიკური პიროვნება დარღვეულია, არსებული ხუთი განზომილებიდან სამს დაკარგული აქვს ფუნქცია. თანამედროვე ფსიქოლოგიაში პიროვნების გასაგებად რამდენიმე მიდგომას იყენებენ. აღსანიშნავია, რომ იოგას თვალსაზრისითაც, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო კონცეფციად და პრაქტიკად ითვლება დღევანდელ მსოფლიოში, პიროვნულობა შეიძლება გავიაზროთ სხვადასხვა პერსპექტივიდან. ჰოლისტიკური პიროვნება მოიცავს ფიზიკურ, ემოციურ, ინტელექტუალურ, სოციალურ და სულიერ განზომილებებს.

ფიზიკური განზომილება: ჩვენი სხეულის ყველა ორგანო და სისტემა სწორად უნდა იყოს განვითარებული და ფუნქციონირებდეს. ეს გულისხმობს ჯანმრთელ სხეულს ყოველგვარი დაავადების გარეშე. ზებულონს აქვს ფიზიკური განზომილება, საკმარისზე მეტადაც კი, ბავშობიდანვე ეს კარგად ემჩნევა, შურისძიების ეპიზოდშიც იმხელა ლოდს წევს, რომლის დაძვრაც ოთხ ვაჟკაცსაც გაუჭირდება.

პიროვნების ემოციური განზომილება:

ემოციური განზომილებები დაკავშირებულია ჩვენს გრძნობებთან, დამოკიდებულებებთან და ემოციებთან. არსებობს ორი ტიპის ემოცია - პოზიტიური და ნეგატიური. ეს განზომილებაც მოჭარბებულად აქვს, ყველაფერს გრძნობებისა და ემოციების კარნახით აკეთებს.

პიროვნების ინტელექტუალური განზომილება:

ინტელექტუალური განვითარება დაკავშირებულია ჩვენი გონებრივი შესაძლებლობების განვითარებასთან და ისეთ პროცესებთან, როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება, მეხსიერება, აღქმა, გადაწყვეტილების მიღება, წარმოსახვა, კრეატიულობა და ასე შემდეგ. ეს განზომილება დარღვეული რომ აქვს, ზემოთ არაერთგან ვახსენეთ, ზებულონი გაუნათლებელია.

პიროვნების სოციალური განზომილება

პირველადი სოციალიზაცია, ჩვეულებრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია პიროვნების განვითარებისა. ყალიბდება ჩვილობის პერიოდში, ოჯახის შიგნით. სოციალიზაციის პროცესი მხოლოდ ბავშვობით არ შემოიფარგლება, ის მთელი ცხოვრება გრძელდება და ასწავლის მზარდ და მოზრდილ ბავშვს იმ საზოგადოების ნორმებს და წესებს, რომელშიც ცხოვრობს. ამ მხრივ საქმე რთულადაა, მას ყოველთვის უჭირს საზოგადოებასთან ურთიერთობა, ოჯახშიც ჩაკეტილია და შეიძლება ითქვას, რომ ასოციალური ადამიანია.

პიროვნების სულიერი განზომილება

ეს განზომილება დაკავშირებულია ღირებულებების განვითარებასთან. მისი ნაწილია ასევე თვითრეალიზაცია, რომელიც პირდაპირ ეხმარება საკუთარი პოტენციალის ამოცნობასა და მაქსიმალურ განვითარებაში. ამ განზომილების სწორად პროგრესირება ხელს უწყობს ადამიანს გააცნობიეროს ნამდვილი პიროვნული თვითმყოფადობა. ეს ის არის, რომლის არარსებობა ყველაზე მეტად უშლის ხელს ზებულონს ცხოვრების სწორად წარმართვაში [Tabassum, 2017 (ელრესურსი).]

მხოლოდ 21-ე საუკუნეში და ისიც მაღალი სტანდარტის მედიცინის პირობებში შეძლებდა ზებულონი გამოჯანმრთელებასა და სრულფასოვან ცხოვრებაში დაბრუნებას. არაა გამორიცხული, წასულიყო იოველ ბატონიშვილთან, მიეღო ნანატრი განათლება და სასიკეთოდ გამოსდგომოდა კაცობრიობას. მასში არსებული უდიდესი ჰუმანისტის პოტენციალი თავის გზას იპოვიდა და

თანამედროვე მსოფლიოს ფილანტროპულ კრიზისთან გამკლავებაში დაეხმარებოდა.

ჯემალ ქარჩხაძისთვის, როგორც რეალისტი მწერლისთვის, მნიშვნელოვანია ეპოქის მენტალობის დაძლევა და სულიერი ღირებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრება.

4. 4 ზებულონის სიყვარული

აქ არ მთავრდება ზებულონის ცხოვრება. ავტორი მის სულს ვერ იმეტებს სიბნელისათვის და სამყაროს უდიდეს სინათლეს - სიყვარულს - უგზავნის, იესე ერისთავის შვილიშვილის, ნესტანის, სახით. სიყვარული ის წყაროა, რომელიც წამალივით სჭირდება ზებულონის დასნეულებულ, გადაგვარებულ არსებას. სიყვარული ის ხიდია, რომელმაც ზებულონის დაბნელებული სული უნდა გაანათოს და ადამიანობიდან პიროვნულობამდე აღამაღლოს. ეს დამოკიდებულება მწერალმა რომან ,,განზომილებაში“ ჩვეული მჭევრმეტყველებით გამოხატა: *,,სიყვარული თავისუფალი ნების ცნობიერებამდელი გამოხატულებაა..., რომელიც ნაწილობრივ შემოდის ცნობიერებაში, ნაწილობრივ კი არაცნობიერში რჩება, რითაც ერთგვარი ხიდის მოვალეობას ასრულებს. სწორედ ამიტომაა იგი თავისუფლებასთან ერთად ყოფიერების უზენაესი კატეგორია“* [ქარჩხაძე 2008:336]. მართლაც, ნესტანის პირველი გამოჩენა ნათელ სხივს და ცხოვრების აზრს მატებს მის არსებობას. როცა ბექა ამილახვარი ზებულონს იესე ერისთავის სახლში მიიყვანს, შებინდებულია, სარკმლიდან მოჰკრავს წყვილნაწნავიან გოგონას თვალს და საოცარი გრძნობა ეუფლება: *,,თითქოს ეს პატარა, შეჭირხლული სარკმელი სიბნელის ვეება კედელში იყო გაჭრილი და შორს, შორს, სიბნელის ფსკერზე, რომლის იქით აღარაფერი აღარ არის, წამით იელვა ჯადოსნურმა ზღაპარმა“* [ქარჩხაძე, 2016:119]. ეს სიტყვები კარგად დაგვანახვებს მთავარი გმირის დაბნელებულ სულში აკიაფებულ ნაპერწკალს. ადვილი შესამჩნევია, რომ გოგონა

წიგნით ხელში ახალი ზღაპრის დასაწყისს ჰგავს, რომანტიკოს ზებულონს კი ესოდენ ხიბლავს არამიწიერი და ამაღლებული ამბები, თუ მისი მონაწილე თავადაც არის. წიგნი ხომ ზებულონისთვის ყველაზე საოცნებო და მიუწვდომელი ფენომენია და, მით უმეტეს, გოგონას არამიწიერი ჩვენება ორმაგად სანუკვარი ხდება, რადგან ფაქტია, რომ იოველ ბატონიშვილი მისთვის სწორედ წიგნის ცოდნით არის ასეთი სანატრელი და განსაკუთრებული. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ამ ფაქტმა ასე ააღელვა მისი გონება და დაატყვევა სული. დიახაც, მის ხატებაში მკითხველი გამორჩეული ადამიანია, რადგან თვითონ ამის ბედნიერება არ ჰქონია.

მაია ჯალიაშვილი წერს: *,,სიყვარულის ნარატივი ზებულონში ახალ ენერგიას აღვიძებს, იოველისკენ სწრაფვა, როგორც იდეალისკენ, ტრანსფორმირდება ნესტანისაკენ სწრაფვაში. საგულისხმოა ისიც, რომ ზებულონი პირველად როცა მოჰკრავს პატარა გოგონას, ნესტანს, თვალს, ის მაგიდაზე თავდახრილი წიგნს კითხულობს. ამჯერადაც კვლავ წიგნია ხიდი უფლისკენ მიმავალ გზაზე, სიყვარულით განათებულზე"* [ჯალიაშვილი, 2016:129]. იოველ ბატონიშვილი მისთვის ისევ ისეთი ხელშეუხებელი სიწმინდეა და ახლა ნესტანი ენაცვლება მას, ერთ განუხორციელებელ ოცნებას მეორე აედევნება: *,,თვალწინ კვლავ ის განათებული სარკმელი დაუდგა და წიგნზე თავდახრილი ნესტანის დანახვაზე იოველ ბატონიშვილის თეთრი ტაძარი გაახსენდა"* [ქარჩხაძე, 2016:122]. ზებულონი ვერ მიხვდა იმას, რომ ის ქალი სწორედ რუსთველისეული ნეტანის განსახიერება იყო და დაცვა სჭირდებოდა. თვითონ კი იყო კაცი, რომლის უპირველეს მოვალეობას სწორედ სასურველი ქალის ნებისმიერ ფასად მოპოვება წარმოადგენდა. მაგრამ აბა ზებულონს სად ჰყავდა ,,ცნობიერთა დასტაქარი", რომლის დახმარებითაც ქაჯებს გამოსტაცებდა საოცნებო ქალს. მასაც ხომ, ტარიელის მსგავსად, დარღვეული ჰქონდა ადამიანური მთლიანობა. ტარიელის მსგავსად, მასაც სჭირდებოდა ხელის წაშველება უფსკრულიდან ამოსასვლელად, რათა მთელი ძალით ებრძოლა ნესტანის მოსაპოვებლად და საკუთარი სულის გასანათლებლად. ზებულონისა და ნესტანის პირისპირ პირველი შეხვედრაც ამაღელვებელია: ,,დიდრონი შავი თვალები ზებულონს შემოანათა და დიდხანს არ მოუშორებია, რის გამოც ზებულონს ჭირის ოფლმა დაასხა". ავტორი ნესტანის

სილამაზის აღსაწერად მრავლად იყენებს მხატვრულ ხერხებს: ,,ნესტანმა გაიცინა და მზეს შუქი მოემატა", ,,ახლა ამ სიგამხდრეს რაღაც მოუხელთებელი სიმკვრივე ახლდა, რაც კელაპტარივით სხეულს ლაზათსა და მოქნილობას მატებდა.", *,,თვალები ძველებურად დიდრონი ჰქონდა, შავ-შავი, ბრიალა, და შიგ რაღაც ისეთი სხივი ჩაბუდებულიყო, როცა არ იღიმებოდა, მაშინაც კი გეგონებოდათ, იღიმებაო, და ზებულონს იესე ერისთავის ნათქვამი მოაგონდა, ეგ ისეთი ქალი დადგება, მზეჭაბუკის მეტს ცოლად ვერავის გავატანო"* [ქარჩხაძე, 2016:126]. *,,ნესტანის გამოჩენა ზებულონმა იმით შეიტყო, რომ უეცრად მოეჩვენა, თითქოს დღეს შუქი მოემატა და გაკვირვებულმა მიმოიხედა. მიმოიხედა და აივანზე ნესტანი დაინახა"* [ქარჩხაძე 2016:148]. *,,შენი ქალი კი ქართველ ლამაზმანებშიც ისე გამოირჩევა, როგორც რომ მზე ვარსკვლავთა ჯარში"...* [ქარჩხაძე 2016:180]. ასე ეუბნება ნესტანის სილამაზით მოხიბლული ისკანდერ-ხანი იესე ერისთავს. თვალნათელია, რომ ზებულონისეული ნესტანის სახე მწერლის მსოფლხედველობაში არსებულ იდეალურ ქალს შეესაბამება, რომელიც ,,ვეფხისტყაოსნით" არის ნასაზრდოები. ნესტანისთვისაც ზებულონი ზღაპრული რაინდია, რადგან უამრავი რამ აქვს მისი გმირობის შესახებ მოსმენილი და ამიტომაც ზებულონის ბაყბაყდევობაც ხიბლავს. ბაყბაყდევივით შორეული და ამოუცნობი რჩება, თუმცა ძალიან კი სწადდა მისი ოცნების მზეჭაბუკი ყოფილიყო, მაგრამ ზებულონი ამას ვერასდროს დაიჯერებდა. აბა, რას წარმოიდგენდა, რომ თავად იყო სწორედ ის მზეჭაბუკი, რომელსაც ნესტანი და იესე ერისთავი ერთად ელოდნენ. *,,ისიც მართალია, რომ თურმე წლინახევრის მოზვრისთვის ხმლის ერთი დაკვრით წაგიცლია თავი?"* [ქარჩხაძე, 2016:139] - გაოცებით ეკითხება ნესტანი დევგმირ ჭაბუკს. დიდი ხანია დაობლებულ და დამწუხრებულ პერსონაჟს სითბო აღარ უგრძნია სულში, ახლა კი ერთმა ფაქიზმა და ანცმა გოგომ ღიმილიც კი მოჰგვარა გაქვავებულ სახეზე. ასე ხდება ნესტანი ზებულონისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, მშობლების შემდეგ. *,,სახეზე თბილი შუქი დაეფინა, რომელმაც მისი სილამაზე მოულოდნელად ისეთი შინაურული გახადა, ისეთი ახლობელი, რომ ზებულონს წამით გული შეუტოკდა და სხეულში რაღაც საამო ნაკადი ჩაეღვარა, იმგვარი, როგორიც დედისა და ისახარის სიკვდილის შემდეგ აღარ განუცდია ... თუ ვინმეს მზეთუნახავი უნდა*

ერქვას, ნესტანს უნდა ერქვას. მზეთუნახავი კი ქალად უნდა გაჩნდეს. ოღონდ ძმა უნდა ჰყავდეს. ზებულონი უნდა გაჩენილიყო ნეტანის უფროს ძმად! აი, მაშინ ყველა ზღუდე დაიქცეოდა, ყველა დაბრკოლება მოირღვეოდა, ყველა ბორკილი დაიმსხვრეოდა" [ქარჩხაძე, 2016:142]. ასე ფიქრობდა წყაროსთვალელი აზნაური და საკუთარ გულსაც კი ვერ უმჟღავნებდა თავადის ასულის სიყვარულის ამბავს. ვერ უმჟღავნებდა, რადგან თვითონ იყო მხდალი, მშიშარა. იმდენი სითამამე და გამბედაობა სად ჰქონდა, ვისზე ზრუნვაც დაავალეს, მისთვის სიყვარული გაემჟღავნებინა, ხელი მოეკიდა და თავისად გაეხადა. თუმცა დროის გასვლის შემდეგ თანდათან დააღწია თავი გაუბედაობასა და შებოჭილობას, შეეჩვია ნესტანის სიახლოვეს: *,,ამას თავად ნესტანი უწყობდა ხელს: ბალღვით იყო, პირდაპირი, მიამიტი, გულმართალი. ჭირვეულობაც ბალღური იცოდა და, რაც მთავარია, საუბარს მუდამ თვითონ უძღვებოდა, რის გამოც ზებულონს საკუთარ თავზე ძალის დატანება არ სჭირდებოდა"* [ქარჩხაძე, 2016:146]. მშიშარა და დამფრთხალი ბაყბაყდევი შესჩერებოდა მზეთუნახავს, სამაგიეროდ, ნესტანი თავისი სისხარტითა და მოქნილობით ჭინკასავით იჭრებოდა მის პირად სივრცეში. როდესაც ზებულონი სოფლის ბიჭებს საბრძოლო ხელოვნებას ასწავლიდა, ისიც ჩაერთვებოდა და ისე გვარიანად იბრძოდა, ზებულონს ეჭვი უჩნდებოდა - ვაჟად უნდა გაჩენილიყოო, მაგრამ სხვა გარემოებაში რომ იხილავდა მის ქალურ ტანკენარობას, კვლავ ხვდებოდა, რომ მისი ეჭვი უსაფუძვლო იყო.

თავის გამჭრიახობასა და სიდინჯეს ნესტანი მაშინაც არ კარგავს, როცა მისი სილამაზით თავბრუდახვეულ ფარვანებს უარით ისტუმრებს, სამ ერთმანეთზე უკეთეს თავადიშვილს იწუნებს და გულისა და გონების კარნახით თავის მომავალ ცხოვრებას თვითონ განაგებს. *,,სამი ფარვანა რომ ერთ შუამავალს მომიგზავნის, ეს იმის ნიშანია, რომ არც ერთს არ ვუყვარვარ. და თუ თვითონ ჰგონიათ, ვუყვარვარ, ეგ სიბრიყვით მოსდით"* [ქარჩხაძე, 2016:157]. ამ მომენტში განსაკუთრებულად იკვეთება ნესტანის პიროვნული თვითმყოფადობა და თავდაჯერება, რადგან მშვიდად და აუღელვებლად ელოდება მზეჭაბუკს. ცხოვრებისგან იმას ელის, რაც ეკუთვნის. ფიქრობს, რომ ისეთ კაცს არასოდეს გაჰყვება, რომელსაც არ უყვარს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მხსნელად ასეთ სიტუაციაში

ზებულონს მოიაზრებს, იმედი აქვს, რომ ის ყველა სიტუაციაში დაიცავს. ზებულონი ვერ გარკვეუულა თავის გრძნობებში, იცის, ნესტანი მიუწვდომელია მისთვის, მაგრამ სხვისად მაინც არ ემეტება და ძალიან გახარებულიცაა მისი გადაწყვეტილებით. თვითონ გაორებული ზებულონი ნესტანშიც ორ არსებას ხედავს, ერთი-დინჯი, დარბაისელი, კდემამოსილი, მეორე კი - ცელქი, ონავარი, რაც ქარჩხაძის პერსონაჟს კიდევ ერთხელ აახლოებს არქეტიპულ ნესტანთან. „ვეფხისტყაოსნის“ ნესტანიც ხომ ასეთი გაორებული სახეა სასიძოს მოკვლამდე, სანამ ინიციაციის გზას შეუდგებოდეს, ფიცხი და დაუნდობელი, მაგრამ სახელმწიფოებრივად მოაზროვნეც, ნამდვილი უფლისწული, ტახტის ღირსეული მემკვიდრე.

იქიდან გამომდინარე, რომ ზებულონს ადამიანების მიმართ ნდობა აქვს დაკარგული, ყველაში ეძებს ორეულს. თავის თავშიც აღმოაჩინა ისეთი უცხო ,,მე“, რომელსაც არ ელოდა და ვერასოდეს წარმოიდგენდა ასეთ სასტიკს. ასე განსჯის, ასეთი ჭრილით უყურებს და ჰგონია, რომ ყველა ადამიანი გამოავლენს მეორე, საპირისპირო უცხო ,,მეს“, რომელიც ხილული არ არის ყოველთვის. სწორედ ამიტომ ნესტანშიც ეძებს ეგოს სასტიკ გამოვლინებას, მაგრამ ნესტანი ორივე აღმატებულ ბუნებას ავლენს. სწორედ ეს ბუნება ხდის მას ზებულონისთვის სანუკვარსა და განსხვავებულს. ერთი ეპიზოდი საბედისწერო აღმოჩნდა ნესტანისა და ზებულონის ურთიერთობაში, ტყეში ღრმად შესულებს დათვი შემოეყარათ, ზებულონმა თავისი ზღაპრული ძალითა და მოხერხებით დათვი მოკლა, ნესტანის გულიც საბოლოოდ მოინადირა და მისი თითების ცეცხლის სიმხურვალით გადაეშვა სიყვარულის ორომტრიალში. *,,სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ უმცროსი დის სათხოვნელად წამოსულ მზეჭაბუკებს გზა ებნეოდათ, ერისთავის სასახლეს ვერ აგნებდნენ და იძულებული ხდებოდნენ სხვა ქვეყნებში და სხვა მხარეებში ეძებნათ თავიანთი მზეთუნახავები“* [ქარჩხაძე, 2016:155].

ზებულონის გრძნობა ნელ-ნელა იზრდება, ზვავდება და ყოვლისწამლეკავი ძალით ივსება. უცნაური კი ის არის, რომ ვაჟი თავის თავსაც არ უტყდება სიყვარულში. ეს, ალბათ, ისევ მის უსუსურობასა და ემოციურ

უმწიფრობას უნდა დავაბრალოთ. ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანი არასოდეს გაურბის საკუთარი გრძნობების აღიარებას, თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მისთვის გრძნობების გაზიარება არავის უსწავლებია, სიყვარული კი უდიდეს თავისუფლებასა და გამბედაობას მოითხოვს. ბრძოლაზე თავდავიწყებით შეყვარებულს ახლა ნესტანთან განშორება უმძიმს. ბრძოლის შემდეგ კი ლხინზეც უარს ამბობს, იესე ერისთავის სასახლისაკენ მოიჩქარის და *,,ზებულონი მიხვდა, რატომ მოიჩქაროდა ასე ატაცებული, რატომ უჩქროლავდა გული ეგზომ ძალუმად, რა იყო ის ბუნდოვანი მოლოდინი, რომელიც ასეთი გარდაუვალი ძალით ეწეოდა: ბედისწერა უხმობდა ზებულონს, მისი წილნაყარი ბედისწერა, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, გამაყრუებელი ძალით დაიქუხა, ყოველივე წალეკა და ახლა ზებულონს ხსნა არსაით ჰქონდა"* [ქარჩხაძე, 2016:163]. როგორი მოლოდინიც აქვს, სწორედ ასე ექცევა ცხოვრებაც. ვერ აფასებს ღვთისგან მოვლენილ გამოსავალს. *,,უნეტარესი თრთოლა, რომელიც მის ჩაბნელებულ არსებაში მწვავე ნაპერწკლებად იბნეოდა, ზებულონის სატანჯველს კიდევ უფრო ღრმას ხდიდა, კიდევ უფრო გაუვალსა და უნაპიროს. იმაზე ხომ ოცნებაც არ შეიძლებოდა, რომ ყველაფერი კეთილად დასრულებულიყო!"* [ქარჩხაძე, 2016:167].

ერთი მხრივ, ზებულონი ცრუ იმედებს არ ისახავს, რადგან იცის რეალობა მისი ზღაპრებისაგან განსხვავდება: *,,ბავშვობისდროინდელ ზღაპრებში უბრალო გლეხის ბიჭი ირთავდა ცოლად მზეთუნახავს. ხელმწიფედაც ჯდებოდა. მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში ხდება. ნამდვილ ცხოვრებაში კი ზებულონს თუნდ ნესტანი შეჰყვარებოდა და თუნდ მოკიაფე ვარსკვლავი"* [ქარჩხაძე, 2016:164]. ასე ფიქრობს ცხოვრებისაგან შეშინებული, დამფრთხალი, გაუბედავი აზნაური. არ ჰყოფნის ძალა მიუწვდომელს მისწვდეს, ეცადოს მაინც, იღვაწოს, დაუღალავად იაროს მიზნისკენ. მიზნის მიღწევას ხომ უმაღლესი სულიერი და პიროვნული თვითმყოფადობა სჭირდება, საცდელს ხომ უნდა ეცადოს კაცი, სათქმელი თქვას და მერე ბედისწერას არ დააბრალოს მარცხი. ოქსფორდის უნივერსიტეტის კლინიკოსი ფსიქოლოგების აზრს თუ გავითვალისწინებთ, ყველა გრძნობა გაცილებით უკეთესად რეაგირებს გარემო ცვლილებებზე, ვიდრე უცვლელ გარემოში. რეცეპტორები სრულიად წყვეტენ რეაგირებას, როდესაც არაფერი

იცვლება. ჩვენს გადატვირთულ ცხოვრებაში შეიძლება ვინმემ ივარაუდოს, რომ სენსორული სტიმულაციისგან დასვენება სიკეთეს მოიტანს, მაგრამ მგრძნობელობის ჩამორთმევამ შეიძლება გამოიწვიოს დეპრივაცია (ურთიერთობათა უკმარისობა) და ემოციური სფეროს დეგრადაცია. ფსიქოლოგიური წნეხის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ელიან ადამიანები. იგივე ხდება მაშინაც, როცა შეგრძნებები გადატვირთულია [ბატლერი, 2019:93]. როგორც ყველაფერში, აქაც „ოქროს შუალედია“ საუკეთესო გამოსავალი - ადამიანი ვერც მგრძნობელობის გარეშე იცხოვრებს, მაგრამ ზედმეტი მგრძნობელობაც პრობლემაა. ზებულონის შემთხვევაში, შურისძიებით გამოწვეულმა ძლიერმა სტრესმა გადაღალა მისი ფსიქიკა და ადეკვატურად ვეღარ რეაგირებს სხვადასხვა ემოციურ სტიმულაციებზე. უამრავი მოვლენა ხდება მის ირგვლივ, მაგრამ ვერ აღიქვამს და სათანადოდ ვერ იაზრებს, შეიძლება ითქვას, რომ მგრძნობელობა ჩამორთმეული აქვს, რამაც გამოიწვია ემოციური დეგრადაცია.

ცხოვრება ასეთია, ხან სატანჯველს მოგივლენს და ხან - მშვიდობას. ადამიანი კი იმიტომ გქვია, რომ ამ ყველაფერზე მაღლა დადგე, გაუმკლავდე, ყველა გამოწვევას თავაწეული შეხვდე და არ გაიქცე. ზებულონი კი გარბის, გარბის და უკან არ იხედება. დაბალი თვითშეფასების გამო, არც კი უჩნდება ამბიცია და მოტივაცია, რომ მოიპოვოს სასურველი ქალი, დაუმტკიცოს სიყვარული. პირიქით, დამფრთხალი და შეცბუნებული ფიქრობს: *,,ნესტანს რომ შეეტყო, ალბათ, ამ ამბავზე ბევრს იცინებდა. იესე ერისთავს რომ შეეტყო, განრისხდებოდა და, ეჭვი არაა, ზებულონს სახლიდან დაითხოვდა“* [ქარჩხაძე, 2016:165]. უჩვეულოა სიყვარულისგან თავბრუდახვეული ზებულონის განცდები. არც თავისუფლებას ანიჭებს საკუთარ თავს და არც მომავლის იმედს უსახავს, რაც უცნაურია. ზოგადად, ადამიანებში ეს გრძნობა იწვევს სტიმულს, სიცოცხლის ხალისს, რასაც ზებულონზე ვერ ვიტყვით. სანამ ის თავისი გაურკვევლობითა და ემოციური გაუწონასწორებლობით იტანჯება, ნესტანის სიყვარულში სერიოზული მოწინააღმდეგე გამოუჩნდება. ვერ აცნობიერებს სიტუაციას, რომ ნესტანი შესაძლოა ნებისმიერ წუთს დაკარგოს. ასეც მოხდა, ნესტანის სილამაზით

მოხიბლულმა ისკანდერ-ხანმა იესე ერისთავს ბექა ამილახვარი და ერთი სპარსი დიდებული მიუგზავნა და შვილიშვილი ცოლად სთხოვა.

ნესტანი იმ ქართველ ქალთა სახეს განასახიერებს, რომლებსაც საქმროებს დრო და გარემოება ურჩევდათ და იძულებული ხდებოდნენ, იმათ გაჰყოლოდნენ, ვისზეც მიუთითებდნენ. მან კარგად იცოდა, რომ უარს ვერავინ გაუბედავდა ისკანდერ-ხანს. თუმც კი ცდილობდა ნესტანი, დაემალა თავისი გულის ზრახვები, მაგრამ შემთხვევით ზებულონმა ყური მოჰკრა საყდარში მის ლოცვას. როგორც იქნა, ბაყბაყდევიც გამოერკვა, როგორ იტანჯებოდა გოგონა, ამან კი მეტად შეაყვარა მისი თავი, თან ძლიერ შეებრალა. ნესტანის თვალებში აბზინებულმა ცრემლებმა ზებულონის არსებაში ახალი ძალა გააღვიძა, ბიძგი მისცა მის გამბედაობას, სიყვარულმა ძალა შემატა, ნესტანს ხელი დაავლო, ქურანაზე შეისვა და გაიტაცა. გეზი იოველ ბატონიშვილისკენ აიღო, მხსნელად ის ეგულებოდა, თუ ადრე ვერ გაბედა თეთრ ტაძარში მისულიყო, ნესტანის სიყვარულმა თითქოს სულიერად აამაღლა, გააკეთილშობილა და გააბედვინა, რომ იოველ ბატონიშვილის ღირსად ჩაეთვალა თავი. საგულისხმოა ნესტანთან მისი საუბარი, აქამდე მდუმარესა და უღონოს საოცარი თავდაჯერება ემატება *„ზებულონს თავადვე უკვირდა, რომ ასე მტკიცედ ლაპარაკობდა, შეუფერხებლად და დაჯერებით“* [ქარჩხაძე, 2016:198].

სჯერა ზებულონს ავი ბედიწერის, სჯერა, რომ ადამიანის თითოეული ნაბიჯი, საქციელი, სიტყვაც კი უკვალოდ არ იკარგება და ყველას თავისი დამსახურებისამებრ მიეგება. ნესტანთან ერთად გარბის და არ ასვენებს იმაზე ფიქრი, რომ დაროაშვილებიც ასე გარბოდნენ, მათსავით დევნილი ახლა თვითონ გახდა, რაც სხვებს დამართა, ახლა თვითონ დაემართა. ეს ცოდვა მისი ცხოვრების საბედისწერო შეცდომაა, ამაზე მისი დუმილიც მეტყველებს, არასოდეს ახსენებს, არასოდეს საუბრობს ამ თემაზე. ეს ტკივილი გულის ღრმა კუნჭულში აქვს გადამალული და გამუდმებით ღრღნის. ნესტანი პირველია, ვისთანაც მათი დახოცვის ამბავს ჰყვება, სიყვარულმა მისი სულის განკურნება დაიწყო, ნათელმა დაბნელებული არსი გაასხივოსნა. მისგან ისიც დიდი გმირობაა, რომ ნესტანის მოტაცება გაბედა, მაგრამ შეძლებს თუ არა ბოლომდე დაიცვას და უპატრონოს

ქალს, ამით გამოჩნდება, მისი პიროვნული გაზრდა. მოტაცებული ნესტანი პაპუნა ბარათაშვილის რჩევით მიტოვებულ საყდარში მიჰყავს, სადაც კათალიკოსის ნაცვლად ბექა ამილახვარი დახვდება. მანამდე კი, ნესტანის მიერ წარმოთქმული სიტყვები იმის შესახებ, რომ ეგონა, ისკანდერ-ხანს თავისთვის წაართვა, მთელი ცხოვრების ტვირთად და საყვედურად ექცა. ვერ დაუჯერებია, რომ შესაძლოა ნესტანს მართლა უყვარდეს. მთელი ცხოვრება ზებულონი გულის კარნახით მოქმედებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარღვეული აქვს ის ადამიანური მთელი, რომელზეც შოთა რუსთაველი საუბრობს: *,,გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია, რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“* [შოთა რუსთაველი, 1974:337]. გული-გრძნობა, ცნობა-ხედვა, აღქმა, გონება-ჭკუა - ეს არის ის, რაც ყველა ადამიანში სულდგმულობს. მნიშვნელოვანია მათ შორის ბალანსის დაცვა, ადამიანმა საკუთარ თავსა და სამყაროსთან ჰარმონიაში რომ იცხოვროს. ზებულონის არსებაში წონასწორობა დარღვეულია, მასში გრძნობა ბატონობს და გასაქანს არ აძლევს ცნობასა და გონებას. ამ შემთხვევაშიც ასეა, გრძნობებს აყოლილმა, აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა მოიტაცა ნესტანი ისე, რომ არავითარი გეგმა არ ჰქონია. მისი არჩევანი, პიროვნული, გააზრებული გადაწყვეტილება არ ყოფილა, ყოველგვარ განსჯასა და რაციონალურობასაა მოკლებული. კიდეც ეუბნება ყველაფრისმცოდნე ბექა ამილახვარი: *,,გულზე გასხია თვალები, გონებაზე უნდა გესხას“* [ქარჩხაძე, 2016:206].

როცა სიყვარულზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია ბექა ამილახვრის სიტყვებსა და ცხოვრების წესს არ მივაქციოთ ყურადღება, - ნუთუ არ იცით, კაცი რომ იბადება, მარტო საკუთარი თავისთვის არ იბადებაო - რომ ეუბნება თავდახრით მდგომ წყვილს. ბექასაც თავდავიწყებით შეჰყვარებია მაჩაბლიანთ ასმათა, მაგრამ ქვეყნის სიყვარულისთვის გადაუდვია თავი და პირადული დაუვიწყებია. დრომდე ასეა საჭირო, მოღალატე უნდა ეგონოს ყველას. გონივრულ რჩევასაც აძლევს ზებულონს: *,,თუ შეძლებ ცხოვრება ჩემსავით თამაშად აქციო, წუთისოფლის ოღრო-ჩოღროებსაც უფრო იოლად გაივლი, თუ არადა, შენ იცი“* [ქარჩხაძე, 2016:211]. მართლაც ასეა, როცა გრძნობებს ემორჩილები, უფრო სწორად კი, როცა გრძნობები გიმორჩილებენ, რთულია ცხოვრება, ასე ცხოვრობს ზებულონი და ამიტომ

ყურმოჭრილი მონაა ყველასი. ნესტანს თმობს იმიტომ, რომ ასე უბრძანებს ბექა ამილახვარი, და არა იმიტომ, რომ, დილემის წინაშე მდგომი, არჩევანს საქვეყნოზე აკეთებს. ამით ნესტანის ზღაპრულ კოშკსცაც ამსხვრევს და თვითონაც სულდაბნელებული კვლავ წყვდიადში რჩება: *,,თითქოს კარი ღია დარჩენოდეს, რაც კი სადმე ნაღველი იყო, სულ მის სხეულში შემოვიდა, იქაურობა აავსო და ბოლოს, ყელში რომ ვეღარ გაეტია და გაეჩხირა, მწარედ, ბალღივით აქვითინდა"* [ქარჩხაძე 2016:210]. ნესტანი სინათლე იყო, მისი წასვლის შემდეგ კი წყვდიადმა დაისადგურა.

ნესტანის სიყვარული რომ ძლიერი და ჭეშმარიტი გრძნობაა, ამას ისიც ადასტურებს, რომ ზებულონს სიცოცხლის ბოლომდე არ შორდება მისი სახე. თუმცა ძალიან დიდი დრო დასჭირდა ამის გასაანალიზებლად, მაგრამ თანდათან ამოუტივტივდება ფრაგმენტები გარდასული დროიდან და ხვდება, რომ ნესტანი ყოველთვის იმ ზღაპრის ნაწილად დარჩება, რომელიც მასთან ერთად გადახდა და შეეძლო გაგრძელებულიყო. *,,დიაღაც რომ ქართლის მეფეს ეგ მირჩევნიაო, ასე ეგონა, ჯიბრით უთხრა. ახლაღა მიხვდა ნამდვილს. ახლაღა დაინახა ნესტანის თვალებში კდემამოსილების გაუბედავი თრთოლა, ზღაპრის შორეული სხივი და გულისგულიდან მომავალი ჩუმი ძახილი"*[ქარჩხაძე, 2016:217].

,,ზებულონის გულში, რაღა თქმა უნდა, კვლავაც განუყოფლივ ნესტანი ბატონობდა. იქ ყველაფერი ნესტანს ეკუთვნოდა და ყველაფერს ნესტანი განაგებდა. უნდოდა, გაიღიმებდა და ირგვლივ ნათელს მოჰფენდა, უნდოდა, ღრუბლებს შემოიხვევდა და თავის სამეფოს ქვესკნელივით ჩააბნელებდა"[ქარჩხაძე, 2016:229]. აქ კარგად ჩანს, როგორ დაჰპატრონებია ზებულონის სულსა და ხორცს ნესტანის სიყვარული და თავის ჭკუაზე ატარებს. მერეც, კარგა ხნის შემდეგ, ნესტანი არ ავიწყდება, იფნისხევში გამომწყვდეული მისი უნახაობის მიზეზად თავისუფლების არქონას ასახელებს. ეს პარადოქსია, რადგან თავისუფალიც იყო, მაგრამ ნესტანთან მიახლოების გამბედაობა არც მაშინ მოუკრებია: *,,კაცის გული მოუსვენარია და, როცა ნამდვილი იმედი არა აქვს, ცრუ იმედს ეპოტინება. ამიტომ ზებულონს ეგონა, თავისუფლება რომ ჰქონოდა, ქალაქს ჩავიდოდა და, ვინ იცის,*

ეგებ ნესტანისთვის სადმე თვალი მოეკრა“ [ქარჩხაძე, 2016:258]. ნესტანთან დაკავშირებული ყველა ამბავი აღელვებს და აფორიაქებს, როცა შალვა ჩხეიძისგან შეიტყო, ნესტანს ვაჟი შეეძინაო, *,,მაშინ ვიღაც უცხომ და უხილავმა ზებულონს გულ-ღვიძლი ამოაცალა და ყვავ-ყორნებს საძიძგნად გადაუყარა“* [ქარჩხაძე, 2016:260]. იფნისხევში მარტო დარჩენილი ზებულონი ოცნებას შორს მიჰყვება და ისეთ რამეს წარმოიდგენს, სწორად რომ მოქცეულიყო, რეალობად ექცეოდა: *,,ვიდრე ისკანდერ-ხანი გამოჩნდებოდა, ჩუმად წყაროსთვალში გაიპარნენ. იქ სოფლის პატარა ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს. იესე ერისთავმა რომ გაიგო, ღიმილით თქვა, საჩუმათო რა სჭირდათ, განა ასეთ ვაჟს აზნაურობით დავიწუნებდიო!“* [ქარჩხაძე, 2016:261]. ესეც ზებულონის უილაჯობა. მართლაც, იქნებ სხვაგვარად წარმართულიყო მისი ცხოვრება, რომ არა თავდაუჯერებლობა და სისუსტე. რამდენიმე წლის შემდეგ ყვითელი ატლასის მოსასხამითა და ოქროს დიადემით შემკული დედოფალი რომ ნახა, *,,თითქოს სისხლი ერთიანად გაუწყალდაო, მთელი სხეული მოდუნებული ჰქონდა, თავის აწევას ვერ ბედავდა და ქვეშ-ქვეშ, ქურდულად უთვალთვალებდა“* [ქარჩხაძე, 2016:275]. იმედს არ კარგავს, რომ რამე შეიცვლება და ისევ მიეცემა შესაძლებლობა, დაიბრუნოს ნესტანი. ბედის ჩარხის ტრიალით სპარსეთში აღმოჩენილი ზებულონი ნესტანს მოჰკრავს თვალს, *,,აივანი კი უკან დარჩა, მაგრამ ის ნესტანი, რომელიც მაშინ იმ აივანზე იხილა, მას შემდეგ გონებიდან აღარ ამოსვლია და აღარც ოდესმე იმაში დაეჭვებულა, რომ შავი კაბაც თვითონ ჩააცვა, შავი ლეჩაქიც თვითონ დაჰხურა და შავი გამომეტყველებაც თვითონ ჩაუყენა შავ თვალებში“* [ქარჩხაძე, 2016:284]. ნესტანის გარდაცვალებასთან ერთად ზებულონიც მოკვდა: *,,ღამით მგელივით შეიპარა ნაცნობ ეზოში და პაპა და შვილიშვილი ერთად დაიტირა. მკერდზე ხელებდაკრეფილი დასცქეროდა ძვირფას საფლავებს და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონ იწვა მიწაში და საკუთარ თავს დასტიროდა“*[ქარჩხაძე, 2016:288]. ზებულონი სინდისის ჭარბ მოზღვავებას განიცდის, ზოგჯერ თავს იდანაშაულებს ორივეს სიკვდილში. ნესტანის ხატი არ ტოვებს, თან სდევს უილაჯო მიჯნურს, განათლებისთვის ვერ იბრძოლა, სიყვარული მაინც როგორ დათმო, ასეთი მხდალი როგორ გამოდგა?!

სიკვდილის მოახლოებაც ვერ აქრობს ზებულონში ნესტანის სახეს. ჩუმი ყვედრებით სავსე მისი თვალები გონებიდან არ სცილდება, საყდარში მუხლმოდრეკილი, მლოცველი ქალი ცხადად წარმოუდგება და ცხადადვე ჩაესმის: *„მაშ, იმიტომ გამიტაცე, რომ ისკანდერ-ხანი ქმრად არ ვინდომე?“* [ქარჩხაძე, 2016:301]. მართლაც, სულის ძახილმა ნესტანი მოატაცებინა, მაგრამ ვერ გაბედა, რომ თავის ნების მიხედვით ემოქმედა და არა ისე, როგორც მისგან ყველა მოითხოვდა. სიყვარულისთვის ძალა არ ეყო, ამ გრძნოსთვის თავშეწირვით მაინც გაემართლებინა თავისი ყოფნა, მაგრამ ვერ შეძლო, სანატრელ ქალსაც გაუცრუა იმედი და საკუთარ თავსაც უკვე მერამდენედ. ნესტანისა და იესე ერისთავის სიკვდილში კი ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ სასოწარკვეთილ ადამიანს სინდისი ქენჯნის იმის გამოც, რომ თვითონ ცოცხალია, ყველა ვინც უყვარდა კი - არა. რთულია წუთისოფელი ზებულონისთვის, ვერ შექმნა პიროვნება, ვერ წავიდა სხვისი ნების წინააღმდეგ. ყველაფერს დაემორჩილა, რაც ცხოვრებამ მოუვლინა და გლოვობს. გლოვობს, რომ ვერ შეძლო ერთხელ მაინც გაკეთებინა პიროვნული არჩევანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მისი იქნებოდა და სხვა არავისი, ისე ატარა სამყარომ, როგორც თვითონ სურდა.

შემეცნების, სულიერი სრულყოფილების, პიროვნული განვითარების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიყვარულს, როგორც ღვთაებრივ, მაცოცხლებელ ძალას. იგისთვის ასეთი ნია, ზებულონისთვის ნესტანი უნდა ყოფილიყო. თუმცა ვერც სიყვარული დაეხმარა პიროვნული თავისუფლების მოპოვებაში. არ ეყო გამბედაობა და ნების სიმტკიცე, როცა წინააღმდეგობა საკუთარ თავსაც ვერ გაუწია ვერასდროს. ზებულონმა ღვთისგან ბოძებული უდიდესი საჩუქარი, ნესტანის სიყვარული, საკუთარი უსუსურობით დააბნელა. ამ ნიშნით თუ პიროვნული თავისუფლების ასპექტს გავყვებით, დავინახავთ, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისთვის თავდაჯერება და გამბედაობა. ამ ორის გარეშე ვერ შედგება პიროვნება, თუ არ ირწმუნე საკუთარი თავისა, გამბედავად, მტკიცედ არ გადადგი ნაბიჯი, ვერასოდეს მოიპოვებ სულის თავისუფლებას. მეორე მხრივ, ტექსტში ცალსახად არ იკითხება, ზედაპირზე არ დევს, მაგრამ მკითხველს მაინც უჩნდება განცდა, რომ ასეთი დიდი ცოდვის

ჩადენის შემდეგ, ზებულონი თითქოს თვითდასჯით არის აღსავსე და თავის თავს, ქვეცნობიერად, არა გააზრებულად, არ აძლევს სიცოცხლით ტკბობის, ბედნიერების უფლებას. მისი უილიაჯობაც, ბრძოლის უნარის არქონა სწორედ ამით არის გამოწვეული.

4. 5 სულიერი ზეაღსვლის მცდელობა

მეორე ადამიანი, ნესტანის შემდეგ, რომელიც ზებულონის ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას ახდენს, ქართლის კათალიკოსია. ტექსტში მისი გამოჩენა ამაღლებულ, სისპეტაკის განცდას ბადებს. დიდი სულიერი ნებისყოფისა და სიმაღლის დასტურია მონუმენტურობით გამოკვეთილი მისი პიროვნება: *,,აბრეშუმივით თეთრი, გრძელი თმა-წვერი ჰქონდა და ისეთი უძრავი, ხმელი დაღარული სახე, გეგონებოდათ, მჭედელს გამოუჭედიაო“* [ქარჩხაძე, 2016:222]. ყველა ჭეშმარიტი მოძღვარი ხომ ცდილობს ღრმად ჩასწვდეს თითოეული ადამიანის სულის მოძრაობას, ამოიცნოს და სწორი მიმართულება მისცეს მას. *,,მოდიოდა და თან ზებულონს თვალმოუშორებლივ უყურებდა. ისე უყურებდა, ვითომ ზებულონის სახე დაწერილი წიგნი ყოფილიყო და მის წაკითხვას ლამობდა“* [ქარჩხაძე, 2016:222]. სწორედ ამ უნარით, კათალიკოსისთვის ადვილი გამოსაცნობი აღმოჩნდა ზებულონის გულში არსებული უნდობლობა, სიცივე. მოძღვარი თანდათან ალხობდა გაუდაბურებული ბიჭის არსებას, ისიც *,,თავისდამოულოდნელად ნდობით იმსჭვალებოდა, თითქოს ის, რასაც ცოტა ხნის წინ ადამიანებზე ფიქრობდა, ტყუილი იყო, ანდა კათალიკოსს არ ეხებოდა“* [ქარჩხაძე, 2016:224]. ადამიანებზე ზებულონის წარმოდგენა არც ნესტანს შეეხებოდა, ნესტანიცა და კათალიკოსიც მის ცხოვრებაში განსაკუთრებული გამაკეთილშობელი ძალით შემოიჭრნენ და თეთრი ანაბეჭდები დატოვეს. დაბნელებული და დაცარიელებული ჭაბუკისთვის კათალიკოსთან საუბარი სულის მოთქმა და ავსებაა. ეჩვენება, რომ კათალიკოსი მის გულში რაღაცას ავსებს. გულთამხილავი მოძღვრისთვის კი მალევე ხდება საცნაური წყაროსთვალელი მეომრის განდეგილობა და გარიყულობა: ,,აკი მიგრძნო გულმა, ეგრე ვაგლახად

ასვეტილი რომ დაგინახე!“ - ეუბნება ზებულონს *კათალიკოსი. „ცხოვრება რომ შხამს შეგასმევს, გგონია, სულ შენზედ დაცალა და სხვები შარბათს შეექცევიან? თუ, რაკი შენ მოჰყვები წუწუნს და სხვა კი არა, ეს იმის ნიშანია, შენ გტკივა და სხვას არა სტკივა? ნადირი განა სჯობს კაცს, ეგ არის, ნადირად ყოფნა უფრო იოლია“* [ქარჩხაძე, 2016:238]. კათალიკოსის ეს სიტყვები ზუსტად ესადაგება ზებულონის მდგომარეობას, თავისი საქციელით იქცა ნადირად და ადამიანებს უფრთხის. გაურბის რეალობას და ავიწყდება, რომ გაქცევა გამოსავალი არაა. ადამიანს არასოდეს აქვს უფლება, უქმად იჯდეს, მაგრამ როცა ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია, პასუსიმგებლობაც ორმაგია.

ზებულონი თავის უსუსურობას სამყაროს აბრალებს. მიაჩნია, რომ უსამართლოდ მოექცა ცხოვრება და სწორედ ამიტომ აღარაფერს აკეთებს უკეთესობისთვის. მისთვის არავის უსწავლებია, რომ ჩვენს უბედურებაში თავად ვართ დამნაშავენი, არავის მიუცია იმდენი განათლება, რომ თვითონ გამხდარიყო საკუთარი ბედის მჭედელი. რა იცოდა ერთმა სოფლელმა აზნაურმა, რომ თავისი, თუნდაც ერთი გადაწყვეტილებით, პასუხისმგებლობას იღებდა როგორც საკუთარ ცხოვრებაზე, ისე სამყაროზე. *„ნუთუ მაინც ვერ მოიხადა ვალი ზებულონმა? ან კი რაღას აქნევს ქვეყანა ფუტუროსა და გულგამომცლილ ხეს? რაღად უნდა? რაღაში გამოადგება? ტკივილსაც კი არ ანებებენ ზებულონს!“* [ქარჩხაძე, 2016:226]. ასეთი განცდით ცხოვრობს, ავიწყდება, რომ ადამიანს სანამ სული უდგას, სანამ გული უცემს, ბრძოლა არ უნდა შეწყვიტოს, მანამ უნდა ემსახუროს ქვეყანას. *„კათალიკოსმა კარგად იცოდა ის, რაც ზებულონმა გვიან გაიგო - რომ სიცოცხლის უგნური სიყვარული უკურნებელი სენი ყოფილა - და სწორედ ეს სენი გააღვიძა, სწორედ ამ სენის იდუმალ ნაკადულს ატანდა თავის სიტყვებს, რათა ზებულონის გონებაში შეეღწია და სიცოცხლის ნამი შეეტანა“* [ქარჩხაძე, 2016:229].

თუ კარგად დავაკვირდებით, შევამჩნევთ, როგორ ფრთხილად და გაცნობიერებულად იჭრება მოძღვარი ზებულონის შავ-ბნელ არსებაში, საოცარია, გონების ასეთი ეფექტიანი და პლასტიკური მართვა. ის ტაქტიკა, რომელსაც განდეგილ ყმაწვილთან იყენებს, იმდენად დახვეწილი და მაღალი სტანდარტის

დისპოზიციური ტაქტიკაა, რომ ხშირად თანამედროვე ფსიქოლოგებიც კი ვერ ახერეხებენ ასე სრულყოფილად დაეუფლონ და შეიმეცნონ ადამიანის მრავალგანზომილებიანი გონება. *,,კათალიკოსმა ის ჩუმი, ცბიერი და აურიდებელი სენი გამოიყენა იარაღად და სიკვდილის საბრძანებელში, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლემაც თავისი წილი მოითხოვა. როდესაც ზებულონმა იგრძნო, კათალიკოსის სიტყვების ნიაღვარს მისი მარტოობის ციხესიმაგრე შეენგრია და იძულებული შეიქნა, ყური დაეგდო"* [ქარჩხაძე, 2016:229]. კათალიკოსია ის ადამიანი, რომელმაც გააპო ჯებირი, რომელიც ზებულონის გონებაში სინათლესა და სიბნელეს შორის არის გადებული. მრავალხნიანი დუმილისა და ჩაკეტილობის მერე ლაპარაკის სურვილიც ებადება ყმაწვილს. ეს უკვე სინათლის მანიშნებელია, სხვა ვერაფერი უშველის მას, თუ გულიდან არ გამოუშვა ნიაღვარი. კათალიკოსი, რუსთველისეულად თუ მოვიხსენიებთ, „ცნობიერთა დასტაქარია", ადვილად ხვდება ზებულონის მდგომარეობას და კარგად გააზრებული მეთოდებით ცდილობს მის გონზე მოყვანას, არ შორდება და სწორედ იმ ადგილებში „ესხმის თავს", სადაც იარები ეგულება. სწორედ მაშინ დაუყვავებს, როცა გამოკეთების ნიშანწყალს შეატყობს.

,,რაკი მათი გმირობა მხოლოდ ამბად გაგვიგია, ასე გვგონია, უჩვეულონი და განსაკუთრებულნი იყვნენ, შუბლზე გამორჩეულობის ბეჭედი ესვათ და სიცოცხლე არად უჩნდათ. ტყუილია. ეს ყველაფერი ჩვენივ მოგონილია. სინამდვილეში ჩვენებრ უბრალო ხალხი იყო, ჩვენსავით სიცოცხლე ერჩივნათ სიკვდილს, ჩვენსავით ეშინოდათ ტკივილისა და ზოგჯერ ჩვენსავით ჭოჭმანობდნენ. მაგრამ რა ექნათ" [ქარჩხაძე, 2016:230]. იშვიათია ადამიანი, რომელიც მოწოდების ასეთ სიმაღლეზე დგას, გააზრებული აქვს, რომ ყველა ჩვენგანში არსებობს ის განსაკუთრებული პიროვნება, გმირი, რომლებზეც ასე ხშირად გვიყვებიან ისტორიებს, ლეგენდებს, ზღაპრებს. თუ ირწმუნებ საკუთარი თავის ძალასა და განსაკუთრებულობას, დარწმუნდები, რომ ყველა გამორჩეული ამბავი სწორედ შენ გეხება. ამ გადიადებული ადამიანების საიდუმლო სწორედ იმაში იყო, რომ საკუთარი თავის სჯეროდათ და კარგად იცოდნენ, რომ მთავარია, გწამდეს საკუთარი თავის, რომ პიროვნული გადაწყვეტილება უმთავრესია და

ყველაფერი გამოგივა. ძირისძირობამდე სწვდება კათალიკოსი ზებულონის სულის იარებს, ქექავს და სამზეოზე გამოაქვს: *,,ვთქვათ და, გაქცეულიყავ და ქალიც გაგეტაცნა, ისკანდერ-ხანსაც გასხლტომოდი და ბექასაც, იმერეთს გაგეღწია და იმერთ მეფისთვის თავი შეგევრდომებინა, მეფეს წყალობით შემოეხედნა და შეეფარებინე, სახლიც მოეცა და კარიც, ადგილიცა და მამულიც, ყმაცა და მსახურიც, ჯვარიც დაგეწერა, ფუძეც გაგეჩინა და თავი ბედნიერად ჩაგეთვალა. ვითომ მართლა ბედნიერი კი იქნებოდი?"* [ქარჩხაძე, 2016:230].

განა ყოველთვის მოაქვს სიყვარულს ბედნიერება? როცა სასწორზე სამშობლო და სატრფოა, რომელი უნდა აირჩიო, გონიერი ადამიანი უსიტყვოდ ქვეყანას ანაცვალებს ყველაფერს, მაგრამ ზებულონისთვის არავის უსწავლებია, რომ ასე უნდა მოიქცეს. ბექა ამილახვრისა არ იყოს, თვალები გულზე ასხია, პატარა ბიჭია, რომელიც გაუცნობიერებლად აღმოჩნდა ქვეყნის სამსახურში. განა ასეთი მარტივია გრძნობებზე უარის თქმა? ადამიანები ამით ნამდვილად განსხვავდებიან, ზოგი უბრალოდ ეგოისტია და მზადაა საკუთარი კმაყოფილებისთვის ყველა დაღუპოს, მაგრამ ბუნებით კეთილშობილი და სპეტაკი ზებულონი ასეთი არ არის. მას, უბრალოდ, გზის გამკვალავი სჭირდება. სიყვარულში გამბედაობა არ ეყო, სხვისი კარნახით მოიქცა სწორად და ეს მისი პიროვნული არჩევანი არ ყოფილა. საბედნიეროდ, რამდენჯერმე გამოუჩნდა ისეთი ადამიანი, ვინც ასწავლის სწორისა და არასწორის გარჩევას. იმ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ მათ არ მისცეს საშუალება, ხელმეორედ შემცდარიყო. უბიძგეს იმ მიმართულებისკენ, რომელიც მისთვისაც სასარგებლოა და სამშობლოსთვისაც. *,,ვერ იქნებოდი ბედნიერი. ახლა უფრო ბედნიერი ხარ, რომ ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა ჯერ კიდევ შეგიძლია. განა მართლა ნადირად დაიბადე, რომ ქვეყანა შენს პატარა დუხჭირ ბედნიერებას ანაცვალო!"* [ქარჩხაძე 2016:231], - ასე მოძღვრავს კათალიკოსი და ცდილობს გონს მოიყვანოს.

,,ეჰ, ბარემ კარგია გაქცევა და შენს ნებაზე ყოფნა, მაგრამ მე და შენ, აბა, ვინ გაგვიშვებს! მე და შენ ქართველობად და ქრისტიანებად გავჩენილვართ. ქართველობა ჩვენი ხმალია და ქრისტიანობა - ჩვენი ფარი... პატარა ქვეყანა დიდი

სატკივარია. ჩვენი ქვეყანა კი იმდენად პატარაა, ხელები რომ გაშალო, თავ-ბოლოს მიწვდები. ასეთ ქვეყანას სხეულივით უნდა გრძნობდე და, როცა შენს მიწაზე უცხო მოძალადე დადის, ისე უნდა გტკიოდეს, თითქოს შენს სხეულზე დადიოდეს და შენს სხეულს თელავდეს“ [ქარჩხაძე 2016: 231]. ეს სიტყვები განსაკუთრებულ სიმაღლეს მატებს ერის სულიერ ლიდერს, უპირველეს მღვდელმთავარს, სასულიერო პირს. აქ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ზებულონს იოველ ბატონიშვილი სულაც არ სჭირდება განათლების მისაღებად. მას კათალიკოსი ჰყავს. ის მეომრისთვის უმნიშვნელოვანეს ცოდნასა და უნარს აძლევს - პატრიოტიზმს, რომელიც მთელი სულიდან და გულიდან უნდა მოდიოდეს. ამან შეიძლება ზებულონი საერთოდ დაუმარცხებელ, უბადლო მებრძოლად აქციოს. პატრიოტიზმის შეგრძნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალოდ ხმლის ქნევა. ეს გრძნობა გააღვივებდა მასში ახალ სიცოცხლეს და სხვა ადამიანად აქცევდა, ბევრად ძლიერი და ჩამოყალიბებული იქნებოდა. მაგრამ ზებულონის გულის კარი დახშულია, კათალიკოსის სიტყვებს ახლოს არ იკარებს.

კათალიკოსის გამოჩენა ზებულონის ცხოვრებაში ერთდროულად დიდი გამოწვევაცაა და გარდატეხაც. თავდაპირველად ის ჭაბუკის ცნობიერებას იპყრობს, ფსიქოლოგიის მეთოდს იყენებს, აიძულებს მოსმენას, მწარე რეალობას შეახედებს, სულსა და გულში უტრიალებს, ნდობას მოიპოვებს, მამასავით მზრუნველობს. ამის შემდეგ ანიჭებს თავისუფლებას და აძლევს უნარს, რომ გააკეთოს პიროვნული არჩევანი... და პირველად ცხოვრებაში ზებულონი არსებულ რეალობას არ გაურბის. სულიერი მოძღვრის ფუნქციამ გაამართლა, სარწმუნოების გავლენა დიდია ადამიანებზე, მას ღრმა ხედვა აქვს სულიერ სამყაროზე: *,,უფრო ადრე რომ გამეგზავნე, უეჭველად გაიქცეოდი, უფრო გვიან რომ გამეგზავნე, უეჭველად დაბრუნდებოდი. გაქცევას გულის ღელვა გადაგაწყვეტინებდა, დაბრუნებას კი სასოწარკვეთა. ამიტომ ისეთ დროს გაგიშვი, რასაც გადაწყვეტდი, ნამდვილი გადაწყვეტილება ყოფილიყო, უკვე დადინჯებული გულისა და ჯერ კიდევ დაუჯაბნელი გონების გადაწყვეტილება“* [ქარჩხაძე, 2016:233]. კათალიკოსის ეს სიტყვები ნათლად მეტყველებს, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის სულიერი ბალანსისა და წონასწორობის დასაცავად გულისა და გონების მართვა.

ფაქტია, რომ კათალიკოსმა ზებულონის ემოციური დიაპაზონი დაასტაბილურა, კომუნიკაციის უნარი შესძინა და გამოსწორების გზაზე დააყენა. მისი საქციელი ემსგავსება ზრდასრული ადამიანისას, ზებულონმა თითქოს იპოვა საკუთარი თავი და ისწავლა გულის მოსმენა: *,,უკვე მეოთხე თვე იყო, ზებულონი და ქართლის კათალიკოსი ამ უღრან ტყეში ჩაკარგულ პატარა საყდარში ცხოვრობდნენ. გაქცევა და ვალისთვის თავის არიდება ზებულონს რა ხანია გულში აღარ გაუვლია"* [ქარჩხაძე, 2016:235]. უფრო მეტიც, მარტოსულობა და განდეგილობა აღარ ხიბლავს, თავის ფიქრებზეც ხმამაღლა ალაპარაკდა, ნამდვილად შეცვალა კათალიკოსმა მასში ბევრი რამ. ერთხელ, როდესაც კათალიკოსმა ზებულონს სახარება მიაწოდა, წაიკითხე, ბევრ რამეს გასწავლისო, სხვა დროს, ალბათ, ზებულონი ვერ გაბედავდა ეთქვა, რომ იოველ ბატონიშვილის ნაჩუქარი სახარება გულით დააქვს, მაგრამ კითხვა არ იცის. ურთიერთობებმა გაბედულება შესძინა თავის ,,ნაკლზე" საუბარს აღარ ერიდება. გაუცხოებულია, აქამდე დამუნჯებული იყო, საკუთარი ხმა ეუცნაურება, თვითონვე უკვირს, *,,თითქოს ადიდებულმა მდინარემ ჯებირი გაარღვიაო. თავისი ხმა რომ ესმოდა, უკვირდა და ეშინოდა"* [ქარჩხაძე, 2016:238]. ტაბუდადებულ თავის ცოდვაზეც, ნესტანის შემდეგ, მხოლოდ კათალიკოსთან ალაპარაკდა. სასტიკ განაჩენს მოელის დუმილის შემდეგ, თუმცა ასეთ პასუხს ისმენს: *,,წუთისოფელი ხანმოკლეა. მარტო ცოდვის დადებას ვასწრებთ. სიკეთის ქმნისთვის დრო აღარ გვრჩება..."* [ქარჩხაძე, 2016:238].

კათალიკოსმა ზებულონს შთააგონა, რომ ღმერთი მოწყალეა და არსებობს იმედი მისი ცოდვის შევრდომებისა, უპატიებელი ცოდვა არ არსებობს, თუკი ადამიანი გულით მოინანიებს. *,,კარგია, რომ მითხარ, - როგორც იქნა, ხმა ამოიღო კათალიკოსმა, - გული გაგეწმინდება"* [ქარჩხაძე, 2016:239]. მოძღვარი ზებულონის სულის ფორმირებას განაგრძობს. თავისი სიკვდილით საბოლოოდ შექმნა მისგან პიროვნება - ასეთი რამ ცხოვრებაში არ ჩაუდენია, ის გააკეთა, რაც გულს არ უნდოდა. არ დაემორჩილა გრძნობას. თანაც გადაწყვეტილება თვითონ მიიღო, არჩევანი გააკეთა: *,,ჭირვეული ხელი ძალისძალად მოწყვიტა თოფს და თავის ადგილას დააბრუნა. ყველაფერი სტკიოდა, რაც კი შეიძლება კაცს სტკიოდეს, მაგრამ რა ექნა, რომ ნება არ ჰქონდა ისე მოქცეულიყო, როგორც გული ეუბნებოდა!"*

[ქარჩხაძე, 2016:251]. ზებულონმა ნების მოთოკვა ისწავლა, არც შურისძიების დროს შეიძლებოდა ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა, მაგრამ ისე მოიქცა, როგორც ყველა მოითხოვდა მისგან. ახლა კი შეძლო თვითონ მიეღო სწორი გადაწყვეტილება. კათალიკოსის მკვლელისთვის სროლა საქმეს გაამჟღავნებდა. და ზებულონმა, ცხოვრებაში პირველად, ის გააკეთა, რაც ძალიან არ უნდოდა. გულგაგმირული კათალიკოსის ხილვა ზებულონის არსებაში ხელმეორედ დაობლებას დაემსგავსა. იგივე განიცადა მაშინ, როდესაც აკუწული მამის სხეული იხილა. მოძღვრის სახეში რამდენჯერმე მოსჩვენებია განსვენებული ისახარი. კათალიკოსი მის არსებაში ანთებული ლამპარივით შეიჭრა, ბნელი, გაუვალი ლაბირინთები გაანათა. იმდენი შეძლო, ლაპარაკი ასწავლა, მოთმინების უნარი შესძინა, ზრდასრული, რაციონალური ადამიანივით მოქცევას მიაჩვია. რაც მთავარია, მაშინ, როცა კათალიკოსს კლავდნენ, პირველად შეძლო და აღუდგა თავის გულისთქმას. მოახერხა, იმპულსური გრძნობები და ემოციები დაეოკებინა და ეს სწორედ ის საქციელი იყო, რომელიც კათალიკოსმა შთააგონა. მართალია, ეს დიდი მღელვარების ფასად დაუჯდა, მაგრამ მოახერხა. კათალიკოსის სიკვდილის შემდეგაც ბევრჯერ უფიქრია ზებულონს, რამდენი რამე ასწავლა და შეაძლებინა, ფიქრებში ჩაფლულს სულიერი მამის ხატება გონებიდან არ შორდება: *,,სიყვარულით შესცქეროდა მის მშვიდ, მტკიცე, ქვისგან ნათალ სახეს, რომელსაც სიკეთისა და სათნოების შუქი ეფინა, და ისეთი ყურადღებით უსმენდა მის გრძელ ქადაგებას, ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა“* [ქარჩხაძე, 2016:261].

კათალიკოსის სახით ტექსტში შემოდის სულიერება, ზნეობრიობა, რომლის გარეშე ადამიანი პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება. ჯემალ ქარჩხაძეს, როგორც ავტორს, განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მიდგომები ახასიათებს, ის მწერალ-ფსიქოლოგთა რიცხვს მიეკუთვნება. მწერლისეული გატაცება ფსიქოლოგიით არაერთ პერსონაჟში მჟღავნდება, „ზებულონში“ ავტორის იდეების მატარებელი, ამ თვალსაზრისით, კათალიკოსიცაა. ეს პერსონაჟი, მისი ღრმა სულიერება გამოდგება იმ ოპონენტთა საპასუხოდაც, რომლებიც მე-20 საუკუნის გამორჩეული ქართველი მწერლის მსოფლმხედველობაში ქრისტიანული კონცეფციის

დეფიციტს, უკმარისობას ხედავენ. მოძღვარმა დიდი გავლენა მოახდინა ზებულონის სულზე, გამოაწრთო და ინდივიდი გამოძერწა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს სავსებით საკმარისი არ გამოდგა ზებულონის შემთხვევაში. კათალიკოსის წყალობით შეძენილი თვითმყოფადობა იმდენად არამყარი, უსაფუძვლო და ეფემერული გამოდგა, ძალიან მალე დაინგრა და გაქრა. ამ პასაჟით ავტორი თავისი შემოქმედებით კონცეფციას წარმოაჩენს. მიუხედავად მძიმე ეპოქისა, გარემოებებისა, ბევრი რამ თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული.

მარტოდ დარჩენილი და ნესტანს დაშორებული ზებულონი სიცოცხლისა და სიკვდილისგანაც დავიწყებული აღმოჩნდა. მიხვდა, რომ არც მათ ძებნას აქვს აზრი. თავისი ნებით აღუმართა კედელი სიცოცხლეს, არა შურისძიებით, არამედ საკუთარი ქმედებებით. ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული, სიკვდილი კი მხოლოდ ისეთ ადამიანთან მიდის, რომელიც ცოცხალია. კანონზომიერება უბრალოდ ასეთია, ზებულონის არსებას კი ქმედებებიდან და, დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სიკვდილიც კი გაუუცხოვდა, რადგან სიცოცხლემ დაივიწყა იგი. თუმცა სიკვდილი ხომ მაინც გარდაუვალია. ცხოვრება ნიშნავს ცხოვრებას და არა არსებობას. სამწუხაროდ, ზებულონმა მხოლოდ იარსება.

„შეგირდები რომ მთელი დღის წვრთნისა და ვარჯიშის შემდეგ ღრმა, ჯანსაღი ძილით დაიძინებდნენ, თავის პატარა, მიწურ ოთახში განმარტოებული, შორეულ ბავშვობაში დარჩენილ სიკვდილსა და სიცოცხლეზე ფიქრობდა“ [ქარჩხაძე, 2016:212]. ეს სიტყვები მინიშნებაა შორეულ ბავშვობაში დარჩენილ სიკდვილ-სიცოცხლეზე. ეს ადასტურებს იმ აზრს, რომ სანამ ზებულონი შურისძიებას ჩაიდენდა, ცხოვრება ეწადა და სხვების მსგავსად, მისთვის უცხო არ იყო სიკვდილი, მაგრამ როდესაც ასეთი მძიმე ცოდვა ჩაიდინა, სამუდამოდ გამოკეტა კარი ჩვეულებრივი ადამიანების სამყაროსთან, სიკვდილ-სიცოცხლის ბალანსი დაარღვია. არასწორი პიროვნული არჩევნით ჯერ ცხოვრების სიყვარულს გაუუცხოვდა, აქედან გამომდინარე კი, სიკვდილსაც დაავიწყდა. ეს კი მანამ არ შეიცვლება, სანამ ზებულონი არ შეძლებს სიცოცხლის წყურვილის დაბრუნებას,

შემდეგ კი ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და სიკვდილიც თავის დროზე მოვა.

ზებულონმა შალვა ჩხეიძისგან შეიტყო, რომ თვალების დაწვას უპირებდნენ, *,,ზებულონის გულის უფსკრულში ზვირთი აიზიდა, თითქოს მძინარე ნადირმა გაიღვიძა და წამოიზლაზნაო. თავად ზებულონი გაუნძრევლად იჯდა და ამ არამკითხე ზვირთს უამურად ჩასცქეროდა"* [ქარჩხაძე, 2016:215]. გულგამოცლილ ხესავით გამოფიტული იდგა დიდხანს. შემდეგ კი კათალიკოსის მიერ ანთებული სანთელი ბაყბაყდევის სულში ნელ-ნელა იწყებს გაღვივებას. მანამდე, ალბათ, ზებულონს გაუხარდებოდა კიდეც მოახლოებული სიკვდილის გაგონება, მაგრამ ახლა უსიამოვნოდ გაშეშდა, თითქოს არ უნდა ასე დამთავრდეს წყაროსთვალელი ბიჭის ზღაპარი, თითქოს კიდევ რაღაცას ელოდება ცხოვრებისგან.

,,დიდხანს დათარეშობდა მძვინვარე ქარიშხალი ფუტურო სხეულში, დიდხანს ეხლებოდა ზარით და ზათქით გაფიჩხულ კედლებს, ბოლოს, რა დაატყო, ზებულონი მეტს ვეღარ გაუძლებდა, უეცრად გაყუჩდა და გაიტრუნა, რადგან მიხვდა, სიკვდილი ხსნა იქნებოდა, მას კი ხსნა როდი უნდოდა ზებულონისა, წამება უნდოდა" [ქარჩხაძე, 2016:216}. კვლავ არ ანებებს თავს დანაშაულის მძიმე განცდა და მაინც მარტვილობა ურჩევნია, თავს სიკვდილის ღირსადაც არ თვლის, მაგრამ არც სიცოცხლე უნდა.

ავტორი გარკვევით მიგვანიშნებს, რომ ვინც არ უნდა ვიყოთ, რაც არ უნდა გავაკეთოთ, როგორც არ უნდა ვიცხოვროთ, სიკვდილი მაინც არასდროსაა მარტივი, რადგან ადამიანები ვართ, ჩვენში ცხოვრების წყურვილი უფრო დიდია, ვიდრე მისი დასრულების სურვილი. ასეა ზებულონისთვისაც, მას შეიძლება არ უცხოვრია და არც თავისი არსებობა ჰყვარებია, მაგრამ ცხოვრების კანონზომიერება ასეთია, სიცოცხლე მაინც ყველას უნდა: *,,საოცარი რამ არის სიცოცოხლე! რატომ გვწყურია ასე სიცოცხლე?! სიცოცხლე ხომ თამაშია, რომელშიც ადამიანი ვერასოდეს იმარჯვებს. იცოცხლო, ნიშნავს თავაუღებლად იშრომო, იტანჯო და ეწამო... სულ წამებაშია ადამიანი, მაგრამ სიკვდილის გაშლილი მკლავებისაკენ რომ მიდის,*

ფეხები უკან რჩება, ძირს ეცემა, სინანულით იხედება უკან და უკანასკნელ წუთებამდე იბრძვის სიცოცხლისთვის. სიკვდილი კეთილია, სიცოცხლეს კი ყოველთვის ახლავს ტკივილი, მაგრამ ჩვენ მაინც ციცოცხლე გვიყვარს და გვძულს სიკვდილი! საოცარია!“ [ლონდონი, 1973:403]. თითქოს უკვე უახლოვდება სიკვდილი ზებულონს, მაგრამ ჯერ უნდა დაანახოს, რომ სიცოცხლისთვის იბრძვის. აი, მერე კი ნამდვილად მოვა ისიც. იმიტომ, რომ ადამიანები ვართ და უმთავრესი მოვალეობა ბრძოლაა, სიცოცხლისთვის ბრძოლა ნებისმიერ პირობებსა და შემთხვევაში. მართლაც, ზებულონის ცხოვრება დიდი ტკივილი და მწუხარებაა, თითქოს სიბრალულს იმსახურებს. წუთის წინ სიკვდილს თვითონ ნატრობდა, ახლა კი, როცა მოსდევენ, გარბის. ასეთია ადამიანის ბუნება, გადარჩენის ინსტინქტი. არ ეშინია და მისი შიშის პოვნაც გაუჭირდება მდევარს. *,,ზებულონმა დიდი ხანია იცოდა, რომ მდევარი დევნილს კი არ მისდევს, არამედ დევნილის შიშს, და თუ შიში ვერ იპოვა, ვერც დევნილს იპოვის“* [ქარჩხაძე, 2016:295]. იმედის მარცვალი ყოველთვის მოიძებნება გულში და ყოველთვის არის რაღაც შეგრძნება, თითქოს მაინც შეიძლება რამე შეიცვალოს. ეს ცხოვრების აუტანელი წყურვილია, ზოგჯერ გაუაზრებელიც. *,,სიკვდილის მოლოდინი იმას არ ნიშნავს, შენით მოიკლა თავი, ანდა ნებით მოიკვლევინო. ასე რატომ იყო, ამას ზებულონი ვერ იტყოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ გაიოლება არ შეიძლებოდა. დანებება არ შეიძლებოდა. იმისთვის რომ მოკვდე, უნდა მოგერიონ, უნდა გაჯობონ, უნდა დაგამარცხონ...“* [ქარჩხაძე, 2016:297]. როგორც ჩანს, ზებულონის ცხოვრების პრინციპები მეტ-ნაკლებად შეცვლილია, ადრე სულ ხალხს გაურბოდა და მარტოობა უნდოდა, ახლა კი, როცა სიკვდილს ეთამაშება, სულ ადამიანებისკენ მიიწევს, მათგან ელის შველას, თითქოს ბოლომდე არა აქვს დაკარგული მათ მიმართ ნდობა, გულის სიღრმეში სჯერა კაცთა მოდგმის. ეს სწორედ ის ნაპერწკალია, რომელიც კათალიკოსმა და სხვა ღირსეულმა ადამიანებმა გააჩინეს ნელ-ნელა მის არსებაში.

სიკვდილის მოახლოებასთან ერთად სიცოცხლეზე ფიქრობს: *,,შენი სიცოცხლე შენია და, როგორც გინდა, ისე მოიხმარ, მაგრამ სხვასთან რა ხელი გაქვს! სხვის სიცოცხლეზე შენ რა მბრძანებელი ხარ?!“* [ქარჩხაძე, 2016:301]. ცდება ზებულონი - არც შენი სიცოცხლეა შენი, შენი ცხოვრებაც დედისაა, შვილისაა, ღმერთისაა....

წინაპრისა და, შთამომავლის გარდა, შენ გარშემო მყოფების წინაშე ხარ ვალდებული. წყაროსთვალში წასვლა რომ გადაწყვიტა, *,,მთელი თავისი ოღრო-ჩოღრო ცხოვრება, მთელი თავისი სატანჯველი, მთელი თავისი ცოდვები ზურგზე აიკიდა და ყრმობის ბილიკს დაადგა, რომლის ბოლოში, ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ, სიკვდილს უნდა შეყროდა"*[ქარჩხაძე, 2016:307].

წყაროსთვალში დაბრუნებული ზებულონი მშობლების საფლავზე მიდის და ფიქრობს: *,,ნეტა თუ გრძნობენ, ნეტა თუ ხვდებიან, რომ მრავალი წლის უთავბოლო ხეტიალის შემდეგ შვილი უკან დაბრუნდა და გულხელდაკრეფილი ახლა მათს საფლავებს დასცქერის?"*[ქარჩხაძე, 2016: 309]. უძღები შვილი?! რა თქმა უნდა, როცა ბავშვი ცუდად არის, სულ დედას უნდა მიეკეროს, მშობლების გარდა, არავინ სჭირდება, ახლა ზებულონს იმაზე მეტად უჭირს, ვიდრე აქამდე და სწორედ ამიტომ მიდის საკუთარ ფესვებთან, თავის გარდაცვლილ მშობლებთან,

როგორც ავტორი ამბობს, ზებულონის ცხოვრება არაფერი ყოფილა, სადაც არ უნდა ყოფილიყო და რაც არ უნდა ეკეთებინა, მისი გონება შურისძიებას, ნესტანსა და სიკვდილს ვერ შორდებოდა: *,,ზებულონის სიცოცხლეც სხვა არა ყოფილა რა, გარდა განუწყვეტელი, ყოველწამიერი შურისძიებისა, განუწყვეტელი ყოველწამიერი სიყვარულისა და განუწყვეტელი, ყოველწამიერი სიკვდილისა..."* [ქარჩხაძე, 2016:312].

მწერალი თანაუგრძნობს თავის პერსონაჟს და ამით ყველა ადამიანს. სურს, ისახარის ვაჟი ცისფერი სიკვდილით დააჯილდოვოს და სიცოცხლის შემდეგ მაინც აჩუქოს ის, რაც ცხოვრებაში არ ღირსებია (სიმშვიდე და ჰარმონია).

,,ახლა ისინი - სიკვდილი და ზებულონი - სადღაც, ძალიან მაღლა, ცის თაღთან ეკიდნენ ერთიმეორის პირისპირ. შუაში მცირე ნაპრალიღა იყო დარჩენილი და, რაწამს ზებულონმა იმ ნაპრალში გადაიხედა, ნაპრალმა მყისვე პირი შეკრა და ცისფერი სიკვდილის ფაფუკი მკლავები ზებულონს რბილად, ნაზად, სათუთად შემოეხვია" [ქარჩხაძე, 2016:312]. ეს სურვილია, მწერლის დაუოკებელი სურვილი - ცხოვრებისაგან გატანჯული, სვეგამწარებული პერსონაჟი აარიდოს ჯოჯოხეთს და საოცარი ნატიფი, მსუბუქი გაგრძელება მისცეს

ზებულონის სულის მარადიულ ცხოვრებას. *,,ირგვლივ ყოველივე ისე კაშკაშებდა, თვალით არა იხედებოდა რა, და ამის გამო ზებულონი ვერ მიხვდა, სინათლე იყო ეს თუ სიბნელე“* [ქარჩხაძე, 2016:313]. ეს ბოლო ფრაზაა, რომლითაც ტექსტი მთავრდება... სურვილი რეალობას როდი ემთხვევა, მწერალსა და მკითხველს ნამდვილად არ გაემეტებათ ზებულონი სიბნელისთვის. განა რა დააშავა ისეთი, ვის რა წაართვა? მაგრამ ეს ხომ არ არის საკმარისი სამოთხის მოპოვებისთვის. ზებულონს არ შეუსრულებია ადამიანური ვალი, ცოდვის მძიმე ტვირთით მიდის სამსჯავროზე. ვინ იცის, რა ერგება, სინათლე თუ სიბნელე?! ვერც აღსარების ძალა იპოვა თავისთავში, ვერც ცოდვის დიდი მადლითა და სიკეთით გამოსყიდვა შეძლო, დაცემა სულიერი ამაღლებისთვის, აღდგომისთვის არ/ვერ გამოიყენა.

მარადიულ კითხვებზე პასუხების ძიებას მწერალი მკითხველს მიანდობს. არჩევანს უტოვებს, თვითონ გადაწყვიტოს, რა ერგება ზებულონს. ამგვარი დასასრულით პიროვნული თავისუფლების უდიდეს მაგალითს თვითონ გვაძლევს. ქარჩხაძეს არ ახასიათებს რადიკალიზმი და საკუთარი მსოფლმხედველობის თავზე მოხვევა, ის დემოკრატი, თავისუფალი მწერლების კასტიდაანაა, ვისაც არც მოწოდება უყვარს, არც ჭკუის დარიგება, არც დიდაქტიკა, მაგრამ ფიქრისკენ, მუდმივი რეფლექსიისკენ, ჩხრეკისკენ მოგიწოდებს. ამას ისე ბუნებრივად, მიზანმიმართულად ახერხებს, მკითხველი თავისდაუნებურად ექცევა მისი შემოქმედების, ინტელექტის, მხატვრული აზროვნებისა და პიროვნული თავისუფლების ტყვეობაში.

დასკვნა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ქართული მწერლობისა და ჯემალ ქარჩხაძის ,,ზებულონის“ კონტექსტში განვიხილეთ პიროვნული არჩევნის პრობლემატიკა, თეორიული წანამძღვრები და ტიპოლოგია. სადისერტაციო ნაშრომის **შესავალში** გამოვკვეთეთ განსახილველი პრობლემის აქტუალობა, ჩამოვაყალიბეთ დისერტაციის მიზანი და ამოცანები, კვლევის წყაროები; განვიხილეთ საკვალიფიკაციო ნაშრომის თეორიული ბაზა და კვლევის მეთოდოლოგია; განვსაზღვრეთ ნაშრომის სიახლე, მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება.

სადისერტაციო ნაშრომის **I თავი - პიროვნული არჩევანი - ზოგადი, ფილოსოფიური, რელიგიური და ფსიქოლოგიური კონტექსტები** - შედგება ორი ქვეთავისგან:

1.1 პიროვნული არჩევნის ზოგადი დეფინიცია, პიროვნული არჩევანი ფილოსოფიაში

პიროვნული არჩევნის, როგორც ზოგადი პრობლემის ანალიზი და ჯემალ ქარჩხაძის რომანის მთავარი გმირის, ზებულონის, პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვება მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, თუმცა ამისთვის საკმაოდ ბევრი წყაროს შესწავლა გახდა საჭირო. საკითხის კვლევისას გამოვიყენეთ ქართული და უცხოური მასალები. შესაბამისად, შევისწავლეთ და კრიტიკულად გავაანალიზეთ ისინი. მნიშვნელოვანი იყო პიროვნული არჩევნის ზოგადი ასპექტების შესწავლა ფილოსოფიაში, რელიგიასა და ფსიქოლოგიაში. ამ კუთხით განვიხილეთ ცნობილი ფილოსოფოსების: არისტოტელეს, სოკრატეს, სიორენ კირკეგორის, იმანუელ კანტის, ალბერ კამიუს, ჯონ ლოკის, მერაბ მამარდაშვილის, შოთა ნადირაშვილის, ოთარ ტაბიძის, ნოდარ ნათაძის, ზურაბ კაკაბაძის, თამაზ ბუაჩიძის ნააზრევი. გამოიკვეთა, რომ ადამიანის პიროვნულ არჩევნს განსაზღვრავს ღირებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბება. პიროვნული არჩევანი გააზრებული, რაციონალური, მაღალი ფასეულობების,

ჯანსაღი იმპულსების მქონე ადამიანის ნაბიჯია. ყველა დროსა და ეპოქაში თავისუფლებისა და პიროვნული არჩევნის გაგება მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, თუმცა ერთი საერთო ნიშნის პოვნა მაინც შეიძლება: პიროვნულად თავისუფალი ადამიანი გონიერი არსებაა, რომელიც ზნეობრივ საწყისებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს.

1.2 პიროვნული არჩევნის რელიგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები

მოცემულ ქვეთავში საკითხი წარმოვადგინეთ თეოლოგიისა და ბიბლიის თვალსაზრისით, მიმოვიხილეთ წმინდა მამათა ნააზრევი. რის საფუძველზეც დავასკვენით, რომ, ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, ადამიანს, მის არჩევანს ეკისრება გადამწყვეტი როლი. ის სამყაროს გვირგვინია და აბსოლუტურად თავისუფალია ამ თვალსაზრისით, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, რას გადაწყვეტს.

პიროვნული არჩევნის თემას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნების ფსიქოლოგიაში. ამ მხრივ გავაანალიზეთ მე-20 საუკუნის ფსიქოლოგების - დიმიტრი უზნაძის, გორდონ უილიარდ ოლპორტის, ზიგმუნდ ფროიდის, ჰანს იურგენ აიზენკისა და რაიმონდ კეტელის იდეები. პიროვნების მთლიანობის საკითხი ანუ ჰოლისტიკური პრინციპი მიმოვიხილეთ იოგას კონტექსტშიც. გამოიკვეთა, რომ ადამიანის პიროვნულ არჩევანს განსაზღვრავს ღირებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბება. პიროვნული არჩევანი გააზრებული, რაციონალური, მაღალი ფასეულობების, ჯანსაღი იმპულსების მქონე ადამიანის ნაბიჯია. ფსიქოლოგთა თვალსაზრისით, ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში უამრავი კომპონენტია გასათვალისწინებელი. მათ შორის დიდი ადგილი უჭირავს გენეტიკურ ფაქტორს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდასა და გარემოს. თუ რელიგია პიროვნული არჩევნის უქონლობას თვითონ ადამიანის ბრალეულობად მიიჩნევს, ფსიქოლოგია ამის მიზეზს სხვადასხვა ფსიქიკურ და ფიზიკურ დარღვევაში ხედავს.

თავი II. პიროვნული არჩევანი ქართულ ლიტერატურაში

2.1 პიროვნული არჩევნის საკითხი ძველ ქართულ მწერლობაში

მართალია, პიროვნულობის თემა აქტუალური მე-20 საუკუნიდან ხდება მთელ მსოფლიოში, მაგრამ ეს საკითხი ყველა დროსა და ეპოქაში მეტ-ნაკლებად პოპულარულია. ლიტერატურის მიზანი ყოველთვის იყო, ეჩვენებინა ადამიანის ეგზისტენციური და სულიერი ყოფიერებანი. თუმცა განსხვავებული ჟანრისა და თემატიკის ტექსტებში მოცემული საკითხის აღქმა განსხვავებულია. პიროვნულობას ქმნის რწმენისა და სამშობლოს ერთგულება (შუშანიკი, აბო თბილელი, გრიგოლ ხანძთელი), მოყვასისათვის თავგანწირვა, სულიერი წონასწორობა (ავთანდილი), საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის მცდელობა (გურამიშვილი), ეთიკური ესთეტიზმი (სულხან-საბა ორბელიანი). სწორედ ამ, ძველი ქართული ლიტერატურის პერსონაჟების ცხოვრების გააანალიზებით შევეცადეთ წარმოგვეჩინა მოცემულ ქვეთავში პიროვნული თავისუფლების საკითხი. ეს ის გამოგონილი თუ ავთენტური პერსონაჟები არიან, რომელთა არსებობამ და პიროვნულმა გადაწყვეტილებამ კაცობრიობის სვლას გეზი შეუცვალა, ადამიანის ცნობიერებას კვალი დაატყო.

2.2 პიროვნულობის პრობლემა ახალ ქართულ მწერლობაში

განსაკუთრებით მწვავედ დგას ეროვნული და პიროვნული თავისუფლების საკითხი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით მოცემულ ქვეთვში მოკლედ მიმოვიხილეთ ჩვენი მწერლების (ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ გეგეშიძე, ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი) იდეები. ქართველი მწერლების მხატვრული ნაწარმოებების ანალიზი ცხადყოფს: მართალია, პიროვნულობის თემა აქტუალური მე-20 საუკუნიდან ხდება მთელ მსოფლიოში, მაგრამ ეს საკითხი ყველა დროსა და ეპოქაში მეტ-ნაკლებად პოპულარულია. თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა (ბარათაშვილი), ხორციელი საწყისის დაძლევა, მოძრაობის იდეა, საკუთარ თავში ღმერთის ძიება, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, (ილია, აკაკი, ვაჟა). პიროვნული არჩევნის თემა განსაკუთრებით აქტუალურია არასაბჭოთა

სულისკვეთების ავტორების (ოთარ ჭილაძე, ნოდარ დუმბაძე, გურამ რჩეულიშვილი, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჩხეიძე, გურამ გეგეშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, რეზო ჭეიშვილი, ნოდარ წულეისკირი, თამაზ ბიბილური, გივი მაღულარია, ვაჟა გიგაშვილი და სხვ.) შემოქმედებაში. როდესაც ტოტალურ სახელმწიფოში სრულიად უგულებელყოფილია პიროვნების ცნება, ჩვენი მწერლები ღიად თუ ფარულად ცდილობენ ადამიანისთვის ღვთისგან ბოძებული თავისუფალი ნების შენარჩუნებას. სხვადასხვა ეპოქის ქართველი მწერლები მკითხველს მოუწოდებენ მუდმივი ძიებისაკენ, სწორი ფასეულობების ჩამოყალიბებისაკენ.

სადისერტაციო ნაშრომის **III თავი - პიროვნული არჩევნის იდეა ჯემალ ქარჩხაძის რომანებში-** შედგება ხუთი ქვეთავისაგან, რომლებშიც განხილულია შემდეგი შემდეგი რომანები: მდგმური, ქარავანი, ანტონიო და დავითი, იუპიტერის სინანული, განზომილება.

ჯემალ ქარჩხაძის მხატვრული პროზის ანალიზისას გამოიკვეთა რეალისტური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ტენდენციები და ღრმა ფსიქოლოგიზმი. ცხადი გახდა მწერლის დაუცხრომელი ინტერესი ადამიანის დანიშნულების, პიროვნული განვითარებისა და ზნეობრივი საკითხებისადმი. ამის ნათელი მაგალითებია ნაშრომის მესამე თავში განხილული ნაწამოებების პერსონაჟები (მდგმური, აბელი, ანტონიო, პრომეთეოს დიდებულიძე). ამათგან ყველა ცდილობს ცხოვრების საზრისისა და სწორი გზის პოვნას, ზოგი ახერხებს, ზოგი-ვერა. მწერალი ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლებით დაგვანახვებს, რომ პიროვნული თვითმყოფადობის მოპოვებას დიდი შინაგანი ძალა, განსჯის უნარი, პასუხიმგებლობის გრძნობა, თავდაჯერება და გამბედაობა სჭირდება, რაც განათლებითა და რწმენით, საკუთარ თავზე მუშაობით მოიპოვება. მეორე მხრივ, საინტერესოა უზნეობის ზენიტში მყოფი პერსონაჟის (ნერონის) ცხოვრებისეული გზა, რომლის გაანალიზებითაც დასტურდება - ყველა, ვინც ფიქრობს, რომ თავისუფლება ყველაფრის უფლებაა, შეუზღუდავი, ზღვარდაუდები მოქმედებაა, ნერონის მდგომარეობაში აღმოჩნდება - საკუთარ თავს წაშლის.

ჯემალ ქარჩხძის ყველა რომანში, რომელ ისტორიულ დროსა და სივრცეშიც უნდა ვითარდებოდეს მოვლენები, ამოსავალი წერტილი პიროვნების იდენტობაა. წარსულსა თუ თამედროვეობაზე შექმნილ მის ნაწარმოებებში ძირითადი საკითხი პერსონაჟის შინაგანი სამყაროს ფსიქოლოგიური სიზუსტით შესწავლაა. თვითონ სწავლობს, აკვირდება და მკითხველს შთააგონებს ინდივიდის უზენაესობის იდეას. ჯემალ ქარჩხაძის პროზის სტილური თავისებურება არის სწორედ ის, რომ ღრმად გააანალიზოს პიროვნების ფსიქოლოგია და მკითხველი დააფიქროს სულიერი ყოფის მთავარ მოტივებზე.

თავი IV. პიროვნული არჩევანი „ზებულონის“ მიხედვით

4.1. ზებულონის სიყმაწვილე

ზებულონი ინტროვერტი და მარტოსული ბავშვია. ინტროვერტობა ნაკლი არ არის, მაგრამ, როგორც ყველა საკითხში, რადიკალურობა აქაც უსარგებლოა. შესაძლოა, თანატოლებთან საერთოს ვერ პოულობდე, მაგრამ ის, რომ კომუნიკაცია არ შეგიძლია, უკვე პრობლემაა, რადგან სოციალური ურთიერთობები გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის ევოლუციაში, განვითარებასა და ყოველდღიურ სოციალიზაციაში. კარგად თუ დავაკვირდებით, პრობლემის საწყისი უფრო სიღრმეებში უნდა ვეძებოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფროიდის მიხედვით, პიროვნების ფორმირებაში ხუთ წლამდე ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სად არიან მშობლები მაშინ, როდესაც ზებულონი მარტოსული დაეხეტება? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი იმდენად არიან თავიანთ უბედურებაში ჩაძირულნი (ოთხი შვილი დაეღუპათ), რომ არ მონაწილეობენ მის აღზრდაში, ვერც გრძნობენ აღზრდის აუცილებლობას. დასაწყისში ბავშვი კომუნიკაციას წესით მათგან უნდა სწავლობდეს, მაგრამ ეს მისთვის უცხოა, რადგან დედ-მამა არათუ მას, ერთმანეთსაც თითქმის არ ეკონტაქტება. ალბათ, იმ ეპოქაში სწორად არავინ იაზრებს (ალბათ არც სცხელათ), რამხელა როლი აკისრია მშობლის ჩართულობას ბავშვის პიროვნებად ფორმირების გზაზე.

ზებულონის სიყმაწვილის დეტალური ანალიზისას გამოიკვეთა აღზრდის დეფიციტი. დაბადებიდანვე თანდაყოლილი უნარები მასში გარემომ ჩაკლა და დაბლოკა. იმთავითვე დაეხშო გზა პიროვნული თავისუფლებისკენ. ჯემალ ქარჩხაძე ყველა დროის აქტუალურ პრობლემას, აღზრდის, განათლების, რწმენის საჭიროებას მე-20 საუკუნის თვალსაწიერიდან დაგვანახვებს. რეალისტი მწერალი მძაფრი კრიტიციზმით გადმოსცემს კომუნისტურ იდეალებზე აღზრდილი თაობის იდენტობის კრიზისს და ზებულონის ბავშვობის გაანალიზებით გვთავაზობს გზას პიროვნული განვითარებისკენ.

განსაკუთრებულ ადგილს გმირის ცხოვრებაში იოველ ბატონიშვილი იჭერს. იგი ღვთაებრივის, მიუწვდომელის სინონიმად იქცა. მთელი რომანი ამ იდეალისკენ სწრაფვას ასახავს. იოველ ბატონიშვილთან წასვლა, წერა-კითხვის შესწავლა და მისი ნახვაც კი ზებულონისთვის მთელი ცხოვრების აუხდენელ ოცნებად, წარსულის შეუხორცებელ ჭრილობად დარჩა. იოველ ბატონიშვილსა და განათლების იდეასთან დაკავშირებული დისკურსის გაანალიზებით გამოიკვეთა, რომ პერსონაჟის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში განათლების მიღებაზე უარის თქმაა.

4. 2 შურისძიება

ჯემალ ქარჩხაძე რომან ,,ზებულონში“ მოგვითხრობს მთავარი გმირის თავგადასავალს დაბადებიდან გარდაცვალლებამდე. პირველი ნაწილი, რომელსაც შურისძიება ჰქვია, ზებულონის ამ ვნებასთან ჭიდილს და დამარცხებას გვიჩვენებს. გლოვით დახვდა დედა სახლში დაბრუნებულ ზებულონს. სოფელიც შეყრილიყო და ისახარის აკუწული სხეულიც ტომრებით მოეტანათ კაცებს. მწერალი ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად გადმოგვცემს ზებულონის გულში დატრიალებულ სულისშემძვრელ გრძნობას. ზებულონი მარტივად ექცევა საზოგადოების გავლენის ქვეშ, სოციალური მიმღებლობის ფასად ის კონფორმული ხდება და ეს არც არის გასაკვირი მისნაირი სუსტი პიროვნებისაგან, რომელიც მხოლოდ ცხრამეტი წლისაა, გარდატეხის ასაკშია და ჰორმონების ჭარბ მოზღვავებას განიცდის. ფაქტობრივად თვითონ ვერ მართავს თავის ორგანიზმს.

ზებულონმა თანასოფლელთა სურვილი აღასრულა. წარმოუდგენელი სისასტიკით ამოხოცა დაროაშვილები.

შურისძიების თემის განხილვისას ნათელი გახდა, რამდენად სცოდავს ადამიანი, როდესაც საკუთარი ძალებით მოინდომებს სამართლის აღდგენას, რამდენად სულსწრაფია კაცი, რომელიც არ დააცდის ღმერთს თავად აღასრულოს სამართალი. ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების (,,გამზრდელი," ,,გლახის ნაამბობი", ,,პირველი ნაბიჯი", ,,ჩვენი დროის რაინდი", ვაჟას ,,სინდისი", გეგეშიძის ,,შურისძიება", ალექსანდრ კუპრინის ,,ზღვის ავადმყოფობა", ალექსანდრ პუშკინის ,,ნასროლი", შექსპირის ,,ჰამლეტი", ბაირონის ,,კაენი" და სხვ.) ანალიზისას გამოიკვეთა, რომ შურისძიება არ არის გამოსავალი, არასდროს არის სამართლიანი, ის ანგრევს თითოეული ადამიანის შინაგან სამყაროს და კეტავს გზას პიროვნული განვითარებისკენ. ნამდვილი ადამიანი და სრულყოფილი პიროვნება ის არის, ვინც შეძლებს სამართლიანი შურისძიებისგანაც შეიკავოს თავი და ღმერთს მიანდოს მისი აღსრულება, რასაც ვერ ახერხებს ზებულონი.

ბიბლიაში კაენისა და აბელის ეპიზოდიდან ნათელია, რამდენად სცოდავს ადამიანი, როდესაც საკუთარი ძალებით მოინდომებს სიმართლის აღდგენას, რამდენად სულსწრაფია კაცი, რომელიც არ დააცდის ღმერთს თავად აღასრულოს სამართალი: *,,ჩემი არს შურისგებაი და მე მივაგო შენ წილ!"* (ზირ. 28,1; რომ. 12:19). რამდენად იმძიმებს სულს ყოველგვარი მკვლელობის ჩამდენი. თუ ერთი აბელის მკვლელობისთვის შვიდგზის მიეზღვება კაცს, მაშინ შვიდი დაროაშვილის მოკვლისთვის ზებულონს შვიდჯერ შვიდგზის მოეკითხება

მკვლელობისა და მკვლელის სულიერი ტანჯვის თემა ლიტერატურას ძველი დროიდან გასდევს. ეს თემა ღრმად და მკვეთრად წარმოჩნდება ბერძნულ ტრაგედიაში, მაგალითად, ესქილეს (ძვ.წ.ა. 524-456) ,,ევმენიდებში". ბერძნულ მითოლოგიაში არანაკლებ მნიშვნელოვანია გადამეტებული ბედნიერების, ზღვარს გადასული სიამაყის, ამპარტავნების დამსჯელი ნემესისი (ნემეზიდა), რომელიც შემდეგ შურისგების ქალღმერთად იქცა. საბერძნეთის გარდა, ნემესისს თაყვანს სცემდნენ რომშიც, განსაკუთრებით ჯარისკაცები და გლადიატორები [ნემესისი-

ბიბლიოვიკი (ელრესურსი)], ამ საკითხის მიმართ ხელოვანთა დიდ ინტერესს ისიც ადასტურებს, რომ მსოფლიოში შექმნილია ნემესისის რამდენიმე სახის სკულპტურა, რომლებიც გაფანტულია სხვადასხვა ცნობილ მუზეუმში. განსაკუთრებით პოპულარულია ბერძნული (რამნუსი), ეგვიპტური (ლუვრი) და რომაული (გეტის კოლექციები) ქანდაკებები. საგულისხმოა გეტის მუზეუმში დაცული ფრანგი მხატვრის პიერ-პოლ პრუდონის მიერ ამ თემაზე შექმნილი ფერწერული ტილო ,,დანაშაული და ღვთიური შურისძიების აღსრულება.“ ზემოთ ნახსენები ,,ნემესისები“ იმის დასტურია, რომ დედამიწის იდეოლოგიური სიჭრელიდან გამომდინარე, არსებობს უამრავი შეხედულება და აზრი შურისძიების, ანუ ,,სამართლის აღსრულების“ შესახებ. თუ მართმადიდებლური რელიგია ერთადერთ მსაჯულად არა ადამიანს, არამედ ღმერთს მიიჩნევს და მხოლოდ მის სამართალს ენდობა, ძველი ბერძნები ქალღმერთებს მოიხმობენ, რომ დაეხმარონ საკუთარი ხელით ჩაიდინონ ,,სამართლიანი“ შურისძიება.

მწერალი მისთვის დამახასიათებელი მოქნილობითა და სიცხადით აღწერს ზებულონის სულიერ დაცემას შურისძიების შემდეგ. მთავარ პრობლემას, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებას, სარწმუნოებრივ და ზნეობრივ გადაგვარებას, მე-20 საუკუნის საბჭოთა საქართველოს ესთეტიკური ჭრილიდან განიხილავს.

4. 3 ორი ზებულონი

ზებულონი და ზებულონი - ეს გამოთქმა ტექსტში რამდენჯერმე გვხვდება, ერთი ძველ უმწიკვლო, უცოდველ ზებულონს აღნიშნავს, მეორე - ცოდვით დამძიმებულ, შურისძიებით დაცემულს. სამი დღე და ღამე გადაბმულად ეძინა დაღლილ-დაქანცულ, ტყე-ღრეში ნაწოწიალებ, დაროაშვილების სისხლდალეულ წყაროსთვალელ დევგმირს. ზებულონი მოკვდა სულიერად, ცოდვის ჭაობში ღრმად ჩაეფლო, მაგრამ არ იცის, რომ რწმენასა და ღმერთს ძალუძს ადამიანის გათავისუფლება ცოდვისგან.

შურისძიების შემდეგ ზებულონის სული გაორებული და გახლეჩილია. ნათელია, რომ მტანჯველი განცდა არ ტოვებს, მაგრამ უბედურება ის არის, ვერ ხვდება, რისგან არის გამოწვეული. ნუთუ ვერ ხვდება ზებულონი, რომ ცოდვამ მასში ყოველგვარი ამაღლებული ჩაკლა, დააუძლურა და დააძაბუნა ღვთიური საწყისი, რომელიც უნდა განევრცო და დიდ სიკეთედ ექცია, ქვეყნისა და მოყვასის სასარგებლოდ გამოეყენებინა. საამისოდ მას არც მეცნიერული და არც სარწმუნოებრივი ცოდნა არ ყოფნის. ადამიანი როცა არ იცნობს თავს, მოწყვეტილია საკუთარ არსებას, უჭირს მოვლენების სწორად გააანალიზება.

მეომრობა ზებულონის ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელმაც გამოავლინა მისი ფიზიკური თუ სულიერი პოტენციალი. ამით აზრი და გამართლება მიეცა ცხოვრებას, მის ამქვეყნიურ მისიას, ეგზისტენციურ დანიშნულებას. ამ საქმით ცდილობს პერსონაჟი თავისი დაკარგული ,,მეს" აღდგენას, მაგრამ შურისძიების შემდეგ დაშლილ-დანაწევრებული მისი არსის აღდგენა არც ისე მარტივი აღმოჩნდა.

4. 4 ზებულონის სიყვარული

აქ არ მთავრდება ზებულონის ცხოვრება. ავტორი მის სულს ვერ იმეტებს სიბნელისათვის და სამყაროს უდიდეს სინათლეს - სიყვარულს - უგზავნის, იესე ერისთავის შვილიშვილის, ნესტანის, სახით. სიყვარული ის წყაროა, რომელიც წამალივით სჭირდება ზებულონის დასნეულებულ, გადაგვარებულ არსებას. სიყვარული ის ხიდია, რომელმაც ზებულონის დაბნელებული სული უნდა გაანათოს და ადამიანობიდან პიროვნულობამდე აღამაღლოს. ეს დამოკიდებულება მწერალმა რომან ,,განზომილებაში" ჩვეული მჭევრმეტყველებით გამოხატა: *,,სიყვარული თავისუფალი ნების ცნობიერებამდელი გამოხატულებაა..., რომელიც ნაწილობრივ შემოდის ცნობიერებაში, ნაწილობრივ კი არაცნობიერში რჩება, რითაც ერთგვარი ხიდის მოვალეობას ასრულებს. სწორედ ამიტომაა იგი თავისუფლებასთან ერთად ყოფიერების უზენაესი კატეგორია"* [ქარჩხაძე 2008:336]. მართლაც, ნესტანის პირველი გამოჩენა ნათელ სხივს და ცხოვრების აზრს მატებს მის არსებობას.

ნესტანი პირველია, ვისთანაც დაროაშვილების დახოცვის ამბავს ჰყვება, სიყვარულმა მისი სულის განკურნება დაიწყო, ნათელმა დაბნელებული არსი გაასხივოსნა. მისგან ისიც დიდი გმირობაა, რომ ნესტანის მოტაცება გაბედა. მთელი ცხოვრება ზებულონი გულის კარნახით მოქმედებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარღვეული აქვს ის ადამიანური მთელი, რომელზეც შოთა რუსთაველი საუბრობს: *,,გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია, რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“* [შოთა რუსთაველი, 1974:337]. გული-გრძნობა, ცნობა-ხედვა, აღქმა, გონება-ჭკუა - ეს არის ის, რაც ყველა ადამიანში სულდგმულობს. მნიშვნელოვანია მათ შორის ბალანსის დაცვა, ადამიანმა საკუთარ თავსა და სამყაროსთან ჰარმონიაში რომ იცხოვროს. ზებულონის არსებაში წონასწორობა დარღვეულია, მასში გრძნობა ბატონობს და გასაქანს არ აძლევს ცნობასა და გონებას. ამ შემთხვევაშიც ასეა, გრძნობებს აყოლილმა, აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა მოიტაცა ნესტანი ისე, რომ არავითარი გეგმა არ ჰქონია. მისი არჩევანი, პიროვნული, გააზრებული გადაწყვეტილება არ ყოფილა, ყოველგვარ განსჯასა და რაციონალურობას იყო მოკლებული. კიდეც ეუბნება ყველაფრისმცოდნე ბექა ამილახვარი: *,,გულზე გასხია თვალები, გონებაზე უნდა გესხას“* [ქარჩხაძე, 2016:206].

შემეცნების, სულიერი სრულყოფილების, პიროვნული განვითარების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიყვარულს, როგორც ღვთაებრივ, მაცოცხლებელ ძალას. იგისთვის ასეთი ნია, ზებულონისთვის ნესტანი უნდა ყოფილიყო. თუმცა ვერც სიყვარული დაეხმარა პიროვნული თავისუფლების მოპოვებაში. არ ეყო გამბედაობა და ნების სიმტკიცე, როცა წინააღმდეგობა საკუთარ თავსაც ვერ გაუწია ვერასდროს. ზებულონმა ღვთისგან ბოძებული უდიდესი საჩუქარი, ნესტანის სიყვარული, საკუთარი უსუსურობით დააბნელა. ამ ნიშნით თუ პიროვნული თავისუფლების ასპექტს გავყვებით, დავინახავთ, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისთვის თავდაჯერება და გამბედაობა. ამ ორის გარეშე ვერ შედგება პიროვნება, თუ არ ირწმუნე საკუთარი თავისა, გამბედავად, მტკიცედ არ გადადგი ნაბიჯი, ვერასოდეს მოიპოვებ სულის თავისუფლებას.

4. 5 სულიერი ზეაღსვლის მცდელობა

მეორე ადამიანი, ნესტანის შემდეგ, რომელიც ზებულონის ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას ახდენს, ქართლის კათალიკოსია. ტექსტში მისი გამოჩენა ამაღლებულ, სისპეტაკის განცდას ბადებს. დიდი სულიერი ნებისყოფისა და სიმაღლის დასტურია მონუმენტურობით გამოკვეთილი მისი პიროვნება. მოძღვარი ცდილობს ღრმად ჩასწვდეს თითოეული ადამიანის სულის მოძრაობას, ამოიცნოს და სწორი მიმართულება მისცეს მას. ნესტანიცა და კათალიკოსიც ზებულონის ცხოვრებაში განსაკუთრებული გამაკეთილშობელი ძალით შემოიჭრნენ და თეთრი ანაბეჭდები დატოვეს. დაბნელებული და დაცარიელებული ჭაბუკისთვის კათალიკოსთან საუბარი სულის მოთქმა და ავსებაა. გულთამხილავი მოძღვრისთვის კი მალევე ხდება საცნაური წყაროსთვალელი მეომრის განდეგილობა და გარიყულობა:*,,ცხოვრება რომ შხამს შეგასმევს, გგონია, სულ შენზედ დაცალა და სხვები შარბათს შეექცევიან? თუ, რაკი შენ მოჰყვები წუწუნს და სხვა კი არა, ეს იმის ნიშანია, შენ გტკივა და სხვას არა სტკივა? ნადირი განა სჯობს კაცს, ეგ არის, ნადირად ყოფნა უფრო იოლია“* [ქარჩხაძე, 2016:238]. ფრთხილად და გაცნობიერებულად იჭრება მოძღვარი ზებულონის შავ-ბნელ არსებაში, საოცარია, გონების ასეთი ეფექტიანი და პლასტიკური მართვა. ის ტაქტიკა, რომელსაც განდეგილ ყმაწვილთან იყენებს, იმდენად დახვეწილი და მაღალი სტანდარტის დისპოზიციური ტაქტიკაა, რომ ხშირად თანამედროვე ფსიქოლოგებიც კი ვერ ახერეხებენ ასე სრულყოფილად დაეუფლონ და შეიმეცნონ ადამიანის მრავალგანზომილებიანი გონება.

კათალიკოსმა ზებულონს შთააგონა, რომ ღმერთი მოწყალეა და არსებობს იმედი მისი ცოდვის შევრდომებისა, უპატიებელი ცოდვა არ არსებობს, თუკი ადამიანი გულით მოინანიებს. მოძღვარი ზებულონის სულის ფორმირებას განაგრძობს. თავისი სიკვდილით საბოლოოდ შექმნა მისგან პიროვნება - ასეთი რამ ცხოვრებაში არ ჩაუდენია, ის გააკეთა, რაც გულს არ უნდოდა. არ დაემორჩილა გრძნობას. თანაც გადაწყვეტილება თვითონ მიიღო, არჩევანი გააკეთა: *,,ჭირვეული ხელი ძალისძალად მოწყვიტა თოფს და თავის ადგილას დააბრუნა. ყველაფერი*

სტკიოდა, რაც კი შეიძლება კაცს სტკიოდეს, მაგრამ რა ექნა, რომ ნება არ ჰქონდა ისე მოქცეულიყო, როგორც გული ეუბნებოდა!"[ქარჩხაძე, 2016:251]. ზებულონმა ნების მოთოკვა ისწავლა, არც შურისძიების დროს შეიძლებოდა ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა, მაგრამ ისე მოიქცა, როგორც ყველა მოითხოვდა მისგან. ახლა კი შეძლო თვითონ მიეღო სწორი გადაწყვეტილება. კათალიკოსის მკვლელისთვის სროლა საქმეს გაამჟღავნებდა. და ზებულონმა, ცხოვრებაში პირველად, ის გააკეთა, რაც ძალიან არ უნდოდა. მოახერხა, იმპულსური გრძნობები და ემოციები დაეოკებინა და ეს სწორედ ის საქციელი იყო, რომელიც კათალიკოსმა შთააგონა. მართალია, ეს დიდი მღელვარების ფასად დაუჯდა, მაგრამ მოახერხა.

მოძღვარმა დიდი გავლენა მოახდინა ზებულონის სულზე, გამოაწრთო და ინდივიდი გამოძერწა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს სავსებით საკმარისი არ გამოდგა ზებულონის შემთხვევაში. კათალიკოსის წყალობით შეძენილი თვითმყოფადობა იმდენად არამყარი, უსაფუძვლო და ეფემერული გამოდგა, ძალიან მალე დაინგრა და გაქრა. ამ პასაჟით ავტორი თავისი შემოქმედებით კონცეფციას წარმოაჩენს. მიუხედავად მძიმე ეპოქისა, გარემოებებისა, ბევრი რამ თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული.

პერსონაჟის ფსიქოანალიტიკური პორტრეტის შექმნისას გამოიკვეთა ზებულონის ხასიათის სოციალური მნიშვნელობა. ჯემალ ქარჩხაძის რეალისტური მსოფლმხედველობა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მორალურ-ზნეობრივი რეალიებიდან იღებს ფსიქოლოგისტურ იმპულსებს. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში მწერლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდის თავისუფალი ნება, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი თავისუფლება მდგომარეობს არა განთავისუფლებაში, არამედ თავისუფლების შეცნობაში. სწორედ თავისუფლების შეცნობაში ეხმარება პროზაიკოსი მკითხველს და ეპოქის კრიტიკულად გაანალიზებით შეახსენებს, რომ ეროვნული თავისუფლება პიროვნულით იქმნება. ნაშრომში ხშირად გვიწევს ფსიქოლოგიური წყაროების დამოწმება, რაც ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, რომ თავად ჯემალ ქარჩხაძეა უდიდესი ფსიქოლოგი.

სწორედ ფსიქოლოგიის დახმარებით გაეცა პასუხები კვლევის დასაწყისში გაჩენილ კითხვებს: რამ შეუშალა ხელი ზებულონს სწორი პიროვნული არჩევანი გაეკეთებინა? რატომ ვერ შედგა მისგან პიროვნება? განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გმირის ხასიათში თანამედროვე ადამიანისთვის დამახასიათებელი იდენტური პრობლემების აღმოჩენა. მაგალითად, დეპრესია, გონებაგაფანტულობა, რიტმულ სამყაროში ერთ საგანზე კონცენტრირების უუნარობა, ხორციელისა და სულიერის დისბალანსი და სხვა. პერსონაჟის ხასიათზე დაკვირვებით გაჩნდა საინტერესო იდეები. ადამიანი ემოციური არსებაა, შეიძლება კარგად იცოდეს, რა არის კარგი და რა - ცუდი, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციასა თუ გარემოში არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

მწერალი გვთავაზობს ზებულონის ცხოვრების საბოლოო შეფასებას. ის მზამზარეულ პასუხებს გვაძლევს, როგორ უნდა მოქცეულიყო მისი გმირი, არ უნდა დაეხოცა დაროაშვილები, არ უნდა მიეტოვებინა ნესტანი, ცოდვა მოენანიებინა და ისე გაეგრძელებინა ცხოვრება. თუმცა იმასაც მიგვანიშნებს, რომ ასე მოქცევას სჭირდება განსჯის უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, თავდაჯერება, გამბედაობა. პიროვნული ფასეულობები და ღირებულებები აღზრდით, განათლებით, რწმენით უყალიბდება ადამიანს. მხოლოდ თანდაყოლილი გენეტიკური სათნოება არ აღმოჩნდა ზებულონისთვის საკმარისი საიმისოდ, რომ სწორად ეცხოვრა. დისჰარმონიული შინაგანი სამყაროს მქონე გმირი მუდმივად ნავსაყუდელის ძიებაშია. ვერც აღსარების ძალა იპოვა თავისთავში, ვერც ცოდვის დიდი მადლითა და სიკეთით გამოსყიდვა შეძლო, დაცემა სულიერი ამაღლებისთვის, აღდგომისთვის არ/ვერ გამოიყენა. მწერალი ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლებით დაგვანახვებს, რომ პიროვნული თვითმყოფადობის მოპოვებას დიდი შინაგანი ძალა სჭირდება, რაც განათლებითა და რწმენით, საკუთარ თავზე მუშაობით მოიპოვება.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში შექმნილ ამ რომანში ჯემალ ქარჩხაძეს დეტალურად აქვს გადმოცემული პერსონაჟის შინაგანი სამყაროს განვითარების ეტაპები. მათზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, აღმოგვეჩინა პიროვნების

ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორები და დაგვედასტურებინა პიროვნული არჩევნის კრიტიკული მნიშვნელობა პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

ბიბლიოგრაფია:

1. აიზენკი ჰანს იურგენი, წიგნიდან ფსიქოლოგია მოკლე შესავალი, ჯილიან ბატლერი, ფრედა მაკმანუსი, თარგმანი თამარ სუბელიანის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019, 197 გვ.;
2. ამირეჯიბი ჭაბუა, დათა თუთაშხია, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“, თბ., 2019, 629 გვ.;
3. არგანაშვილი გია, ზებულონის ტრაგედია, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი ,,არილი“, 4.04. 2008, 48 გვ.;
4. არისტოტელე, ნიკომაქეს ეთიკა, თარგმანი ძველი ბერძნულიდან, შესავალი წერილი და შენიშვნები პროფესორ თამარ კუკავასი, თსუ, 2003, 260 გვ.;
5. ბარათაშვილი ნიკოლოზ, მერანი, წიგნიდან ,,ქართული ენა და ლიტერატურა“, თ. ვასაძე, ნ.შარაშენიძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2007, 407 გვ.;
6. ბარათაშვილი ნიკოლოზ, ფიქრნი მტკვრის პირას, წიგნიდან ქართული ენა და ლიტერატურა, ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, თბ., გამომცემლობა ,,სწავლანი“, 2012 345 გვ.;
7. ბატლერი ჯილიან, ფრედა მაკმანუსი, ფსიქოლოგია- ძალიან მოკლე შესავალი, ოქრსფორდის უნივერსიტეტის პრესის გამოცემა, მთარგმნელი: თამარ სუბელიანი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2019, 197 გვ.;
8. ბაქრაძე აკაკი , რწმენა, თბ., გამომცემლობა ,,მერანი“, 1990, 445 გვ.;
9. ბაქრაძე აკაკი, აკაკი წერეთელი, ქართველი მწერლები სკოლაში, ტ.1, თბ, 2008, 444 გვ.;
10. ბაქრაძე აკაკი, მწერლობის მოთვინიერება, თბ., „სარანგი,“ 1990, 226 გვ.;
11. ბერდიაევი ნიკოლაი, წიგნიდან ,,ქართული ლიტერატურა სკოლაში“, თამაზ ვასაძე, თბ., გამომც.,,დიოგენე“, 2006, 296 გვ.;
12. ბიბლია 2019: ბიბლია განმარტებებით, საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი, 2019, 567 გვ.;
13. ბიბლია, დაბეჭდილია უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბ., 2013, 999 გვ.;
14. ბუაჩიძე თამაზ, ფილოსოფიური ნარკვევები, II ტ., თბ., თსუ, 2005, 740 გვ.;
15. ბუაჩიძე თამაზ, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., კოლოსი“, 2003, 186 გვ.;
16. ბრეგაძე ლევან, განზომილების საიდუმლოებანი, ლიტ. ალმანახი ,,ფორუმი“, თბ., ქარჩხაძის გამომცემლობა, 2016, 290 გვ.;
17. ბრეგაძე ლევან, მოთხრობები ლიტერატურაზე, თბ., 2008, 249 გვ.;
18. ბრეგაძე ლევან, მოთხრობები ლიტერატურაზე 2, თბ., 2019, 300 გვ.;

19. გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მაია, წერეთელი ნინო, იმაგოლოგია: კულტურათა დიალოგის თავისებურებანი (პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე), თბ., „მერიდიანი“, 2018, 308 გვ.
20. გეგეშიძე გურამ, ნაცრის კოშკი, თბ., გამომცემლობა ,,პალიტრა L”, 2017, 485 გვ.;
21. გეგეშიძე გურამ, შურისძიება, წიგნიდან ,,ქართული ენა და ლიტერატურა“, თამაზ ვასაძე, ნინო შარაშენიძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2006, 407 გვ.;
22. გელაშვილი ნაირა, ლიტერატურული წერილები, ესეები, თბ., 2014, 620 გვ.;
23. გურამიშვილი დავით, წიგნიდან ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., 2003, 472 გვ.;
24. დათაშვილი ლალი, ქრისტიანობის ანარეკლი ვეფხისტყაოსანში, თბ., 2017, 198 გვ.;
25. ვაჟა-ფშაველა, სინდისი, წიგნიდან ქართული ლიტერატურა სკოლაში, თამაზ ვასაძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2006, 296 გვ.;
26. ვაჟა-ფშაველა, სტუმარ-მასპინძელი, წიგნიდან ქართული ლიტერატურა სკოლაში, თამაზ ვასაძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2006, 296 გვ.;
27. ვაჟა-ფშაველა, ღამე მთაში, წიგნიდან ქართული ენა და ლიტერატურა,თამაზ ვასაძე, ნინო შარაშენიძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2007, 304 გვ.;
28. იოსელიანი ოტია, წერილები დაჩის, თბ., გამომცემლობა ,,ინტელექტი“ 2015, 424 გვ.;
29. კაკაბაძე ზურაბ, რჩეული ფილოსოფიური შრომები, ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 485 გვ.;
30. კაკაბაძე ზურაბ, ქართული ენა და ლიტერატურა, თამაზ ვასაძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“ 2006, 296 გვ.;
31. კამიუ ალბერ, სიზიფის მითი, ესე აბსურდის შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა მარინა ბალავაძემ, თბ.,გამომცემლობა ,,აგორა“, 2017, 166 გვ.;
32. კანტი ემანუელ, მიშელ ფუკო, რა არის განმანათლებლობა? შესავალი გამოკვლევა გიგი თევზაძისა, თარგმანი, რედაქცია და ბოლოსიტყვა გიგა ზედანიასი, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 87 გვ.;
33. კანტი იმანუელ, ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, თბილისი, ,,Carpe diem“, 2013, 327 გვ.;
34. კაშია ჯანრი, 1990 წ, პარიზი, ქართველი მწერლები სკოლაში, თბილისი, 2001, 364 გვ.;
35. კიკნაძე ზურაბ, სიტყვით და საქმითა (ჩანაწერები), თბ., გამომცემლობა ინტელექტი, 2013, 160 გვ.;
36. კირკეგორი სიორენ, ტკბობა და მოვალეობა, დანიურიდან თარგმნა პეტრე ჰანზენმა, AirLand, კიევი, 1994 (რუს. ენაზე), 262 გვ.;

37. კეტელი რეიმონდ, წიგნიდან ფსიქოლოგია მოკლე შესავალი, ჯილიან ბატლერი,ფრედა მაკმანუსი, თარგმანი თამარ სუბელიანის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019, 197 გვ.;
38. ლოკი ჯონ, მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე, წიგნიდან შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, 284 გვ.;
39. ლონდონი ჯეკ, ქალის საიდუმლო, რედაქტორი: ნათელა მეტრეველი, თბ., გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, 1973, 730 გვ.;
40. ლორთქიფანიძე ნიკო, ქართული იგავური პროზის ანთოლოგია, შედგენილია თამაზ ვასაძის მიერ, თბ., გამომცემლობა ,,ინტელექტი“, 2015, 208 გვ.;
41. მამარდაშვილი მერაბ, ცნობიერების ტოპოლოგია, თბ., ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2011, 165 გვ.;
42. მაღლაფერიძე ვასილ, გია მურღულია, გია ალიბეგაშვილი, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბ., გამომცემლობა ,,განათლება“, 1992, 320 გვ.;
43. მერჩულე გიორგი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, წიგნიდან ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“, 2003.
44. მირცხულავა ლელა, სადისერტაციო ნაშრომი: პოსტმოდერნისტული ტენდენციები ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში, თბ., სოხუმის სახ. უნ. შრომები, ტ. V, 2008, 222 გვ.;
45. მურღულია გია, ცხოვრების საიდუმლო, წიგნიდან სიბრძნე მინიატურაში, თბ., გამომცემლობა ,,ტრიასი“, 2010, 196 გვ.;
46. მურღულია გ., საზრისები, თბ., გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“, 2018, 488 გვ.;
47. ნადირაშვილი შოთა, განწყობის ანთროპული თეორია, თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014, 484 გვ.;
48. ნათაძე ნოდარ, ადამიანი ადამიანთა შორის, თბ., გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, 1979, 149 გვ.;
49. ნინოშვილი ეგნატე, ჩვენი ქვეყნის რაინდი, წიგნიდან ქართული პროზა, თბ., გამომცემლობა ,,ბაკმი“, 2011, 61 გვ.;
50. ოთარ ჩხეიძის შემოქმედების კვლევის ცენტრი, ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედება, მიეძღვნა ოთარ ჩხეიძეს, გორის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2015, 245გვ.;
51. ოლპორტი უილიარდ გორდონი, წიგნიდან ფსიქოლოგია მოკლე შესავალი, ჯილიან ბატლერი, ფრედა მაკმანუსი, თარგმანი თამარ სუბელიანის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019, 197 გვ.;

52. ორბელიანი სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა, წიგნიდან ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ვახტანგ როდონაია, მანანა გიგინეიშვილი, თბ., გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“, 2003, 472 გვ.;
53. პუშკინი ალექსანდრე, ნასროლი, რჩეული მოთხრობები, თბ., 1975, 65 გვ.;
54. რობაქიძე გრიგოლ, მიმართვა ახალგაზრდობისადმი, ნაწერები, წიგნი V, ლიტერატურის მუზეუმი, თბ., 2012, 98 გვ.;
55. საბანისძე იოანე, აბოს წამება, წიგნიდან ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“, 2003, 472 გვ.;
56. სოლოვიოვი ვლადიმერ, ქართული ლიტერატურა სკოლაში, თამაზ ვასაძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2006, 296 გვ.;
57. ტაბიძე ოთარ, ადამიანი - სინამდვილე და ოცნება, თბ., ,,მეცნიერება“, 1986, 101 გვ.;
58. ტურავა მარინე, გარღვეული ლაბირინთი, ლიტერატურული წერილები, ესეები, პორტრეტები), თბ., 2014, 381 გვ.;
59. ტურავა მარინე, სიცოცხლე შვენობს შენითა (სიკვდილის პარადიგმა ქართულსა და უცხოურ მოდერნიზმში), თბ., 2012, 301 გვ.;
60. ფიფია ნესტან, ძენი დაბნეულნი, XX საუკუნის 90-იანი წლები ოთარ ჩხეიძის ტრილოგიაში, თბ., 2016, 243 გვ.;
61. ფროიდი ზიგმუნდ, წიგნიდან ფსიქოლოგიის მოკლე შესავალი, ჯილიან ბატლერი, ფრედა მაკმანუსი, თარგმანი თამარ სუბელიანისა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019, 197 გვ;
62. ქარჩხაძე ჯემალ, პუბლიცისტიკა, თბ., ჯემალ ქარჩხაძის გამომცემლობა, 2014, 222 გვ.;
63. ქარჩხაძე ჯემალ, შემოქმედების კანონი, თბ., ქარჩხაძის გამომცემლობა, 2011, 80 გვ.;
64. ქარჩხაძე ჯემალ, მდგმური, თბ., ქარჩხაძის გამომცემლობა, 2016, 306 გვ.;
65. ქარჩხაძე ჯემალ, ქარავანი, თბ., ქარჩხაძის გამომცემლობა, 2016, 586 გვ.;
66. ქარჩხაძე ჯემალ, ანტონიო და დავითი, თბ., ჯემალ ქარჩხაძის გამომცემლობა, 2016, 148 გვ.;
67. ქარჩხაძე ჯემალ, იუპიტერის სინანული, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 1994, 128 გვ.;
68. ქარჩხაძე ჯემალ, ზებულონი, თბ., ქარჩხაძის გამომცემლობა, 2016, 348 გვ.;
69. ქარჩხაძე ჯემალ, განზომილება, თბ., ქარჩხაძის გამომცემლობა, 2008, 594 გვ.;
70. ქარჩხაძე ჯემალ, მოთხრობები, სრული კრებული, თბ., 2012, 664 გვ.;
71. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., სასკოლო გამოცემა ნათაძის რედაქციით, 1974, 547 გვ.;
72. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბ., 2016, 472 გვ.;

73. შექსპირი უილიამ, ჰამლეტი, თბ., გამომცემლობა ,,საბა“, 2013, 300 გვ.;
74. ჩოკორაია თათია, ჯემალ ქარჩხაძის ზღაპრები, ,,ფორუმი“, ლიტ. ალმანახი, თბ., ქარჩხაძის გამომცემლობა, 2016, 88 გვ.;
75. ჩხენკელი თამაზ, ალუდა ქეთელაურის ვნებანი, წიგნიდან ტრაგიკული ნიღბები, თბ., გამომცემლობა ,,მემკვიდრეობა“, 2009, 304 გვ.;
76. ჩხეიძე ოთარ, ბორიაყი, თბ., 2021, 502 გვ.;
77. ჩხეიძე ოთარ, მორჩილი, თბ., 2004, 510 გვ.;
78. ჩხეიძე როსტომ, აგვისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე), თბ., 2008, 816 გვ.;
79. ყარალაშვილი რეზო, მხატვრული ნაწარმოების აღქმა, წიგნიდან ქართული ლიტერატურა, თ. ვასაძე, თ. მუზაშვილი, ნ. ჩუბინიძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2008, 446 გვ.;
80. წერეთელი აკაკი, რაც არ იწვის, არ ანათებს, წიგნიდან ქართული ენა და ლიტერატურა, ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, თბ., ,,სწავლანი“, 2010, 532 გვ.;
81. წერეთელი აკაკი, ვედრება, წიგნიდან ქართული ენა და ლიტერატურა, ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, თბ., ,,სწავლანი“, 2010, 532 გვ.;
82. წერეთელი აკაკი, სხვებმა სვან ღვინო, წიგნიდან ქართული ენა და ლიტერატურა, ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, თბ., ,,სწავლანი“, 2010, 532 გვ.;
83. წერეთელი აკაკი, გამზრდელი, წიგნიდან ქართული ლიტერატურა სკოლაში, თამაზ ვასაძე, თბ., ,,დიოგენე“, 2006, 296 გვ.;
84. წერეთელი გიორგი, პირველი ნაბიჯი, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991, 179 გვ.;
85. წიფურია ბელა, ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, 577 გვ.,
86. წოწონავა თენგიზ, ლიტერატურული ნაწარმოებები სკოლაში, თბ., საავტორო გამომცემლობა, 2010, 368 გვ.;
87. ჭავჭავაძე ილია, კაცია-ადამიანი?! თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი II, ,,მეცნიერება“; ,,საბჭ. საქართველო“, 1988, 336 გვ.;
88. ჭავჭავაძე ილია, ,,მგზავრის წერილები“, წიგნიდან ქართული ლიტერატურა, თამაზ ვასაძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2006, 296 გვ.;
89. ჭავჭავაძე ილია, განდეგილი, წიგნიდან ქართული ენა და ლიტერატურა, ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, თბ., გამომცემლობა ,,სწავლანი“, 2010, 439 გვ.;
90. ჭავჭავაძე ილია, ,,აჩრდილი“, წიგნიდან ქართული ლიტერატურა, თამაზ ვასაძე, თბ., გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2006, 296 გვ.;
91. ჭავჭავაძე ილია, გლახის ნაამბობი, წიგნიდან ,,წერილები და მოთხრობები“, თბ., სულაკაურის გამომცემლობა, 2015, 306 გვ.;

92. ხეჩუაშვილი ლილი, პიროვნება, შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში, თავი I, პერსონოლოგია, თბ., 2013, 439 გვ.;
93. ჯავახიშვილი მიხეილ, ჯაყოს ხიზნები, თბ., 2000, 161 გვ.;
94. ჯალიაშვილი მაია, პიროვნების დაბადება არარაობის ქაოსიდან, სერიიდან ქართველი მწერლები სკოლაში, ტ.12. თბ., გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე", 2016, 168 გვ.;
95. ჯალიაშვილი მაია, სიცოცხლე უფრო დიდი სასჯელი ყოფილა, ვიდრე სიკვდილი, სერიიდან ქართველი მწერლები სკოლაში,ტ.12. თბ., ,,საქართველოს მაცნე", 2016, 168 გვ.;
96. ჯალიაშვილი მაია, თხრობის ტკბილი და დამათრობელი სურნელი, სერიიდან ქართველი მწერლები სკოლაში, ტ.12. თბ., ,,საქართველოს მაცნე", 2016, 168 გვ.;
97. ჯალიაშვილი მაია, შეხვედრა წიგნში, 2015, 305 გვ.;

ინტერნეტრესურსები:

98. ამონაშვილი შალვა, სტატია ,,გზავნილი მასწავლებლებს", https://edu.aris.ge/news/tu-bavshvis-siyvaruli-ver-daimsaxure-gakvetils-ver-chaatareb-shalva-amonashvilis-gzavnilebi-maswavleblebs.html (25.09. 2022);
99. ბუაძე თემურ, სტატია ,,ფილოსოფიური შეხედულებები თავისუფალი ნების შესახებ" http://www.orthodoxtheoogy.ge/freewill/, (10.10.2022.);
100. გიგნაძე თეოდორეს ოფიციალური ვებგვერდი https://teodore.ge/p-sawy?lg=qar (8.12.2023);
101. უზნაძე დიმიტრი, განწყობის ფსიქოლოგია, library.iliauni.edu.ge 2017 (14.02.2023);
102. ენციკლოპედიური ლექსიკონი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=5 (13.03.2023);

103. ილია II 2013-2014: კათალიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე 2013-2014, http://resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=18646 (8.08 2022);
104. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სამეცნიერო კონფერენცია - ოთარ ჩხეიძე, თბ., 2011, https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/dec/shromebi/konoerencia-otar-chxeidze.pdf (12.04.2023);
105. ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებაში, http://dictionary.css.ge/content/collective-unconscious (11.03.2023);
106. ჟამერაშვილი ნინო, ,,კონფორმულობა და მისი მიზეზები", intermedia.ge 2018. (8.08. 2022);
107. საშობაო ეპისტოლე, ელექტრონული რესურსი, www.orthodoxy.ge, (23.03. 2023);

108.ნემესისი-ბიბლიოვიკი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა http://www.nplg.gov.ge (24.10. 2022);
109.ქარჩხაძე ჯემალ, შემოქმედების კანონი, https://www.qwelly.com/group/literature/forum/topics/credo; (12.04.2023);
110. წმ. იოანე ოქროპირი, სულიერი მდელო, ელექტრონული რესურსი, sibrzne.ge. (23.03. 2023);
111. .წმინდა პორფირი კავსოკალიველი. https://www.newposts.ge/ (17.11.2022).
112.Tabassum Nazia ,International Journal of Reflective Research in Social Sciences, www.reflectivejournals.com Volume 1; Issue 1; Sep. 2017;„Personality Development through Yoga“ https://www.reflectivejournals.com (30.10.2022);
113. http://ncert.nic.in/textbook/pdf/iehp109.pdf, Personality Development Through Yoga, გვ.3, (30.10.2022);
114. Lloyd Ellen – Ancient Pages.com. Nemesis: Winged Goddess Of Justice And Revenge https://www.ancientpages.com/2016/06/02/nemesis-winged-goddess-justice-revenge/ (23. 03.2023);
115 . https://enciklopedia.webnode.page/products (12.04.2023);
116. https://1tv.ge/audio/pikis-saati-otar-chkheidzis-boriayis-bediswer (12.04.2023);
117. Williams Mark James, www.helpguide.org Practices for Improving Emotional and Physical Well-Being,A Harvard Health article (17.11.2022);
118. Allport,G.W. 1937. Personality: A psychological interpretation. New York: H. Holt and. Company. 616 https://archive.org/ (14.11.2022);
119. Eysenck, H.J. 1952. The scientific study of personality. Baltimore: Penguin Books;
120. Cattell,R. B. 1965.the scientific analysis of personality. Baltimore: Penguin Books;
121. Freud, S. 1923. The ego and the id. SE. The Standard Edition of the Complete Psychological Works of Sigmund Freud, Volume XIX (1923- 1925): The Ego and the Id and Other Works, 1-66 https://www.sas.upenn.edu/ (12.11.2022);
122. Gray Henry, 1858: Grey's Anatomy; London: John W. Parker and Son, West Strand. GoogleBooks. https://www.sothebys.com (11.09.2022);
123. Personality Development through Yoga. International Journal of Reflective Research in Social Sciences ISSN: 2581-5733, Impact Factor: RJIF 2.38 www.reflectivejournals.com Volume 1; Issue 1; Sep. 2017; Page No. 14-15. https://www.reflectivejournals.com (17.12. 2022);
124. Maslow Abraham, Toward a Psyschology of Being, 3 rd edition, publisher : Wiley 1998.